აკაკი ასათიანი - ქართული პოლიტიკის ფიგარო A2

ძალოვნებს სათქმელი ჯერ არაფერი აქვთ A2

მეცნიერება და ტექნიკა B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 9 დეკემბერი, 2003 წელი. №318 (530) | ფასი 50 თეთრი

სტრუქტურული და საკადრო ცვლილებები გაღატაკებულ პარლამენტში

გიორგი ასანიშვილი

"ვარდების რევოლუცია" პარლამენტზე შემდეგნაირად აისახა: გაუქმებულია ოთხი ფრაქცია, თანამდებობიდან საკუთარი ნებით წავიდა კომიტეტის ორი თავმჯდომარე, ზოგიერთებს კი არც თანამდებობები ეთმობათ და არც სამსახურში ცხადდებიან.

უფრო კონკრეტულად: დღეს უკვე აღარ არსებობს ფრაქციები "მოქალაქეთა კავშირი", "სოციალისტი", "ერთიანი საქართველო" და "XXI საუკუნე". თანამდებობებიდან გადადგნენ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ბათიაშვილი და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ხელმძღვანელი ზაზა სიორიძე. ჯერჯერობით უცნობია, რას აპირებენ იურიდიულ საკითხთა, ადამიანის უფლებათა დაცვის და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტების თავმჯდომარეები - გოჩა პაიჭაძე, ნანა ბიჭიაშვილი და ანზორ აბრალავა. მათთვის პარლამენტში, კარგა ხანია, არავის მოუკრავს თვალი.

გაგრძელება A2 გვერდზე

ბესო ბელეშვილის ფოტო

პარლამენტის სპიკერს სხდომის ჩატარებაში უქაღალდობა უშლის ხელს.

რევოლუციები, არჩევნები და ქართული სახელმწიფოებრიობის უახლოესი მომავალი

ნაწილი პირველი

თამაზ დიასამიძე

ქართველმა ერმა, 1989 წლიდან დღემდე, ოთხი ხელისუფლება და ლიდერი გამოიცვალა. მათგან მხოლოდ ერთი შეიცვალა არჩევნების გზით - ძალდაუტანებლად და მშვიდობიანად, ორი - სისხლით, ერთიც -მშვიდობიანად, მაგრამ მაინც ძალდატანებით. ქარტეხილები მეტწილად რევოლუციად ინათლებოდა. ოთხივე შემთხვევას თან ახლდა მძაფრი პოლიტიკური კრიზისი, განპირობებული ეროვნული, სოციალური და რეგიონული ფაქტორებით. ამ მხრივ განსაკუთრებით გამორჩეული და საბედისწერო აღმოჩნდა რეგიონული ფაქტორი, რეგიონალიზმისა და სეპარატიზმის პრობლემა, რომელიც აგერ უკვე 15 წელია განსაზღვრავს ქართული სახელმწიფოს მაჯისცემას, ხოლო ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის უზუნველყოფისაკენ მიმართული ძალისხმევა უშედეგოდ და უარესობისაკენ მიდის, იქმნება რა დეზინტეგრაციის ახალი კერები. საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფის გარეშე კი წარმოუდგენელია სრულფასოვანი ქართული სახელმწიფოს აშენება, პროგრესი ქვეყანაში, გეოპოლიტიკური ფუნქციის აღსრულება, სხვა საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება და მომავალში სრულფასოვან და ღირსეულ ერად დარჩენა. ამ თვალსაზრისით საჭიროა თვალი გადავავლოთ განვლილ პერიოდსა და პროცესებს, მიუკერძოებლად გავიაზროთ პრობლემა და ვეძებოთ მართებული გადაწყვეტილებანი.

გაგრძელება A3 გვერდზე

კოვენჰაგენის უნივერსიტეტში წარმოთქმული სიტყვა

ვაცლავ ჰაველი

REUTERS

ცესკო უკან არ იხევს

პოლიტიკურ პარტიათა ნაწილი კვლავ უარყოფითად აფასებს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ზურაბ ჭიაბერაშვილის ინიციატივას, რომელიც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის დადგენის სრულიად ახალ წესს ეხება. ცესკო-ში კი კვლავ დაჟინებით იმეორებენ, რომ ამომრჩეველთა ერთიანი სიების შედგენა მხოლოდ და მხოლოდ ცენტრალური საარჩევნო კომისიის პრეროგატივაა.

თამარ ასათიანი

ჩვენი ინფორმაციით, უახლოეს დღეებში ცენტრალური საარჩევნო კომისია უკვე მიიღებს დადგენილებას, რომლის თანახმადაც, ზურაბ ჭიაბერაშვილის ინიციატივას ოფიციალური სახე მიეცემა. თუმცა, ცესკო-ში მაინც იმედოვნებენ, რომ პარლამენტი არჩევნებამდე დარჩენილ პერიოდში მიიღებს შესაბამის ცვლილებებს საარჩევნო კოდექსში.

შეგახსენებთ, რომ ზურაბ ჭიაბერაშვილის ინიციატივა მთლიანად ეფუძნება ამომრჩეველთა პოლიტიკურ აქტიურობას. ამ წინადადების თანახმად, ამომრჩეველი უნდა მივიდეს უბანზე, გაიაროს წინასწარი რეგისტრაცია. შემდგომ საუბნო კომისიები, პოლიციის რაიონულ განყოფილებებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ერთად, ამ მონაცემების სისწორეს გადაამოწმებს.

სხვათა შორის, არსებობს ერთი "უხერხული" მომენტი, რომელიც ზურაბ ჭიაბერაშვილის მიერ წამოყენებულ წინადადებას ახლავს. ეს იმ ამომრჩეველს ეხება, რომელიც ცესკო-ს მიერ უკვე განსაზღვრულ ვადებში ვერ მიიღებს მონაწილეობას წინასწარ რეგისტრაციაში. ზურაბ ჭიაბერაშვილი ცალსახად აცხადებს, რომ ასეთ შემთხვევაში, მათ აუცილებლად უნდა მიეცეთ არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

გაგრძელება A2 გვერდზე

საქართველოს დაბრუნება ხალხისთვის

ხელისუფლება რკინიგზის რეორგანიზებით იწყებს...

თამარ ხორბალაძე

"ჩვენ ვიწყებთ საქართველოს დაბრუნებას ხალხისთვის. ჩვენ ვიწყებთ სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული საწარმოების თუ ობიექტების კლანების ინტერესებისგან გაწმენდას. ჩვენ არ ვაპირებთ, ერთი კლანი ჩავანაცვლოთ მეორეთი. კაკო ჩხაიძეები საერთოდ აღარ იარსებებენ", - ასეთი ხმამაღალი განცხადებებით დაიწყო გუშინ სახელმწიფო მინისტრმა ზურაბ ჟვანიამ ბრიფინგი, რომლის მთავარი თემა რკინიგზის რესტრუქტურიზაცია გახლდათ.

ბრიფინგამდე სახელმწიფო მინისტრი მსოფლიო ბანკის ახალ წარმომადგენელს საქართველოში როი საქსფორდს შეხვდა და მისი მხარდაჭერა მიიღო.

სახელმწიფო რკინიგზა პირველია იმ სახელმწიფო საწარმოთაგან, რომელიც დღემდე ექსსახელისუფლებო კლანის ინტერესების სფეროში იყო მოქცეული და რომლის რეფორმირების მოდელის გამოყენებასაც ახალი ხელისუფლება სხვა მსგავს საწარმოებზეც გეგმავს:

გაგრძელება A4 გვერდზე

არც ერთი დემოკრატიული ძალა რუსეთის პარლამენტში

ლევან ღირსიაშვილი

რუსეთში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები საკმაოდ მოულოდნელი შედეგებით დასრულდა. მიუხედავად იმისა, რომ პუტინის პარტიის, "ერთიანი რუსეთის" უპირობო გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარებოდა, დანარჩენი პარტიების მონაცემები აშკარად არ შეესაბამებოდა მოლოდინს. წინასწარი შედეგები ასე გამოიყურება:

"ერთიანი რუსეთი" - 36,8 %
"კომპარტია" - 12,7 %
"ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია" - 11,8 %
"სამშობლო" - 9,0 %
"იაბლოკო" - 4,3 %
"მემარჯვენე ძალთა გაერთიანება" - 3,9 %
"აგრარული პარტია" - 3,8 %

ექსპერტთა აზრით, "ერთიანი რუსეთის" მაჟორიტარი კანდიდატების გამარჯვებებმა ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში შესაძლოა, 90 პროცენტსაც გადააჭარბოს, რის შედეგადაც 450-კაციან პარლამენტში ამ პარტიას ადგილების ნახევარი გარანტირებული აქვს.

რაც შეეხება დემოკრატიულ-ლიბერალურ ძალებს – ნემცოვ-კაკამადა-ჩუბაისის "მემარჯვენეებს" და იავლინსკის "იაბლოკოს," მათ მოსალოდნელ მარცხზე უკვე ბოლო დღეებში საკმაოდ ღიად საუბრობდნენ, მაგრამ თუ ორივე პარტია 5-პროცენტიან ბარიერს მიღმა დარჩებოდა, ვერავინ წარმოიდგენდა.

არჩევნების შედეგებით, პრო-დასავლური ძალების შემდეგ, ყველაზე მეტად დაზარალებული

გაგრძელება A5 გვერდზე

ვანკისური კვალი ქართველი ბანკირის გატაცებაში

"არ მინდა, ჭიჭიაშვილის იდიალიზება მოვახდინო, მაგრამ მისდამი (უფრო ზუსტად, ჭიჭიაშვილის საქმეებისადმი) საოცარი სპორტული ჟინი მაქვს და ეს საქმე ბოლომდე მივა. ამ საქმეებს ლოგიკური დასასრული აუცილებლად ექნება," – უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ ჭიჭიაშვილის რეზონანსული საქმის გახსნის თაობაზე ასეთი პირობა ცოტა ხნის წინ დადო. გუშინწინ უშიშროების სამინისტრომ პანკისის ხეობის სოფელ ქვემო ხალაწანში დააკავა პანკისელი ქისტი კრიმინალის შოთა ჭიჭიაშვილის დაჯგუფების ერთ-ერთი მთავარი წევრი თენგიზ ხანგოშვილი.

ინგა ალავიძე

თენგიზ ხანგოშვილი (იგივე "კაკო") კარგა ხნის მანძილზე ბაქოში იმყოფებოდა, შემდეგ, ჭიჭიაშვილთან ერთად, მოსკოვში გადავიდა და მას შემდეგ, რაც ჯგუფის "კაპიტანი" – მეველუდ ჭიჭიაშვილი დაიჭირეს, პანკისის ხეობაში დაბრუნდა. ხანგოშვილს უშიშროების სამსახურის თანამშრომლები ყველაზე მოუხელთებელ კრიმინალად მიიჩნევდნენ, რადგან მის დასაკავებლად ჩატარებულ რამდენიმე ოპერაციას ხანგოშვილმა თავი დააღწია. ბოლო პერიოდში იგი ბიძაშვილის სახლში იმალებოდა და კანონდამცველები მის დასაკავებლად ოპერაციას იმ მიზეზით ვერ ატარებდნენ, რომ ოჯახში, სადაც ის ცხოვრობდა, მცირეწლოვანი ბავშვებიც იმყოფებოდნენ.

გაგრძელება A7 გვერდზე

პოლიტიკა

აბსანძე ეროვნული თანხმობის ალდგენაზე იმუშავებს

გუშინ სახელმწიფო მინისტრის მოადგილედ "ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის კავშირის" თავმჯდომარის გურამ აბსანძის დანიშვნა ბევრს არ გაკვირვებია. ალბათ იმიტომ, რომ არაოფიციალური აღიარებით, აბსანძის ამ პოსტზე დანიშვნა ახალი ხელისუფლების მხრიდან, უბრალოდ, პოლიტიკური ნაბიჯად შეფასდა.

A2

ეკონომიკა

ფინანსთა ახალი მინისტრი რეფორმას იწყებს

ფინანსთა მინისტრის - ზურაბ ნოღაიდელის გადაწყვეტილებით, 29 იურდიული პირი, რომელიც თამბაქოს სექტორში მუშაობს, 2004 წლის 1 იანვრიდან მსხვილ გადამხდელთა ინსპექციაში გაერთიანდება. სამინისტრომ თამბაქოს სექტორიდან შემოსავლების მობილიზების გეგმა შეიმუშავა.

A4

უცხოეთი

საქართველოს ჯერი

"ვარდების რევოლუციამ" აჩვენა, რომ საქართველო სწრაფად ყალიბდება დემოკრატიულ, პროდასავლურ სახელმწიფოდ. მას აქვს შანსი, ფაქტობრივად, პირველად დსთ-ს ქვეყნებს შორის, ჩაატაროს თავისუფალი არჩევნები.

A5

საზოგადოება

სტუდენტები არ ცხრებიან

უნივერსიტეტთან დაკავშირებულმა მღელვარებამ, თითქოს, ჩაიარა. რექტორი წავიდა და მოვიდა. ცრემლიანმა სტუდენტებმა საყვარელი დეკანი დაიბრუნეს. თითქოს, ყველა შერიგდა. "კმარამ" არჩევნებამდე მორატორიუმი გამოაცხადა, მაგრამ...

A6

სამართალი

რკინიგზის დეპარტამენტთან დაკავშირებით ახალი საქმე აღიძრა

ხავერდოვანი რევოლუციის შემდეგ გამოღვიძებულმა პროკურატურამ მტვერი გადაფერთხა წლების წინ აღძრული სისხლის სამართლის საქმეებს. თუმცა, ამდენი ხნის შემდეგ სამართალდამცველები რამდენად წარმატებულად შეძლებენ თავის დროზე აჟიტირებული და მათივე ხელით მიჩუმათებული საქმეების მართლმსაჯულებამდე მიტანას, ძნელი სათქმელია.

A7

ამინდი

თბილისი	9
ქუთაისი	11
ბათუმი	9
სოხუმი	6
ფოთი	9
თელავი	7
ზუგდიდი	9
გორი	4
ახმეტა	7
ჭიათურა	7
გაგრა	3
სამტრედია	10

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1770
ევრო	2.6283
გირვანქა სტერლ.	3.6283
რუბლი	0.0735

A2 პოლიტიკა | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 მერიდიანი

B1 ნომრის სტუმარი | B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 მეცნიერება და ტექნიკა | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

ძალოვნებს სათქმელი ჯერ არაფერი აქვთ

საქართველოს ძალოვანი უწყებების კოორდინირებული, გუნდური პრინციპით მუშაობის მისასალმებელი წამოწყება, სამწუხაროდ, ჯერჯერობით, შედეგიანობით არ გამოირჩევა. ბოლო ორ კვირაში მომხდარი არც ერთი გახმაურებული დანაშაული დღემდე არ გახსნილა. შესაბამისად, გუშინდელი ტრადიციული საღამოს შეხვედრის შემდეგ, ძალოვან უწყებათა პირველმა პირებმა ჟურნალისტებთან გასაუბრება არ ისურვეს, სათქმელი არაფერი ჰქონდათ.

ბოლო ერთ კვირაში ძალოვან უწყებათა პირველ პირთა ტრადიციადქცეული ყოველდღიური სამუშაო შეხვედრის მასპინძლობა გუშინ უშიშროების სამინისტრომ იტვირთა. თუმცა, თითქმის ორსაათიანი თათბირიდან გამოსულ სამართალდამცველებს სათქმელი ბევრი არაფერი ჰქონდათ. შესაბამისად, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა მინისტრებმა, გენერალურ პროკურორთან ერთად, ჟურნალისტებთან შეხვედრას თავი აარიდეს და თათბირების შემდეგ ასევე ტრადიციადქცეულ ბრიფინგზე მხოლოდ სამართალდამცველი სტრუქტურების თბილისის სამმართველოების უფროსები გამოვიდნენ, უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე ჯემალ გახოკიძესთან ერთად.

"ჩვენი ყველაზე მთავარი საზრუნავია შექმნილი კრიმინოგენული ვითარება, განსაკუთრებით კი რეზონანსული დანაშაულები, რომლებიც ბოლო ხანებში მოხდა," - განაცხადა გუშინ საღამოს ჯემალ გახოკიძემ და თათბირის თემატიკის ამაზე მეტად დაკონკრეტებისგან თავი შეიკავა. ასევე არ გაახმაურა მან თამაზ მაღლაკელიძის გატაცების საქმის გამოძიებაში არსებული სიახლეები.

"დეტალები ძალიან ბევრი და საინტერესოა, თუმცა მათი გახმოვანებისგან თავს შევიკავებ, რადგან, პირველ რიგში, ჩვენი ამოცანაა გატაცებულის სიცოცხლის უსაფრთხოებაზე ზრუნვა," - თქვა უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილემ.

ამ თემაზე სიახლეების გახმაურებას თავი აარიდა თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსმა ლევან მაისურაძემაც. მისი თქმით, **"ადამიანის გატაცება ურთულესი დანაშაულია და მის შესახებ დეტალების გახმაურება ჩვენი მხრიდან დიდი შეცდომა იქნება. ვიტყვი მხოლოდ, რომ პროკურატურასთან ერთად ვაწარმოებთ ინტენსიურ ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებებს და გვაქვს კიდეც საინტერესო მონაცემები."**

რაც შეეხება თითქმის ორსაათიან თათბირზე განხილულ სხვა თემებს, იმავე ლევან მაისურაძის თქმით, **"საუბარი იყო ზოგადად კრიმინოგენულ ვითარებაზე, კონკრეტულ დანაშაულებზე. მიმდინარეობს მთელი რიგი კომპლექსური ოპერატიული ღონისძიებები, რათა შენარჩუნებულ იქნეს სტაბილური მდგომარეობა. მე მინდა ვთქვა, რომ დღესდღეობით პოლიცია სრულად აკონტროლებს სიტუაციას და ცდილობს, მაქსიმალურად შენარჩუნებულ იქნეს სტაბილურობა. ჩვენ პასუხისმგებლობას არ ვიხსნით და ვაცხადებთ, რომ ყველა მომხდარ დანაშაულზე თანაბრად გატარდება სათანადო ღონისძიებები, რათა დროულად იქნეს გახსნილი ყველა დანაშაული და დაკავებულ იქნენ დამნაშავეები."**

იმედი ვიქონიოთ, რომ დღეს საღამოს, ამჯერად უკვე გენერალურ პროკურატურაში დაგეგმილ ძალოვანთა შეხვედრაზე სამართალდამცველებს ჩატარებული მუშაობის სასურველ შედეგებზე საუბარი უკვე შეეძლებათ.

24 საათი

„ლეიბორისტები" ბათუმური ვიზიტის დეტალებს არ ახმაურებენ

დღეს 300 "ლეიბორისტი" ნათელაშვილს ბოიკოტს გამოუცხადებს

ვერიკო თევზაძე

"ლეიბორისტული პარტიის" საინფორმაციო დეპარტამენტის უფროსი გელა დანელია შალვა ნათელაშვილის შეხვედრას აბაშიძესთან აფასებს, როგორც ერთ-ერთ რიგით რეგიონულ ვიზიტს. როგორც დანელიამ გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ნათელაშვილი, ბათუმის გარდა, იმერეთშიც იმყოფებოდა და ამ ორი ვიზიტის არსი და მნიშვნელობა ერთმანეთისგან არაფრით განსხვავდება. მასმედიისთვის ნაკლებად დამაჯერებელია იმის მტკიცება, რომ ნათელაშვილის აჭარაში ვოიაჟის მთავარი მიზანი არა ასლან აბაშიძესთან შეხვედრა, არამედ "ლეიბორისტული პარტიის" აჭარის რეგიონული ორგანიზაციის მონახულება იყო. **"ბატონი შალვას ვიზიტი, უბრალოდ, დაემთხვა ბატონი ასლანის ბათუმში დაბრუნებას და ბატონი შალვაც დაინტერესდა, გაერკვია მისი პოზიცია. დღეს "ლეიბორისტული პარტია" და ასლან აბაშიძე ერთ პოზიციაზე იმყოფებიან, მაგრამ ჩვენ ეს გადაწყვეტილებები დამოუკიდებლად მივიღეთ. რამდენიმე თვეში, შეიძლება, ჩვენი პოზიციები აღარ ემთხვეოდეს ერთმანეთს."**

გელა დანელიას არ დაუკონკრეტებია, რა იგულისხმება ამ გამოთქმის მიღმა, ანუ მომავალში რატომ შეიძლება არ დაემთხვეს ერთმანეთს "ლეიბორისტებისა" და ასლან აბაშიძის პოზიციები. სავარაუდოდ, უნდა ვიგულისხმოთ უახლოეს დღეებში დაგეგმილი ნინო ბურჯანაძის ვიზიტი ასლან აბაშიძესთან. ვიზიტის შედეგი, ერთერთი კულუარული ვერსიის თანახმად, ის შეთანხმება უნდა იყოს, რაც აბაშიძისგან მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას, ხოლო თბილისის ცენტრალური ხელისუფლებისგან აჭარის ლიდერისთვის ყველაზე სასურველი წინადადების შეთავაზებას მოითხოვს. ასეთი სანუკვარი წინადადება ასლან აბაშიძისთვის, ბუნებრივია, თავისუფალი ეკონომიკური ზონის დაწესება უნდა იყოს.

გელა დანელიამ კიდევ ერთხელ დააფიქსირა პარტიის პოზიცია, რომ "ლეიბორისტები" 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებს ბოიკოტს უცხადებენ. რაც შეეხება საპარლამენტო არჩევნებს, პარტიას ამის თაობაზე ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია.

და ბოლოს, კიდევ ერთი ბოიკოტის შესახებ, რომლის თაობაზე გუშინ "ლეიბორისტული პარტიის" ოფისში სიტყვა არავის დასცდენია. კულუარებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ შალვა ნათელაშვილს პარტიის წევრებთან ურთიერთობა უკიდურესად გაუმწვავდა. ერთ-ერთი ვერსიით, რიგითი "ლეიბორისტები" აპირებენ, თავიანთ ლიდერს საჯაროდ აუჯანყდნენ და ამის თაობაზე მასმედიით გააკეთონ განცხადებები.

"24 საათმა" აღნიშნულთან დაკავშირებით კომენტარი სთხოვა პარტიის საინფორმაციო დეპარტამენტის უფროსს. გელა დანელიამ ხსენებული ბოიკოტის თაობაზე პირველად ჩვენგან შეიტყო: **"შესაძლოა, რაიმეს ამზადებდეს ის ჯგუფი, რომელიც მიტინგებზე აქტიურობდა. ესენი არიან ყოფილი "ლეიბორისტები". რაც შეეხება პარტიის ამჟამინდელ წევრებს, ისინი ოფისში იმყოფებიან და არავის წინააღმდეგ გამოსვლას არ აპირებენ... ვერაფერს გეტყვით, ასეთი რამ პირველად თქვენგან მესმის."**

ჩვენი ინფორმაციით, "ლეიბორისტული პარტიის" წევრები დღეს პირველი საათისთვის კინოთეატრ "ივერიაში" აპირებენ შეკრებას. საუბარია, დაახლოებით, 300 ადამიანის თავყრილობაზე. მათი დიდი ნაწილი რაიონული და რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელები იქნებიან.

ბურჯანაძე აბაშიძესთან შეხვედრას ამზადებს

მას შემდეგ, რაც ქართული პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენლებმა, წინასაარჩევნო კონსულტაციების ჩასატარებლად, აჭარისკენ გაიხედნენ, ჯერი ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებზეც მიდგა. მოქმედმა პრეზიდენტმა ასლან აბაშიძესთან შეხვედრის სურვილი ჯერ კიდევ ხელისუფლებაში ახალი სტატუსით მოსვლის მეორე-მესამე დღეს გამოთქვა. ახლელმწიფო მინისტრის ზურაბ ჟვანიას განცხადებით, ნინო ბურჯანაძე აჭარაში ორ-სამ დღეში უნდა გაემგზავროს. მოქმედ პრეზიდენტს ახლა საკმაოდ რთული, ზოგის აზრით, შეუსრულებელი მისია აკისრია. ბურჯანაძემ აჭარის ლიდერი საპრეზიდენტო არჩევნებისადმი ლოიალურად უნდა განაწყოს. ნინო ბურჯანაძე ყოველთვის ამბობდა, რომ ასლან აბაშიძესთან პიროვნული კონტაქტის პრობლემა მას არასოდეს ჰქონია.

გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში აჭარის წარმომადგენელი ჰამლეტ ჭიპაშვილიც გამოჩნდა. ჩვენთან საუბრისას, მან ბურჯანაძესთან შეხვედრის თემა არ დააკონკრეტა. თუმცა, ისედაც ცნობილია, რომ "აღორძინების" საარჩევნო სიაში მე-14 ნომრად ჩაწერილ ჭიპაშვილი ის კაცია, ვისაც აბაშიძესთან მიესვლება. ბურჯანაძესთან კი კარგი ურთიერთობები მას ჯერ კიდევ პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტიდან აკავშირებს.

24 საათი

ავთანდილ იოსელიანი: „ბოევიკების" გადმოსვლის საშიშროებას ვადასტურებ"

საქართველოს დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტი ნაწილობრივ ადასტურებს "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერის, მიხეილ სააკაშვილის მიერ ამ დღეებში საზღვრების მონახულებისას გაკეთებულ განცხადებას ჩრდილოეთიდან მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. შეგახსენებთ, რომ 7 დეკემბერს სააკაშვილი გირევში, შატილსა და ბარისახოში დაბანაკებულ მესაზღვრეებს შეხვდა გასამხნევებლად, ვინაიდან სააკაშვილის ინფორმაციით, ჩრდილოეთის საზღვრებიდან საქართველოს ტერიტორიაზე მოსალოდნელია დივერსიული ჯგუფების შემოგზავნა.

"24 საათი" დაუკავშირდა დაზვერვის დეპარტამენტის უფროსს ავთანდილ იოსელიანს. **"ბოევიკების" გადმოსვლის საშიშროებას ვადასტურებთ, სანამ ჩეჩნეთის ომი არსებობს, ეს პრობლემაც იარსებებს,"** - თქვა მან. იოსელიანი, ყოველი შემთხვევისთვის, სიფრთხილეს იჩენს და მოსალოდნელ დესტაბილიზაციას ჩეჩნეთის ომით ხსნის. ჩვენი ინფორმაციით კი, უახლოეს პერიოდში მოსალოდნელია დიდი დესტაბილიზაცია და იგი არა ჩეჩნეთის ომს, არამედ ინტერპოლის მიერ ძებნილ, საქართველოს პრეზიდენტობაზე პრეტენზიის მქონე იგორ გაიორგაძეს უკავშირდება. საქართველოს ხელისუფლებას და ძალოვან სტრუქტურებს დიდი ძალისხმევა მართებთ, რათა ქვეყანამ მოსალოდნელი პროვოკაცია თავიდან აიცილოს, - განუცხადა "24 საათს" სანდო წყარომ.

24 საათი

აკაკი ასათიანი - ქართული პოლიტიკის ფიგარო

გიორგი ასანიშვილი

ძალიან ძნელია საკუთარი ადგილის პოვნა, ზოგადად, ცხოვრებაში და, კონკრეტულად, პოლიტიკაში. შეიძლება, საზოგადოებისთვის კარგად ცნობილმა ადამიანმაც კი ისე გალიოს ეს წუთისოფელი, რომ ვერავინ მიხვდეს, რა სურდა მას და რისკენ ისწრაფვოდა. ერთ-ერთი ასეთი "გზააბნეული" პოლიტიკოსის "სტანდარტებს" მთლიანად აკმაყოფილებს აკაკი ასათიანი. ქართულ პოლიტიკაში მან დღემდე ვერ იპოვა თავისი საყრდენი წერტილი.



ასათიანი სააკაშვილს ხან გორბაჩოვს ადარებს, ხან ფიდელ კასტროს.

ზედგამოჭრილი იქნებოდა, "ტრადიციონალისტთა კავშირის" თავმჯდომარე ფიგაროსთვის შეგვედარებინა და პოლიტიკური ოპერის მოყვარულთათვის, ცნობილი არიის ასეთი ინტერპრეტირება შეგვეთავაზებინა: "აკაკი აქ, აკაკი იქ...".

მართლაც, აკაკი ასათიანი, ბოლო ათი წლის განმავლობაში, მუდმივ მოძრაობაშია. როდესაც ზვიად გამსახურდიას პარლამენტის სპიკერობა დაკარგა, პრაქტიკულად, არ დარჩენილა პოლიტიკური ძალა, ვისთანაც ქართველი "ტრადიციონალისტების" თავკაცს "თანამშრომლობა" არ ეცადა. 1992-95 წლების მოწვევის საკანონმდებლო ორგანოში ასათიანი ოპოზიციონერად ითვლებოდა, მაგრამ შევარდნაძის ხელისუფლებასთან "საეჭვო კავშირების" გამო, პრეზიდენტის ოპონენტებიც კი მას ალმაცერად უყურებდნენ და "მასთან კავშირზე არ გადიოდნენ". ანგარიშსგასაწევი პოლიტიკური პარტნიორების გარეშე დარჩენილმა "ტრადიციონალისტებმა" 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებში მარცხი განიცადეს და, შედეგად, აკაკი ასათიანი პარლამენტს მიღმა დარჩა.

ოფსაიდში აღმოჩენილმა პოლიტიკოსმა ოთხი წლის განმავლობაში, ეტყობა, ბევრი იფიქრა და ბოლოს, თავისი გადაწყვეტილებით მთელი საზოგადოება გააოცა. პროდასავლურ ორიენტაციაზე პრეტენზიის მქონე ასათიანი, 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, პრორუსულობით ცნობილი ასლან აბაშიძის პარტნიორი გახდა და მის საარჩევნო ბლოკში გაერთიანდა.

ბათუმური ალიანსი ასათიანმა ტრამპლინად გამოიყენა: როგორც კი თავი პარლამენტში დაიგულა, "ტრადიციონალისტების" ლიდერმა აჭარის ხელმძღვანელს უგანა და ახალი მოკავშირეების ძებნას შეუდგა. მან ბევრთან მოსინჯა "სამეგობრო" ნიადაგი, დაწყებული ჟვანიას გუნდიდან - ირაკლი წერეთლით დამთავრებული. ბოლოს, 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების მოახლოებისას, "ნაციონალებს" მიაპყრო მზერა: ერთი წლის წინათ, საახალწლო სუფრასთან, "ტრადიციონალისტებმა" მიხეილ სააკაშვილის თანაგუნდელებს ერთიანი საარჩევნო ბლოკის შექმნა შესთავაზეს.

ეს გარიგება მხოლოდ იმიტომ არ შედგა, რომ ასათიანს დიდი მადა აღმოაჩნდა და პარტიულ სიაში საკმაოდ მაღალი კვოტა მოითხოვა. "ნაციონალებისგან" უარით გამოსტუმრებული "ტრადიციონალისტთა" შეფიც კიდევ ერთხელ შეუდგა წაუგებელი ვარიანტის ძებნას.

ასათიანმა, ამჯერად, არჩევანი ბლოკ "ბურჯანაძე-დემოკრატებზე" შეაჩერა. არადა, შემოთავაზებული პირობები მისთვის მთლად სახარბიელო არ იყო: მართალია, პირადად მან პარტიულ სიაში მეორე ნომერი მიიღო, მაგრამ მისი თანაფრაქციელები "საპატიო" ადგილებიდან ძალიან დაშორებულები აღმოჩნდნენ. თუმცა, ცაიტნოტის პირობებში, ასათიანს სხვა გზა აღარ რჩებოდა. ამიტომ, ასათიანმა "პაიკები" (თანაფრაქციელები) გაწირა, რათა თავისთვის "გამსვლელი" პოზიცია შეენარჩუნებინა.

როდესაც ეგონა, რომ პარლამენტში ადგილი განაღდებული ჰქონდა, ნომერ პირველმა "ტრადიციონალისტმა" ფეხი ფეხზე გადაიდო და წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობით თავი აღარ შეუწუხებია. აკაკი ასათიანმა "ვარდების რევოლუციაც", ფაქტობრივად, რიგითი მოქალაქის მსგავსად გადაიტანა - რამდენიმე მეგობართან ერთად, ხანდახან, მიტინგზე მიდიოდა ხოლმე და გარედან "აკვირდებოდა" მოვლენების განვითარებას.

ალბათ, მისი ასეთი პასიურობის გამო იყო, რომ თანამდებობების განაწილებისას, "ტრადიციონალისტების" ლიდერს არაფერი ერგო. ამან ასათიანი ძალიან აღაშფოთა და მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ აამხედრა - ეტყობა, ის მიიჩნია თავისი პერსონის იგნორირების მიზეზად.

აქედან მოყოლებული, როგორც კი ამის საშუალება მიეცემა, "ტრადიციონალისტთა" კავშირის თავმჯდომარე "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერის დამცირებას ცდილობს.

სააკაშვილის ნათქვამმა - ჩვენთან ადგილი ვერ იპოვა და ასლან აბაშიძესთან იმიტომ გაიქცაო - თავდაჭერილობით და ტაქტით გამორჩეული ასათიანი მთლიანად გამოიყვანა წონასწორობიდან.

"სააკაშვილს მოლანდებები აქვს," - ეს იყო ყველაზე რბილი გამონათქვამი, რომელიც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე აკაკი ასათიანმა პრეზიდენტობის ყველაზე რეალური კანდიდატის მისამართით იხმარა. მან იქვე ისიც აღნიშნა, რომ თუ მოსახლეობა სააკაშვილს პრეზიდენტად აირჩევს, **"ეს იქნება კურიოზი და მეტად სამხიარულო ამბავი."**

ასათიანი ამჟამად მხოლოდ სააკაშვილის კრიტიკით კმაყოფილდება და მას ხან მიხეილ გორბაჩოვს ადარებს, ხან ფიდელ კასტროს, მაგრამ ჯერჯერობით არაფერს ერჩის "ვარდების რევოლუციის" დანარჩენ გმირებს - ნინო ბურჯანაძესა და ზურაბ ჟვანიას. თუმცა, გამორიცხული არ არის, ხვალ მათ წინააღმდეგაც გაილაშქროს.

"თუ ბურჯანაძეც და ჟვანიაც სააკაშვილის მსგავს განცხადებებს გააკეთებენ, მათაც შევეხები", - იმუქრება "ტრადიციონალისტი".

იგი, ამასთან, ცდილობს ისეთ ადამიანადაც წარმოჩინდეს, ვინც სიკეთეს არ ივიწყებს. **"1998 წელს, როდესაც შევარდნაძის გადაყენების მოთხოვნით ხელმოწერებს ვაგროვებდი, იმდროინდელ ხელისუფლებაში ერთადერთი ადამიანი მიხეილ სააკაშვილი აღმოჩნდა, ვინც ხმამაღლა თქვა, რომ ამის უფლება გვქონდა,"** - აღნიშნა გუშინ ასათიანმა და ისიც "გაამხილა", რომ **"ადრე სააკაშვილის მიმართ სიმპათიით იყო განწყობილი."**

ასეა თუ ისე, დღევანდელ ქართულ პოლიტიკაში დამკვიდრებას "ტრადიციონალისტების" ლიდერი მაინც "ნაციონალური მოძრაობის" ხელმძღვანელთან დაპირისპირების გზით ცდილობს. ახლა ძნელია დაბეჯითებით იმის თქმა, რას მოიმკის ამით ასათიანი და ასეთი ტაქტიკა მის შემდგომ პოლიტიკურ კარიერას რამდენად წაადგება.

სტრუქტურული და საკადრო ცვლილებები გაღატაკებულ პარლამენტში

პირველი გვერდიდან

საინტერესოა, რომ აღნიშნულმა ცვლილებებმა საკანონმდებლო ორგანოს ბიუროს მუშაობაზე დადებითად იმოქმედა: კვორუმი საგრძნობლად შემცირდა და, ამდენად, გუშინ სხდომის ჩატარება უკვე აღარ გაძნელებულა.

ვინაიდან პოლიტიკაში "სიცარიელე" მიუღებელია, გამოთავისუფლებულ სავარძლებს უმალ გამოუჩნდნენ მაძიებლები. კერძოდ, ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატები" თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე ზაზა შერაზადიშვილის არჩევას უჭერს მხარს.

თუმცა, საკადრო საკითხები სულაც არ ყოფილა ბიუროს გუშინდელი სხდომის მთავარი თემა. გუშინ პარლამენტართა ყურადღების ცენტრში მოწვეული სტუმრები – ცესკო-ს თავმჯდომარე ზურაბ ჭიაბერაშვილი და ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი - აღმოჩნდნენ.

პირველმა მათგანმა დეპუტატებს ამომრჩეველთა წინასწარი რეგისტრაციის დეტალები გააცნო, მეორემ კი ქვეყანაში შექმნილი ფინანსური მდგომარეობა მიმოიხილა, თან თავისი უწყების სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

ერთადერთი სასიამოვნო, რაც პარლამენტარებმა ფინანსთა მინისტრისგან შეიტყვეს, ის იყო, რომ "ხალხის რჩეულები" დიდი ხნის ნანატრი ხელფასის მიღებას მომავალ კვირაში უნდა ელოდნენ.

არადა, ფინანსური გაჭირვება დეპუტატების ჯიბეებთან ერთად, თავად საკანონმდებლო ორგანოს მუშაობასაც დაეტყო. სპიკერის მოვალეობის შემსრულებლის, გიგი წერეთლის თქმით, პარლამენტის სხდომის ჩატარებას დღეს მხოლოდ იმიტომ ვერ შეძლებს, რომ კანონპროექტების დასაბეჭდი ქაღალდი გათავდა, მისი შესაძენი თანხა კი...

"ვარდების რევოლუციის" შემდეგ, ბიუროს სხდომაზე გუშინ პირველად გამოჩნდნენ "ახალი მემარჯვენეები". მათ ბოიკოტის ტაქტიკაზე უარი თქვეს და აცხადებენ, რომ ამიერიდან აქტიურად ჩაერთვებიან საპარლამენტო მუშაობაში. ფრაქციის თავმჯდომარის ფიქრია ჩიხრაძის უპირველესი მოთხოვნა იმაში მდგომარეობს, რომ პარლამენტის დროებითმა საგამოძიებო კომისიამ 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების დროს გამოვლენილი დარღვევები გულდასმით და ობიექტურად შეისწავლოს.

აბსანძე ეროვნული თანხმობის ალდგენაზე იმუშავებს

გუშინ სახელმწიფო მინისტრის მოადგილედ "ეროვნული თანხმობისა და სამართლიანობის კავშირის" თავმჯდომარის გურამ აბსანძის დანიშვნა ბევრს არ გაკვირვებია. ალბათ იმიტომ, რომ არაოფიციალური აღიარებით, აბსანძის ამ პოსტზე დანიშვნა ახალი ხელისუფლების მხრიდან, უბრალოდ, პოლიტიკურ ნაბიჯად შეფასდა.

ლელა მჭედლიძე

სახელმწიფო მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე აბსანძე თავისი პოლიტიკური ორგანიზაციის სახელწოდების შესაბამისი საქმიანობით უნდა დაკავდეს. ზურაბ ჟვანიას განცხადებით, ახლა მისი მოვალეობა 1990 წლიდან გახლეჩილი საზოგადოების გამთლიანება იქნება. გურამ აბსანძემ იმ კომისიას უნდა უხელმძღვანელოს, რომელშიც ეროვნული თანხმობის დასამყარებლად საკმაოდ ცნობილი პიროვნებები შევლენ. როგორც ოფიციალურად ამტკიცებენ, აბსანძის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილება ნინო ბურჯანაძემ, მიხეილ სააკაშვილმა და ზურაბ ჟვანიამ ერთობლივად მიიღეს. **"ექსპრეზიდენტის მომხრეებმა თავი გარიყულად არ უნდა იგრძნონ,"** - ასეთია ზურაბ ჟვანიას პოზიცია. არაოფიციალურად კი აცხადებენ, რომ "თანხმობის კავშირის" თავმჯდომარემ, ის მიიღო, რასაც ითხოვდა და მეტ-ნაკლებად იმსახურებდა. ახალ პოსტზე კი რეკომენდაცია მას "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერმა გაუწია. მართალია, საპარლამენტო არჩევნების დროს აბსანძის "ეროვნულებმა", შესაძლოა, ხმების დიდი მოსავალი ვერ აიღეს, მაგრამ "ვარდების რევოლუციის" დროს ოპოზიციური ფრონტის ლიდერებს რეგიონებში გამართული აქცია-მიტინგებით საკმაოდ წაახმარეს ხელი. საბოლოოდ, "ზვიადისტების" ნაწილის მხარდაჭერით მოსარგებლე "ეროვნულების" ლიდერს, გამგებლის ადგილის სანაცვლოდ, ცენტრში საკმაოდ ტიტულიანი თანამდებობა შესთავაზეს... მართალია, როგორც ამბობენ, ზვიად გამსახურდიას მთავრობაში ფინანსთა მინისტრის პოსტზე მყოფ აბსანძეს ახლა სახელმწიფო მინისტრის მოადგილეობაც, დაახლოებით, ეკონომიკური განხრით ესახებოდა. თუმცა, ამ მხრივ მას იმედები ცოტა გაუცრუვდა...

გუშინ სახელმწიფო მინისტრის მოადგილედ საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე თამარ ბერუჩაშვილიც დაინიშნა. ბერუჩაშვილი ამ ეტაპზე დონორ ორგანიზაციებთან, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან საკონტაქტო პირის როლს შეასრულებს. მომავალში კი ამ ქალბატონს ტვირთად უფრო საპასუხისმგებლო მოვალეობა დააწვება: მან საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის საკითხს უნდა მიხედოს. სახელმწიფო მინისტრი თავისი ახალი მოადგილის შიდა თუ გარე კონტაქტებსა და ავტორიტეტზე ამყარებს იმედს. ბუნებრივია, სახელმწიფო მინისტრის მოადგილეების რაოდენობა მხოლოთ ორით არ განისაზღვრება. სულ ცოტა, კიდევ სამი მოადგილის დანიშვნას უნდა ველოდოთ, მათ შორის - "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლისაც. არაოფიციალურად ამ პოსტზე ერთ-ერთ კანდიდატურად რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გიორგი ხევიაშვილიც დასახელდა. თავად მან ჩვენთან საუბარში ეს ხმები არც უარყო და არც დაადასტურა. **"ახლა, ამ ეტაპზე მე ყველანაირ თანამდებობაზე საუბარი ნაადრევად მიმაჩნია. ჩემი თანამდებობა ახლა რუსთავში მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელობაა. დანარჩენზე კი მერე ვილაპარაკოთ,"** - ასეთია თავად ხევიაშვილის კომენტარი. ცნობისათვის, ამგვარი დამოკიდებულება სააკაშვილის გუნდის წარმომადგენლების ტენდენციადაც შეიძლება ჩაითვალოს. რამდენიმე რეგიონის გარდა, "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები თანამდებობების დაკავებას არ ჩქარობენ.

ცესკო უკან არ იხევს

პირველი გვერდიდან

თუმცა რა სახით მოხდება ასეთი ამომრჩევლის ერთიან სიაში შეყვანა და მათთვის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მინიჭება, ჯერ კიდევ უცნობია. იმის მიუხედავად, რომ თითქმის ყველა აცხადებს - არჩევნებში მონაწილეობის უფლება, კონსტიტუციით, თითოეულ ამომრჩეველს აქვს, ჩნდება ერთი კითხვა – ამ უფლების განხორციელება ყბადაღებული დამატებითი სიებით უნდა მოხდეს თუ არა.

შეგახსენებთ, რომ ნებისმიერი წინა არჩევნების გაყალბების ერთ-ერთ მთავარ მექანიზმად სწორედ დამატებითი სიები სახელდებოდა. მისი საშუალებით ტრიალდებოდა საარჩევნო "კარუსელები" და "მარაოები"...

მეორე მხრივ, საპრეზიდენტო არჩევნებამდე დარჩენილ პერიოდში შესაძლოა, ყველა ამომრჩეველმა ვერ მიიღოს მონაწილეობა წინასწარი რეგიტრაციის პროცესში. აქედან გამომდინარე, გამოსაძებნია ის მექანიზმი, რომელიც ამ პროცესს დაარეგულირებს.

და კიდევ: მართალია, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, როგორც უკვე ვთქვით, ჯერ არ მიუღია შესაბამისი დადგენილება, რომელიც ამომრჩეველთა ერთიანი სიების ფორმირების მექანიზმს განსაზღვრავს, უახლოეს სხდომებზე ცესკო მიიღებს ამომრჩეველთა წინასწარი რეგისტრაციისთვის აუცილებელ ფორმას.

და კიდევ: გუშინ "პოლიტიკური დუმილი" დაარღვიეს "ახალმა მემაჯვენეებმა" და ხავერდოვანი რევოლუციის შემდეგ პირველი პრესკონფერენცია გამართეს. საგულისხმოა, რომ პარტიის ლიდერები, სხვა საკითხებთან ერთად, ცესკო-ს თავმჯდომარის ახალ ინიციატივასაც შეეხნენ. თუმცა დავით გამყრელიძე ცალსახად უარყოფითად აფასებს ზურაბ ჭიაბერაშვილის ინიციატივას და აცხადებს, რომ **"ამომრჩეველთა სიების შედგენა აღნიშნული პრინციპით არ შეიძლება, რადგან ეს არჩევნების ჩაშლას უტოლდება".**

"დაუშვებელია ამომრჩეველთა სიების გადაქცევა მხარდამჭერთა სიებად", - აცხადებს დავით გამყრელიძე და იქვე დასძენს, რომ **"აღნიშნული პრინციპი ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის განსაზღვრასაც შეუქმნის პრობლემებს".**

მოკლედ

სოხუმის ხელისუფლება საქართველოს ახალ მთავრობასთან თანამშრომლობის სურვილს გამოთქვამს

აფხაზეთის თვითგამოცახადებული რესპუბლიკის მთავრობა მიესალმება საქართველოს ახალი ხელისუფლების სურვილს, განაგრძოს მშვიდობიანი მოლაპარაკებები სოხუმის დეფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებთან აფხაზეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად. სოხუმის ხელისუფლება მზადაა, საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, აქტიურად ჩაერთოს საქართველოს პოლიტიკურ ხელძღვანელობასთან კონსტრუქციულ მოლაპარაკებებში ადრე მიღწეულ შეთანხმებათა საფუძველზე.

სოხუმის ხელისუფლების საგარეო საქმეთა უწყების ხელმძღვანელის სერგეი შამბას განცხადებით, აფხაზეთში ვიზიტით მყოფმა გაერო-ს გენერალური მდივნის სპეცწარმომადგენელმა საქართველოში ჰაიდი ტალიავინმა და გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების კოორდინატორმა, საქართველოში გერმანიის ელჩმა უვე შრამმა აფხაზური მხარე დაარწმუნეს, რომ საქართველოს ახალ ხელისუფლებაში აქტიურად მსჯელობენ აფხაზურ მხარესთან მშვიდობიანი მოლაპარაკებების განახლების თაობაზე.

შამბას თქმით, აფხაზური მხარე აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების შესახებ საქართველოს ახალი ხელისუფლების გეგმებს ინტერესით გაეცნო, იგი საქართველოში მიმდინარე პროცესებს თვალყურს ადევნებს. **ინტერ-პრესი**

"დემოკრატები" დახურულ კარს მიღმა ბარამიძეს შეხვდნენ

საპარლამენტო ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატები" გუშინ ფრაქციის ყოფილ ლიდერსა და ამჟამინდელ შინაგან საქმეთა მინისტრ გია ბარამიძეს დახურულ კარს მიღმა შეხვდნენ.

შეხვედრიდან გამოსულმა შს მინიტრმა გია ბარამიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ საუბარი შეეხო შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმის პროექტს.

ბარამიძის განმარტებით, აღნიშნული კანონპროექტი პარლამენტში საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ შევა. იგი შს-ში კორუფციის ნინაააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებასა და სამინისტროსათვის სამეურნეო ფუნქციის ჩამოცილებას ითვალისწინებს. **ინტერ-პრესი**

ორი სიტყვით

თბილისი. "აშშ-მ ედუარდ შევარდნაძე აიძულა გადამდგარიყო," - აცხადებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერი ასლან აბაშიძე. მისი თქმით, საქართველოში რუსეთის და აშშ-ს ინტერესები ერთმანეთს შეეჯახა. "ამაში შევარდნაძეა დამნაშავე, რადგან მას რომ ერთი პოლიტიკური ხაზი გაეტარებინა, თავის ადგილზე დარჩებოდა, - აღნიშნა რესპუბლიკის ლიდერმა, - საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ამ ათწლიანმა თამაშმა ქვეყანა სავალალო შედეგებამდე მიიყვანა." აბაშიძის აზრით, "საქართველოს მოსახლეობა მალე გამოფხიზლდება და ეს ახალი რეჟიმი უფრო სწრაფად და უარესად დასრულდება, ვიდრე წინა." **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. "მრეწველების" ლიდერი გოგი თოფაძე ხელისუფლებას აჭარის ლიდერთან კომპრომისის გამონახვისკენ მოუწოდებს და იმედს იტოვებს, რომ პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებლის ნინო ბურჯანაძის აჭარაში დაგეგმილი ვიზიტი, ამ მხრივ, დადებით შედეგს გამოიღებს. ბურჯანაძის ვიზიტის დადებითი შედეგის იმედი "ერთობის" ლიდერმა ჯუმბერ პატიაშვილმაც გამოთქვა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. 16 დეკემბერს, გაერო-ს ეგიდით, თურქეთის ქალაქ ტრაპზონში აფხაზეთში უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტი

რევოლუციები, არჩევნები და ქართული სახელმწიფოებრიობის უახლოესი მომავალი

პირველი გვერდიდან

"მრგვალი მაგიდის" ხანმოკლე, ერთწლიანი მმართველობის პერიოდში კიდევ უფრო გაღრმავდა ქვეყნის დეზინტეგრაციული პროცესები, რომელსაც თანაბრად უწყობდა ხელს როგორც გარე ფაქტორები, ასევე ნაციონალური მთავრობის არაკომპეტენტური პოლიტიკა.

1989 წლის აპრილში პატიაშვილის კომუნისტური ხელისუფლების დაცემა პირდაპირ უკავშირდებოდა იმხანად აფხაზეთში გაშლილ სეპარატისტულ მოძრაობას და ამის საპროტესტოდ აზვირთებულ ქართულ ეროვნულ მოძრაობას. ქართველი ერი აღაშფოთა აფხაზთა ნომენკლატურის ე. წ. "ლიხნის მანიფესტის" ანტიქართულმა ხასიათმა. პატიაშვილმა გადააყენა აფხაზეთის ხელმძღვანელობა, მაგრამ პროცესი საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნაში გადაიზარდა, შეეჯახა გადაულახავ შიდა და გარე ინტერესებს და გამოიწვია მშვიდობიანი ხალხის უაზრო ჟლეტა.

გუმბარიძის ხანმოკლე - წელიწადნახევრიანი ლიბერალური და მშვიდობიანი მმართველობა არსებითად იყო ხანა, როცა ყველას ყველაფრის უფლება მიეცა. 1989 წლის შემოდგომაზე, საქართველოს კომუნისტური უზენაესი საბჭო, რესპუბლიკის კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებებით, აფართოებს თავის გამგებლობას ავტონომიური ერთეულების მიმართ, ხოლო 1990 წლის მარტსა და ივნისში იღებს რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვისა და განმტკიცების გადაწყვეტილებებს და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გზებს სახავს. ამავე დროს აღმავლობას განიცდის სსრ კავშირის ცენტრიდან მართული სეპარატიზაციის პროცესი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. 1990 წლის აგვისტოში აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა სეპარატისტული კორპუსი უმაღლესი საბჭოს სახელით ადგენს აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის დაცვის გარანტიებს და იღებს აფხაზეთის სახელმწიფო სუვერენიტეტის დეკლარაციას, რომლებსაც ამავე ორგანოს დეპუტატთა უმრავლესობა და გუმბარიძის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი მალე აუქმებს.

უფრო შორს წავიდნენ ოსი სეპარატისტები, რომლებმაც, დაეუფლნენ რა სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს, 1989 წლის შემოდგომაზე ავტონომიური ოლქი გარდაქმნეს ავტონომიურ რესპუბლიკად და ამ ტერიტორიაზე სახელმწიფო ენად ოსური დაადგინეს, ხოლო 1990 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე რეგიონი გარდაქმნეს საბჭოთა რესპუბლიკად, მიიღეს სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო სუვერენიტეტის დეკლარაცია, შეაჩერეს ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე საქართველოს კანონების მოქმედება, მიმართეს საქართველოს უზენაეს საბჭოს მიმდინარე არჩევნების ბოიკოტს და იგი განახორციელეს კიდეც. მთავრობა აქაც ამ აქტების მხოლოდ გამაბათილებელი დადგენილებებით იფარგლება. მთავრობისა და რეგიონის მშვიდობიანი შიდასახელმწიფოებრივ პოლიტიკური დაპირისპირებას მოსდევს ეთნიკურ ნიადაგზე დაპირისპირებები, ჩნდებიან დევნილები ორივე მხრიდან. ახლოვდებოდა საქართველოს უზენაესი საბჭოს მრავალპარტიული არჩევნები, რომლისკენაც იყო კონცენტრირებული საზოგადოებისა და ხელისუფლების ყურადღება.

1990 წლის ოქტომბერში, ანტისეპარატისტულ და ანტიკომუნისტურ ტალღაზე, არჩევნებში გამარჯვების გზით მოდის ზვიად გამსახურდიას "მრგვალი მაგიდის" ხელისუფლება. ეს აქტი, თავად გამსახურდიას სიტყვებით, შეფასდა ეროვნულ რევოლუციად. "მრგვალი მაგიდის" ხანმოკლე, ერთწლიანი მმართველობის პერიოდში კიდევ უფრო გაღრმავდა ქვეყნის დეზინტეგრაციული პროცესები, რომელსაც თანაბრად უწყობდა ხელს როგორც გარე ფაქტორები, ასევე ნაციონალური მთავრობის არაკომპეტენტური პოლიტიკა. ახალი მთავრობა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სეპარატისტებს საშუალებას აძლევს, ჩაატარონ უკანონო ორგანოს, სამხრეთ ოსეთის უზენაესი საბჭოს არჩევნები, გამართონ სხდომა და ხსენებული რეგიონი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოაცხადონ. მხოლოდ ამის შემდეგ, საპასუხოდ საქართველოს ხელისუფლება უუქმებს რეგიონს ავტონომიური ოლქის სტატუსს, შეჰყავს რეგიონში საკუთარი სამხედრო-პოლიციური ძალები და სსრ კავშირის შინაგანი ჯარები და ებმება სამხედრო კონფლიქტში. ქვეყანას თავს ატყდება ეკონომიკური და სავაჭრო სანქციები, იგი ერთვება უთანასწორო, დამქანცველ პოლიტიკურ და დიპლომატიურ ომში რუსეთისა და სსრ კავშირის მთავრობებთან, რომლებიც აშკარად და დემონსტრაციულად დადგნენ სეპარატისტული რეჟიმის მხარეზე. 1991 წლის ნოემბერში ოსები სამოქმედოდ იღებენ დროებით კონსტიტუციას, ქმნიან საკუთარ ჯარს, რეგიონში მყარად მკვიდრდება სეპარატისტული ხელისუფლება და მათი მფარველი სსრ კავშირის სამხედრო-პოლიციური შენაერთების საოკუპაციო რეჟიმი. საქართველოს მთავრობა დეკემბერში თავს ანებებს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე კონსტიტუციური წესრიგის უშუალო აღდგენის უპერსპექტივო მცდელობას.

ამავე პერიოდში, 1990 წლის დეკემბერში, ზვიად გამსახურდიას აფხაზეთის ხელმძღვანელად მოჰყავს ვლადისლავ არძინბა. 1991 წლის 27 აგვისტოს შეთანხმებით, ქართული მოსახლეობის ზურგს უკან, გამსახურდიას მთავრობა აწესებს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების კვოტურ პრინციპს, რითაც მოსახლების აფხაზურ უმცირესობას უმაღლესი საბჭოს კონტროლის ბერკეტები მიეცა. ამ კანონით ჩატარდა არჩევნებიც, დაკომპლექტდა ახალი უზენაესი საბჭო, არძინბა მეორედ აირჩიეს ავტონომიის ხელმძღვანელად. მთელი 1991 წლის განმავლობაში აფხაზური სეპარატისტული დაჯგუფება აშკარად თუ ფარულად ეწეოდა სეპარატისტულ საკანონმდებლო საქმიანობას; ძალაუფლებისა და უფლებამოსილების აშკარა გადამეტებით, იღებდა ანტიკონსტიტუციურ გადაწყვეტილებებს და ატარებდა მათ ცხოვრებაში, აჩერებდა საქართველოს რესპუბლიკის რიგი კანონების მოქმედებას აფხაზეთის ტერიტორიაზე, ხელყოფდა და აკნინებდა საქართველოს სუვერენიტეტს, თვითნებურად ახდენდა ახალწვეულების ჯარში გაწვევას, იქვემდებარებდა აფხაზეთის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალებს და ისაკუთრებდა მათ სამხედრო ქონებას, ქმნიდა და აკანონებდა შეიარაღებული ფორმირებებს და სხვ. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდა უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი, სადაც აფხაზებს უმრავლესობა ჰყავდათ. ამას გამსახურდიას მთავრობა პასუხობდა მხოლოდ ეპიზოდური გამაბათილებელი აქტებით, ხანდახან მუქარებით და ერთხელაც არ დაუსვამს მათი პასუხისმგებლობის საკითხი, არ მიუცია რამდენიმე კაცისაგან შემდგარი ვიწრო სეპარატისტული დაჯგუფება სისხლის სამართლის პასუხისგებაში. ვითარება იჩქმალებოდა და გარეგნულად ატარებდა უწყინარი შიდასახელმწიფოებრივი პოლიტიკური დაპირისპირების ხასიათს, სინამდვილეში კი, 1991 წლის ბოლოსათვის საქართველოს იურისდიქცია აფხაზეთში სერიოზულად იყო შერყეული. რეგიონში ქართული სახელმწიფოებრიობის ერთადერთი ერთგული დარაჯი ქართული მოსახლეობა იყო.

1991 წლის დასაწყისში გამსახურდიას მთავრობამ აჭარის ავტონომიის ხელმძღვანელი თენგიზ ხახვა აიძულა, გადამდგარიყო და უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა ასლან აბაშიძე, ასევე კომუნისტური ნომენკლატურის წარმომადგენელი, რომელიც ამ ორგანოს დეპუტატიც კი არ ყოფილა. მან, წარსულში აჭარის ავტონომიის შექმნის სათავეებთან მდგომი მემედ აბაშიძის შვილიშვილმა, ვალდებულება აიღო, გაეუქმებინა აჭარის ავტონომია ქვემოდან, აჭარის მოსახლეობაში რეფერენდუმის ჩატარების გზით. ამით ბოლო უნდა მოეღებოდა ნონსენსს - ქართველთა ავტონომიას საქართველოში, რაც საქართველოს მასშტაბით პოპულარულ, ნაციონალურ აქტად უნდა შეფასებულიყო. სარეფერენდუმოდ გადაიდგა გარკვეული ნაბიჯებიც.

1991 წლის დასაწყისში გამსახურდიას მთავრობამ აჭარის ავტონომიის ხელმძღვანელი თენგიზ ხახვა აიძულა, გადამდგარიყო და უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნა ასლან აბაშიძე, ასევე კომუნისტური ნომენკლატურის წარმომადგენელი, რომელიც ამ ორგანოს დეპუტატიც კი არ ყოფილა.

აჭარის ახალი უზენაესი საბჭოს არჩევნების მოახლოებასთან ერთად, იჩნია და აპატია აშკარა პოლიტიკური დანაშაულობანი, მათ შორის - თავისი თანამებრძოლის მკვლელობა. უფრო მეტიც, გამსახურდიამ აჭარის ახალი არჩევნების გამართვის შემდეგ, 1991 წლის ივლისში, გარეკვის მუქარებში არც აჭარა ჩამორჩა, მაგრამ ამ მხრივ აბაშიძის თავგამოდება, თავისთან რეგიონში იმხანად მისი სუსტი პოლიტიკური პოზიციების გამო, შედარებით თავშეკავებული და ფრთხილი იყო. სამაგიეროდ, მან განსაკუთრებული აქტიურობა და, გამსახურდიას სიტყვებით, "იშვიათი დიპლომატიური ნიჭი" გამოიჩინა მოსკოვის 1991 წლის აგვისტოს პუტჩის წარმომადგენლებთან თბილისში გამართულ მოლაპარაკებებში, დაითანხმა რა გამსახურდია მოსკოვთან კაპიტულანტურ პოლიტიკურ დათმობებზე, რაც საბედისწერო აღმოჩნდა მისი ხელისუფლებისათვის.

1992 წლის 6 იანვარს თბილისში შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება, გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის (პრეზიდენტი არ გადამდგარა, ისე დატოვა ქვეყანა) აქტი, მაშინ სახალხო რევოლუციად, ბურჟუაზიულ რევოლუციად (აკაკი ასათიანი) შეფასდა. გამსახურდიას მომხრეებმა კი, იგი პუტჩად და სახელმწიფო დანაშაულად შეაფასეს. იანვრის ბოლოს ახალმა ხელისუფლებამ აღადგინა 1921 წლის კონსტიტუცია, არსებული რეალიების გათვალისწინებით. არჩეული ხელისუფლების ძალდატანებით დამხობამ, მოქმედი კონსტიტუციის შეჩერებამ, გააღრმავა სახელმწიფოს შემდგომი დეზინტეგრაცია.

აფხაზეთში ქართული მოსახლეობა და პოლიტიკური ძალები დამხობილი პრეზიდენტის ერთგული დარჩნენ და თბილისის ახალ ხელისუფლებას დაუმორჩილებლობა გამოუცხადეს. ანალოგიურად მოიქცა სამეგრელოც. ორივე რეგიონი ახალი ხელისუფლების მოწინააღმდეგე ძალების თავშესაფრად და პლაცდარმად იქცა. აფხაზურ სეპარატისტულ დაჯგუფებას ხელშემწყობი პირობები შეექმნა განზრახვათა სისრულეში მოსაყვანად. მანაც, ფაქტობრივად, დაუმორჩილებლობა გამოუცხადა ახალ ხელისუფლებას და 1992 წლის I ნახევარში აფხაზეთის ტერიტორიაზე შემოიღო საგანგებო მდგომარეობა, ჩაატარა სამხედრო მობილიზაცია, აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული საქართველოს რესპუბლიკის და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქონება, მიწა, ყველა სიმდიდრე აფხაზეთის საკუთრებად გამოაცხადა. ჩაიჭრა სახელმწიფო სუვერენიტეტის ყველა ძაფი. ივლისის ბოლოს აფხაზურმა მხარემ ცალმხრივად დაარღვია 1991 წლის 27 აგვისტოს შეთანხმების ყველა პუნქტი, შეწყვიტა აფხაზეთის 1978 წლის კონსტიტუციის მოქმედება და აღადგინა აფხაზეთის 1925 წლის 1 აპრილის კონსტიტუცია, რის ძალითაც აფხაზეთის სსრ, როგორც სუვერენული სახელმწიფო, განსაკუთრებული ხელშეკრულებით იყო გაერთიანებული საქართველოს სსრთან, მისი მეშვეობით შედიოდა ა/კ ფედერაციაში და ამ უკანასკნელის მეშვეობით-სსრ კავშირის შემადგენლობაში, ჰქონდა რა როგორც ა/კ ფედერაციიდან, ასევე სსრ კავშირის შემადგენლობიდან თავისუფალი გასვლის უფლება. აფხაზეთი გამოცხადდა რესპუბლიკად, მიღებულ იქნა ახალი სახელმწიფო სიმბოლიკა. აფხაზეთის ქართული მოსახლეობის ინტერესების პირდაპირმა გამომხატველმა დეპუტატთა ჯგუფმაც, თავის მხრივ, შექმნა თავისი მონოეთნიკური უზენაესი საბჭო. რეგიონი ლოკალურ სამოქალაქო ომისაკენ მიექნებოდა.

აბაშიძე აფხაზეთის კონფლიქტში აჭარის სახელით ნეიტრალიტეტს აცხადებს და მეომარ მხარეებს შუამავლობას სთავაზობს. იგი შუამავლია გამსახურდიასა და შევარდნაძის მომხრეებს შორის 1993 წლის შემოდგომაზე გაჩაღებულ სამოქალაქო ომის პირველ ეტაპზე. რუსების კარნახით, იგი ცდილობს ამაღლდეს სამკვდროდ დაპირისპირებულ ამ ორივე ქართველ ლიდერზე.

ამ ხნის განმავლობაში საქართველოს დროებითი მთავრობა, შევარდნაძის ხელისუფლება აფხაზური მხარის გადადგმულ სეპარატისტულ სისხლისსამართლებრივ ნაბიჯებს ეპიზოდურად გამაბათილებელი აქტებით პასუხობდა. აფხაზეთში სულ უფრო და უფრო იქმნებოდა მართვადი ქაოსი, რომელიც დასრულებულ სახეს აძლევდა აფხაზეთის საქართველოსაგან ჩამოშორების ტენდენციას. ამავე დროს ახლოვდებოდა არჩევნები საქართველოს პარლამენტისა, რომელსაც უნდა დაეკანონებინა ახალი ხელისუფლება. იგი აფხაზეთში და სამეგრელოში აუცილებლად უნდა ჩატარებულიყო. საბოლოო ჯამში, 1992 წლის აგვისტოში მთავრობა აფხაზეთის კვანძის გახსნას შეეცდება სამხედრო-პოლიციური ჩარევით, რასაც მოჰყვა რეგიონთან ერთწლიანი ფართომასშტაბიანი სამხედრო კონფლიქტი, მთავრობის მარცხი, რეგიონის სახელმწიფოს შემადგენლობიდან გამოსვლა, იქ ბინადარი ქართული მოსახლეობის განადგურება. აფხაზეთის დაცემის პარალელურად, სამოქალაქო ომი გაჩაღდა საქართველოში დაბრუნებულ დამხობილ გამსახურდიას მომხრეებსა და შევარდნაძის სახელისუფლო ძალებს შორის, რაც რუსეთის მიერ მხარდაჭერილი შევარდნაძის გამარჯვებით და ქვეყნის იმავე რუსეთის გავლენის სფეროში - დსთ-ში შეყვანით დასრულდა.

ამის შემდეგ, ორივე სეპარატისტული რეგიონი რუსეთის სამხედრო, პოლიტიკური და ფინანსური მეურვეობით საქართველოსაგან სრულ ფაქტობრივ დამოუკიდებლობას აღწევს: აფხაზეთი 1994 წელს იღებს დამოუკიდებლობის კონსტიტუციას, ატარებს პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევნებს, 1999 წელს-დამოუკიდებლობის რეფერენდუმს; სამხრეთელი ოსები 1992 წლის იანვარში დამოუკიდებლობის რეფერენდუმს ატარებენ, 1993 წელს იღებს კონსტიტუციას, შემდეგ ატარებს პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევნებს, 2001 წელს ისევ იღებს ახალ კონსტიტუციას.

1992 წლის დასაწყისში, გამსახურდიას ხელისუფლების დამხობისთანავე, აბაშიძე აჭარაში, აქ განლაგებული რუსეთის სამხედრო ნაწილებზე დაყრდნობით, აცხადებს საგანგებო მდგომარეობას, კეტავს ადმინისტრაციულ საზღვარს, თიშავს საქართველოს ცენტრალურ ტელე და რადიოანძებს, მონოპოლიურ კონტროლს ამყარებს რეგიონის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე. მოულოდნელად აწყობს საგარეო ვოიაჟებს სომხეთისა და აზერბაიჯანის დედაქალაქებში, ფარულად მოსკოვში ორჯერ ხვდება ედუარდ შევარდნაძეს და საქართველოში ეპატიჟება. გარედან ვითომდა შემოჭრის საშიშროების მოტივით, აიარაღებს მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს - ე. წ. "სახალხო რაზმელებს", სინამდვილეში ამ რაზმებს მიმართავს რეგიონში მოღვაწე პატრიოტი პოლიტიკური ძალებისა და პირების დევნის, შანტაჟისა და ტერორისათვის. პერიოდულად ახდენს რუსეთის სამხედრო ტექნიკის საჩვენებელ გრუხუნს დასახლებულ პუნქტებში. ამავე დროს, დეპუტატების დაშანტაჟებით, გაურკვეველი დროით აკონსერვებს მისთვის არასასურველ ავტონომიის უზენაესი საბჭოს მოქმედებას, აღწევს რა მის ფაქტობრივ გარეკვას. მაგრამ ლოიალობას უცხადებს თბილისში მოსულ ახალ ხელისუფლებას ("ხუნტას"), თანამშრომლობს მასთან დევნილი პრეზიდენტის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ, თუმცა, გამსახურდინასთანაც აქვს ფარული ინტენსიური კონტაქტები. ახალი მთავრობა აფასებს აბაშიძის ლოიალობას და თვალს ხუჭავს მის ბევრ ანტიდემოკრატიულ და ანტისახელმწიფოებრივ ქმედებაზე. შემოდგომაზე კი იგი, სულ ცოტა ხნის წინ "მრგვალი მაგიდის" აჭარის ორგანიზაციის ლიდერი, მონაწილეობს თავისი ახალი, ნორჩი რეგიონული პარტიით ("აჭარის აღორძინების პარტია", რომლის შემქმნელია მისი ამჟამინდელი პირადი პატიმარი თენგიზ ასანიძე) ახალი ხელისუფლების მიერ ორგანიზებულ საქართველოს პარლამენტის არჩევნებში, შევარდნაძის "მშვიდობის" ბლოკში. იგი საქართველოს მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებიდან მხოლოდ აჭარაში იღებს დეპუტატის მანდატს და ისიც ათიდან სამს, ოპოზიცია - "11 ოქტომბერი" კი - ორს. ოპოზიცია იგებს ქობულეთის მაჟორიტარულ ოლქს. ხალხის ტოტალური მხარდაჭერის იმედად მყოფი აბაშიძის ხელისუფლება რეგიონში რის ვაივაგლახით იცილებს თავიდან მარცხს და პარლამენტში ქვეყნის მასშტაბით მხოლოდ რამდენიმე დეპუტატი შეჰყავს.

აბაშიძე აფხაზეთის კონფლიქტში აჭარის სახელით ნეიტრალიტეტს აცხადებს და მეომარ მხარეებს შუამავლობას სთავაზობს. იგი შუამავლია გამსახურდიასა და შევარდნაძის მომხრეებს შორის 1993 წლის შემოდგომაზე გაჩაღებულ სამოქალაქო ომის პირველ ეტაპზე. რუსების კარნახით, იგი ცდილობს ამაღლდეს სამკვდროდ დაპირისპირებულ ამ ორივე ქართველ ლიდერზე და მათი ურთიერთკომპრომეტირებით იქცეს ალტერნატიულ ფიგურად. თუმცა ბოლომდე გაბედულება არ ჰყოფნის. ამასთანავე, ორივე მეომარ მხარეს იარაღით ამარაგებს, შევარდნაძეს კი უარს ეუბნება პრემიერ-მინისტრის თანამდებობის შეთავაზებაზე.

1992-1995 წლები აბაშიძის ოქროს ხანაა. იგი თბილისში ჩაუსვლელად პარლამენტის წევრი და პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეა. იგი ახდენს აჭარაში ფუნქციონირებადი სახელმწიფო სტრუქტურების სრულ ავტონომიზებას და თავის ხელში აქცევს საერთო-სახელმწიფო მმართველობის ყველა ბერკეტს, ამყარებს ავტოკრატიულ, დესპოტურ რეჟიმს. ომებმა და ეკონომიკურმა ნგრევამ კიდევ უფრო გაზარდა მისი ეკონომიკური და ფინანსური გავლენა. აჭარა კონტრაბანდის ბუდე გახდა. აქედან გავიდა და ჩალის ფასად გაიყიდა საქართველოს ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი. აბაშიძის ერთგულმა ხალხმა, ძირითადად ოჯახურმა (გვაროვნულ-ნათესაურმა) კლანმა, უკანონოდ და ჩალის ფასად ჩაიგდო ხელში რეგიონის მთელი ქონება, სახელმწიფო შემოსავლები, დაეუფლა ფინანსური ნაკადების კონტროლს. მან გააპარტახა ქვეყნის სიამაყე - საზღვაო სანაოსნო, საიდანაც ასეულობით მილიონი დოლარი იქნა მითვისებული. დატაცებული ფულადი სახსრების ნაწილი ხმარდება დედაქალაქ თბილისისა და თვით მოსკოვის საზოგადოების, ინტელიგენციის "სახელოვანი" წარმომადგენლების, გაზეთების, დეპუტატების, მინისტრების, ტელეარხების მოსყიდვას, მათ ბათუმში მოწვევას, ერთგული პოლიტიკური პარტიების დაფინანსებას, ბალ-მასკარადების გამართვას, აჭარის სამოთხის მითს, სადაც თითქოს ყველა ბედნიერია - მითს რეგიონის აღმშენებლობისა, რომელიც სინამდვილეში არის პოტომკინის სოფლის უბადრუკი მიბაძვა.

მთავრობა, თავისი დუმილით, არსებითად ახალისებს აჭარის ხელისუფლების სეპარატიზმს. წამოწყებული ორიგინალური "ბიზნესით", აჭარის სახით, ფაქტობრივად, გაიხსნა გიგანტური "ცეხი", მორიდებული ცივილიურ დედაქალაქს, შემოსავლის უშრეტი წყარო დენაციონალიზებული დედაქალაქელი და არამართო მათი, მოხელეობისათვის. ანალოგი არ მოეპოვება შემთხვევას, როცა დედაქალაქი ყიდის თავის რეგიონს, საქართველოს საზოგადოება კი განგაშის ზარებს არ სცემს. რეგიონის პატრიოტული ძალები საოგადოებას წლების განმავლობაში დონკიხოტივით გამუდებით უმტკიცებენ, რომ "ორჯერ ორი ოთხია", რომ ფრიად სახიფათოა თამაში სამშობლოსა და ერის მთლიანობასთან, რომ არ შეიძლება რეგიონი საჯიჯგნად გადასცე ვინმეს, რაგინდ დამსახურებაც არ უნდა ჰქონდეს და რომ ასე ცხოვრება არ შეიძლება. მაგრამ უშედეგოდ.

საქართველოს მთავრობის დემონსტრაციული იგნორირებით, აბაშიძე ატარებს საკუთარ საგარეო პოლიტიკას რუსეთთან, ამყარებს რა მასთან სეპარატიულ ეკონომიკურ და სამხედრო-პოლიტიკურ ურთიერთობებს. აჭარაში განლაგებული რუსეთის შეიარაღებული ძალები მთლიანად ავტონომიურ კმაყოფაზე აჰყავს. აბაშიძე წინააღმდეგია რუსეთის სამხედრო შენაერთების რეგიონიდან გაყვანისა და მას რეგიონში სტაბილიზაციის ერთადერთ გარანტად მიიჩნევს. საქართველოს მთავრობა უკომენტაროდ ადევნებს თვალყურს აბაშიძის სეპარატისტულ და ანტიდემოკრატიულ საქმიანობას, საეჭვო და არასანქცირებულ ორმხრივ საგარეო-პოლიტიკურ აქციებსა თუ ვოიაჟებს და არსებითად ატარებს დამთმობლურ-დაშოშმინების პოლიტიკას.

წერილის მეორე ნაწილი იხილეთ მომდევნო ნომერში

საქართველოს საზოგადოება
საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA
JOINT-STOCK COMPANY

საქართველოს ბანკი, დაარსებიდან 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით,
აცხადებს კონკურსს
საიმიჯო ვიდეორგოლის ან ვიდეორგოლების სერიების სცენარზე.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ დამოუკიდებელ პროფესიონალებს, სარეკლამო კომპანიებს, კინო-ვიდეოსტუდიებს და საპროდუსერო ორგანიზაციებს. გამარჯვებული წინადადებებისათვის დაწესებულია:

1. პირველი პრემია - 1000 ლარი
2. მეორე პრემია - 500 ლარი
3. მესამე პრემია - 300 ლარი

წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 2 თებერვალი.

განაცხადები შემოტანილი უნდა იქნას დევიზით მისამართზე: ქ. თბილისი, პუშკინის ქ. №3. ტელ. 444-248; ელ.ფოსტა concurs@bog.ge

როგორ გავხადოთ ქართველი გლეხი კონკურენტუნარიანი?

საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სოფლად ცხოვრობს. საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობა სოფლის მეურნეობითაა დაკავებული და თავს ამით ირჩენს. შესაბამისად, ამ სფეროს განვითარება ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი ქვაკუთხედი უნდა იყოს.

ეთერ მამულაშვილი

სოფლის მეურნეობა უკვე კარგა ხანია, ქვეყნისათვის პრიორიტეტულ დარგს აღარ წარმოადგენს. სახელმწიფო, ფაქტობრივად, აღარაფერს აკეთებს ამ დარგის განვითარებისთვის. უფრო მეტიც - ცენტრალური ბიუჯეტიდან თითქმის არც ერთი თეთრი აღარ იხარჯება ხსენებული სექტორის ხელშეწყობისთვის. სოფლის მეურნეობის განვითარება ქვეყანამ საერთაშორისო ორგანიზაციებს მიანდო. დღეს ეს დარგი მსოფლიო ბანკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის მიერ გამოყოფილი გრძელვადიანი, შეღავათიანი კრედიტების წყალობით სუნთქავს. მიუხედავად ამისა, სოფლის მეურნეობაში პირველადი წარმოება დღეს არაკონკურენტუნარიანია საერთაშორისო ბაზარზე, თუმცა არამარტო იქ. ფასის გამო კონკურენციის გაწევა ადგილობრივ ბაზარზეც ძალიან ჭირს. რატომ არის, რომ თურქული ან რუსული პროდუქცია ხშირად ბევრად უფრო იაფია, ვიდრე სამამულო წარმოების იმავე დასახელების საქონელი? სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრს დავით კირვალიძეს ამ კითხვაზე ერთი მარტივი პასუხი აქვს – **"მკაცრი საგადასახადო რეჟიმი და სახელმწიფოებრივი გულგრილობა!"**

კირვალიძის მტკიცებით, საქართველოს მეზობელ ქვეყნებში - სომხეთში, აზერბაიჯანსა და თურქეთში მოქმედი საგადასახადო კოდექსი სოფლის მეურნეობის მიმართ ბევრად ლიბერალურია, ვიდრე ჩვენს ქვეყანაში. რუსეთს, რომელიც მკაცრი საგადასახადო კანონმდებლობით გამოირჩევა, განსაკუთრებული შეღავათები აქვს დაწესებული სოფლის მეურნეობაში დაკავებული ადამიანებისთვის. რუსეთის დუმამ რამდენიმე წლის წინათ მოხსნა დამატებითი ღირებულების გადასახადი სოფლის მეურნეობაში, ხოლო დანარჩენი გადასახადების განაკვეთი ბევრად დაბალია, ვიდრე საქართველოში. ანალოგიური მდგომარეობაა დანარჩენ მეზობელ სახელმწიფოებშიც.

"დღეს რუსეთი მუშაობს იმაზე, რომ სოფლის მეურნეობაში შემოიღოს ერთი ფიქსირებული გადასახადი სუფთა მოგებიდან მხოლოდ ექვსი პროცენტი და დანარჩენი ყველა გადასახადისგან გაათავისუფლოს ეს დარგი", - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას დავით კირვალიძემ.

უფრო მეტიც, მინისტრის ინფორმაციით, ხსენებული ქვეყნები ყოველწლიურად უზარმაზარ თანხებს ხარჯავენ სოფლის მეურნეობაში პირდაპირი თუ ფარული სუბსიდიის სახით. მაგალითად - უკვე რამდენიმე წელია, რაც აზერბაიჯანში ადგილობრივი გლეხები დიზელის საწვავს ყიდულობენ მწარმოებლის ფასში. ამისთვის ყოველწლიურად ცენტრალურ ბიუჯეტში გათვალისწინებულია მილიონობით აზერბაიჯანული მანათი. რუსეთის ხელისუფლება კი ბიუჯეტში სპეციალურად დებს ძალიან დიდ თანხებს კონკრეტული ბანკებისთვის, რათა მათ სოფლის მეურნეობაში სესხები გასცენ დაბალი საპროცენტო განაკვეთით.

"სწორედ ამ მიზეზების გამო ხშირად ხდება ხოლმე, რომ სხვა ქვეყანაში წარმოებული და სუბსიდირებული პროდუქტი ჩვენს ბაზარზე უფრო იაფია, ვიდრე ქართველი გლეხის მიერ მოყვანილი. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, ილახება ჩვენი გლეხების ინტერესები და, ვფიქრობ, პირველ რიგში, საჭიროა მათი დაცვა. ჩვენთან უკანასკნელი რამდენიმე წელია, რაც სოფლის მეურნეობის არც ერთი დარგის არანაირი სუბსიდირება არ მომხდარა, თუ არ ჩავთვლით ჩაის სექტორს, თუმცა ესეც მხოლოდ დეკლარირებულ ხასიათს ატარებს", - ამბობს კირვალიძე.

თუმცა, ამ ყველაფრის თავი და თავი, კირვალიძის თქმით, ქვეყანაში არსებული საგადასახადო რეჟიმია, რაზეც ამ ბოლო დროს ყველა სფეროსა და დარგის სპეციალისტი ხშირად წუწუნებს. საგადასახადო სისტემა რომ ლიბერალიზაციას საჭიროებს, ამას მინისტრი კირვალიძეც ეთანხმება, თუმცა მიიჩნევს, რომ საგადასახადო შეღავათების აუცილებლობას მისი სექტორი განსაკუთრებით საჭიროებს

"არ შეიძლება ყველაფერი ერთ თარგზე მოიჭრას, აუცილებლად უნდა არსებობდეს განსხვავება. ხომ არ შეიძლება სოფლის მეურნეობა იბეგრებოდეს ზუსტად ისე, როგორც სათამაშო, გასართობი ბიზნესი ან რესტორნები? აქ ცოტა სხვა მიდგომაა საჭირო. ალბათ, არ გადავაჭარბებ, თუკი ვიტყვი, რომ დღეს არსებული საგადასახადო სისტემით სოფლის მეურნეობის პირდაპირი დანიშნულებაა ბიუჯეტის შევსება. ეს არ არის ის სფერო, რომელიც ბიუჯეტს უნდა ავსებდეს, პირიქით - ბევრ ქვეყანაში ხელისუფლება საკუთარი ბიუჯეტიდან ბევრს ხარჯავს ამ დარგის ხელშეწყობისთვის", - ამბობს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი.

მინისტრ კირვალიძეს გარდამავალი ხელისუფლებისთვის მზად აქვს ის კონკრეტული რეცეპტები, რაც საჭიროა ხსენებული დარგის ფეხზე წამოსაყენებლად და იმისთვის, რომ ქართველი გლეხის პროდუქცია საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი გახდეს. მინიმუმ, უნდა მოხდეს საგადასახადო რეჟიმის ლიბერალიზაცია და ფინანსთა სამინისტრომ უნდა გაიმეტოს რამდენიმე მილიონი ლარი სოფლის მეურნეობის წახალისებისთვის. **"თუ გვინდა, რომ ჩვენ ვიყოთ კონკურენტუნარიანი, მაშინ ჩვენი საგადასახადო ტვირთი ამ სექტორზე არ უნდა იყოს იმაზე მეტი, რაც ჩვენს მეზობელ ქვეყნებშია. ამის შემდეგ რამდენიმე წელია საჭირო, რომ ქართველი გლეხი წელში გაიშალოს, მერე ის საკუთარ თავს იოლად მიხედავს",** - ირწმუნება მინისტრი.

კირვალიძემ "24 საათთან" საუბრის დროს პოლონეთის მაგალითიც გაიხსენა, როცა ქვეყნის გარადამავალ პერიოდში სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოება გათავისუფლდა დამატებითი გადასახადის ღირებულებისგან. **"მაშინდელი ხელისუფლების არგუმენტი იყო ასეთი: ამის ადმინისტრირება მე უფრო ძვირი მიჯდება, ვიდრე ის თანხა, რაც მე უნდა ამოვიღო. ასეთმა გადაწყვეტილებამ პოლონეთს მისცა ის შეღავათი, რომ ჩამოყალიბდა მომგებიანი ფერმერი, რომელსაც დღეს უკვე აღარ უჭირს ამ გადასახადის გადახდა. დღესაც პოლონეთში დღგ-ს 22-პროცენტიანი განაკვეთი სოფლის მეურნეობაში სამ პროცენტამდეა დასული".** - ამბობს იგი.

ხელისუფლებას ქართველი გლეხი კარგა, ხანია აღარ გახსენებია.

ლაშა გელაშვილის ფოტო

საქართველოს დაბრუნება ხალხისთვის

პირველი გვერდიდან

ხელისუფლება რკინიგზაზე საზოგადოებრივ კონტროლს აწესებს.

ლაშა გელაშვილის ფოტო

სახელმწიფო მინისტრის ზურაბ ჟვანიას განცხადებით, "საქართველოს რკინიგზაში" სამკაციანი სამეთვალყურეო საბჭო გაუქმდება და იგი გაცილებით მრავალრიცხოვანი - 15 კაციანი გახდება. საბჭო დაკომპლექტდება არასამთავრობო ორგანიზაციების ქართველი ექსპერტებით - **"ვისაც ეკონომიკური ანალიზის კომპეტენცია აქვს და არ ჰქონია ბიზნესინტერესები რკინიგზაში",** ასევე, ერთი ან ორი უცხოელი ექსპერტით.

საბჭოს შემადგენლობა უკვე დღეს-ხვალ გაირკვევა, ორთვიანი მუშაობის შემდეგ კი აღნიშნული საბჭო ღია კონკურსს გამოაცხადებს იმის თაობაზე, თუ ვინ უნდა გახდეს საწარმოს დირექტორი.

ზურაბ ჟვანია განსაზღვრავს ახალი დირექტორის ფუნქციებსაც: მისი თქმით, "საქართველოს რკინიგზის" მომავალი დირექტორის ფუნქცია იქნება ის, რომ **"დაალაგოს საწარმოში არსებული სიტუაცია, იმუშაოს გამჭვირვალედ, გაითვალისწინოს მასში მომუშავე ადამიანების ინტერესები და საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყანას, თავისი ავტორიტეტი და სახელი დაუბრუნოს".**

ცხადია, სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი სტრატეგიული დანიშნულების საწარმოების, როგორც თავად ხელისუფლება ამბობს - "კლანებისაგან გაწმენდის" რკინიგზიდან დაწყება ნამდვილად არ გახლავთ შემთხვევითი ისევე, როგორც შემთხვევითი არ არის ის, რომ პროკურატურის მიერ გაჟღერებულ ბრალდებებს შორის ამ ბოლო დროს კაკო ჩხაიძის გვარი საკმაოდ ხშირად ისმის.

შევარდნაძის მმართველობის პირობებში საქართველოს რკინიგზას ყოველთვის ჰქონდა კლანური და "პარტიული ჯიბის" შევსების ფუნქცია (მიუხედავად იმისა, რომ, კანონით, ეს უკანასკნელი კატეგორიულად გახლდათ აკრძალული, რადგან რკინიგზა 100 პროცენტით სახელმწიფო საკუთრებაშია). თუმცა, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია - სწორედ ეს სატრანსპორტო საშუალება გახლდათ საქართველოში შემომავალი ნავთობის და სხვა პროდუქციის კონტრაბანდის მთავარი "გადამტანი", საიდან მიღებული სატრანზიტო გადასახადებიც, ცხადია, ბიუჯეტში ისევე არ შედიოდა, როგორც შემოტანილი საქონლის იმპორტირებისას გადასახდელი თანხები. ასე, რომ რკინიგზაზე საზოგადოებრივი კონტროლის დაწესება არა მხოლოდ ერთი კონკრეტული საწარმოს გაკონტროლების, არამედ საქართველოში კონტრაბანდის წინააღმდეგ წამოწყებული ბრძოლის კონტექსტშიც შეიძლება იყოს განხილული.

გაზაფხულზე ენერგოკრიზისი გამწვავდება

მაია ურუშაძე

შესაძლოა, მომავალი წლის გაზაფხულზე ენერგოკრიზისი გამწვავდეს. საქმე ისაა, რომ საქართველოს ჰიდროელექტროსადგურებზე წყლის მარაგის ამოწურვა მარტის ბოლოსთვისაა მოსალოდნელი, აპრილიდან ივლისამდე კი ქვეყნის უმსხვილესი ელექტროსადგური – ენგურჰესი – სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად უნდა გამოირთოს. როგორც ცნობილია, ენგურჰესზე კაშხლის რეაბილიტაცია ევრობანკის დაფინანსებით მიმდინარეობს. სამუშაოები აპრილიდან ივნისამდე სადგურის კაშხალსა და მექანიკურ მოწყობილობებზე უნდა ჩატარდეს, რაც ჰესის მუშაობის შეჩერების გარეშე შეუძლებელი იქნება. შედეგად, ამ პერიოდისთვის ელექტროენერგიაზე მოთხოვნილება გაცილებით გადააჭარბებს ქვეყნის ელექტროენერგეტიკულ რესურსებს.

საბითუმო ბაზარში მიიჩნევენ, რომ კრიზისის გამწვავების თავიდან ასაცილებლად ენერგოკომპანიებმა წინასწარ უნდა იზრუნონ იმპორტის მოცულობის გაზრდასა და თბოსადგურებიდან შედარებით ძვირი ელექტროენერიის შეძენაზე.

ბაზრის სპეციალისტების გაანგარიშებით, მოსალოდნელი დეფიციტის შესავსებად თავიდან 19 მილიონი დოლარი, ხოლო შემდგომ – 31 მილიონი დოლარი იქნება საჭირო. ამასთან, სადისტრიბუციო ენერგოკომპანიების ("თელასი", "გსეკ") მონაცემები არ იძლევა იმის იმედს, რომ ამ თანხების მობილიზაცია მთავრობის ჩარევის გარეშე მოხერხდება. ამის გამო არ არის გამორიცხული, კრიზისის თავიდან ასაცილებლად მომავალი წლის გაზაფხულზევე მთავრობას სოლიდური ხარჯების გაღება მოუხდეს.

ერთი სიტყვით, საბითუმო ბაზარში საქართველოს ენერგეტიკაში მომავალი წლის გაზაფხულისათვის მოსალოდნელ ვითარებას ადარებენ 1973-74 და 1979-80 წლებში ნავთობის კრიზისით გამოწვეულ პრობლემებს. მაშინ ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (ეეთგო) წევრ ქვეყნებს კრიზისის დასაძლევად უმკაცრესი ზომების გატარება მოუწიათ, რაც ენერგორესურსების დაზოგვასა და ენერგოობიექტების მაქსიმალური დატვირთვით ამოქმედებაში გამოიხატა. ამ პერიოდში საკითხი "ეეთგო"-ს ქვეყნებში მკაცრ სამთავრობო კონტროლზე იყო აყვანილი. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ენერგიის კარგვის შემცირების საკითხს.

დღეს საბითუმო ბაზარში მიიჩნევენ, რომ კრიზისის თავიდან აცილება შესაძლებელი იქნება, თუ საზოგადოება გააცნობიერებს არსებულ საშიშროებას, ელექტროენერგიას ეკონომიურად მოიხმარს, ხოლო უკვე მოხმარებული დენის საფასურს პირნათლად გადაიხდის. **"ამ შემთხვევაში შესაძლებელი გახდება თბოენერგიის გამოსამუშავებლად საჭირო გაზის შესყიდვა და დენის იმპორტი,"** – აცხადებენ ბაზარში და იმედოვნებენ, რომ მხარდაჭერას მიიღებენ ელექტროენერგიის თითოეული მომხმარებლისგან – მოსახლეობის, სხვადასხვა უწყებებისა თუ მეწარმეებისგან.

ფინანსთა ახალი მინისტრი რეფორმას იწყებს

ფინანსთა მინისტრის - ზურაბ ნოღაიდელის გადაწყვეტილებით, 29 იურდიული პირი, რომელიც თამბაქოს სექტორში მუშაობს, 2004 წლის 1 იანვრიდან მსხვილ გადამხდელთა ინსპექციაში გაერთიანდება. ეს სიახლე ფინანსთა მინისტრმა სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე გაახმოვანა და აღნიშნა, რომ სამინისტრომ თამბაქოს სექტორიდან შემოსავლების მობილიზების გეგმა შეიმუშავა, რომელიც სწორედ ამ იურიდიული პირების მსხვილ გადამხდელთა ინსპექციაში გაერთიანებას ითვალისწინებს.

თითოეულ მათგანთან ოთხი საგადასახადო ინსპექტორი იმუშავებს, რომელთა ზედამხედველობასა და ხელმძღვანელობას უშუალოდ ფინანსთა მინისტრი განახორციელებს. მისივე თქმით, უკვე გაიცა განკარგულება საგადასახადო დეპარტამენტის ოპერატიული მოკვლევის სამსახურის მიმართ, რომელმაც 1 იანვრიდან ქვეყანაში უაქციზო და უცხო ქვეყნების აქციზიანი სიგარეტის გაყიდვა უნდა აკრძალოს, ხოლო ინფორმაცია დავალების შესრულების მსვლელობისა და შედეგების შესახებ, ზურაბ ნოღაიდელის თქმით, უახლოეს დღეებში გამოქვეყნდება. ფინანსთა მინისტრის განცხადებით, უკვე შედგა შეხვედრა წარმოებისა თუ რეალიზაციის სექტორში მომუშავე ბიზნესმენებთან, სადაც ფინანსთა სამინისტრომ მათ "თამაშის ახალი წესები შესთავაზა." **"თუ ისინი ამ წესებით არ იმუშავებენ, მაშინ სამინისტრო მათ მიმართ სხვა ღონისძიებებს გაატარებს,"** - განაცხადა ნოღაიდელმა და განმარტა, რომ "სხვა ღონისძიებებში" შეიძლება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხის დასმაც იგულისხმებოდეს, რადგან, მისი ინფორმაციით, თამბაქოს ბიზნესში დასაქმებული იურიდიული პირების უმეტესობა დანაშაულებრივი გზით მუშაობს.

ფინანსთა მინისტრის თქმით, მიმდინარე წლის თერმეტი თვის განმავლობაში, თამბაქოს სექტორიდან შემოსავლების სახით, ბიუჯეტში 38,4 მილიონი ლარი შევიდა, თუმცა **"აქედან 9,3 მილიონი ლარი მხოლოდ ქაღალდზეა დაფიქსირებული, რადგან აქტივებით ვაჭრობის შედეგია."** საუბარია იმაზე, რომ 9,3 მილიონი ლარის აქტივი ექსპორტიორ იურიდიულ პირს წარმოეშვა, რომელმაც, თავის მხრივ, იგი იმპორტიორს მიჰყიდა. იმპორტიორმა კი ქვეყანაში სიგარეტის შემოსატანად საჭირო აქციზურ მარკებში რეალურად არაფერი გადაიხადა და მარკები შეძენილი აქტივით შეისყიდა. რის გამოც შემოსავალი მხოლოდ ქაღალდზე დაფიქსირდა.

ზურაბ ნოღაიდელის შეფასებით, ეს იყო ფალსიფიცირებული ექსპორტი და დანაშაულებრივი ოპერაცია, რის გამოც ბიუჯეტმა რეალურად 9,3 მილიონი ლარი დაკარგა. **"შეუძლებელია ამ გარიგების უკან არ იდგნენ ფინანსთა სამინისტროს მაღალჩინოსნები."** განაცხადა მან და აღნიშნა, რომ საქმის მოკვლევა საგამოძიებო დეპარტამენტს უკვე დაევალა.

როგორც ირკვევა, აქტივებით ვაჭრობას რეალურად ოთხი იურიდიული პირი ახორციელებდა. ნოღაიდელი ამ ეტაპზე მათი დასახელებისგან თავს იკავებს.

ნიშანდობლივია ფინანსთა მინისტრის კიდევ ერთი განცხადება **"ფინანსთა სამინისტროს გაჭირვებული ლტოლვილები კი არ აინტერესებს, რომლებიც თითო კოლოფ სიგარეტს ბაზარზე ყიდიან, არამედ ის, თუ საიდან ხვდება უაქციზო და უცხო მარკიანი სიგარეტი ქვეყნის ბაზარზე".**

24 საათი

"თი-ბი-სი ბანკი" ახალ ხელშეკრულებას აფორმებს

რამდენიმე დღის წინათ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას IFC და "თი-ბი-სი ბანკს" შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომელიც შეადგენს 2 მილიონ ევროსა და 3 მილიონ დოლარს. ეს ხელშეკრულება "თი-ბი-სი ბანკს" აძლევს შესაძლებლობას, დააზღვიოს საპროცენტო და სავალუტო რისკები ისეთი ინსტრუმენტის გამოყენებით, როგორიცაა სვოპი. სვოპი წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტს, რომელიც იძლევა მომავალი ფულადი ნაკადების გაცვლის შესაძლებლობას და რომელიც გამოიყენება ისეთი ძირითადი რისკების სამართავად, როგორიცაა საპროცენტო რისკი და სავალუტო რისკი. აღსანიშნავია, რომ მსგავსი ტიპის ხელშეკრულება საქართველოში პირველად გაფორმდა და იგი "თი-ბი-სი ბანკს" მისცემს შესაძლებლობას, დახვეწოს რისკის მართვის სისტემები. კერძოდ, დააბალანსოს საპროცენტო განაკვეთის რისკები დოლარში და სავალუტო რისკები დოლარსა და ევროში. ერთი მხრივ, ბანკის მიერ კონკრეტულად განხორციელებული სვოპური გარიგებების შედეგად მოხდება ცვლად საპროცენტო განაკვეთზე მიბმული ვალდებულებების ფიქსირებულით შეცვლა, ხოლო, მეორე მხრივ, ევროში დენომინირებული ვალდებულებების დოლარის ვალდებულებებით შეცვლა.

24 საათი

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სახაზინო სამსახური

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ოპერატიული ინფორმაციის მიხედვით მიმდინარე წლის 1-5 დეკემბრის პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 8 643.7 ათასი ლარი

1. ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები - 829.5 ათასი ლარი:
- *სახაზინო ვალდებულებების დისკონტის ხარჯები - 823.0 ათასი ლარი;*
- *სასამართლო გადაწყვეტილებით ჩამოჭრილი თანხები - 6.5 ათასი ლარი;*

2. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები - 7 814.2 ათასი ლარი;
საგარეო ვალდებულებების მომსახურება - 4 671.4 ათასი ლარი:
- *საქენერგოსათვის და ენგურჰესის რეაბილიტაციისათვის IBRDD-ს მიერ სახელმწიფოს გარანტიით გამოყოფილი კრედიტის ძირითადი თანხის დაფარვა - 3 689.7 ათასი ლარი;*
- *საპროცენტო თანხის დაფარვა - 881.7 ათასი ლარი;*
- *ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის თამასუქის ნაწილობრივი გამოსყიდვისათვის თანხა - 100.0 ათასი ლარი;*

თავდაცვის სამინისტრო (წვრთნისა და აღჭურვის ამერიკული პროგრამა - ნოემბრის თვის შრომის ანაზრაურება) - 2 498.8 ათასი ლარი *(მ.შ. საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალები 24.1 ათასი ლარი);*
საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი (წვრთნისა და აღჭურვის ამერიკული პროგრამა - ნოემბრის თვის შრომის ანაზრაურება) - 92.0 ათასი ლარი;
საბიუჯეტო ორგანიზაციების ნოემბრის თვის შრომის ანაზრაურება - 552.0 ათასი ლარი:
- *სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური - 460.0 ათასი ლარი;*
- *უშიშროების სამინისროს ანტიტერორისტული ცენტრი - 92.0 ათასი ლარი;*

სულ ხარჯი: 8 643.7 ათასი ლარი
1. ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები - 829.5 ათასი ლარი:
- *სახაზინო ვალდებულებების დისკონტის ხარჯები - 823.0 ათასი ლარი;*
- *სასამართლო გადაწყვეტილებით ჩამოჭრილი თანხები - 6.5 ათასი ლარი;*

2. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები - 7 814.2 ათასი ლარი;

თბილისი, 380093, მ.ალექსიძის ქ. N1 ტელ/ფაქსი: 92-30-03, ელ.ფოსტა: treasury@iberiapac.ge

კრწანისში "ბი-ჰი" არ უყვართ

გუშინ გარდაბნის რაიონის სოფელ კრწანისის ასამდე მაცხოვრებელი საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის შენობასთან შეიკრიბა და სოფელ კრწანისში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის დაწყება გაპროტესტა. ისინი მიიჩნევენ, რომ მშენებლობა მნიშვნელოვნად დააბინძურებს სოფლის გარემოს. საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის წარმომადგენლები "სრულიად უსაფუძვლოს" უწოდებენ გუშინ კორპორაციასთან შეკრებილი სოფელ კრწანისის მოსახლეობის მოთხოვნას. როგორც კორპორაციის მენეჯერმა ომარ სიამაშვილმა განაცხადა, სოფელში უსაფრთხოების ყველანაირი გარანტია უკვე გაცემულია, პროექტი ხორციელდება უსაფრთხოების სრული დაცვით. მისივე განცხადებით, ყველა იმ ოჯახს, რომლის ნაკვეთთანაც ნავთობსადენი გაივლის, უკვე გადაუხადეს მიწის კომპენსაცია. დანარჩენ ოჯახებს ჰქონდათ შეთავაზება, რომ წარმოედგინათ ბიზნესგეგმა, რომლის მიხედვითაც შეუშავდებოდა სპეციალური სოციალური პროგრამები. სიამაშვილი აცხადებს, რომ სოფელ კრწანისის მკვიდრნი უშუალოდ ფინანსურ დახმარებას ითხოვენ, რაც ყოველგვარ კანონს ეწინააღმდეგება.

ინტერ-პრესი

მოკლედ

ვინ შეზღუდა თბილისის ელექტრომომარაგება?

"თელასი" "სახელმწიფო ელექროსისტემას" თბილისის უკანონოდ შეზღუდვაში ადანაშაულებს და რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის შეწყვეტით იმუქრება. "თელასში" აცხადებენ, რომ გუშინ, დილიდან, თბილისს დენი 50 მეგავატით ნაკლები სიმძლავრით მიეწოდება, რის გამოც "სახელმწიფო ელექტროსისტემის" მიერ თბილისის ელექტრომომარაგება ქაოსურად ხორციელდება. შედეგად, ქაოტური შეზღუდვები ხორციელდება გლდანის, მუხიანის, თემქის, ვარკეთილის, ისნისა და სამგორის რაიონებში. "თელასი" მოითხოვს, "სახელმწიფო ელექტროსისტემამ" თბილისისათვის კუთვნილი ელექტროენერგიის მიწოდება უზრუნველყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში კომპანია აპირებს, გარანტიების მიღებამდე რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი შეწყვიტოს. "სახელმწიფო ელექტროსისტემაში" აცხადებენ, რომ თბილისის ელექტრომომარაგებაში არსებული შეფერხება მათი ბრალი არ არის. "სახელმწიფო ელექტროსისტემაში" განმარტავენ, რომ მათი უმთავრესი მოვალეობა ელექტროენერგიის მოთხოვნილებისა და გენერაციაში არსებული რესურსის დაბალანსებაა. "როცა გენერაციას საკმარისი რესურსები არ აქვს, თბილისიც ავტომატურად იზღუდება, ამიტომ "თელასის" მხრიდან ჩვენი დადანაშაულება აბსურდია," - განაცხადეს კომპანიაში.

ინტერ-პრესი

ორი სიტყვით

თბილისი. გუშინ თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ვაჭრობა დაიწყო კურსით 1 აშშ დოლარი – 2.18 ლარი და დაბალანსდა 1 აშშ დოლარი – 2.16 ლარზე. ამ დროს შიდა სავალუტო ბაზარზე ვალუტის გადამცვლელი პუნქტები 1 აშშ დოლარს 2.17 ლარად ყიდულობდნენ და 2.18-ად ყიდდნენ. **24 საათი**

■ ■ ■

თბილისი. ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა პარლამენტიდან გამოიწვია მომავალი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი. როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, საქართველოს ახალ ხელისუფლებას და ფინანსთა სამინისტროს არ აწყობს ძველი მთავრობის მიერ მომზადებული ბიუჯეტის პროექტი. მისი თქმით, აუცილებელია ნდობის აღდგენა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და პარიზის კლუბის კრედიტორ ქვეყნებთან, საჭიროა ეფექტური ფინანსური პროგრამის მომზადება და არსებული ფისკალური კრიზისიდან გამოსვლა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "თბილგაზის" ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, დღეიდან ბუნებრივი აირის მიწოდება შეუწყდებათ თბილისის ისანი-სამგორის და მთაწმინდა-კრწანისის რაიონების ურჩ გადამხდელ აბონენტებს. სამგორისა და ისნის რაიონებში. მთაწმინდა-კრწანისის რაიონში ბუნებრივი აირი გაეთიშებათ: 24 ქუჩის მცხოვრებთ, 58-ე საბავშვო ბაღს, გია გულუას სახელობის პოლიციას, ტრადიციონალისტთა კავშირის ოფისს, ბავშვთა სანატორიუმ "ჯეჯილს", ოქროყანის 162-ე ბაგა-ბაღს და 28-ე საშუალო სკოლას. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. 2003 წლის იანვარ-ოქტომბერში დსთ-ის ქვეყნებში სამომხმარებლო ფასების ინდექსი 11 პროცენტით გაიზარდა შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით. წლეულს ათ თვეში (შარშანდელთან შედარებით) სამომხმარებლო ფასების ზრდის უმცირესი ინდექსი (2,1 პროცენტი) აღინიშნა აზერბაიჯანში, უდიდესი (28,9 პროცენტი) – ბელარუსში. საქართველოში ეს მაჩვენებელი 4,2 პროცენტია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ "თბილგაზის" 5 ათასზე მეტ აბონენტს ბუნებრივი აირის მიწოდება შეუწყდა. თემქისა და ავჭალის დასახლებებში, გურამიშვილისა და სარაჯიშვილის გამზირებზე გაზმომარაგების შეწყვეტას "თბილგაზში" ერთდროულად ორ ფაქტს უკავშირებენ: გადართვით სამუშაოებსა და მომხდარ ავარიას. "თემქაზე პლასტმასის მილები ჩავაწყვეთ, რაც ცენტრალურ მილსადენს უნდა მიუერთდეს. ავარია კი მე-12 საქვაბის ტერიტორიაზე მოხდა," - განაცხადეს კომპანიაში, სადაც ირწმუნებიან, რომ მომხმარებელი ბუნებრივ აირს დღეს აუცულებლად მიიღებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე დავით მირცხულავა და კომისიის წევრები USAID-ისა და ამერიკის ენერგეტიკული ასოციაციის წარმომადგენლებს შეხვდნენ. განიხილეს შავი ზღვის ქვეყნების ელექტროენერგეტიკულ სფეროში რეგიონული თანამშრომლობის პროექტი, რაც მიზნად ისახავს მომავალში შავი ზღვის ქვეყნების ერთობლივი, რეგიონული ელექტროენერგეტიკული ბაზრის ჩამოყალიბებას. სტუმართა თქმით, ანალოგიური პროექტი უკვე წარმატებით განხორციელდა ბალკანეთის ქვეყნებში. შეხვედრის მონაწილეთა აზრით, აღნიშნული პროექტი ორ ეტაპად განხორციელდება - ჯერ შავი ზღვის ქვეყნების საქსელო ინფრასტრუქტურა განვითარდება, ხოლო შემდეგ მოხდება რეგულირების საკითხების ჰარმონიზაცია და ინსტიტუციონალური ცვლილებები. **ინტერ-პრესი**

არც ერთი დემოკრატიული ძალა რუსეთის პარლამენტში

REUTERS

პუტინი მრავალწლიანი მმართველობით წინასწარ ტკბება.

ᲕᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

კომპარტია აღმოჩნდა, რომელმაც 1999 წლის არჩევნებში 24,3 პროცენტი მოიპოვა და პირველი ადგილიც დაისაკუთრა, ამჟამად კი ძლივს უსწრებს ჟირინოვსკის ლიბერალ-დემოკრატებს, რომლებიც ისევე შორს არიან დემოკრატიისგან და ლიბერალიზმისგან, როგორც თავად ზიუგანოვი.

თუმცა, დემოკრატიის პრინციპების ერთგულებით დუმაში გასული ვერც ერთი ძალა ვერ დაიკვეხნის.

"საზიზღარი ფარსი" - ასეთი ორსიტყვიანი შეფასება მისცა რუსეთის კომპარტიის ბელადმა 7 დეკემბერს ჩატარებულ არჩევნებს და ხმების მასობრივ გაყალბებაზე უკვე ხმამაღლა ალაპარაკდა.

რასაკვირველია, კომუნისტებზე მეტი თუ არა, ნაკლები დარღვევები არც უცხოელ დამკვირვებელთა მრავალათასიან "დესანტს" დაუფიქსირებია. **"რუსეთში ჩატარებული არჩევნები ეჭვის ქვეშ აყენებს რუსეთის სურვილს ევროპული კრიტერიუმებით დემოკრატიისაკენ სწრაფვის შესახებ,"** - ნათქვამია ევროპელ დამკვირვებელთა მოხსენებაში, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა. **"წინასაარჩევნო პროცესი ხასიათდებოდა ადმინისტრაციული რესურსის ფართო გამოყენებით და მასმედიის მიერ ჩატარებული აგიტაციით ყველაზე მსხვილი სახელისუფლებო პარტიის სასარგებლოდ,"** - ნათქვამია მოხსენებაში.

ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა, ქართველებისათვის კარგად ცნობილმა ბრუს ჯორჯმა კი არჩევნებს საბოლოოდ დაუსვა ჯვარი, როდესაც განაცხადა, რომ შედეგები "მასობრივად გაყალბებული" იყო.

თუმცა, უცხოელი დამკვირვებლების ასეთ მკაცრ შეფასებას პრეზიდენტი პუტინი ყურადღებასაც არ აქცევს. **"სახელმწიფომ თავისუფალი, ღია და სამართლიანი არჩევნების ჩატარება უზრუნველყო,"** - განაცხადა პრეზიდენტმა. მისი თქმით, დუმის ახალი შემადგენლობა შეესაბამება და ზუსტად ასახავს რუსი ხალხის განწყობას. პუტინმა არც პარლამენტს გარეთ დარჩენილი "იაბლოკო" და "მემარჯვენე ძალთა გაერთიანება" დაივიწყა და განაცხადა, რომ მათი იდეები და საკადრო შესაძლებლობები აუცილებლად იქნება გათვალისწინებული.

თუკი მეორე ადგილზე გასული კომუნისტების და ბარიერს მიღმა დარჩენილი პარტიების ოფისებში სამგლოვიარო განწყობა სუფევს, წუხელ გამარჯვებას ზეიმობდნენ გლაზიევ-როგოზინის "სამშობლოს" შტაბში. დამკვირვებლები აცხადებენ, რომ მათ კომუნისტების ელექტორატის ხმები მიიღეს და დუმაში, დაახლოებით, 30-40-კაციანი შემადგენლობით შევლენ. **"სამშობლომ" საპრეზიდენტო არჩევნებზე ვლადიმირ პუტინს უნდა დაუჭიროს მხარი,"** - განაცხადა ბლოკის ლიდერმა დმიტრი როგოზინმა.

"ცალსახაა, რომ ახალ დუმაში ნაციონალ-სოციალისტების დიდი რაოდენობა იქნება. ჩვენ ამის შესახებ ვაფრთხილებდით; მაშინ მასმედიამ ჩვენს გაფრთხილებას არანაირი ყურადღება არ მიაქცია. დღეს უკვე ცხადია, რომ დუმა სწორედ ნაციონალ-სოციალისტებით და ბიუროკრატიის წარმომადგენლებით დაკომპლექტება," - განაცხადა "მემარჯვენე ძალთა გაერთიანების" ლიდერმა ბორის ნემცოვმა.

ამჟამად, "მემარჯვენეები" და "იაბლოკოელები" უკვე პირდაპირ საუბრობენ მათი გაერთიანების აუცილებლობაზე. **"ჩვენს გაერთიანებას ალტერნატივა აღარ გააჩნია,"** - განაცხადა ანატოლი ჩუბაისმა. თუმცა, ამ ორი პარტიის შერწყმა მომავალ არჩევნებზე თუ მოახდენს გავლენას, თორემ ახალი დუმა დემოკრატიული ძალების გარეშეა დარჩენილი.

რუსეთში ჩატარებულ არჩევნებს გუშინვე გამოეხმაურნენ მსოფლიოს გავლენიანი გაზეთები.

"პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა რუსეთის პარლამენტზე მკაცრი კონტროლის დამყარება შეძლო. პროსაპრეზიდენტო პარტიამ "ერთიანმა რუსეთმა" საბოლოო დარტყმა მიაყენა კომუნისტებს და პროდასავლურ დემოკრატიულ პარტიებს," - იუწყება გუშინდელი "ვაშინგტონ პოსტი."

"ერთიანი რუსეთი" წარმატებას პუტინს უნდა უმადლოდეს, რომელიც ამ პარტიას სახელმწიფოს კონტროლქვეშ მყოფი ტელეარხიდან ხმამაღლა დითირამბებს უძღვნიდა. კრემლი ასევე მხარს უჭერდა "სამშობლოს" – ახალ მემარცხენე ნაციონალისტურ პარტიას, რომელიც სულ რაღაც სამი თვის წინ შეიქმნა კომუნისტებისათვის ელექტორატის წართმევის მიზნით," - ნათქვამია "ვაშინგტონ პოსტში."

რუსულ არჩევნებს არანაკლებ კრიტიკულ შეფასებას აძლევს ბრიტანული "დეილი ტელეგრაფი."

"პრეზიდენტმა ვლიდიმირ პუტინმა გუშინ საღამოს რუსეთის პარლამენტი თავის კონტროლქვეშ მოაქცია, გაანადგურა ოპოზიციური ძალების ბოლო დასაყრდენი და თვითმპყრობელური ტიპის ხელისუფლებისაკენ გაიხსნა გზა," - ნათქვამია "დეილი ტელეგრაფში" გამოქვეყნებულ სტატიაში, რომელსაც სათაურიც შესაბამისი აქვს – "პუტინმა სამეფო ხელისუფლება მოიპოვა."

ასევე გავლენიანი "ტაიმსი" უკვე აკეთებს დასკვნას იმის შესახებ, რომ ვლადიმირ პუტინი ხელისუფლებაში თერთმეტი წლის განმავლობაში დარჩება. **"საპარლამენტო არჩევნებმა ვლადიმირ პუტინს გზა გაუხსნა მომავალ ათწლეულამდე ხელისუფლებაში ყოფნის ვადის გახანგრძლივებისათვის, რითაც ის ლეონიდ ბრეჟნევის შემდეგ ყველაზე ხანგრძლივი ლიდერი იქნება,"** - ნათქვამია "ტაიმსში". გაზეთი ასეთ დასკვნას ვლადიმირ ჟირინოსვკიზე და ფედერაციის საბჭოს სპიკერ სერგეი მირონოვზე დაყრდნობით აკეთებს, რომლებიც კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას და პუტინისათვის ვადის გახანგრძლივებას მხურვალედ უჭერენ მხარს.

ამდენად, პასუხი მრავალწლიან კითხვაზე, თუ საით მიემართება რუსეთი, უკვე გაცემულია. რუს ხალხს კიდევ დიდხანს მოუწევს ავტორიტარიზმის ეპოქაში ცხოვრება, რაც, ალბათ, მათი უმრავლესობისათვის სავსებით მისაღებია.

საქართველოს ჯერი

ᲒᲝᲗᲐ ᲣᲗᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ბოლო ერთი თვის მანძილზე განვითარებულმა მოვლენებმა სერიოზულად და დიდი ხნით შეცვალეს საქართველოს საგარეო პოლიტიკა და მის მიმართ დიდ სახელმწიფოთა დამოკიდებულება.

ერთი თვის წინ საქართველოს ჰყავდა არაქმედუნარიანი ხელისუფლება, რომელიც სიტყვიერად დასავლეთთან ინტეგრირებას უჭერდა მხარს, მაგრამ ვერ დგამდა ვერც ერთ რეალურ ნაბიჯს და სწრაფად მიექანებოდა ავტორიტარიზმის, ან ქაოსისაკენ.

რუსეთს ჰყავდა ნახევრადავტორიტარული, ნახევრადდემოკრატიული ხელისუფლება, რომელიც ასევე სიტყვიერად დასავლეთთან ინტეგრაციას ანიჭებდა უპირატესობას, რეალურად კი ყოფილი საბჭოთა კავშირის რეანიმაციას ცდილობდა. მოსკოვს იმედი ჰქონდა, რომ დაუძლურებული საქართველო ისევ მის ხელში ჩავარდებოდა, ამისათვის მხოლოდ ზეწოლის გაძლიერება და მოთმინება იყო საჭირო.

დასავლეთი მხარს უჭერდა საქართველოს დამოუკიდებლობას, მაგრამ არ იყო დარწმუნებული იმაში, რომ საქართველოს ხელისუფლება ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვას შეძლებდა. ამიტომ ნელ-ნელა გულს იცრუებდა ქვეყანაზე, რომელიც დასავლეთის დიდი დახმარების მიუხედავად, უძლური იყო, სტაბილურობისა და უსაფრთხოებისათვის მიეღწია.

ასეთ ვითარებაში, საქართველოს დასავლეთისაკენ სწრაფვას ამუხრუჭებდა, ერთი მხრივ, მისი ლიდერების არაკომპეტენტურობა, მეორე მხრივ, რუსეთის "სტრატეგიული პარტნიორობა" დასავლეთთან. რუსეთს ბაზები არ გაჰყავდა, ნატო-სა და ევროკავშირს საქართველოსთან თანამშრომლობის გაღრმავებისაგან თავი შორს ეჭირათ. თბილისშიც პოლიტიკოსები "სამკუთხედისა" თუ ჯვრის კონცეფციებზე საუბრობდნენ, და ცდილობდნენ, საერთო ენა გამოენახათ როგორც ვაშინგტონთან, ისე მოსკოვთან.

ბოლო დღეებში ვითარება სრულიად შეიცვალა.

"ვარდების რევოლუციამ" აჩვენა, რომ საქართველო სწრაფად ყალიბდება დემოკრატიულ, პროდასავლურ სახელმწიფოდ. მას აქვს შანსი, ფაქტობრივად, პირველად დსთ-ს ქვეყნებს შორის, ჩაატაროს თავისუფალი არჩევნები, გაატაროს რადიკალური რეფორმები, წავიდეს ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრაციის მიმართულებით და მაგალითი მისცეს სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს.

რუსეთის არჩევნებმა, რომელიც, პრაქტიკულად, საქართველოს არჩევნების გამეორებას წარმოადგენდა, ოღონდ - რევოლუციის გარეშე, აჩვენა, რომ ეს ქვეყანა ძალიან დიდი ნაბიჯებით მიიწევს წინ ავტორიტარიზმისაკენ. ამავე დროს, ბოლო დროს დსთ-ს ქვეყნებზე, განსაკუთრებით, უკრაინასა და მოლდოვაზე განხორციელებული უხეში ზეწოლა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მეზობლებთან ურთიერთობებში რუსეთი ისევ იმპერიალისტურ ქვეყნად იქცევა. ნაციონალისტური პროსახელისუფლებო ძალების "გამარჯვება" არჩევნებში რუსეთის ხელისუფლების მადას, ალბათ, კიდევ უფრო გაზრდის, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. სრულიად აშკარაა, რომ ხსენებულ უკრაინასა და მოლდოვასთან ერთად, კრემლის მიზანში, პირველ რიგში აღმოჩნდება საქართველოც (მოლდოვას მაგალითი სხვა რამითაცაა საინტერესო: მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის მმართველმა კომუნისტებმა კრემლის თითქმის ყველა მოთხოვნა მორჩილად შეასრულეს, "კოზაკის მემორანდუმით" მოსკოვმა ეს ქვეყანა, ფაქტობრივად, დაშლისათვის გაწირა. რამდენიმე დღის წინ ათობით ათასი მოლდოველი გამოვიდა ქუჩებში საკუთარი ხელისუფლებისა და კრემლის წინაშე პროტესტის გამოსახატად).

და ბოლოს, ეუთო-ს მაასტრიხტის მინისტერიალზე დასავლეთმა აჩვენა, რომ იგი მზადაა, რეალურად აღუდგეს წინ რუსეთის ნეოიმპერიალისტურ განზრახვებს. თუკი შარშან, პორტოში ჩატარებულ ანალოგიურ მინისტერიალზე დასავლეთმა რუსეთის თითქმის ყველა პირობა მიიღო, ამჯერად, რუსეთი სრულ იზოლაციაში აღმოჩნდა, იმდენად, რომ მისმა ტრადიციულმა მოკავშირეება, ბელარუსმა და ტაჯიკეთმაც ვერ გაბედეს კრემლის პოზიციის დაცვა. მიუხედავად ამერიკელებსა და ევროპელებს შორის გამუდმებული კინკლაობისა, დასავლეთი რუსეთის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით გამოვიდა როგორც მაასტრიხტში, ისე ბრიუსელში გამართულ შეხვედრებზე. საქართველოსადმი სრული მხარდაჭერითა და რუსეთის კრიტიკით გამოვიდნენ აშშ-ს ადმინისტრაციის უმაღლესი რანგის წარმომადგენლები.

ახლა, როგორც არასდროს, საქართველომ შეიძლება იმედი იქონიოს, რომ რუსეთთან ჭიდილში დასავლეთის დიდი მხარდაჭერა მას გარანტირებული აქვს. ახლა დადგა დრო, საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ ერთმნიშვნელოვნად განაცხადოს, რომ არაფრის დათმობას არ აპირებს და ბოლომდე იბრძოლებს როგორც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, ისე ნატო-ში გაერთიანებისათვის. საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას ბევრი აქვს საერთო 90-იანი წლების დასაწყისში ბალტიის სახელმწიფოთა მდგომარეობასთან. მაშინ, დასავლეთის მიერ ზურგგამაგრებულმა ბალტიის სახელმწიფოებმა მოსკოვს ნათლად აუხსნეს, რომ არანაირ კომპრომისზე არ წავიდოდნენ. მას შემდეგ, რაც მოსკოვი დარწმუნდა, რომ მათთან არც მუქარა და არც ზეწოლა არ გაჭრიდა, დათმო.

ახლა საქართველომ უნდა დაამტკიცოს, რომ მასზე არც მუქარა და არც ზეწოლა არ გაჭრის, რომ მოსკოვთან თამაში დასრულებულია.

ამის დასამტკიცებლად საუკეთესო გზა კი, ალბათ, დსთ-ს დატოვება იქნება.

ნიკარაგუას ექსპრეზიდენტს ოცი წელი მიუსაჯეს

REUTERS

ნიკარაგუას ექსპრეზიდენტი არნოლდო ალემანი.

ნიკარაგუას ყოფილ პრეზიდენტს, არნოლდო ალემანს მომდევნო ოცი წლის გატარება შინაპატიმრობაში მოუწევს. ასეთია ნიკარაგუას სასამართლოს გადაწყვეტილება. ალემანი დამნაშავედ ცნეს ფულის გათეთრებაში, ფინანსურ მაქინაციებში, საბიუჯეტო სახსრების გაფლანგვასა და საარჩევნო კანონმდებლობის უხეშ დარღვევაში. უფრო კონკრეტულად, სასამართლომ ყოფილი პრეზიდენტი 100 მლნ აშშ დოლარის ოდენობით სახელმწიფო თანხების გაფლანგვაში ცნო დამნაშავედ. ეს თანხა პრეზიდენტმა თავისი პარტიის საარჩევნო კამპანიის დასაფინანსებლად გამოიყენა. ალემანი დამნაშავედ ცნეს კრიმინალური დაჯგუფების შექმნაში, რომელიც ამ საფინანსო მაქინაციებს ახორციელებდა. პრეზიდენტი და მისი მომხრეები ოფშორულ ზონებში ქმნიდნენ საიჭვო წარმომავლობის ფირმებს, სადაც თავს იყრიდა ქვეყნის სახელმწიფო სახსრებიდან მოპარული მილიონები. ეს თანხა შემდეგ მმართველი პოლიტიკური კასტის კეთილდღეობასა და პოლიტიკურ მიზნებს ხმარდებოდა. მაგალითად, გამოძიების მიხედვით, ალემანმა სახელმწიფოს სახსრებით საკუთრებაში შეიძინა 8 მლნ დოლარად ღირებული ვერტმფრენი, ხოლო შემდეგ იგივე ვერტმფრენს სახელმწიფოზე აქირავებდა.

ალემანი ქვეყანას 1997-2002 წლებში მართავდა. იგი გასული წლის დეკემბერში დააკავეს. ნიკარაგუაში ეს პირველი შემთხვევაა, როცა ქვეყნის პირველ პირს სასჯელის მოხდა უწევს. ალემანი ახალი პრეზიდენტის ენრიკე ბოლანოსის ანტიკორუფციული კამპანიის მსხვერპლი გახდა. 57 წლის ყოფილ პრეზიდენტს დიაბეტი და გულის პრობლემები აწუხებს. იგი ბოლო დროს საკუთარ რანჩოზე, შინა პატიმრობაში იმყოფებოდა. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, სავარაუდოდ, იგი აქვე მოიხდის პატიმრობის ვადას. გამოძიების დროს, ალემანი ქვეყნის პოლიტიკაში აქტიურ მონაწილეობას აგრძელებდა და პარტიულ თუ სახელმწიფო მოღვაწეებს თავის რანჩოზე იღებდა. სასამართლომ თავისი განაჩენით ექსპრეზიდენტს ოცი წლის ვადით პოლიტიკური აქტიურობაც აუკრძალა. ახლა ქვეყნის პოლიციასთან ერთად განიხილავენ, თუ რა პირობებში მოიხდის იგი სასჯელს საკუთარ რანჩოზე. ყოფილმა პრეზიდენტმა ქვეყნის ბიუჯეტის სასარგებლოდ ასევე ათი მლნ დოლარი უნდა გადაიხადოს

ალემანს "ელ გორდო"-ს, ანუ სქელ კაცს უწოდებენ და ამ ზედმეტსახელში იგულისხმება როგორც მისი შთამბეჭდავი ფიზიკური, ასევე ქონებრივი მონაცემები. როგორც ამბობენ, მან ერთხელ პარიზში ორ ღამისთევაში ათი მლნ დოლარი გადაიხადა, შეიძინა 22 მილიონად ღირებული ეგვიპტური ხალიჩები და ათასობით დოლარი დახარჯა ძვირფასეულობასა და, უბრალოდ, დროსტარებაში.

ალემანი სათავეში უდგას ნიკარაგუას ლიბერალურ პარტიას, რომელიც სომოზას დიქტატურასთან ასოცირდება. სომოზას ოჯახი ქვეყანას ამერიკელების დახმარებით 1979 წლამდე მართავდა და სანდინისტური რევოლუციის შედეგად დაემხო. მემარცხენე იდეოლოგიის სანდინისტების რეჟიმის პირობებში მოხერხდა ეკონომიკური და სოციალური რეფორმების გატარება, თუმცა მათი მჭიდრო კონტაქტები საბჭოთა კავშირთან და კუბასთან ვაშინგტონის შეშფოთებას იწვევდა. 80-იან წლებში ალემანი ჯერ დააპატიმრეს, ხოლო შემდეგ ქვეყნიდან გაასახლეს. მუდმივი სამოქალაქო დაპირისპირების პირობებში სანდინისტებმა ეკონომიკური წარმატების შენარჩუნება ვერ შეძლეს და 1990 წლის არჩევნებში დამარცხდნენ. რეჟიმის დასრულების შემდეგ, ალემანი ჯერ დედაქალაქ მანაგუას მერი გახდა, ხოლო 1997 წელს ქვეყნის პრეზიდენტადაც აირჩიეს. მან მოახდინა ლიბერალური პარტიის რეორგანიზაცია, რომელსაც კონსტიტუციურ-ლიბერალური პარტია ეწოდა და მას სომოზას დროინდელი შერყეული იმიჯი გამოუსწორა. ალემანის პრეზიდენტობის პირველი ხუთწლიანი ვადის ბოლოს სულ უფრო გაიზარდა უკმაყოფილება ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებში. უკმაყოფილების მთავარ მიზეზად აღვირახსნილი კორუფცია სახელდებოდა.

საპრეზიდენტო პოსტის დატოვების შემდეგ ალემანი ეროვნული ასამბლეის წევრი იყო, სადაც მისი მომხრეები უმრავლესობას შეადგენენ. პარლამენტში ყოფნა ექსპრეზიდენტს ხელშეუხებლობის გარანტიას აძლევდა. თუმცა, მას მერე, რაც გამოძიებამ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გადაქაჩული თანხები აღმოაჩინა და სახალხო მღელვარებამ პიკს მიაღწია, პარლამენტი იძულებული გახდა, მისთვის იმუნიტეტი მოეხსნა. ალემანთან ერთად მისი ოჯახის რამდენიმე წევრი და ყოფილი მინისტრიც დააპატიმრეს. აღსანიშნავია, რომ კორუფციასთან მებრძოლი ახლანდელი პრეზიდენტი ასევე კონსტიტუციურ-ლიბერალური პარტიის წარმომადგენელია, რომელიც ალემანის დროს ვიცე-პრეზიდენტი იყო, მაგრამ ყოფილ პრეზიდენტს დაშორდა და პირობას დებს, რომ კორუფციას მთელი ენერგიით შეერკინება. ახალი პრეზიდენტი აშშ-ს მხარდაჭერითაც სარგებლობს.

თუმცა, ვითარება არც ისე მარტივია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს და სახელმწიფო კრიმინალთან ბრძოლის უკან პოლიტიკური ანგარიშსწორების კვალიც შეინიშნება, რაც განვითარებადი ქვეყნებისათვის ნაცნობ პრობლემას წარმოადგენს. ასე მაგალითად, მოსამართლე, რომელმაც განაჩენი გამოიტანა, სანდინისტებთან ახლო კავშირებით გამოირჩევა. ასევე, საინტერესოა, რომ ალემანის საშინაო პატიმრობაში გადაყვანა პოლიტიკური ჟესტი იყო პარლამენტში უხვად წარმოდგენილი ალემანის მომხრების მიმართ. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტს ნიკარაგუას სასამართლო სისტემის ობიექტურობაში ეჭვი შეაქვს. ამერიკელები ამბობენ, რომ ნიკარაგუას სასამართლო ისევე კორუმპირებული და პოლიტიზირებულია, როგორც ქვეყნის დანარჩენი სახელისუფლო შტოები. სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანას მანაგუაში ყოფილი პრეზიდენტის ათასობით მომხრე აპროტესტებდა. ნიკარაგუა ლათინური ამერიკის ერთ- ერთი უღარიბესი ქვეყანაა, სადაც მოსახლეობის ნახევარზე მეტი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს.

გარემოსდაცვითი საველე ოფიცერი

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტების ფარგლებში და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს საერთაშორისო კვალიფიციურ პირებს **გარემოსდაცვითი საველე ოფიცრის** თანამდებობის დასაკავებლად.

სამუშაოს აღწერა:

გარემოსდაცვითი საველე ოფიცრის მოვალეობას შეადგენს უზრუნველყოს, რომ საველე ობიექტზე სამშენებლო საქმიანობის დროს დაცული იყოს კონტრაქტის გარემოს დაცვასთან დაკავშირებული პირობები, "ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის" (ESIA) პირობები და პროექტის უმთავრესი ფასეულობები. მას ურთიერთობა ექნება პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების ჯგუფთან. მშენებლობის კონტრაქტთან, ობიექტის ხელმძღვანელ პირებთან და პროექტის ჯგუფის წარმომადგენლებთან, საველე არქეოლოგებსა და დასავლეთის მარშრუტის საექსპორტო მილსადენის (WREP) გარემოსდაცვით ინსტრუქტორებთან. გარემოსდაცვითი საველე ოფიცერი ანგარიშვალდებულია მილსადენის პროექტის საველე წარმომადგენლის წინაშე ("პირდაპირი ანგარიში") და გარემოსდაცვითი და სოციალური სფეროს საველე ზედამხედველის წინაშე ("ფუნქციონალური ანგარიში"). გარემოსდაცვითი საველე ოფიცრის სამუშაო მოითხოვს ველზე ყოფნას და სამშენებლო ბანაკებში ცხოვრებას შედარებით ხანგრძლივი პერიოდებით.

მოვალეობები და პასუხისმგებლობები:

გარემოსდაცვითი საველე ოფიცრის მოვალეობებს შეადგენს (არ შემოიფარგლება რა ამით):

ზედამხედველობის განხორციელება საველე გარემოსდაცვით საქმიანობაზე;

კონტრაქტორის საველე საქმიანობის მონიტორინგი და კონტროლი გარემოსდაცვითი კუთხით, კონტრაქტის მოთხოვნების და ESIA-ს ანგარიშში ასახული ვალდებულებების დაცვის თვალსაზრისით;

გარემოსდაცვითი აუდიტის პროგრამების შესრულება, გარემოსდაცვითი და სოციალური სფეროს საველე ზედამხედველის ინსტრუქციების შესაბამისად;

მონაწილეობა გარემოსდაცვითი და სოციალური სფეროს საველე ზედამხედველის მიერ შემუშავებული ტრენინგების პროგრამაში;

სამუშაო პროგრამის შედგენა ისე, რომ ის მაქსიმალურად მოიცავდეს კონტრაქტორის საქმიანობის ყველა სფეროს;

გარემოსდაცვითი და სოციალური სფეროს საველე ზედამხედველისთვის რეგულარული ანგარიშის მიწოდება გარემოს დაცვის სფეროს მოთხოვნების დაცვის მხრივ შექმნილი მდგომარეობის შესახებ და მნიშვნელოვანი საკითხების დაუყოვნებლივ მოხსენება;

პროექტის ESIA-ს ანგარიშის მიხედვით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, როგორიცაა, მაგალითად, წინასამშენებლო დათვალიერება, მონიტორინგის და ანგარიშგების პროგრამა;

გარემოსდაცვითი და სოციალური სფეროს საველე ზედამხედველის ინფორმირება "შეუსრულებლობის" შემთხვევაში, შესაბამისი გაფრთხილებების გაცემა კონტრაქტორის მისამართით;

მილსადენის მარშრუტის კონკრეტულ მონაკვეთზე წარმოქმნილი ლოკალური საკითხების მოსაგვარებლად მითითებების გაცემა;

სამუშაოს წინმსწრები საინსტრუქტაჟო საუბრების გამართვა კონტრაქტორთან, კონკრეტულ გარემოსდაცვით საკითხებზე.

მოთხოვნები:

გარემოსდაცვით სფეროში მუშაობის მინიმუმ სამი წლის გამოცდილება. სასურველია ობიექტზე მუშაობის გამოცდილება მილსადენის პროექტის ფარგლებში;

შესაფერისი სამეცნიერო ან ტექნიკური დიპლომი;

პროგრამების - MS Word, Excel, PowerPoint, Exchange, MS Outlook - კარგად ფლობა;

- კომუნიკაციისა და ადამიანებთან ურთიერთობის დადებითი უნარი;

- კონტრაქტორის პერსონალთან მუშაობის სურვილი და შესაძლებლობა და თვითდაჯერებულობის ისეთი უნარი, რომელიც კონტრაქტორის საველე საქმიანობაზე ზეგავლენას უზრუნველყოფს;

- მოწესრიგებული, პრაქტიკული და პრაგმატული;

- კარგი თანამოსაუბრე, გუნდური სულისკვეთების, თვითმოტივირებული, ტაქტიანი და ავტორიტეტული.

განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა 2003 წლის 17 დეკემბერი, ოთხშაბათი, საღამოს 18.00 საათი.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

კადრების დეპარტამენტი
AGT მილსადენების პროექტი
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38

ცვლოვყბთ

უსტაბაში
ირაკლი ბერიაშვილი

ოპონენტი

ამ კითხვებს თხუთმეტი წელიწადია ვინახავ. იმ დღიდან, როცა პირველად გამოჩნდი მიტინგზე. როგორც მაშინ ამბობდნენ, ირაკლი წერეთელმა მოგიყვანა. პირველი და მთავარი კითხვაც მაშინ გაჩნდა, მაგრამ საოცარი ის არის, ამ ხნის მანძილზე არავის მოსვლია აზრად, ყველას გასაგონად – ან მიტინგზე, ან პრესაში, ანდა, სულაც, ტელეეკრანიდან ეკითხა: "იქნებ მაინც თქვა, ვინ ხარ შენ, ბატონო აკაკი?"

მოდი, დავიწყოთ ბოლოდან, რადგან მთავარი შეკითხვა სულ თავშია და, რადგანაც მთავარია, სულ ბოლოსთვის შემოვინახავ.

მთელი ამ თხუთმეტი წლის მანძილზე ერთხელაც არ მინახიხარ წონასწორობადაკარგული. მუდამ მშვიდი ხარ, თავდაჯერებული. ეგრეთ წოდებული "ვარდების რევოლუციის" შემდეგ კი შენს სატელევიზიო გამოსვლებს უფრო გამოხდომები ჰქვია. ეს ყველაფრით იგრძნობა – გამომეტყველებითაც, ტონითაც, ნათქვამის შინაარსითაც.

რამ აგაღელვა?

ბოლო დღეებში ისეთ რამეებს აბრალებ მიხეილ სააკაშვილს, რაც არ უთქვამს. გადასახადები არ იქნებაო, მიწის გადასახადები უქმდებაო, ნაციონალიზაციას მოვახდენო... აი, ეს ყველაფერი ხელაღებით დააბრალე და თავიც არ შეგიწუხებია, რომელიმე ბრალდებაზე წუთით მაინც შეჩერებულიყავი.

არამკითხე ადვოკატს რომ არ დავემსგავსო, ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ამ წერილის ადრესატი, თუ გნებავთ, სამიზნე, ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარე აკაკი ასათიანია და ნებისმიერი სხვა სახელი და გვარი, მათ შორის, სააკაშვილისაც, აქ მხოლოდ აუცილებლობიდან გამომდინარე შეიძლება მოხვდეს.

რატომ გადაწყვიტე ამ ბრალდებების წაყენება ისეთ ადგილას და იმ დროს, როცა არც ერთი ოპონენტი არ გეჯდა გვერდით? მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ თითოეული შენი ბრალდება მტკნარი სიცრუეა და, ცხადია, გერჩივნა, მაყურებელი მარტო დაგეტოვებინა ამ სიცრუესთან.

წინასაარჩევნო პერიოდის ბოლო ორი კვირა მაინც რამდენიმე სატელევიზიო არხი ინტენსიურად იმეორებდა ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო დაპირებებს: მცირე ბიზნესის ორი წლით გადასახადებისგან გათავისუფლება; გლეხებისთვის მიწის გადასახადის გაუქმება; პენსიების ორჯერ გაზრდა. მე ძალიან ვთხოვ "რუსთავი 2"-ს, თუ, რა თქმა უნდა, ამის საშუალება ექნება, ერთხელ მაინც გაიმეოროს სააკაშვილის ეს დაპირებები. აღმოჩნდება, რომ აკაკი ასათიანმა, ვითომც არაფერიო, ისე გააქრო თითო-ოროლა "უმნიშვნელო" სიტყვა: "წვრილი ბიზნესი", "ორი წლით", "გლეხები". ამ დაპირებებში საერთოდ არ არის ნახსენები "ნაციონალიზაცია". ახლა თუ ვინმეს სადმე რამე გაბრაზებულს წამოსცდა, მაგაზე სერიოზულად ლაპარაკი, ვის ვის და, აკაკი ასათიანის იმიჯის მქონე კაცს ნამდვილად არ ეკადრება. დედას რომ იგინება ადამიანი, რა, ნამდვილად აპირებს მუქარის შესრულებას? ჩვენმა ძვირფასმა ედუარდმა (აფსუს, რა ინგლისურ სახელს აფუჭებს?!) რიხინ-რიხინით რომ შემოიყვანა რუსული კომპანიები, უძლურებისგან ისე გავცოფდი, პირველი, რაც თავში მომივიდა, სწორედ ნაციონალიზაცია იყო. ისე, ჩვენში დარჩეს და, იმის ნაციონალიზაცია, რაც ამ ორმა კომპანიამ დაითრია, ვითომ დიდ უბედურებას მოუტანს ქვეყანას? სულ ახლახან არ იყო, რამდენიმესაუკუნოვანი კაპიტალისტური გამოცდილების მქონე სახელმწიფოში მსგავსი დარგების ნაციონალიზაცია, მერე კი დენაციონალიზაცია რომ მოხდა? თუ დიდ ბრიტანეთში ეგეთი ექსპერიმენტები დასაშვებია, საქართველოში ვინ აკრძალა, მით უფრო მაშინ, როცა ეს დარგები შენი დაუძინებელი მტრის ხელშია ჩავარდნილი!

თუმცა, ალბათ, კმარა ამაზე. ეს რაუნდი პირწმინდად წააგე და, ჯობს, ისევ ჩვენს კითხვა-პასუხს დავუბრუნდეთ.

რატომ? რატომ მაინცდამაინც სააკაშვილს? რატომ მაინცდამაინც ახლა, როცა დანამდვილებით იცი – აუცილებლად გამოგიჭერენ ტყუილში და მხოლოდ იმას გამორჩები, რომ ფასადის დაფხაჭნის მცდელობაში ფრჩხილებიღა დაგემტვრევა. ვითომ ეგეთი თავქარიანი ხარ?

შენ ის კაცი ხარ, რომელიც, მარტივად რომ ვთქვა, წინააღმდეგი იყო დანიშვნების და ემხრობოდა არჩევნებს.

საკუთარი პირით აღიარე, რომ არჩევნები მიხეილ სააკაშვილმა და მისმა პარტიამ თუ მოძრაობამ მოიგო. წელიწადნახევრის წინათ ვამბობდი, რომ ოპოზიციას, თუ ის გაერთიანდა, ნინო ბურჯანაძე უნდა ჩაუდგეს სათავეში-მეთქი. სხვათა შორის, არც ახლა ვარ წინააღმდეგი და სავსებით გეთანხმები, რომ ქალბატონი ნინოს პრეზიდენტობა დანარჩენი მსოფლიოს თვალში იქნებ რაღაცას შეგვმატებდა კიდეც, მაგრამ რა ვუყოთ საყოველთაო წესს, რომლის მიხედვითაც გამარჯვებული პარტიის კანდიდატი უნდა გახდეს პრეზიდენტი, რა ვუყოთ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას, რომელსაც სააკაშვილი უნდა პრეზიდენტად და ბოლოს, რა ვუყოთ შენივე პრინციპებს, რომლის მიხედვითაც ხალხმა უნდა აირჩიოს თავისი გზაცა და პრეზიდენტიც? თუ უკვე გამოიცვალე შეხედულება და ახლა დანიშვნების მომხრედ იქეცი?! დავიჯერო, როცა ამ წინადადებით გამოდიოდი, იმის იმედზე იყავი, რომ ამ ელემენტარულ ალოგიკურობას ვერავინ შენიშნავდა?

ეს ჩემი მესამე შეკითხვაა, რომელიც სულაც არ ცდილობს, შენს უჭკუობაში ანდა არათანმიმდევრულობაში დაარწმუნოს ვინმე. ჩვენ, მე და ჩემი მკითხველი, ახლა მშვიდად მივიკვლევთ გზას ჩემი მთავარი და საბოლოო კითხვისკენ.

დღემდე მიხეილ სააკაშვილი შენთვის მიუღებელი კანდიდატურა იყო. ისე, მართლა საინტერესოა, რადგან ნინო ბურჯანაძეზე უკეე შევთანხმდით, კიდევ ვინ არის მისაღები კანდიდატურები. და, საერთოდ, საპრეზიდენტო კანდიდატად საკუთარი თავის წარდგენა საქართველოს თითოეული მოქალაქის უფლებაა. მედიატორობა რომ გიყვარს, კარგა ხანია ცნობილია, მაგრამ საქართველოს მედიატორად ჯერ არავის აურჩევიხარ. დღემდე მიხეილ სააკაშვილი შენთვის ახალგაზრდა და გაუწონასწორებელი კაცი იყო. დღეის შემდეგ პროვოკატორადაც იქცა. თუ ატყობ, რომ სააკაშვილის შენეული დახასიათება ძალიან ჰგავს იმათსას, ახლა აქა-იქ რომ იკრიბებიან, რაღაც ახალ სახელებს რომ ირქმევენ, სინამდვილეში კი პარტიულ-კომკავშირულ ნარჩენებსა და ხაზინის ქურდებს რომ წარმოადგენენ. ძალიან ჰგავს და ახალი ხელისუფლების რეალურ ოპოზიციადაც იქეცი, მაგრამ შენ იმათთან არ წახვალ. რა უცნაურია, არა? იქ ხომ ერთპიროვნული ლიდერის სტატუსი გარანტირებული გაქვს. შენ არც იქ წახვალ და არც უკან დაბრუნდები. ზუსტად ისე მოიქცევი და იმას გააკეთებ, რასაც აქამდე აკეთებდი. ეგეთ სიტუაციებში ყოველთვის იდექი და იდგები შენთვის განკუთვნილ ადგილზე – გამყოფ ზოლზე ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის.

რას ემსახურება შენი ეს დროდადრო ნეიტრალურობა? დავიჯერო, ისეთი მშიშარა ხარ, რომ ხან ბათუმში გარბიხარ, ხან განზე გადგები ხოლმე იმის მოლოდინში, ვინ აღმოჩნდება ძლიერი? მაგრამ მერე რომ არც ძლიერის მხარეს გადადიხარ? აქედან მხოლოდ იმის დასკვნა შეიძლება, რომ არც არაფრის გეშინია და არც მერკანტილური მიზნები გამოძრავებს.

ყველაფრის ჩამოთვლა ძნელია, მაგრამ საკმარისია, შენს ბიოგრაფიას გადააკლო კაცმა თვალი, აღმოაჩენს, რომ მშიშარა არა ხარ, მაგრამ არც ბრძოლის წინა ხაზზე გინდა ყოფნა, მდიდარი არა ხარ, მაგრამ მაინცდამაინც არც ფულის მოხვეჭის სურვილი გკლავს, ჩუმი, უპრეტენზიო კაცის ცხოვრება არ გხიბლავს, მაგრამ არც პრეზიდენტობა გინდა. პორტრეტი რომ სრული გამოვიდეს, ბარემ ერთ-ორ შტრიხსაც დავამატებ. სიმპათიური ორატორი იყავი, რაღაც შუალედური პარტიულ ლიდერსა და საქართველოს ისტორიის ლექტორს შორის. ხმის ტემბრი და აღნაგობაც ხელს გიწყობდა, რაც ამ საქმეში სულაც არ თამაშობს მეორეხარისხოვან როლს. თუ არ ჩავთვლით ბოლო დღეებს, მერეც ეგეთად დარჩი – დინჯი, მშვიდი, თავდაჯერებული.

ლიტერატურული ნაწარმოების მსგავსად, პოლიტიკოსსაც რამდენიმე პლანი აქვს. აკაკი ასათიანის, როგორც პოლიტიკოსის პირველი პლანი ჭკვიანი პოლიტიკოსია, რომელიც ერთ დროს მონარქიის აღსადგენად იღვწოდა. მეორე პლანზე პასუხისმგებლობიდან მუდამ გარიდებული, ფრთხილი და ეშმაკი კაცი დგას, ერთთავად სიტუაციის გარკვევას რომ ელის. მესამე პლანი კი ის არის, რაც ბევრმა ჯერჯერობით ვერ აღმოაჩინა.

პირველი შტერებისთვის გამიზნული ნიღაბია, მეორე – შედარებით ჭკვიანებისთვის, მთავარი კი, აი, ის მესამე, რომლის შენიღბვასაც ასე გულმოდგინედ ცდილობს ბატონი აკაკი, ის არის, რაც, ჩემი ღრმა რწმენით, მაია ნადირაძის პარტიიდან წასვლის მთავარი მიზეზია.

ბევრმა აღნიშნა და არც მე დამვიწყებია იმის თქმა, რომ ამ ამბების ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო ფაქტი თვითლუსტრაციის მრავალზე მრავალი მაგალითი იყო. განსაკუთრებით სახალისო კი "აღორძინების" თვითაღიარების ფაქტი გამოდგა. საკმარისი იყო, შევარდნაძეს გასჭირვებოდა, რომ ასლანის პარტია მთელი "სასტავით" გადაეფარა მკერდით. აი, გუშინ კი, ხან ერთ, ხან მეორე ტელეარხზე, ღმერთო, რა მესმის! თურმე ეს კაცი სამართალშია მისაცემი. მისი ადგილი არც კრწანისშია და არც ბადენ-ბადენში. ყოფილი პრეზიდენტი, არც მეტი, არც ნაკლები, ციხეში უნდა იჯდეს! ღმერთი და მკითხველია მოწმე, რომ მთელი ამ დავიდარაბის ეგრე გასრულება მაინცდამაინც არ დამაღონებს, მაგრამ "აღორძინება?"

დრო ყველაფრის მკურნალია, მათ შორის, შეცდომებისაც. ახლა თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს თხუთმეტი წელიწადი (იმის იქითა წლებზე ლაპარაკიც არ ღირს) საქართველო იქით მიდიოდა, საითაც არ უნდა ევლო. ყველაფრით იგრძნობა, რომ მარშრუტი გასწორდა. ამას მთელი მსოფლიო ხედავს. ჩვენი პრეზიდენტის ორპირობითა და სიფიცხლით დაღლილი ის ქვეყნები, ერთიმეორის მიყოლებით რომ აგვიქნიეს ხელი, ახლა ერთმანეთს ეჯიბრებიან დახმარების ხელის გამოწვდაში. ეტყობა, მართლა გასწორდა მარშრუტი.

როცა არც ისე კარგად იყო საქმე, როცა ძალიან ცუდად იყო საქმე, მშვიდი, დინჯი და თავდაჯერებული იყავი, ახლა რამ აგაღელვა, ბატონო აკაკი, შენ და ამდენი შეცდომა? ეგეთი აფორიაქებული, დამემოწმება ხალხი, არავის და არასდროს უნახიხარ. და რა არის ის, გულში ასე ღრმად ამოჭრილი მიზანი? ნუთუ დაემუქრა რამე?

ახლა კი ის ბოლო, თავშივე შეპირებული შეკითხვა, რომელიც შეკითხვაც აღარ არის:

შენცა, კაკო?

სტუდენტები არ ცხრებიან

ნინო ცინცაძე

უნივერსიტეტთან დაკავშირებულმა მღელვარებამ, თითქოს, ჩაიარა. რექტორი წავიდა და მოვიდა. ცრემლიანმა სტუდენტებმა საყვარელი დეკანი დაიბრუნეს. თითქოს, ყველა შერიგდა. "კმარამ" არჩევნებამდე მორატორიუმი გამოაცხადა, მაგრამ...

თსუ-ში "კმარიზმი" გრძელდება.

გუშინ, საღამოს უნივერსიტეტის მეორე კორპუსის ერთ-ერთ პატარა აუდიტორიაში სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფმა, კერძოდ კი, ისტორიის ფაკულტეტის სამმა სტუდენტმა - ლევან პაჭკორიამ, ლაშა ბლიაძემ და ბაქარ ბერეკაშვილმა, პრესკონფერენცია მოიწვია. ისინი აცხადებდნენ, რომ არ ისაუბრებდნენ როინ მეტრეველზე, როგორც კონკრეტულ პიროვნებაზე. "**ჩვენი აზრით, რექტორის გადადგომის მოთხოვნა გარდაუვალი პროცესია,** - განაცხადეს მათ, - **მაგრამ, მისი გადადგომით სისტემა არ შეიცვლება - წავა როინ მეტრეველი და მოვა ვიღაც სხვა. თუ სისტემა არ შეიცვალა, არაფერი შეიცვლება.**" ამის გამო, სტუდენტებმა უნივერსიტეტის კონსტიტუციის კანონპროექტი შეიმუშავეს, რომელიც, მათი განცხადებით, ევროპული, ამერიკული და აღმოსავლეთ ევროპის რეფორმირებული უმაღლესების აპრობირებულ მოდელებს ეყრდნობა. კონსტიტუციაში ჩამოყალიბებული იქნება უნივერსიტეტის მუშაობის ადმინისტრაციული და აკადემიური მხარეები, განისაზღვრება უნივერსიტეტის სუბიექტების – სტუდენტების, ლექტორების, ფაკულტეტების, რექტორატის და ა.შ. უფლება-მოვალეობანი.

სტუდენტები თვლიან, რომ უნივერსიტეტის ზრდისა და განვითარებისათვის აუცილებელია უნივერსიტეტის დეცენტრალიზაცია. ფაკულტეტებს უნდა მიენიჭოს ავტონომიურობა, მათ უნდა ჰქონდეთ თავიანთი ბიუჯეტის ქონისა და საქმეების დამოუკიდებლად წარმოების უფლება.

ახლანდელი საუნივერსიტეტო წესდების მიხედვით, რექტორი ყველა ორგანიზაციასა და დაწესებულებაში უნივერსიტეტს, ყოველგვარი რწმუნებულების გარეშე, ერთპიროვნულად წარმოადგენს - იგი განაგებს უნივერსიტეტის მთელ უძრავ-მოძრავ ქონებას, დებს ხელშეკრულებებს, გასცემს მინდობილობებს ქონების სხვისთვის გადაცემის თაობაზე, ხსნის ანგარიშებს საქართველოს და სხვა ქვეყნის ბანკებში და იღებს კრედიტებს. "**ჩვენ ვითხოვთ, დიდი საბჭოს უფლებების გაზრდის ხარჯზე, მკვეთრად შემცირდეს რექტორის უფლებები. დიდ საბჭოში აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ყველა სუბიექტის, მათ შორის, სტუდენტების უფლებაც. დღევანდელი სტუდ-კავშირები და სხვა მსგავსი ორგანიზაციები სტუდენტების წინაშე ადმინისტრაციის მოთხოვნებს გამოხატავენ და არა - პირიქით**". სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფს სურს, ამ წინადადებებით დიდი საბჭოს სხდომაზე შევიდეს და ეს საკითხები საბჭოს წევრებთან ერთად განიხილოს.

სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი ხელმძღვანელს ელოდება

სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი ყველაზე მსხვილი სახელმწიფო ფონდია საქართველოში. მასში თავს იყრის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების მეოთხედი. 328 მილიონი - 1 მილიარდ 400 მილიონიდან – ასეთი გახლდათ ამ სტრუქტურის წლევანდელი წილი სახელმწიფო ბიუჯეტში. ამის გათვალისწინებით და კიდევ იქიდან გამომდინარე, რომ ეს ფონდია ფაქტობრივი პასუხისმგებელი ყველა სახის პენსიის, სოციალური და ჯანდაცვითი პროგრამების დაფინანსებაზე ქვეყანაში, მისი ხელმძღვანელობა განსაკუთრებულ - სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენს.

მაკა ჭაიანი

ირაკლი კოპლატაძე და ზაზა სოფრომაძე

სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორი ირაკლი კოპლატაძე "ვარდების რევოლუციის" მეორე დღეს – 24 ნოემბერს გადადგა. განცხადება გადადგომის თაობაზე მან შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრთან გამართულ ორშაბათის თათბირზე გააკეთა. კულუარული ინფორმაციით, იმ მოტივით, რომ ფონდის გენერალური დირექტორობა პოლიტიკური თანამდებობა არ არის, მინისტრმა ამირან გამყრელიძემ სცადა, ირაკლი კოპლატაძე გადაწყვეტილების შეცვლაზე დაეყოლიებინა, თუმცა - ამაოდ.

მის მოვალეობას დღეს ფონდის გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე დავით გოდერძიშვილი ასრულებს. ასრულებს დროებით, რადგან მასზე, როგორც ირაკლი კოპლატაძის სავარაუდო შემცვლელზე, არავინ საუბრობს. ამის მიზეზი ის პრეტენზიები გახლავთ, რომელსაც ახლა ხელისუფლებაში მოსული ოპოზიცია დავით გოდერძიშვილის მისამართით გამოთქვამდა - თავის დროზე კონტროლის პალატიდან საპენსიო ფონდში მისი გადასვლის შემდეგ. ამ თანამდებობაზე არ განიხილება ირაკლი კოპლატაძის არც ერთი სხვა მოადგილე.

რეალურად, საუბარია ორ პერსონაზე – სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სამეთვალყურეო საბჭოს წარმომადგენელ ზაზა სოფრომაძეზე და თბილისის საკრებულოს წევრ ლევან მეტრეველზე. პირველი, დიდი ხანია, სოციალურ სფეროში მუშაობს; მეორე მოწვევის პარლამენტში იგი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის საპენსიო უზრუნველყოფის ქვეკომიტეტს უძღვებოდა. რაც შეეხება ლევან მეტრეველს, საზოგადოება მას, ძირითადად, სამედიცინო ობიექტების ოპტიმიზაციის საწინააღმდეგო აქციებით იცნობს.

"24 საათთან" საუბარში სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე მათი კანდიდატურების განხილვის ფაქტი ორივე პიროვნებამ უარყო. ლევან მეტრეველი გამორჩეულად კატეგორიული იყო. "**ეს არის აბსოლუტური ტყუილი,** – აცხადებს იგი, - **უნდა გითხრათ, რომ პრინციპულად ვარ წინააღმდეგი მაგ სამსახურში მუშაობის.**" ზაზა სოფრომაძე, რომელიც ამ პოსტზე, კულუარული ინფორმაციით, ყველაზე რეალური კანდიდატია, უბრალოდ, ამ საკითხზე მასთან კონსულტაციების მიმდინარეობას არ ადასტურებს.

მიუხედავად ამისა, იგი აკეთებს კომენტარს სფეროში დაგეგმილი და, ფაქტობრივად, სტარტაღებული რეფორმის თაობაზე. "**რეფორმა, რომელიც სახელმწიფომ ამ სფეროში დაიწყო, რა თქმა უნდა, უნდა გაგრძელდეს, მაგრამ კანონები, რომელიც პარლამენტმა ამ რეფორმის ფარგლებში მიიღო, სერიოზულ კორექტირებას საჭიროებს. ისინი არ შეესაბამება საქართველოს დღევანდელ რეალობას, რამეთუ დამატებით ფინანსურ რესურსს მოითხოვს. არსებული უზარმაზარი დავალიანების ფონზე კი, ამაზე საუბარი არ შეიძლება,**" – ამბობს იგი.

საუბარია კანონთა პაკეტზე, რომელიც 2004 წლიდან უნდა ამოქმედებულიყო. მის საფუძველზე, საქართველოში პენსიები ორ ნაწილად იყოფოდა. იქმნებოდა ყველასათვის ერთნაირი – საბაზისო პენსია და სადაზღვევო ანუ დიფერენცირებული პენსია. ამ უკანასკნელის დაანგარიშება კონკრეტული პირის სამუშაო სტაჟისა და სახელფასო ისტორიის მიხედვით მოხდებოდა. ამბობდნენ, რომ პირველ ეტაპზე მოსალოდნელი იყო პენსიების თანდათანობით ზრდა 14-დან 30 ლარამდე. კითხვას, - რამდენი ხნით გადაიწევს ეს პერსპექტივა, - ჯერ ვერავინ პასუხობს.

სამშობიაროები სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობას ითხოვენ

მეანობის სახელმწიფო პროგრამის გარშემო აჟიოტაჟი მაშინ დაიწყო, როცა ჯანდაცვის მესვეურებმა რადიკალური გადაწყვეტილება მიიღეს და აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეთა რიცხვი თანდათანობით მინიმუმამდე დაიყვანეს. 2003 წლის ტენდერმა სამი გამარჯვებული გამოავლინა – ეროვნული სამედიცინო ცენტრი, "ჩაჩავას" ინსტიტუტი და მეოთხე სამშობიარო, რასაც დანარჩენი სამშობიარო სახლების მხრიდან უკმაყოფილების ტალღა მოჰყვა. საქმე პროტესტის სერიოზულ ფორმებამდეც მივიდა, რის შემდეგაც განსაკუთრებით აქტიური სამი სამშობიარო სახელმწიფო პროგრამას დაამატეს. "რა ვქნათ ჩვენ, დანარჩენებმა?!" – აი, კითხვა, რომელიც სახელმწიფო პროგრამის გარეთ დარჩენილ მეან-გინეკოლოგებს აწუხებთ და, რომელმაც "24 საათის" რედაქციაში მოიყვანა სამშობიარო სახლის შპს "გინეკას" დირექტორი კახა გელაშვილი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მან გუშინ განცხადებით მიმართა შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს ამირან გამყრელიძეს და პარლამენტის მოქმედ თავმჯდომარეს გიგი წერეთელს.

საგაზეთო პუბლიკაცია კი, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, პოზიციების გასამყარებლად მოუმზადებია.

ახალი პოლიტიკური ძალა, რომელიც დღეს ხელისუფლებაშია და, დარწმუნებული ვარ, რომ 4 იანვრისა და საპარლამენტო არჩევნების შემდეგ უმრავლესობით გაიმარჯვებს, ბევრი პრობლემის წინაშე დადგება. უპირველესად, მან უნდა გაამართლოს თითოეული მოქალაქის იმედი, რომ ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვლება, რასაც ყველა იგრძნობს. პირველი რიგის საკითხი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაა, რისთვისაც აუცილებელია ქვეყნის მთლიანი ეკონომიკის გაჯანსაღება და მისი ჩრდილოვანი სფეროდან გამოყვანა. ამისთვის კი საჭიროა სიმართლის თქმა ყველგან და ყველა სფეროში.

სფერო, რომელსაც მინდა შევეხო, არის მედიცინის ერთი დარგი, კერძოდ, მეანობა-გინეკოლოგია. ანუ, ის სფერო, რომელშიც, როგორც ერთერთ საწარმოს ხელმძღვანელი, მეც ვარ დაკავებული. თბილისში სამეანო-გინეკოლოგიის პროფილის 15 სტაციონარი ფუნქციონირებს. მათგან სახელმწიფო პროგრამაში მხოლოდ 6 მონაწილეობს. თავიდან ტენდერში გამარჯვებულად სამი გამოაცხადეს. ხოლო შემდეგ წინსააარჩევნო უკმაყოფილების ჩასაქრობად კიდევ სამი დაამატეს.

ყველასათვის ცნობილია, რომ ამ სამშობიარო სახლებში, სახელმწიფო დაფინანსების პარალელურად, თანაგადახდის პრინციპი მოქმედებს. ზოგან – ლეგალურად, ზოგან - ძირითადად, არალეგალურად. თანაგადახდა ნაანგარიშევია ისე, თითქოს, პაციენტს ათავსებენ კომფორტულ პალატაში, ან სთავაზობენ რაიმე დამატებით მომსახურებას. პაციენტის მიერ გადახდილი თანხა არც აღირიცხება და, ცხადია, არც იბეგრება. ზოგადი ექსპერტული გათვლებით, ამ სფეროში 10-12 მილიონი დოლარის აღურიცხავი თანხა ბრუნავს. მაშინ, როდესაც ფართო საზოგადოებითვის სრულიად უცნობია, როგორ და რა ოდენობით ფინანსდება პროგრამა სახელმწიფო ბიუჯეტის მხრიდან.

ვინაიდან "პოლისიანი" სამშობიარო სახლების დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფოს მხრიდან, არალეგალური გადასახადი პაციენტისთვის უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც, ნაკლებია, "უპოლისო" სამშობიაროებთან შედარებით. ეს ეკონომიური ბერკეტი გადამწყვეტია პაციენტის მიზიდვისათვის. ამ გზით, ბაზრის 90 პროცენტს აკონტროლებენ "პოლისიანი" სამშობიარო სახლები. გასაოცარი კი ის არის, რომ ზოგიერთები ამას არ მალავენ და სარეკლამოდაც იყენებენ, როდესაც აცხადებენ "230-ლარიან ფასდაკლებას მათთვის, ვისაც პოლისი აქვს".

აღნიშნული ვითარება, რა თქმა უნდა, ასეთ სამშობიარო სახლებს აყენებს მონოპოლურ მდგომარეობაში (რატომ დუმს ანტიმონოპოლიური სამსახური?). ამასობაში კი ბაზრის 90 პროცენტის სახელმწიფო სექტორში გადაქაჩვა, უშუალოდ, აზიანებს სახელმწიფოს - ანუ ბიუჯეტს, რადგან ეს ავტომატურად ზრდის დაფინანსების ობიექტის სიდიდეს.

მეტად მნიშვნელოვანია, რომ "არაპოლისიანი" სამშობიარო სახლის შემოსავლები მთლიანად ლეგალურია. პაციენტი იღებს ქვითარს და ის არ დათანხმდება რაიმე გარიგებას მისი ინტერესების საზიანოდ.

სამედიცინო ბაზრის განაწილების არასამართლიანობა გამოიწვევს კერძო სექტორის დაუძლურებასა და მომავალში გაკოტრებას. სახელმწიფომ, როგორც სამართლიანობის გარანტმა უნდა იზრუნოს კერძო სექტორის გაძლიერებაზეც (აქ ხომ მედიკოსთა დიდი ნაწილია დასაქმებული). არსებული ვითარების კარდინალური შეცვლა აუცილებელია ბიუჯეტისათვისაც - მისი ხარჯვითი ნაწილის შემცირებისა და შემოსავლების გაზრდისთვის.

კერძო სტრუქტურების დახმარებისათვის უმარტივესი გზა არსებობს.

პირველი - პოლისებით მომსახურების უფლება მიეცეს თხუთმეტივე სამშობიარო სახლს. ეს მოსპობს ხელოვნურ მონოპოლიას. კერძო სამშობიარო სახლების დატვირთვის ხარჯზე, გაიზრდება საბიუჯეტო შემოსავლები.

მეორე - თბილისში შეირჩეს ერთადერთი სამშობიარო სახლი, რომელსაც ექნება პოლისებით მომსახურების ექსკლუზიური უფლება, მაგრამ ასეთ შემთხვევაში კატეგორიულად უნდა განისაზღვროს ის კონტინგენტი, ვისაც მიეცემა პოლისი - კერძოდ, ლტოლვილები, უმუშევრები, მარტოხელა დედები და ა.შ. ასეთ სამშობიარო სახლს კატეგორიულად უნდა აეკრძალოს ლეგალური და არალეგალური გადასახადის დაწესება. ამ გზით მოსახლეობის 80 პროცენტი გამოვა თავისუფალ, არამონოპოლიზირებულ ბაზარზე, სადაც მომსახურების ხარისხი და ფასები დარეგულირდება ცივილიზებული სამყაროსათვის დამახასიათებელი მექანიზმებით.

რაც შეეხება ბიუჯეტს, აქ სიტუაცია რადიკალურად გაჯანსაღდება. მნიშვნელოვნად შემცირდება მისი ხარჯვითი ნაწილიც იმ თანხით, რომელსაც სახელმწიფო პოლისების განაღდებაზე ხარჯავს. შესაბამისად, გაიზრდება საბიუჯეტო შემოსავლები, რაცა არალეგალური გადასახადების აღრიცხვა მოხდება. აღნიშნული გადაწყვეტილებიდან, ალბათ, უფრო მისაღები მეორე გზაა, რომელსაც აუცილებლად გამოუჩნდება მოწინააღმდეგე, მაგრამ კომპრომისების დრო აღარაა. ხალხი ელოდება რეალურ ცვლილებებს. სათანადო ნების არსებობის შემთხვევაში, თუ ბიუროკრატიას არ მივეცით ძველებული მენტალიტეტით ცხოვრების საშუალება, მაშინ საკითხის გადაწყვეტას წინ ვერაფერი დაუდგება. დღევანდელმა ხელისუფლებამ უნდა გვაჩვენოს, რომ ზრუნავს ხალხზე, ბიუჯეტსა და ჯანსაღი ბიზნესის კლიმატის შექმნაზე.

ჯანმრთელობის დაცვის სისტემა ისტორიულად კონსერვატიულია და მძლავრი ბიუროკრატია ჰყავს. რეფორმები ძნელად და მტკივნეულად ხორციელდება. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს, ჯანდაცვას თვითონ სჭირდება ახალი სისხლის გადასხმა.

მე ვიცი, ბატონი ამირან გამყრელიძე რამდენად დიდი რეფორმატორია და ისიც, რომ, მისი პირადი აქტიურობის გარეშე, ეს საქმე ვერ დაიძვრება.

კახა გელაშვილი,
შპს "გინეკას" დირექტორი

მეანაბრეები უკან არ იხევენ

ნანა ქადაგიშვილი

დაზარალებული მეანაბრე ემზარ გრიგოლია 1998 წლიდან საკონსტიტუციო სასამართლოში დაწყებულ საქმეს წელს საოლქო სასამართლოში აგრძელებს. გუშინ საოლქო სასამართლოს მის მიერ "გაერთიანებულ ქართულ ბანკისა" და ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი უნდა განეხილა, მაგრამ, მოპასუხე მხარის გამოუცხადებლობის გამო, პროცესი გაურკვეველი ვადით გადაიდო. "**მოსამართლე ახალი პატრონის მითითებას ელის და გადაწყვეტილების გამოტანას ამიტომაც აჭიანურებს,**" – აცხადებს ემზარ გრიგოლია.

პრეზიდენტის 1997 წლის №716 ბრძანებულებით, სახელმწიფომ მეანაბრეთა სსრკ-ს შემნახველ ბანკებში შეტანილი თანხა შიდა ვალად აღიარა. აღნიშნული ბრძანებულების მიხედვით, მეანაბრეს, ვისაც თანხა 1992 წლამდე ჰქონდა შეტანილი, პირველ ათას მანეთზე 100 ლარი უნდა მიეღო, დანარჩენ 1000 მანეთზე კი – 10 ლარი. ემზარ გრიგოლიამ 1998 წელს საკონსტიტუციო სასამართლოში პრეზიდენტის ბრძანებულების გაუქმება მოითხოვა. სასამართლომ მისი სარჩელი მხოლოდ მესამე პროცესზე დააკმაყოფილა. პრეზიდენტი იძულებული გახდა, აღნიშნული ბრძანებულება ძალადაკარგულად გამოეცხადებინა. ამის შემდეგ გამოიცა პრეზიდენტის №238 ბრძანებულება, რომლის თანახმადაც, ანაბრების ანაზღაურების წესი სპეციალურ სახელმწიფო კომისიას უნდა განესაზღვრა, მაგრამ აღნიშნული კომისია დღემდე არ შექმნილა. ემზარ გრიგოლიამ წელს სარჩელი საოლქო სასამართლოში შეიტანა. იგი ამ კომისიის შექმნას, "გაერთიანებული ქართული ბანკისგან" კი, როგოც სსრკ-ს შემნახველი ბანკის სამართალმჭვიდრისგან, ანაბრების დაბრუნებას მოითხოვს. "**გაერთიანებულმა ქართულმა ბანკმა" მეანაბრეებზე რიცხული თანხები იმ კურსით უნდა დაგვიბრუნოს, რა კურსითაც შევიტანეთ. იმ პერიოდში ერთი ამერიკული დოლარი 0,56 სსრკ მანეთი ღირდა - ანუ ერთ მანეთზე ბანკმა 2 დოლარი უნდა გადაგვიხადოს,**" – აცხადებენ მეანაბრეები.

ფინანსთა სამინისტრო დღევანდელ პირობებში მათი მოთხოვნის შესრულებას შეუძლებლად მიიჩნევს. ემზარ გრიგოლიამ ჯერჯერობით იმას მიაღწია, რომ სასამართლომ მენაბრეთა ვალის გადახდის წესის განსაზღვრისთვის განმეორებითი ექსპერტიზა დანიშნა. გრიგოლია უკან არ იხევს და 5 წლის წინათ დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანას აპირებს.

ორი სიტყვით

თბილისი. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე საკვირაო ქადაგებაში კიდევ ერთხელ შეეხო უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს. პატრიარქმა სინანული გამოთქვა, რომ ბევრ ქართველს იძულებით უწევს უცხოეთში ცხოვრება. უწმინდესმა მოუწოდა მ

ორი სიტყვით

თბილისი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში მდებარე სალარო გუშინ, ნაშუადღევს, რამდენიმე დაუდგენელმა პირმა დააყაჩაღა. წაღებულია 50.000 ლარამდე თანხა. პირველადი მონაცემებით დგინდება, რომ აღნიშნულ ფაქტს თვითმხილველები ჰყავს - მოლარე და მისი ვაჟიშვილი, მაგრამ მათი საუბრის შედეგად გაირკვა, რომ ისინი ზუსტად ვერ აღწერენ ყაჩაღობის მონაწილეებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის მე-5 საპყრობილეში ნარკოტიკული ნივთიერება ოპიუმის შეტანას ცდილობდნენ. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის წარმომადგენლის თქმით, მე-5 საპყრობილის უსაფრთხოების სამსახურში არსებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ამავე საპყრობილის დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა საპყრობილის ტერიტორიაზე დააკავეს ვაჟა თურმანიძე საპყრობილეში მყოფი ერთ-ერთი პატიმრისთვის ნარკოტიკული ნივთიერება ოპიუმის გადაცემას ცდილობდა. აღნიშნული ნარკოტიკული საშუალება - 2,55 გრამის ოდენობით, მას კბილის პასტის კოლოფში ჰქონდა მოთავსებული. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მოკვლევას თბილისის მე-5 საპყრობილისა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უსაფრთხოების სამსახურები აწარმოებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის კრიმინალური სამსახურის ჩრდილოეთის რეგიონული სამმართველოს თანამშრომლებმა გუშინწინ, ღამით, ერგნეთიდან მომავალი „ლაზის“ მარკის ავტობუსი დააკავეს, რომელსაც სხვადასხვა შერეული საქონელი გადაჰქონდა. ავტომანქანის მძღოლს სათანადო დოკუმენტაცია არ აღმოაჩნდა, რის გამოც ავტობუსი გორის ტრანს-ტერმინალ-2-ის ტერიტორიაზე გადაიყვანეს. კრიმინალური სამსახური ამჟამად მოკვლევას ანარმოებს, გაურკვეველია ტვირთის მფლობელის ვინაობაც. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს მიერ დადგინდა, რომ სააქციო საზოგადოება “საქართველოს საფოსტო ბანკის” საბურთალოს ფილიალში ეკონომიკური საქმიანობის ამსახველი საბუღალტრო საქმიანობა არსებული კანონმდებლობის დარღვევაა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველომ დაადგინა, რომ აღნიშნული ფილიალი და მისი კვანძგარეთა საოპერაციო სალაროები, რომლებიც დევნილთა შემწეობის თანხების მიღება-გაცემის ოპერაციებს ახდენდა, თბილისში, ზუგდიდა და წალენჯიხაში ფუნქციონირებს ეროვნულ ბანკში სათანადო რეგისტრაციის გარეშე. მათ არ გააჩნიათ ლიცენზია, მოლარეებს კი არ მიუღიათ სათანადო კვალიფიკაცია. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოში ყაყაჩოს თესლის ყველა ჯიშის იმპორტი და რეალიზაცია აკრძალულია. მიუხედავად ამისა, ბაზრობებზე ეს პროდუქცია ფარულად მაინც იყიდება. ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის გელა ლეჟავას განცხადებით, ბაზრებს პოლიცია აკონტროლებს, რომელიც, ჯერჯერობით, რეალიზაციის ადგილების დადგენას ცდილობს. არ არის გამორიცხული უახლოეს დღეებში რეალიზატორებიც დაკავონ. ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში საქართველოში შეტანილი ყაყაჩოს თესლის ყველა ჯიშის გამოკვლევა ჩატარდა. ამ პროდუქციაში დიდი ოდენობით ოპიუმის შემცველობა გამოვლინდა. იგივე შედეგები უშიშროების სამინისტროს მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამაც აჩვენა. ინსტიტუტის დირექტორი არ გამორიცხავს, რომ ეს შეიძლება, სპეციალურად გამოყვანილი, ოპიუმის დიდი ოდენობის შემცველი ჯიშებია. ყაყაჩოს თესლი, რომელსაც კულინარული მიზნებით იყენებენ, ოპიუმს ან საერთოდ არ შეიცავს, ანდა მასში ოპიუმი ძალიან მცირე რაოდენობითაა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისში, თამარაშვილის ქუჩაზე მცხოვრები 67 წლის ფაცი დარსანია და მისი ქალიშვილი, 32 წლის ეკა დარსანია გაზის გაყონვის შედეგად გარდაიცვალნენ. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ცნობით, შემთხვევა 5 დეკემბერს, ღამით მოხდა. გაზის მილსადენის გაუმართაობის მიზეზებს თბილისის ვაკე-საბურთალოს პროკურატურა დაადგენს, რომელმაც ამ ფაქტის გამოძიება დაიწყო. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. 17 წლის მიხეილ მეშველიანი, 17 წლის ირაკლი კოპალიანი და 21 წლის მამუკა მუშკუდიანი პოლიციელებმა ძარცვის ბრალდებით 6 დეკემბერს დააკავეს. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს პრესსამსახურის ცნობით, მათ ბრალად ედებათ 6 დეკემბერს, 01 საათზე, სუხიშვილის ქუჩაზე მდებარე სავაჭრო ჯიხურის გაძარცვა. ყაჩაღებმა გამყიდველ ლეილა ცინცაძეს ჯიხურიდან სხვადასხვა პროდუქტები ფიზიკური ძალის გამოყენებით წაართვეს. **მედია-ნიუსი**

საგზაო პოლიცია ნოვაციების მოლოდინშია

“ფოთიდან წითელ ხიდამდე მძღოლმა საქართველოს გზებზე უსაფრთხოდ და მარტივად უნდა იმგზავროს”, - ასეთი გახლავთ საქართველოს საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს ახალი უფროსის, პროფესიონალი ავტომობილისტისა და წლების მანძილზე საავტომობილო ფედერაციის გენერალური მდივნის თანამდებობაზე ნამსახურევი შალვა ოგბაიძის აზრი, მომავალი გეგმების შესახებ.

შალვა ოგბაიძე მოვალეობის შესრულებას შეუდგა.

რამდენიმე თვის წინათ პოლიციასთან პრობლემების მქონე შალვა ოგბაიძე გუშინ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით თოდუამ საგზაო პოლიციის პირად შემადგენლობას მათი ახალი ხელმძღვანელის სახით წარუდგინა. თავად საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს ახალი უფროსი, რომელიც ამ ზაფხულს იარაღის უკანონოდ შენახვის ბრალდებით იმ პოლიციამ დააკავა, რომელსაც თბილისის საკრებულოს ტრიბუნიდან იგი ხშირად აკრიტიკებდა, ახლა ამბობს, რომ მისი კრიტიკის ობიექტები არასოდეს ყოფილან რიგითი პოლიციელები.

“ეგრეთ წოდებული ორლარიანი ინსპექტორები ისეთივე დაუცველები არიან, როგორც ყველა ის მძღოლი, რომლებსაც გზებზე სხვადასხვა მიზეზით პრობლემები ექმნებათ,” - განაცხადა გუშინ შალვა ოგბაიძემ და “ორლარიან ინსპექტორებს” მათი ინტერესების დაცვა აღუთქვა:

“თანამებრძოლად მიგულეთ. დარწმუნებული ვარ, რომ ძველი გამოცდილება ახალი ამოცანების შესრულებას გამოადგება, თუმცა ყველას ვაფრთხილებ – მოთხოვნებიც სამკაოდ მკაცრი იქნება,” - ასე მიმართა დედაქალაქის საკრებულოსთან შექმნილი საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კომისიის აწ უკვე ყოფილმა თავმჯდომარემ შალვა ოგბაიძემ თავის ამჟამინდელ ქვეშევრდომთ.

მაინც როგორი უნდა იყოს საგზაო პოლიცია? ახალ უფროსს მისი თვალით დანახული იდეალური საგზაო პოლიციის დემონსტრირებისთვის დასავლეთის ავტობანების მაგალითი მოჰყავს: **“იქ როდესაც მანქანით მოძრაობ, საგზაო პოლიციელებს საერთოდ ვერ ამჩნევ; სამაგიეროდ, ისინი ყოველთვის ჩნდებიან იქ, სადაც საჭიროება მოითხოვს.”**

ახალდანიშნულ უფროსს უკვე დაგეგმილი აქვს რამდენიმე კონკრეტული ღონისძიება, რომელსაც საგზაო პოლიციაში პირველ რიგში გაატარებს.

პირველი, ეს გახლავთ თანამშრომელთა წახალისების პრაქტიკის შემოღება. უპირველეს ყოვლისა, მადლობას დაიმსახურებენ ის საგზაო ინსპექტორები, რომლებიც საქართველოს გზებზე წესრიგის დამყარებას პრესტიჟულნორმრიანი კანონდამრღვევი მანქანების გამოვლენით დაიწყებენ.

გარდა ამისა, ოგბაიძის აზრით, უნდა გამარტივდეს ტექდათვალიერების პროცესი და დაიხვეწოს სანომრე ნიშნების გაცემა. **“პირველ რიგში, ნომრების გაცემა ამ სამმართველოს შენობიდან უნდა იქნეს სხვაგან გადატანილი. ნაღდი ფულის ტრიალი ამ სამსახურში, როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით, უნდა დასრულდეს,”** - მრავალმნიშვნელოვნად აღნიშნა გუშინდელ შეხვედრაზე შალვა ოგბაიძემ.

როგორ შეცვლის პროფესიონალი ავტომობილისტის და პირველი არაპოლიციელი უფროსის დანიშვნა საგზაო პოლიციაში არსებულ უმძიმეს სიტუაციას, მომავალი გვიჩვენებს. ფაქტია, რომ გუშინდელ შეხვედრაზე მის წარმატებაში ერთი ადამიანი მაინც იყო დარწმუნებული. ეს შს მინისტრის მოადგილე დავით თოდუა გახლდათ.

“დარწმუნებული ვარ, რომ უახლოეს მომავალში საქართველო უნივერსალურ საგზაო პოლიციას მიიღებს,” - დაასკვნა თოდუამ საგზაო პოლიციის ახალი შეფის წარდგენის დასასრულს.

24 საათი

„ის, რაც ცხრა წლის განმავლობაში არ გაკეთებულა, რამდენიმე დღეში ვერ გაკეთდება”

ხათუნა ჭანგირაშვილი

“დამნაშავეთა სამყარო გააქტიურებულია და რეაგირებს იმ პოლიტიკაზე, რომლის გატარებასაც შს სამინისტრო ცდილობს. ჩვენ ბრძოლას დამნაშავეობის წინააღმდეგ არ შევწყვეტთ, უკან არ დავიხევთ და დამნაშავეთა შემოტევას ჩვენი სწორად გადადგმული ნაბიჯებით ვუპასუხებ”, - აცხადებს შინაგან საქმეთა ახალი მინისტრი. შს მინისტრი გია ბარამიძე პოლიციის ხელმძღვანელებს ნარკორეალიზატორების წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურებას ავალებს.

“სამინისტროში მოსვლის პირველივე დღეს ნარკომანიას ბრძოლა გამოვუცხადე. არ ვაპირებ, შევეგუო ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის გაიგივებას ნარკოტიკების მომხმარებლების დაკავება-დაჯარიმებასთან. არავის ეგონოს, რომ უნდა ებრძოლოს ნარკომანს, ავადმყოფს. უმკაცრესი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ ნარკოტიკების გამსაღებლებს. ვაფრთხილებ ყველა მაღალჩინოსანს, რომ არც ერთი მათგანი არ დარჩება თანამდებობაზე, თუკი არ გამოუცხადებენ სერიოზულ ბრძოლას ნარკორეალიზატორებს. მე არ დავუშვებ, რომ ეგრეთ წოდებული “პრაკოლებისათვის” ხალხს იჭერდნენ და ფულს სძალავდნენ“, - იმუქრება ახალი მინისტრი და ხელქვეითებს ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად მცირე დროს აძლევს. ერთი სიტყვით, შინაგან საქმეთა სამინისტროში გუშინ საგანგებოდ ჩატარებულ ბრიფინგზე ახალი მინისტრი ბოლო დროს მომხდარ არც ერთ გახმაურებულ და რეზონანსულ საქმეს არ შეხებია. რამდენიმე წუთიანი გამოსვლით გია ბარამიძე მხოლოდ ნარკორეალიზატორებისა და ეგრეთ წოდებული კრიმინალური ავტორიტეტების პრობლემით შემოიფარგლა.

“ჩვენ სერიოზული ბრძოლა გამოვუცხადეთ კრიმინალურ ავტორიტეტებს, რომლებიც ამა თუ იმ დანაშაულის უკან დგანან. დაკავებულია დამნაშავეთა სამყაროს ერთ-ერთი ავტორიტეტი რეზო ლალიაშვილი. დაკავებისას ლალიაშვილს 34 ე.წ. ჩეკი ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი და “ჩეზე”-ს სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი აღმოაჩნდა. ის დამნაშავეთა სამყაროში ცნობილი ავტორიტეტი და ნარკოტიკების გამსაღებელია“.

მინისტრის ინფორმაციით, დუშეთის საგზაო საგუშაგოსთან, სამართალდამცველებმა კიდევ ერთი კანონიერი ქურდი, მეტსახელად - “ხუჭუჭა” დააკავეს, რომელსაც დიდი რაოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება “მეტადონი” აღმოაჩნდა.

გია ბარამიძის ინფორმაციითვე, გუშინ ნაკრობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა შპს “თერგის” ბაზრობიდან 102 კილოგრამი ყაყაჩოს თესლი ამოიღეს.

ბრძოლა, რომელიც ჩვენ დავიწყეთ, გრძელდება, ყველა დამნაშავე დაისჯება. თუმცა, ნურავის ჰგონია, რომ ქვეყანა 2-3 კვირაში გათავისუფლდება კრიმინალებისგან. ის, რაც ცხრა წლის განმავლობაში არ გაკეთებულა, რამდენიმე დღეში ნამდვილად ვერ გაკეთდება”, - აცხადებს გია ბარამიძე.

რკინიგზის დეპარტამენტთან დაკავშირებით ახალი საქმე აღიძრა

თამარ კაკიტაძე

ხავერდოვანი რევოლუციის შემდეგ გამოღვიძებულმა პროკურატურამ მტკვერი გადაფერთხა წლების წინ აღძრული სისხლის სამართლის საქმეებს და რამდენიმე დღის განმავლობაში აღნიშნულ საქმეებზე საუბრით საზოგადოებაზე გარკვეული შთაბეჭდილებაც მოახდინა. თუმცა, ამდენი ხნის შემდეგ სამართალდამცველები რამდენად წარმატებულად შეძლებენ თავის დროზე აჟიტირებული და მათივე ხელით მიჩუმათებული საქმეების მართლმსაჯულებამდე მიტანას, ძნელი სათქმელია.

გენერალურ პროკურატურაში რკინიგზის დეპარტამენტთან დაკავშირებული კიდევ ერთი საქმე აღიძრა.

ძველი, მაგარამ აქტუალური საქმეების პარალელურად გენპროკურატურაში გუშინ ახალი სისხლის სამართლის საქმეც აღიძრა. მიმართულება იგივეა - გენპროკურატურა რკინიგზის დეპარტამენტის ირგვლივ ტრიალებს და ახალ-ახალ დანაშაულებსაც პოულობს. საქმე ამჯერად რკინიგზის დეპარტამენტის ფილიალს - “საბავშვო რკინიგზას”, საზოგადოებისთვის კარგად ცნობილ “მუშტაეთის ბაღს” ეხება.

გენპროკურატურის მტკიცებით, რამდენიმე დღის წინ მსოფლიოში უნიკალური საბავშვო რკინიგზის ადმინისტრაციული შენობა კანონის უხეში დარღვევით, ჩალის ფასად გადავიდა კერძო მესაკუთრეთა ხელში.

“საბავშვო რკინიგზის” ოთხსართულიანი ადმინისტრაციული შენობა აუქციონზე მიმდინარე წლის 24 ნოემბერს გაიყიდა. დააკვირდით, საკმაოდ მნიშვნელოვანი ობიექტი ხავერდოვანი რევოლუციის შემდეგ აჩქარებული ტემპით იყიდება და იგი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “ზემელის” საკუთრება ხდება,” – განაცხადა გუშინ სპეციალურად აღნიშნული საკითხისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე გენპროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილემ პაატა ჯაველიძემ.

ჩვენი ინფორმაციით, თავდაპირველად, რკინიგზის დეპარტამენტს სურვილი ჰქონდა “მუშტაეთის ბაღი” მთლიანად გაეყიდა, მაგრამ ასწლიანი “საბავშვო რკინიგზის” კერძო მესაკუთრისთვის გადასაცემად კულტურის სამინისტრომ შესაბამისი თანხმობა არ გასცა. გამოსავალი ადმინისტრაციული შენობის დამოუკიდებლად გაყიდვაში გამოინახა.

“მუშტაეთის ბაღის” ადმინისტრაციული შენობა, ერთი შეხედვით, კანონის დაცვით გასხვისდა. რკინიგზის დეპარტამენტს დაქვემდებარებული ობიექტი ჯერ ქონების დაცვის სამინისტროს გადაეცა, მოგვიანებით იგი საპრივატიზაციო ნუსხაში მოხვდა და აუქციონიც გამოცხადდა. ასევე კანონის თანახმად გამოცხადდა შენობის საწყისი ღირებულება – მილიონ 200 ათასი დოლარი (ეკვივალენტი ლარებში), მაგრამ პირველ აუქციონზე აღნიშნული თანხის გადამხდელი კლიენტი, რატომღაც, არ მოიძებნა. განმეორებით აუქციონებზე კი გასაყიდმა ღირებულებამაც შესაბამისად დაიკლო. საბოლოოდ, “საბავშვო რკინიგზის” ოთხსართულიანი ადმინისტრაციული შენობა მესამე აუქციონზე 60 ათას დოლარად შპს “ზემელმა” შეიძინა, რომლის დირექტორიც ივანე ირაშვილია. ვინ დგას დასახელებული შპს-ს უკან, გამოძიებისთვის ამ ეტაპზე უცნობია. აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება - ჯერჯერობით დაუდგენელი მიზეზით, გამოძიებაში არსებული მასალების თანახმად, ობიექტის გაყიდვა ყველანაირი კანონის დარღვევით დავალებული ჰქონდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის დეპარტამენტს, რომელმაც დაკისრებული მოვალეობა პირნათლად შეასრულა.

“ობიექტის პრივატიზაციისას უამრავი კანონდარღვევა გამოიკვეთა, რაც პირდაპირ კავშირშია ქონების მართვის და რკინიგზის დეპარტამენტის თანამშრომლების დანაშაულებრივ ქმედებასთან. რამდენიმე მათგანის ბრალეულობა უკვე დადგენილია და რამდენიმე დღეში მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმეც აღიძვრება”, - თქვა საქმის გამომძიებელმა ემზარ ღარიბაშვილმა.

ერთი სიტყვით, გენერალურ პროკურატურაში რკინიგზის დეპარტამენტთან დაკავშირებული კიდევ ერთი საქმე აღიძრა. მივა თუ არა მისი გამოძიება თავად დეპარტამენტის ყოფილი უფროსის აკაკი ჩხაიძის ბრალეულობამდე, წინასწარ ძნელი სათქმელია. ამ ეტაპზე პროკურატურა ჩხეიძის დანაშაულებრივ ქმედებაზე პირდაპირ მინიშნებას არ აკეთებს. დეპარტამენტის ყოფილი უფროსის ბრალეულობაზე საუბარი ნაადრევია იმ ძველ საქმეებშიც, რომელსაც უშიშროების სამინისტრო იძიებს.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე გაიელვა კონტროლის პალატის თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის გვარმაც. გენპროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილის ინფორმაციით, თბილისის პროკურატურა ენერგეტიკის საქმეებს იძიებს, სადაც საუბარია ბიუჯეტიდან რამდენიმე მილიონი ლარის დატაცებაზე. ჯაველიძის მტკიცებით, სწორედ აღნიშნულ საქმეებში იკვეთება კონტროლის პალატის თანამშრომლების ბრალეულობა, რაც შესაძლებელია ხელმძღვანელ მუშაკებამდეც მივიდეს.

ჯოხთაბერიძის სავხოვრებელ კორპუსში დადებული ხელყუმბარა არ აფეთქდა

გუშინ, გამთენიისას, ატენის ქუჩაზე, ედუარდ შევარდნაძის შვილის მანანა შევარდნაძისა და მისი მეუღლის გია ჯოხთაბერიძის სახლის სადარბაზოში ხელყუმბარა აღმოაჩინეს. ხელყუმბარა მესამე სართულზე იყო დადებული. შევარდნაძე-ჯოხთაბერიძის ოჯახი კი მეექვსე სართულზე ცხოვრობს.

გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, უშიშროების სამინისტროს გამნაღმველები ატენის ქუჩაზე მას შემდეგ მივიდნენ, რაც მანანა შევარდნაძეს ანონიმმა ტელეფონით აცნობა, რომ მისი სახლი დანაღმული იყო. თუმცა გავრცელდა სხვა ინფორმაციაც, რომ საეჭვო ნივთი მესამე სართულზე ჯოხთაბერიძის მეზობელმა შენიშნა და სწორედ მან აცნობა სამართალდამცველებს.

როგორც სამართალდამცველები ამბობენ, ატენის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში ნაღვერდოვან ხელყუმბარას, რომელსაც სასწრაფოდ ჩაუტარდა ექსპერტიზა, დამცავი ამოცლილი ჰქონდა და წებოვანი პლასტირით იყო დაფარული. ექსპერტთა განმარტებით, ეს იმას ნიშნავს, რომ ხელყუმბარა მოქმედებაში მალევე მოვიდოდა. თუმცა ეს არ მოხდა იმიტომ, რომ მასზე დამაგრებული ანთებული სანთელი, რომელსაც მოქმედებაში უნდა მოეყვანა ხელყუმბარა, ნიავმა ჩააქრო.

ჯერჯერობით, პროკურატურაში ვერ აკონკრეტებენ, აქვს თუ არა პირდაპირი კავშირი ინციდენტს ექსპრეზიდენტის ქალიშვილისა და სიძის ოჯახთან. ვაკე-საბურთალოს რაიონის საგამოძიებო ნაწილში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე სხვისი ქონების განზრახ განადგურების მცდელობის მუხლით. საქმეზე მოკვლევას უშიშროების სამინისტრო ატარებს.

24 საათი

ორი სიტყვით

თბილისი. პიროვნების უშიშროებისა და საკუთრების დაცვის სამსახურის „კარდინალის“ თანამშრომელი, 24 წლის კობა ქუმარიტაშვილი, 21 წლის გოჩა ყულბერაშვილთან ერთად, ყაჩაღობის, ავტომანქანისა და ადამიანის გატაცების ბრალდებით პოლიციელებმა 6 დეკემბერს დააპატიმრეს. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ცნობით, ყულბერაშვილმა და ქუმარიტაშვილმა, რომლებიც საფანტის ტიპის პისტოლეტით იყვნენ შეიარაღებულნი, თემქის დასახლებაში 46 წლის დავით გელაშვილს ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით ავტომანქანა „ოპელ-ომეგა“ წაართვეს და თვითონ ამავე მანქანის საბარგულში „ჩაკეტეს“. მათ მანქანის გატაცების შემდეგ, ძარცვის მიზნით, ავტომანქანაში ძალის გამოყენებით ჩასვეს 27 წლის მამუკა მაჩიტიძე, მოგვიანებით კი ავტოვარია მოახდინეს. თბილისის გლდან-ნაძალადევის რაიონის პოლიციელებმა ისინი ამ ავარიის შემდეგ დააკავეს. მათგან ამოღებულია საფანტის ტიპის პისტოლეტი „გოლდ-სტარი“. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გასული კვირის განმავლობაში თბილისის რაიონულმა პოლიციის განყოფილებმა 34 დანაშაული აღრიცხეს. მათ შორის: 5 - ჯანმრთელობის დაზიანების, 8 - ძარცვის, 2 - ყაჩაღობის, 3 - ქონების განზრახ განადგურების, 1 - თაღლითობის, 1 - ხულიგნობის, 7 - ქურდობისა და სხვა ფაქტები. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ცნობით, გასულ კვირას დაკავებულია ოთხი დანაშაულებრივი ჯგუფი ცხრა პირის შემადგენლობით, რომელმაც შვიდი დანაშაული ჩაიდინა. ამ ჯგუფებს შორის არის ქურდებისა და მძარცველების ჯგუფი. გამოვლენილია ნარკოდანაშაულის 20 შემთხვევა, მათ შორის ხუთზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. ზოგ შემთხვევაში ნარკოტიკების მომხმარებლები სასამართლომ დააჯარიმა. ამოღებულია 150 გ ნარკოტიკული ნივთიერება მარიხუანა, 0.8 გ - ოპიუმი და 3.6 მგ ოპიუმის ნაყენი, რომელიც ყაყაჩოს თესლისგან იყო დამზადებული. გასულ კვირას ამოიღეს ერთი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და ერთი პისტოლეტი 30 ვაზნით. დაკავებულია შვიდი ძებნილი. საგზაო პოლიციელებმა დედაქალაქში საგზაო წესების დარღვევისათვის 944 მძღოლი დააჯარიმეს. პოლიციელებმა 37 უზედამხედველო მოზარდი აღმოაჩინეს. მათი ნაწილი შშობლებს ჩააბარეს, ხოლო ნაწილი გლდანის არასრულწლოვანთა მიმღებ გამანაწილებელში მიიყვანეს. **მედია-ნიუსი**

პანკისური კვალი ქართველი ბანკირის გატაცებაში

პირველი გვერდიდან

გუშინწინ სოფელ ხალაწანში დაკავებულმა თენგიზ ხანგოშვილმა კანონდამცველებს დეტალური ჩვენება მისცა. **”ორი თვის მანძილზე პირადად მე ვდარაჯობდი გატაცებულ ესპანელ ბიზნესმენებსა და პიტერ შოუს,”** – განუცხადა მან სამართალდამცველებს და პანკისის ხეობაში მომხდარი ყველა რეზონანსული გატაცება აღიარა, გარდა მამა ბასილ მაჩიტაძის გატაცებისა.

გუშინწინ პანკისში დაკავებული ადამიანის გამტაცებელი გაძლიერებული სპეცბადრაგით თბილისში, უშიშროების სამინისტროს იზოლატორში გადმოიყვანეს, სადაც მისი დაკითხვა კვლავ გაგრძელდა. როგორც გითხარით, მან მისი ჯგუფის მიერ ჩადენილი გახმაურებული დანაშაულების შესახებ დეტალური აღიარებითი ჩვენება მისცა გამომძიებლებს; სხვათა შორის, მისმა გულახდილობამ სამართალდამცველები გააკვირვა კიდეც.

თენგიზ ხანგოშვილის განცხადებით, ისინი იყვნენ შემსრულებლები და გარკვეული პერიოდი გატაცებული ტყვეების “შემნახავის” ფუნქციას ასრულებდნენ. მისივე ჩვენებით, გატაცებულ მძევალთა შენახვის საქმეში ჩენი კრიმინალები და ბაქოელი ადამიანის გამტაცებლები - ძმები ახმადოვებიც იყვნენ ჩართულნი, რომლებზეც ესპანელი ბიზნესმენების გადაყიდვა მოხდა. თენგიზ მარგოშვილმა დაასახელა შემკვეთთა ვინაობაც. იმ ქართველ მაღალჩინოსანთა გვარები, რომლებიც ორგანიზატორობდნენ ესპანელი ბიზნესმენების, ინგლისელი პიტერ შოუსა და სხვა გატაცებებს.

”კაკო” – 24 წლის, 1 70 სმ სიმაღლის, შავგვრემანი, ჩასხმული, ძლიერი აღნაგობის, ”სანის” (ვეფხია მარგოშვილი – რედ.) ბიძაშვილი. მისი მამა და ძმა მოსკოვში ბიზნესმენები არიან” - თენგიზ ხანგოშვილის შესახებ უშიშროების სამინისტროში ასეთი მონაცემები იდო. ხანგოშვილის დაკავება ესპანელი ბიზნესმენების მიერ მიცემული ჩვენების საფუძველზე მოხდა. როგორც ცნობილია, თბილისში ჩამოსულმა ყოფილმა ტყვეებმა ფოტოსურათზე ამოიცნეს მათი გამტაცებლები, მათ შორის ”კაკო” – თენგიზ ხანგოშვილიც.

უშიშროების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის ბიუროს დირექტორის ნიკა ლალიაშვილის ინფორმაციით, სამინისტრო ფლობს ასევე კონკრეტულ ინფორმაციებს გამტაცებელთა ჯგუფის სხვა წევრების შესახებ, რომელთა იდენტიფიკაცია უკვე დასრულებულია და მიმდინარეობს აქტიური ღონისძიებები მათ დასაკავებლად.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, უშიშროების სამინისტროს საერთაშორისო ძებნა აქვს გამოცხადებული ჭიჭიაშვილის ჯგუფის წევრებზე - ალენ ბორჩაშვილზე, მუსლიმ ხანგოშვილზე, თემურ ქავთარაშვილზე და მამუკა ხუზარაულზე. სხვათა შორის, თენგიზ ხანგოშვილმა ინტერპოლის მიერ ძებნილი მისი პარტნიორების საქმიანობის შესახებაც დეტალური ინფორმაცია ჩააბარა უშიშროების სამინისტროს.

”ტარო” – დაახლოებით 170-175 სმ სიმაღლის, ჩასხმული, პატარა ხელებით და მსუქანი თითებით, დაახლოებით 45 წლის.

”ნაილსი” – დაახლოებით 170 სმ სიმაღლის, გამხდარი, 24 წლის, პროფესიონალი ჯარისკაცი. ერთი წლის მანძილზე ჩეჩნეთში მილიციელი იყო, შემდეგ გადავიდა სამხედრო ნაწილში. მარცხენა ორ თითს ვერ ამოძრავებს და დაახლოებით ხუთი ტატუირება აქვს, კოჭლი.

”ხოსუ” – დაახლოებით 180 სმ სიმაღლის, ათლეტური აღნაგობის, მხარზე აქვს ტატუირება ისარ გაყრილი გულის ფორმის.

”დანი” – დაახლოებით 190 სმ სიმაღლის, ჩეჩენი ჯარისკაცი, მარჯვენა ხელზე, ზემოთ აქვს ნაიარევი.

ჭიჭიაშვილის ჯგუფის წევრების შესახებ უშიშროების სამინისტროში არსებული ეს მონაცემები საგამოძიებო ჯგუფს მისცეს მათ მიერ დატყვევებულმა ყოფილმა მძევლებმა და თენგიზ ხანგოშვილმაც დაუდასტურა. სამართალდამცველებისთვის ზოგიერთი მათგანის ადგილსამყოფელი ცნობილია კიდეც და, ჩვენი ინფორმაციით, მათი დაკავება უახლოეს დღეებში მოხდება.

მიუხედავად იმისა, რომ თენგიზ ხანგოშვილმა თამაზ მაღლაკელიძის გატაცებასთან მისი ჯგუფის კავშირი უარყო, უშიშროების სამინისტრო არ გამორიცხავს, რომ ”გაერთიანებული ქართული ბანკის” სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე სწორედ ჭიჭიაშვილის ჯგუფის ძებნილმა წევრებმა გაიტაცეს. ამ ვარაუდის გამოთქმის საფუძველს იოსელიანის ქუჩაზე მომხდარი გატაცების დეტალები იძლევა. კონკრეტულად, ჭიჭიაშვილის ჯგუფისა და მაღლაკელიძის გამტაცებელთა ”ხელწერა”. კანონდამცველებმა პარალელებს ავლებენ მათ მიერ წარსულში განხორციელებულ ცნობილ ხმაურიან გატაცებებსა და ქართველი ბანკირის მძევლად აყვანისას ბოროტმოქმედთა ქცევის თავისებურებებს შორის. არადა, ჭიჭიაშვილის ჯგუფს მართლაც დამახასიათებელი ხელწერა ჰქონდა. ”საქმიანობისას” პანკისელი კრიმინალები პოლიციის ციმციმიან მანქანებს, კამუფლიაჟებსა და სხვა პოლიციურ საშუალებებს იყენებდნენ.

ბანკირ თამაზ მაღლაკელიძეს სადარბაზოში დახვდნენ ნიღბებით სახედაფარული, შეიარაღებული, პოლიციის ფორმიანი გამტაცებლები, მსხვერპლს ხელზე ბორკილები დაადეს და უხმაუროდ გაიტაცეს. ასე მოხდა ინგლისელი ბანკირის პიტერ შოუ გატაცების დროსაც. სახლში მიმავალ შოუს იოსებიძის ქუჩაზე ავტომანქანა წამოეწია. პოლიციის ფორმაში ჩაცმულმა პირებმა შოუს დამორჩილება მას შემდეგ მოახერხეს, რაც მათ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ხალხით სავსე მანქანა მიუახლოვდა და ხელზე ბორკილებდადებული ინგლისელი მანქანაში ძალით ჩასვა. ზუსტად იგივე სცენარი გათამაშდა აეროპორტის გზატკეცილზეც, როცა პოლიციის ციმციმიანი მანქანებით მოძრავმა პოლიციის ფორმიანმა ჯგუფმა სამშობლოში მიმავალ ესპანელ ბიზნესმენებს მარშრუტი შეუცვალა და პანკისის ხეობამდე ხელზე ბორკილებდადებული ატარა. პოლიციის ფორმიანმა ბანდიტებმა იმავე მეთოდით კუს ტბიდან გაიტაცეს პარლამენტარი პეტრე ცისკარიშვილიც.

გარდა ხელწერისა, სამართალდამცველებს ვარაუდის გამოთქმის საფუძველს კრიმინალთა გარეგნული მონაცემებიც აძლევს. მიუხედავად იმისა, რომ თამაზ მაღლაკელიძის გამტაცებლებს სახე ნიღბებით ჰქონდათ დაფარული, მოწმეთა მიერ აღწერილი მათი გარეგნული მახასიათებლები და საუბრის მანერა სამართალდამცველებს ჭიჭიაშვილის ჯგუფის წევრებს ახსენებს.

კოვენჰაგენის უნივერსიტეტში წარმოთქმული სიტყვა

ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოებისთვის ამ უმნიშვნელოვანეს მომენტში (რომელიც თავისი სერიოზულობით უცხოელმა დამკვირვებლებმა "ფილადელფიის კონვენციასაც" კი შეადარეს, რომლის შედეგადაც შეიქმნა აშშ და მისი ბრწყინვალე კონსტიტუცია) გვსურს, მკითხველს შევთავაზოთ დიდი დემოკრატისა და პატრიოტის, ვაცლავ ჰაველის სიტყვა, რომელიც, ჩვენი აზრით, ერთგვარ მორალურ კომპასად შეიძლება გამოადგეს იმ პოლიტიკოსებს, ვინც უკვე ჩაერთო პოლიტიკურ პროცესებში; მათ, ვინც ახლა აპირებს ამ საქმიანობისთვის ხელის მოკიდებას, და ყველა დანარჩენს, ვისთვისაც უნდა არსებობდნენ ნებისმიერი სახელმწიფო, პოლიტიკოსი და პოლიტიკა. ანუ ხალხს.

მთარგმნელი

ვაცლავ ჰაველი

თქვენო უდიდებულესობავ,
ბატონო რექტორო,
ბატონები და ქალბატონებო!

ჯილდოს, რომელსაც მე დღეს ვიღებ, ჩვეულებრივ, ანიჭებენ ხოლმე ინტელექტუალებს და არა პოლიტიკოსებს. მე, უდავოდ, ვარ ის, ვისაც შეიძლება ინტელექტუალი ეწოდოს, მაგრამ, ამავე დროს, ბედისწერის სურვილით, აღმოვჩნდი ადამიანი, რომელმაც, მისთვის სრულიად მოულოდნელად, მაღალი პოლიტიკის სამყაროში ამოყო თავი.

თქვენი ნებართვით, მინდა ვისარგებლო საკუთარი უჩვეულო გამოცდილებით და ინტელექტუალის კრიტიკული მზერა მივაპყრო ძალაუფლების ფენომენს, როგორსაც დღეისთვის ვიცნობ, განსაკუთრებით კი იმ ცდუნების ბუნებასა და ხასიათს, რომელსაც ძალაუფლება ჰქვია.

რატომაა, რომ ადამიანები ასე ძალუმად ისწრაფვიან პოლიტიკური ძალაუფლებისკენ და მისი მოპოვების შემდეგ ასე უმძიმთ მასთან განშორება?

ჩემი აზრით, ძალაუფლებისკენ ლტოლვის უმთავრესი მიზეზი შეიძლება სამ კატეგორიად დავყოთ.

უპირველესად, ხალხი პოლიტიკაში ერთვება იმ გარკვეული იდეების გავლენით, რაც ეხება იმას, თუ როგორ ჯობს საზოგადოების ორგანიზება; ასევე, იმ რწმენის გამო, რომელიც მათ ზოგიერთი ღირებულებისა და იდეალის მიმართ აქვთ, ამ უკანასკნელთა ღირსებისა თუ უვარგისობის მიუხედავად, და ეს პიროვნებები ამას იდეებისთვის ბრძოლისა და მათი რეალობად ქცევის სურვილით აკეთებენ.

მეორე მხრივ, ჩემი აზრით, ადამიანები მოტივირებულნი არიან პიროვნული თვითდამკვიდრების ბუნებრივი, ადამიანური ლტოლვით. განა შეიძლება საკუთარი არსებობისა და მისი მნიშვნელობის დამტკიცების უკეთესი გზის წარმოდგენა, ვიდრე ამას პოლიტიკური ძალაუფლება გვთავაზობს? ფაქტობრივად, იგი გვთავაზობს უდიდეს შესაძლებლობას იმისთვის, რომ საკუთარი კვალი დავატყოთ ჩვენს გარშემომყოფ სამყაროს, ამის ყველაზე უფრო ფართო გაგებით, და შევცვალოთ იგი ჩვენი გემოვნების მიხედვით; აგრეთვე, დავტკბეთ იმ პატივით, რომელსაც ყოველი პოლიტიკური თანამდებობა თითქმის ავტომატურად ანიჭებს იმას, ვისაც იგი უკავია.

მესამე შემთხვევაში ხალხი იმ მიზეზით ეძალება პოლიტიკურ ძალაუფლებას და იმიტომ უჭირს მასთან განშორება, რომ არსებობს საამო პრივილეგიათა მთელი რიგი, რომელიც პოლიტიკური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია ყველაზე დემოკრატიულ პირობებშიც კი.

ეს სამი კატეგორია, ჩემი დაკვირვებით, ყოველთვის მჭიდროდაა ერთმანეთთან გადაჯაჭვული და ხშირად თითქმის შეუძლებელია იმის დადგენა, რომელი მათგანი დომინირებს; მაგალითად, მეორე და მესამე კატეგორია ხშირადაა წარმოდგენილი როგორც მიზეზები, რომელნიც მიეკუთვნებიან პირველ კატეგორიას. მე არასდროს შევხვედრივარ პოლიტიკოსს, რომელიც მსოფლიოს წინაშე, ან სულაც საკუთარ თავთან, აღიარებდა: ამა თუ იმ თანამდებობას იმიტომ ესწრაფვის, რომ საკუთარი მნიშვნელობის დამტკიცება სურს, ან იმიტომ, რომ სურს დატკბეს საამო პრივილეგიებით, რომლებიც პოლიტიკური ძალაუფლების თანმდევნი არიან. ამის საპირისპიროდ ჩვენ ერთხმად და არაერთგზის ვაცხადებთ, რომ სულაც არ გვადარდებს ძალაუფლება, როგორც ასეთი, და რომ მხოლოდ ზოგად ფასეულობებზე ვზრუნავთ. ჩვენ ვამბობთ, რომ მხოლოდ საკუთარი პასუხისმგებლობის გრძნობაა საზოგადოების წინაშე ის, რამაც გვაიძულა, საჯარო თანამდებობაზე წასვლის ტვირთი საკუთარ მხრებზე აგვეღო. ხანდახან მხოლოდ ღმერთმა უწყის, ეს სიმართლეს შეესაბამება თუ მხოლოდ შეღამაზებული ვერსიაა მსოფლიოსა და საკუთარი თავის წინაშე ძალაუფლებისკენ ჩვენი სწრაფვისთვის თავის მართლებისა, და ამ ძალაუფლების მეშვეობით იმის მტკიცებისა, რომ ჩვენ, მართლაც, ღირსეულად ვარსებობთ.

სიტუაციას კიდევ უფრო ართულებს ის, რომ თვითდამკვიდრების მოთხოვნილება, თავისთავად, დასაგმობი მოვლენა არ არის. თავისი არსით იგი ადამიანურია და მიჭირს ისეთი ადამიანის წარმოდგენა, ვისთვისაც აბსოლუტურად უცხოა სხვათა მხრიდან აღიარება, პიროვნული თვითდამკვიდრება და საკუთარი არსების სხვა რამ აღთქმადი მანიფესტაცია.

მე ერთ-ერთი მათგანი ვარ, ვინც საკუთარ პოლიტიკურ თანამდებობას პასუხისმგებლობის, საზოგადოების წინაშე ნაკისრი ვალდებულებისა და შეგნებულად გაღებული მსხვერპლის გამოხატულებად აღიქვამს. მაგრამ როდესაც ვაკვირდები სხვა პოლიტიკოსებს, ვისაც მე ძალიან კარგად ვიცნობ და ვინც იგივეს ამტკიცებს, თავს ვაიძულებ, გამოვიკვლიო საკუთარი მოტივები და ვკითხო ჩემს თავს: საკუთარ თავს ხომ არ ვატყუებ? ხომ არ ვარ უფრო მეტად დაკავებული არგამოთქმული თვითდამკვიდრებისადმი სწრაფვის დაკმაყოფილებით (ანუ იმის დამტკიცებით, რომ მე რაღაცას ვნიშნავ, რაღაცას წარმოვადგენ და, ამდენად, ვარსებობ), ვიდრე საზოგადოებაზე ზრუნვით? მოკლედ რომ ვთქვათ, საკუთარ თავზე უსასრულოდ მიჩნდება ეჭვები. უფრო ზუსტად, დღეისთვის ჩემი გამოცდილება პოლიტიკასა და პოლიტიკოსებზე, აგრეთვე, ჩემი დაკვირვებები, მაიძულებს, მქონდეს ამგვარი ეჭვები. ფაქტობრივად, ყოველი ახალი ჯილდო, რომელსაც ვიღებ, ჩემს ეჭვებს თითო საფეხურით კიდევ უფრო ზრდის.

პოლიტიკური ძალაუფლების სურვილის მესამე კატეგორიის მიზეზები, რაც გულისხმობს ძალაუფლების მიერ მოტანილი იმ საამური პრივილეგიების გაჩენას ან მათზე მიჩვევას, ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. ძალიან საინტერესოა იმის დანახვა, თუ რაგვარ დემონურ ცდუნებებს წარუდგენს ძალაუფლება ადამიანს ამ სფეროში. მათზე დაკვირვება ყველაზე კარგად იმ ადამიანთა შემთხვევაშია შესაძლებელი, ვისაც, როგორც მე, აქამდე არანაირი ძალაუფლება არ გააჩნდა.

ჩვენ გაბედულად ვგმობდით ხოლმე ძალაუფლებაში მყოფთ იმ პრივილეგიებით სარგებლობისთვის, რომელიც მათსა და დანარჩენ ხალხს შორის არსებულ უფსკრულს კიდევ უფრო აღრმავებდა. ახლა კი ისინი, ვისაც ძალაუფლება აქვს, ჩვენ ვართ.

ჩვენ თითქმის შემთხვევით, მაგრამ ძლიერ სახიფათოდ ჩვენს სამარცხვინო წინამორბედებს ვემსგავსებით. ეს ჩვენ გვაღიზიანებს, ნერვებსაც გვიშლის, მაგრამ მოულოდნელად ვამჩნევთ, რომ, უბრალოდ, არ შეგვიძლია, ან არ ვიცით, როგორ შევაჩეროთ ეს პროცესი.

რამდენიმე მაგალითს მოვიტან: ალბათ, აბსოლუტური უაზრობა იქნებოდა, რომელიმე მინისტრს გაეცდინა მთავრობის მნიშვნელოვანი შეხვედრა, რომელიც შეეხებოდა იმ კანონპროექტს, რომელიც ათწლეულების განმავლობაში სახელმწიფოს მდგომარეობაზე იქონიებდა გავლენას, მხოლოდ იმიტომ, რომ მინისტრს კბილი სტკიოდა და იძულებული იყო, მთელი დილა სტომატოლოგთან რიგში გაეტარებინა. ამგვარად, თავისი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, იგი ზრუნავს სპეციალურად თავისთვის ჰყავდეს სტომატოლოგი, ისეთი ვინმე, ვის გამოც რიგში დგომა აღარ მოუწევს.

ასეთივე სისულელე იქნებოდა, პოლიტიკოსს გაეცდინა მნიშვნელოვანი სახელმწიფო შეხვედრა უცხოელ პარტნიორთან, მხოლოდ იმიტომ, რომ მას საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობისთვის ჩვეული დავიდარაბის გამოვლა მოუხდა; ამიტომაც მას სამთავრობო მანქანა და მძღოლი ემსახურება.

ასეთივე აბსურდული იქნებოდა პრეზიდენტისა თუ პრემიერ-მინისტრისთვის ასეთი შეხვედრის გაცდენა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მისი მანქანა საგზაო "საცობში" გაიჩხირა. ამიტომ მას აქვს უფლება, გაასწროს მის წინ მდგომ სხვა მანქანებს და გაიაროს წითელ შუქზეც, რასაც, ამ შემთხვევაში, საგზაო პოლიცია გაგებით მოეკიდება.

არც იმას ექნებოდა არავითარი აზრი, რომ პოლიტიკოსს საკუთარი ძვირფასი დრო გაზქურასთან გაოფლიანებულს ეფლანგა, რათა უცხოელი კოლეგისთვის ოფიციალური სადილი მოემზადებინა. ამიტომაც მას პირადი მზარეული და ოფიციანტები ჰყავს, ვინც ამ ყველაფერს მის მაგიერ აკეთებენ.

ასეთივე უაზრობა იქნებოდა პრეზიდენტის მზარეულის მიერ საყასბოდან საყასბოში წაწნალი, როგორც ეს ჩვეულებრივი ამბავია პოსტსოციალისტური ქვეყნის დიასახლისისთვის, იმ მიზნით, რომ ეპოვა საკმაოდ კარგი ხორცის ნაჭერი იმისთვის, რომ არ შერცხვენოდა მისგან მომზადებული კერძის მნიშვნელოვანი სტუმრისთვის შეთავაზება. ამდენად, არსებობს მომარაგების სოციალური სამსახური განსაკუთრებული პიროვნებებისა და მათი მზარეულებისთვის.

ასეთივე სისულელე იქნებოდა ისიც, რომ პრეზიდენტი ან პრემიერ-მინისტრი იძულებული გამხდარიყვნენ, ტელეფონის წიგნში ეძებნათ საჭირო ნომრები და შემდგომ იქამდე ერეკათ, სანამ საჭირო ადამიანს არ იპოვიდნენ, ან ხაზი დაკავებული აღარ იქნებოდა. ამიტომ, საკმაოდ ლოგიკურია, რომ ამგვარ სამსახურს დამხმარე ასრულებს.

ახლა ეს ყველაფერი შევაჯამოთ: მე დავდივარ სპეციალურ ექიმთან; არ ვარ იძულებული, მანქანა ვმართო, ჩემი მძღოლი არ წუწუნებს, რომ მას ლოკოკინის ტემპში უწევს მთელი პრაღის გავლა. არ მჭირდება, რომ კერძები ვამზადო ან საყიდლებზე ვიარო, არ მიწევს ნომრის აკრეფა საკუთარ ტელეფონზეც კი, როდესაც ვინმესთან ლაპარაკს ვაპირებ.

სხვა სიტყვებით, ამჟამად მე პრივილეგიების, გამონაკლისებისა და საამური კომფორტის სამყაროში აღმოვჩნდი; ე.წ. VIP-ის სამყაროში, სადაც ადამიანი თანდათანობით კარგავს იმ ცოდნას, თუ რა ღირს ავტობუსის ბილეთი ან კარაქი; როგორ უნდა მოადუღო ფინჯანი ყავა; როგორ უნდა ატარო მანქანა თუ დარეკო ტელეფონზე. სხვა სიტყვებით, საკუთარი თავი ზუსტად იმ სამყაროს საზღვრებში აღმოვაჩინე, რომელშიც კომუნისტი ბობოლები იბღინძებოდნენ; ისინი, ვისაც მე მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში ვაკრიტიკებდი.

ყველაზე უარესი კი ის არის, რომ ყველაფერს საკუთარი, ურყევი ლოგიკა აქვს. სასაცილო და დასაცინი იქნებოდა, მხოლოდ იმიტომ გამეცდინა შეხვედრა, რომელიც ჩემი ქვეყნის ინტერესებს ემსახურება, რომ ამ დროს სტომატოლოგის მოსაცდელში ვყურყუტებდი, ან ხორცის რიგში ვიდექი, ან პრაღის არეულ-დარეულ ტელეფონების ცნობარში ვიქექებოდი, ან პრაღის ქუჩებში უიმედოდ ვცდილობდი, თავისუფალი ტაქსი გამეჩერებინა, მით უფრო, რომ სულაც არ ვგავარ დასავლელს და, ამდენად, არც დოლარებით მაქვს სავსე ჯიბე.

მაგრამ, საინტერესოა, სად თავდება ლოგიკა და ობიექტური აუცილებლობა და სად იწყება მომიზეზება? სად წყდება ქვეყნის ინტერესები და საიდან იწყება პრივილეგიების ხიბლის უფსკრული? და, საერთოდ, ვიცით, თუ სად არის, ან შეგვიძლია კი საერთოდ შევნიშნოთ გარდატეხის ის მომენტი, რომლის იქითაც ჩვენ უკვე აღარ გვაღელვებს ქვეყნის ინტერესები, რისთვისაც მთელ ამ პრივილეგიებს ვიტანთ, და მხოლოდ და მხოლოდ ის უპირატესობები გვადარდებს, რომელთა არსებობასაც ჩვენ ქვეყნის ინტერესებით ვამართლებთ?

მის თავდაპირველ განზრახვათა სიწმინდის მიუხედავად, ძალაუფლებაში მყოფ ადამიანს თვითშეგნებისა და კრიტიკული დისტანცირების უნარი სჭირდება, რომ ეს მომენტი შეიცნოს. პირადად მე განუწყვეტელ და ხშირად წარუმატებელ ომს ვაწარმოებ იმ პრივილეგიებთან, რომელიც მაქვს და დღეს ვერ ვბედავ იმის თქმას, რომ გარდატეხის ამ მომენტის ნათლად ამოცნობა მიადვილდება. შენ ეჩვევი საგნებსა და მოვლენებს და, როგორც წესი, თანდათანობით და გაუცნობიერებლად სამართლიანი შეფასების საკუთარ გრძნობას კარგავ.

ვიმეორებ, ძალაუფლებაში ყოფნა ჩემში პერმანენტულ ეჭვს ბადებს საკუთარ თავთან მიმართებაში. მეტიც: ჩემთვისვე მოულოდნელად, ნელ-ნელა "მესმის" მათი, ვინც ძალაუფლების ცდუნებასთან ბრძოლაში საკუთარი პოზიციების დათმობას იწყებენ. საკუთარი თავის დარწმუნების იმ მცდელობაში, რომ ისინი ჯერ კიდევ მხოლოდ სამშობლოს მსახურობენ, ისინი სულ უფრო მეტად აჯერებენ თავიანთ თავს, რომ არიან გამორჩეულნი და იწყებენ საკუთარი პრივილეგიების ისე აღქმას, როგორც რაღაც ძალიან ჩვეულებრივსა და კანონზომიერს.

ძალაუფლების ცდუნება შეიცავს რაღაც ძლიერ მზაკვრულს, დამაბნეველსა და ბუნდოვანს. ერთი მხრივ, პოლიტიკური ძალაუფლება გაძლევს იმის შესანიშნავ შანსს, რომ მთელი დღის განმავლობაში საკუთარი არსებობა ამტკიცო, საკუთარი გასათვალისწინებელი იდენტურობა გამოააშკარაო, გარშემო მყოფ სამყაროს შენი ყოველი სიტყვითა და ქმედებით ძლიერ შესამჩნევი კვალი დაატყო. თუმცა, ამავე პოლიტიკურ ძალაუფლებას და ყველაფერს, რაც მას ლოგიკურად ეკუთვნის, თან სდევს ერთი საშინელი საფრთხე: ჩვენი საკუთარი არსებობისა და იდენტურობის მტკიცებაში ვითომც ხელშემწყობი როლის შეთავსებასთან ერთად პოლიტიკური ძალაუფლება სწორედ ამ თვისებებისგან გვძარცვავს.

ადამიანი, ვისაც აღარ ახსოვს მანქანის ტარება, საყიდლებზე სიარულის ნიუანსები, ყავის მოდუღება და ტელეფონით სარგებლობა, აღარ არის იგივე პიროვნება, ვისაც შეეძლო ამ ყველაფრის კეთება მთელი სიცოცხლის მანძილზე. ადამიანი, ვისაც ადრე არასდროს ჩაეხედა სატელევიზიო კამერის ლინზაში, ახლა კი თავის ყოველ მოძრაობას მის ყოვლისმჭვრეტელ თვალს ანდობს, აღარ არის ისეთივე პიროვნება, როგორიც ადრე იყო.

ის ხდება ტყვე საკუთარი თანამდებობისა, საკუთარი პრივილეგიებისა, საკუთარი ოფისისა. ის, რაც ერთი შეხედვით მის იდენტურობას ამტკიცებს და, ამდენად, მის არსებობას უსვამს ხაზს, უჩუმრად ჰპარავს მას ამ იდენტურობასა და არსებობას. იგი ვეღარ აკონტროლებს საკუთარ თავს, რადგან მას უკვე სხვები აკონტროლებენ. ესაა მისი პოზიცია და ამით გამოწვეული ფუფუნებანი, ამის შედეგები და პრივილეგიები.

არის რაღაც მომაკვდინებელიც ამ ცდუნებაში. ეგზისტენციური თვითდამკვიდრების მოსასხამის ქვეშ, ეგზისტენცია, ანუ არსებობა კონფისკაციას, გაუცხოებასა და გახევებას ექვემდებარება. აქ ადამიანი საკუთარ ქვის ბიუსტში ტრანსფორმირდება. ამ ბიუსტმა შეიძლება ხაზი გაუსვას მის უკვდავ მნიშვნელობასა და ცნობადობას, მაგრამ, ამავდროულად, იგი სხვა არაფერია, თუ არა მკვდარი ქვის ნაჭერი.

თქვენმა დიდმა თანამემამულემ, კერკეგორმა დაწერა ნაწარმოები "ავადმყოფობით სიკვდილამდე". ნება მომეცით, მოვახდინო ამ ბრწყინვალე მოაზროვნის პერეფრაზირება და ვთქვა: "ძალაუფლებით სიკვდილამდე".

რა შეგვიძლია ამით დავასკვნათ?

სულაც არ იქნებოდა ლოგიკური, ყველაფერ იმის შემდეგ, რაც ვთქვით, ვამტკიცოთ, რომ ადამიანმა პოლიტიკას თავი არ უნდა უძღვნას იმ მიზეზით, რომ პოლიტიკა პრინციპულად ამორალურია.

სინამდვილეში, დასკვნა, რომელიც ლოგიკური იქნებოდა, ასე გამოიყურება: პოლიტიკა ადამიანური მცდელობის ის ასპარეზია, რომელშიც უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება მორალურ მგრძნობიარობას, საკუთარი თავისადმი კრიტიკულ აზროვნებას, ჭეშმარიტ პასუხისმგებლობას, გემოვნებასა და ტაქტს, თანაგრძნობას, ზომიერებასა და თავმდაბლობას. ეს არის საქმიანობა თავმდაბალ ადამიანთათვის, ანუ მათთვის, ვისი ცდუნებაც შეუძლებელია.

ისინი, ვინც ამტკიცებენ, რომ პოლიტიკა ბინძური საქმეა, ყოველი ჩვენგანის წინაშე ცრუობენ. პოლიტიკა არის საქმიანობა, რომელსაც განსაკუთრებულად სპეტაკი ადამიანები ესაჭიროება, რადგან იქ ძალიან ადვილია მორალური დალაქავება; იმდენად ადვილი, რომ ნაკლებად ფრთხილმა ადამიანმა, შესაძლოა, ეს პროცესი საერთოდ ვერც კი შენიშნოს.

ამგვარად, პოლიტიკა უნდა იქმნებოდეს იმ ადამიანთა მიერ, ვინც დიდი დაკვირვებით, სიფხიზლითა და სიფრთხილით გამოირჩევა და ვინც ძლიერ მგრძნობიარეა ეგზისტენციური თვითდამკვიდრების ბუნდოვან დაპირებებთან დამოკიდებულებაში.

მე არ ვიცი, ვარ თუ არა ასეთი ადამიანი. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ვალდებული ვარ, ვიყო ასეთი, რადგან ამ თანამდებობაზე თანხმობა განვაცხადე.

ბატონო რექტორო, უღრმესი მადლობა ამ ჯილდოსა და ყოველი თქვენგანის ყურადღებისთვის.

ინგლისურიდან თარგმნა ნიკოლოზ რურუამ

დალაი ლამასთან ერთად.

რატომაა, რომ ადამიანები ასე ძალუმად ისწრაფვიან პოლიტიკური ძალაუფლებისკენ და მისი მოპოვების შემდეგ ასე უმძიმთ მასთან განშორება?

უმბერტო ეკოსთან ერთად.

ჩვენ გაბედულად ვგმობდით ხოლმე ძალაუფლებაში მყოფთ იმ პრივილეგიებით სარგებლობისთვის, რომელიც მათსა და დანარჩენ ხალხს შორის არსებულ უფსკრულს კიდევ უფრო აღრმავებდა. ახლა კი ისინი, ვისაც ძალაუფლება აქვს, ჩვენ ვართ.

ჯორჯ ბუშთან ერთად.

ისინი, ვინც ამტკიცებენ, რომ პოლიტიკა ბინძური საქმეა, ყოველი ჩვენგანის წინაშე ცრუობენ. პოლიტიკა არის საქმიანობა, რომელსაც განსაკუთრებულად სპეტაკი ადამიანები ესაჭიროება, რადგან იქ ძალიან ადვილია მორალური დალაქავება; იმდენად ადვილი, რომ ნაკლებად ფრთხილმა ადამიანმა, შესაძლოა, ეს პროცესი საერთოდ ვერც კი შენიშნოს.

მეუღლესთან ერთად.

REUTERS

www.24hours.ge 24 B

ნომრის სტუმარი

ყველაზე საინტერესო სახელმწიფოს ფორმირების პროცესია

უდიდეს მეზობელთან, თურქეთთან ჩვენი დიპლომატიური ურთიერთობები თითქმის ათი წლის წინ, გენერალურ კონსულად მივლინებული გიორგი ჯანჯღავას საკუთარი 500 დოლარით დაიწყო. მას შემდეგ არც ამ ქვეყანასთან ურთიერთობების პრიორიტეტები შეცვლილა და არც გენერალური კონსული. გია ჯანჯღავა კიდევ ერთი გეოგრაფი დიპლომატია. ის 1965 წელს თბილისში დაიბადა, დაამთავრა ჯერ 55-ე საშუალო სკოლა და შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი საზღვარგარეთის ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით. ორ წელიწადს სწავლა მოუწია ეგვიპტის უნივერსიტეტში, ცოტა ხანს კი - ლონდონის school of orientali and african studies-ში. იემენის უნივერსიტეტშიც გაიარა კურსები და თბილისში დაბრუნდა. სამოქალაქო ომმა მისი გამზადებული დისერტაციის დაცვა დროებით შეაჩერა, რადგან სახელმწიფო საბჭოს აპარატში მიიწვიეს სამუშაოდ. ეს იყო დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის გარიჟრაჟი. ბავშვობიდან აგროვებს რუკების გენიალურ კოლექციას. მეთხუთმეტე საუკუნიდან მოყოლებული, საქართველოსა და კავკასიის რუკის 50-მდე ორიგინალი ინახება მის კოლექციაში. განსაკუთრებით საინტერესოდ ამ ბოლო ხანს შეძენილი 1688 წლის სამეგრელოს რუკა მიაჩნია. სტაჟიანი კოლექციონერი არ გამორიცხავს, რომ ეს შარდენის რუკის ასლი იყოს...

მაია ჭალაბანიძე

- დავინიშნე სახელმწიფოს მეთაურის მრჩევლად საგარეო ურთიერთობების დარგში. მახსოვს, აშშ-ს მაშინდელმა ელჩმა, მამა-ბუშის მხარდამჭერი წერილი მოიტანა. მეთაურისთვის უნდა მეთარგმნა. ბატონი გელა ჩარკვიანი ჯერ მოსული არ იყო, რატომღაც, არც თარჯიმანი მოვიდა და თარჯიმნობა გავწიე. პრინციპში, ყველაფერი კარგად ჩავატარე, ოღონდ, "სკამის ავადმყოფობა" ვერ ვთარგმნე... მობოდიშება მომიწია. შევარდნაძესთან მუშაობისას ბევრი კურიოზები შემემთხვა.

- ეს სახელმწიფოდ ქცევის პერიოდის კურიოზებია და საინტერესოა...

- დემირელი ჩამოდიოდა პირველად საქართველოში. როგორც წესია, მისასალმებლად ჯარი უნდა გაგვეტარებინა. ეს მისია მე და გელა ლანჩავას გვერგო. შევარდნაძემ თქვა, თქვენი ამბავი ვიცი, წესიერად ვერ გაატარებთო... ეს რომ არ მომხდარიყო, ჯარს აეროპორტში ვამეცადინებდით. მე ვიყავი დემირელი, ლანჩავა - შევარდნაძე. ორმოები ამოვავსეთ, მაგრამ ერთ ჯარისკაცს მაინც ჩაუვარდა ფეხი და ამ ნაღრმობი ფეხით მაინც ბოლომდე გაიარა საცოდავმა ბიჭმა... ასეთი იყო სახელმწიფოს მშენებლობის პირველი ნაბიჯები... განსაკუთრებით მძიმე გასახსენებელი აფხაზეთში ვოიაჟებია.

- დიპლომატიური მისიების ხუთეულში იყავით - რუსეთის, აშშ-ს და გერმანიის შემდეგ თურქეთში გაიხსნა წარმომადგენლობა. როგორ იკვალებოდა დიპლომატიური გზები?

- ძალიან მძიმედ. 1994 წელი იდგა. თურქეთში საკუთარი მანქანით გავემგზავრეთ. ელჩი ანკარაში წავიდა, მე ტრაპიზონში დავრჩი. ეს არის არა მხოლოდ ძალიან მნიშვნელოვანი ისტორიული ქალაქი, არამედ სატრანზიტო კვანძი, თავისუფალი ეკონომიკური ზონა, პორტი, აეროპორტი და სხვა.

მაშინ 26 წლის ვიყავი და დღევანდელისგან სრულიად განსხვავებული ვითარება იყო. პასუხისმგებელი ვიყავი ისეთ ოლქებზე, სადაც ჩვენი ქვეყნის ინტერესები იყრის თავს - სასაზღვრო ზონა, გემები, საქართველოს მოქალაქეები. აქვეა კულტურული ცენტრი, ვაჭრობა, ტურიზმი...

შევუდექი... ჩემი საკუთარი 500 დოლარის გარდა ფინანსები არ გაგვაჩნდა. მოგვიანებით, რაღაც თანხა გადმოგვირიცხეს. როცა მოვძლიერდით, მეორე გენერალური საკონსულო გავხსენით სტამბულში. თავიდან კი საშუალო დონის სასტუმროში ვცხოვრობდით და ოფისიც იქვე გვქონდა. ადგილობრივი წარმომობის ქართველები, მეგობრები და ახლობლები გვეხმარებოდნენ. საკუთარი მანქანით წელიწადნახევარი ვიარე. ელჩს, ნოდარ კომახიძეს "ვილისი" გამოუყვეს. ხუმრობდა ხოლმე ბატონი ნოდარი - დროშას ხელში დავიჭერ და ისე ვივლიო. ჩემს მანქანასაც კუსტარულად მივამაგრეთ დროშა... რაღაც სასწაული იყო.

მერე კი შემოსავლები გაჩნდა. მახსოვს, არა მხოლოდ ჩვენს თავს და ანკარის საელჩოს ვარჩენდით - ბენელუქსში და საბერძნეთშიც კი გადავრიცხეთ თანხები. ახლა შემოსავალი ისე დიდი აღარ არის. თურქეთთან სავიზო რეჟიმი დავხვეწეთ და ფინანსების ნაკადი საზღვრებზე ხვდება - ვალეში, ფოთისა და ბათუმის პორტებში, სარფში, ახალციხეში. სტრუქტურას თან ვსწავლობდი და თან - ვაწყობდი. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის უდიდესი ყურადღება, რაც თურქეთის ხელისუფლებამ პირველივე წლებიდან გამოიჩინა.

- ამ ხნის მანძილზე, თურქეთის მთავრობების შეცვლასთან ერთად საქართველოსადმი დამოკიდებულებები იცვლებოდა?

- არა. გარკვეული წყალქვეშა დინებები იყო და დღემდეც არის. ამ საკითხებზე ერთობლივი მუშაობაა საჭირო. მაგალითად, აფხაზეთის საკითხი - თურქული და აფხაზური გემების ცურვა და ა.შ. როდესაც ტრაპიზონში ჩავედით, პორტში აფხაზური დროშით იდგა გემი "რიცა". გვიპასუხეს - რა ვიცით, სსრკ დაიშალა და უამრავი დამოუკიდებელი ქვეყანა დარჩა - უკრაინა, ყაზახეთი, აფხაზეთი, საქართველო... ამგვარ პასუხებს იძლეოდნენ, ასეთი პერიოდი იყო.

ნოტებით და სხვადასხვა დიპლომატიური ხერხებით, აფხაზეთის დროშა კი ჩამოვაწევინეთ, მაგრამ სამაგიეროდ, რუსეთის დროშა გაჩნდა. ამაზეც ვიომეთ. ახლა ასეთი ვითარებაა - თურქული გემები სოხუმში დაცურავენ, რაზეც თვითონ თურქეთის ოფიციოზი წუხს, მაგრამ, თავს იმართლებენ - კერძო სექტორიაო... ყოფილი პრეზიდენტის ბრძანებულებით, ჰუმანიტარულ გემებს სოხუმის პორტში შესვლის უფლება აქვთ, მაგრამ ჯერ უნდა შევიდეს ფოთის ან ბათუმის პორტში, ენახოს საბაჟოს და ამის შემდეგ გააგრძელოს გზა... მაგრამ, ეს ასე არ ხდება.

ბევრი რამ არის მოსაგვარებელი. მიმაჩნია, რომ აფხაზებთან სხვანაირად ლაპარაკის დრო მოვიდა. დედა აფხაზი მყავს და პირადად მე ღრმა და კარგი ურთიერთობები მაქვს აფხაზ დიასპორასთან.

- ეს სეპარატისტული ნაწილია?

- ესენი ჯერ კიდევ მოჰაჯირების დროს გადასახლებული აფხაზები არიან. ოფიციალური მონაცემებით, თურქეთში, დაახლოებით, 700 ათასიდან 2 მილიონამდე ჩერქეზულ-ადიღეურ-აფხაზური დიასპორაა. მათ შორის 150-200 ათასამდე აფხაზია. თურქეთში ქართული დიასპორაც არის, ლაზურიც, თუმცა, ეს უკანასკნელნი, აბორიგენებად ითვლებიან. რა თქმა უნდა, აფხაზური დიასპორა, ერთგვარად, სოხუმის რუპორიც არის, თუმცა, ისეთი ხალხიც ურევია, ვინც რეალურად გრძნობს - რა და როგორ ხდება... აფხაზური დიასპორა უფრო რბილად საუბრობს, ვიდრე მარიონეტი სოხუმელი აფხაზები.

რა თქმა უნდა, თურქეთის ოფიციოზი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს და აფხაზების რუსეთისკენ ლტოლვა აღიზიანებს. თურქები კარგად ხვდებიან, რომ ძირითადი მოკავშირე მათთვის საქართველოა და აფხაზეთი ჩვენი შიდა პრობლემაა. ისინი ცდილობენ, მედიატორის როლი ითამაშონ თურქულ-აფხაზურ-ქართულ დიალოგში. ამ ფორმატით შეხვედრებიც გაიმართა, თუმცა, მიმაჩნია, რომ თურქეთის მხარეს უფრო აქტიური ქმედებაც შეუძლია.

- სოხუმში როგორი ურთიერთობები გაქვთ?

- ჩემს ოჯახს კარგი და თბილი ურთიერთობები აქვს. დღემდე პატივს გვცემენ. რა თქმა უნდა, არის ხალხი, ვისაც შვილი ან ოჯახის წევრები მოუკლეს ამ ომში - მათ საკუთარი შეფასებები აქვთ.

- რა იდეოლოგიით იზრდება სოხუმში ახალი თაობა?

- იმ იდეოლოგიით იზრდებიან, რაც აფხაზეთშია და ეს ჩემში ცუდ რეაქციას იწვევს. რუსეთის პოლიტიკურ ისტებლიშმენტში და საზოგადოებაშიც გამჯდარია რწმენა, რომ თურმე აფხაზები 1810 წელს ნებაყოფლობით გაერთიანდნენ რუსეთთან და ისეთი ქრონოლოგია მოაწყვეს, თურმე ქართველები არაფერ შუაში არ არიან. დღეს აფხაზებთან კამათი უაზრობაა, ამის შესახებ ისტორიკოსებმა უნდა იმსჯელონ. დღევანდელ ეთნოგენეზისში და გეოპოლიტიკაში დიდი მნიშვნელობა ბოლო 50-100 წელს აქვს. ცხოვრობდნენ? მორჩა! ათვლა დღევანდელი დღიდან უნდა დაიწყოს და არა ღრმა წარსულიდან.

ვითარების დასარეგულირებლად კი, ალბათ, ჩვენი მხრიდან დაშვებული შეცდომები უნდა ვაღიაროთ. დანარჩენს - თავად აღიარებენ. ნდობა უნდა გაღვივდეს. ვგრძნობ, რომ აფხაზს ყოველთვის ეშინია იმ ტენდენციებისა, რასაც საქართველოში ხედავს. ნდობის ფაქტორი და ვითარება - "ქართველი-ქართველისთვის" შერწყმული უნდა იყოს. მიმაჩნია, რომ რკინიგზა იქნება ეს, ბლოკადა, თუ ლტოლვილების შესვლა - ერთობლივად უნდა მოგვარდეს, ინტერესთა მთელი კონა უნდა იყოს გაერთიანებული. მთავარია ეკონომიკური ინტეგრაცია და აფხაზებს არ უნდა ეშინოდეთ, რომ ხვალ პარტიზანი შევა. ეს მაგალითები გვქონდა - გალის მოვლენები, დიდი ბურუსით მოცული გილაევის ეპიზოდი და ა.შ.

ხალხი ყველაფერს ეგუება. თავიდან გარკვეული ნოსტალგიური გრძნობა ჰქონდათ ქართველების მიმართ, ახლა ეს გრძნობა ფერმკთალდება. მოდის თაობა, რომელიც ქართულ გარემოში არ გაზრდილა. ჩემს და უფროს თაობაში მეგობრები კიდევ არსებობენ, ცოცხალია ერთად ცხოვრების დროინდელი მოგონებები - ჭირი და ლხინი ახსოვთ... ეს ყველაფერი იყო, მაგრამ აღარ არის. უნდა ვანახოთ, რომ მათ ჩვენი არ უდნა ეშინოდეთ.

- რა იყო ის შეცდომები, რაც უარყოფითად აისახებოდა თქვენს დიპლომატიურ მისიაზე და ხშირად გიწევდათ თუ არა სიტუაციიდან "გამოძრომა?"

- ასეთი რამ ძირითადად ამერიკასა და რუსეთთან ურთიერთობებისთვის იყო დამახასიათებელი. თურქეთი სხვა ქვეყანაა - დეკლარირებულად ავაწყეთ გეოსტრატეგიული ურთიერთობები. ჩვენ სტრატეგიული პარტნიორები ვართ.

თურქეთი ბევრისთვის მტრად ასოცირდებოდა. 75 მილიონიანი, ძლიერი ქვეყანაა და რეგიონში ლიდერია. ნატო-ში, ამერიკელების შემდეგ ყველაზე დიდი და უძველესი ჯარი ჰყავთ. თავიდანვე ძალიან კარგი გეზი იყო აღებული და ამ ვექტორს ვინარჩუნებთ. ეს არის სტრატეგია - სამხედრო თანამშრომლობა, ბაქო-ჯეიჰანი, ბაქო-ერზერუმი, ყარსი-ახალქალაქის რკინიგზა - დიდი ეკონომიკური პაკეტები. ჩვენი, დიპლომატების მუშაობა, სახალხო დიპლომატიაა - იქ გემი გააჩერეს, იქ ვიღაც ციხეში მოხვდა, ვიღაც პროსტიტუციაზე დაიჭირეს. ეს კი ჩამოყალიბებულ სტრატეგიულ ურთიერთობებზე გავლენას ვერ იქონიებს.

- თბილისსა და ბათუმს შორის გართულებულ ურთიერთობებს როგორ აღიქვამენ საზღვრისპირა რეგიონში?

- ყველაფერს პრაგმატულად ვუყურებ და აჭარის საქართველოდან გამოყოფა ნონსენსია. მხოლოდ სულელმა კაცმა შეიძლება მოიფიქროს - აჭარის არც მოსახლეობა და არც ხელისუფლება ამას არ დაუშვებს, ეს აბსურდია.

ის, რომ აჭარა თურქეთის მოსაზღვრეა და გარკვეული ეკონომიკური უირთიერთობები ჩამოყალიბდა - საზღვრისპირა რეგიონებისთვის საერთაშორისო ნორმალურია. სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორიც ხშირად ხვდებოდა არდაღანის გუბერნატორს, იყო ერთობლივი პროექტები. აჭარაში, გვირაბის მშენებლობაში თურქებიც იღებენ მონაწილეობას. თუკი რაიმე ხდება საქართველო-თურქეთის ეკონომიკურ ურთიერთობებში, ერთ-ერთი მთავარი არტერია სარფის სასაზღვრო პუნქტია.

მაგრამ, პრობლემა შიდა საკანონმდებლო სისტემა და ტარიფებია. ღმერთმა გვარგუნა სატრანზიტო კორიდორის ფუნქცია და ეს უნდა გამოვიყენოთ. 1997-1998 წლებში, ერთი ჩემი ინიციატივის შესახებ შეატყობინე საგარეო საქმეთა სამინისტროსაც და სხვა სამთავრობო სტრუქტურებსაც. იმ დროს, ტვირთის ნაკადი არა საქართველოდან, არამედ - ირანიდან მიედინებოდა. თავად წავედი ირანში იმ მარშრუტზე, რომლითაც ტვირთები გაედინებოდა - ეს იყო ტრაპზონი-ერზერუმი და ირანის საზღვარი(სქემებიც კი გავაკეთე). ტვირთების მოძრაობა აზერბაიჯანზე, შუა აზიასა და ჩრდილო კავკასიაზე მოდიოდა, საქართველოს გავლით უნდა მომხდარიყო, მაგრამ ჩვენს გზებზე იყო ყაჩაღობა, რეკეტი... ხშირ შემთხვევაში ახალციხის გზაზე უარესი ხდებოდა. უბრალოდ, რადგან ცენტრსა და რეგიონს შორის ურთიერთობები გართულებული იყო, აქცენტი აჭარაზე კეთდებოდა. სტატისტიკას მოგახსენებთ - 1997 წლისთვის საქართველოს საზღვრები (ორივე მიმართულებით) დაახლოებით, 50 000-მდე ტრაილერმა გაიარა. 2003 წლის მინაცემებით, ეს ციფრი 7 000-10 000-მდე დავიდა. მანქანას, რომელმაც ტვირთი უნდა ჩაიტანოს ბაქოში, ან სადმე სხვაგან - საქართველოს 550 კილომეტრიანი მონაკვეთი (ოფიციალურად და არაოფიციალურად), 1700-1800 დოლარი უჯდება. ირანის 500 კილომეტრით გრძელი მარშრუტი კი 400-500 დოლარამდე. ჩემი თვალით ვნახე კილომეტრიანი რიგები დოღუბეაზითის სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე (ირანი-თურქეთის საზღვარი). შოკირებული ვიყავი. ფეხით გავიარე და მძღოლებს გავესაუბრე. ხალხი ჩემს გარშემო შემოიკრიბა და შემომჩიოდნენ, ვიღაცეებმა როგორ წაართვეს ფული ქუთაისთან, რუსთავთან და ა.შ. ამ მანქანების 30-40 პროცენტი ადრე საქართველოს გზებით დადიოდა. იმის თქმა არ შემიძლია, რომ საქართველოს მთავრობას ეს ჩემი ინიციატივა უყურადღებოდ დარჩა, მაგრამ, საბოლოო ჯამში, სიკეთე მაინც არ იგრძნობა.

- როგორ აღიქვა თურქეთმა ჩვენში ხელისუფლების ცვლის პროცესი და რა დოზით არის იქ დემოკრატია?

- რა თქმა უნდა, თურქეთში დემოკრატია არის. ჰყავთ ძლიერი პოლიცია და ჯარი. დღეს თურქეთი განვითარების გზაზე დგას და ეს ბევრ სფეროში კარგად ჩანს - ჯანსაღი ეკონომიკა, საბანკო სისტემა, კომუნიკაციები. ქვეყანა სახელმწიფო ბერკეტებს იყენებს ისე, როგორც საჭიროა, შეიძლება, შეგშურდეს კიდეც.

საქართველოში მიმდინარე მოვლენები, ცხადია, გაშუქდა. იყო ძალიან ზომიერი შეფასებები. ოფიციოზი დღესაც მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, დემოკრატიულ განვითარებას და მეზობელი ქვეყნის სტრატეგიულ ინტერესებს.

- თქვენ პირადად?

- ძალიან ვნერვიულობდი, მაღელვებდა, რომ სისხლი არ დაღვრილიყო. ყველაფერი უცბად და შეიძლება ითქვას, ოსტატურადაც მოხდა. ჩემი პირადი პრობლემა კი ჩემი ძმა, ნიკა ჯანჯღავაა. ის წელიწადნახევარი უმუშევარი იყო. ადამიანი, შეიძლება, უფრო მეტ ხანსაც იჯდეს სახლში, მაგრამ, ერთი რამ უნდა ვთქვა - თუ საგარეო სფეროში მოღვაწე ქართველთაგან ათობით და ასობით შესანიშნავი ახალგაზრდა გვყავს, სამხედრო სფეროში ვაკუუმია. კარგად ვიცნობ ნიკას მეგობრებს, დასავლეთის და ამერიკის სამხედრო სასწავლებლებში მოსწავლე ბიჭებს. დანაშაულია ის, რომ ნიკა ჯანჯღავას მსგავსი ოფიცერი ჯარში არ მსახურობს. ვიცი, როგორ უყურებენ დასავლეთში ნიკას. აქ კი წერენ, რომ ნიკა არის გიჟი და გადარეული... თუ ასე იყო, რას ასწავლეს ამერიკაში 5 წელი, რატომ დანიშნეს სახმელეთო ჯარების უფროსად?! თუმცა, ამ კითხვებზე ჩემა ძმამ უნდა გასცეს პასუხი, მე თავს შევიკავებ.

- ბრძანეთ, რომ მამა-ბუშმა სახელმწიფო საბჭოს დროს, შეიარაღებული გზით ხელისუფლების ცვლას დაუჭირა მხარი. ახლა შვილმა მოიწონა "ვარდების რევოლუცია".

- კატასტროფულად ჩქარა იცვლება დრო და ინტერესები. დასანანი კი არის, რომ აუწყობელი ქვეყანა ვართ, თორემ სახელმწიფოს ფორმირების პერიოდი, რომელსაც ახლა გავდივართ, ყველაზე საინტერესოა.

ჩვენი ამოსავალი წერტილი რადიკალური ცვლილებები უნდა იყოს იქ, სადაც საჭიროა. იმედის ნაპერწკალი, რომელიც რევოლუციის დღეებში ხალხის თვალში გაჩნდა - არ უნდა დამარცხდეს. ვითარებას ძალიან ოპტიმისტურად ვუყურებ და მგონია, რომ ყველაფერი კარგად იქნება. ეს არ იყო არც რუსეთის ინტერესების მხარდამჭერი რევოლუცია და არც სხვა რომელიმე ქვეყნისა. ეს იყო ხალხის ნების გამოხატულება და ამას არ შეიძლება, კონტრრევოლუცია მოჰყვეს.

- დიდი ხანია საუბრობენ დერინერის კაშხალზე. ამბობენ, რომ ის საფრთხეს შეუქმნის თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართულ უნიკალურ არქიტექტურულ ძეგლებსაც და აჭარის ეკოლოგიურ სურათსაც. ეს ასეა?

- ეს ძეგლები თურქეთისა და საქართველოს ერთობლივი კულტურული მემკვიდრეობაა. რეგულარულად ვეცნობი ყველა პერიოდულ გამოცემასა თუ გზამკვლევ ბროშურებს. უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, ყველგან ცალსახად წერია, რომ ეს ძეგლები ქართველმა ბაგრატიონებმა ააშენეს. ძეგლებს ადგილობრივი მოსახლეობა შეძლებისდაგვარად უვლის. მუდმივად ვეკონტაქტებით და თუ რაიმე ხდება, მაშინვე გვატყობინებენ.

რაც შეეხება კაშხალს: კულტურის სამინისტროს გადავუგზავნე წერილი, სადაც ეწერა, რომ იმ პროექტით, რომელიც თურქულმა მხარემ წარმოგვიდგინა, დატბორვის საშიშროება არც ერთ ძეგლს არ ემუქრება. თუმცა, ეკოლოგი არ ვარ და არ ვიცი, რა ეკოლოგიურ საფრთხეს უნდა ველოდოთ. როგორც ქართველი, პატრიოტი და გენერალური კონსული ვამბობ, რომ ეს ძეგლები დატბორვის რისკის ზონაში არ იმყოფება. თუმცა, არ ვიცი, დატბორვით გამოწვეულმა მიკროკლიმატურმა ცვლილებებმა რამდენად შეიძლება დააზიანოს ფრესკები.

- რა არის თურქეთის სახელმწიფო ინტერესები და საქართველოს მიმართ თუ შეიცვალა პრიორიტეტები ამ ათ წელიწადში?

- პრიორიტეტები არ შეცვლილა. როგორც თავიდანვე იყო დეკლარირებული - კეთილმეზობლური ურთიერთობები და სტრატეგიული პარტნიორობა - ახლაც ისეა. თურქეთი აღმოჩნდა ის ქვეყანა, რომელმაც მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობას, დიდად ეხმარება არმიის ფორმირებაში. ჩემი ძმის სიტყვებს გავიმეორებ, რომელიც მუდმივად ერთ რამეს ამბობს - ნუ გვაქვს ილუზია, რომ ამერიკელი სემი ჩამოვა და ჩვენს გასაკეთებელს გააკეთებს.

მისასალმებლად ჯარი უნდა გაგვეტარებინა. ეს მისია მე და გელა ლანჩავას გვერგო. შევარდნაძემ თქვა, თქვენი ამბავი ვიცი, წესიერად ვერ გაატარებთო... ეს რომ არ მომხდარიყო, ჯარს აეროპორტში ვამეცადინებდით. მე ვიყავი დემირელი, ლანჩავა - შევარდნაძე.

ელჩს, ნოდარ კომახიძეს "ვილისი" გამოუყვეს. ხუმრობდა ხოლმე ბატონი ნოდარი - დროშას ხელში დავიჭერ და ისე ვივლიო. ჩემს მანქანასაც კუსტარულად მივამაგრეთ დროშა...

აფხაზებთან სხვანაირად ლაპარაკის დრო მოვიდა. დედა აფხაზი მყავს და პირადად მე ღრმა და კარგი ურთიერთობები მაქვს აფხაზ დიასპორასთან.

იმედის ნაპერწკალი, რომელიც რევოლუციის დღეებში ხალხის თვალში გაჩნდა - არ უნდა დამარცხდეს.

იმედგაცრუება

ოთარ იოსელიანი

"გუშინდელმა დღემ სალონიკის კონოფესტივალზე პოლიტიკური ელფერი შეიძინა და ეს ბუნებრივიც იყო, რადგან ფესტივალის საერთაშორისო განყოფილების ჟიურის თავმჯდომარე ცნობილი ქართველი რეჟისორი ოთარ იოსელიანია. როდესაც მას ჰკითხეს საქართველოში წინა კვირას მომხდარი "ხავერდოვანი რევოლუციის" და ედუარდ შევარდნაძის გადადგომის შესახებ, იოსელიანმა უპასუხა: "მოვლენები ჩემს ქვეყანაში მოულოდნელად განვითარდა. ძალიან დიდ პატივს ვცემ ბატონ შევარდნაძეს და იმას, რაც მას ცხოვრებაში გაუკეთებია. ძალიან მაწუხებს, რა იქნება მომავალში. საქართველოში ცხოვრობს 5 მილიონი ადამიანი; ჩვენი ქვეყანა აღმოსავლეთ-დასავლეთ-ჩრდილოეთ-სამხრეთის გზაჯვარედინზე მდებარეობს. აქ გავლენის მოსაპოვებლად ორი პოლუსი იბრძოლებს - აშშ და რუსეთი"

იოსელიანმა განაცხადა, რომ თვითონ, პიროვნულად, მთელ ამ "რევოლუციის ისტორიაში" არც ერთ მხარეს არ დგას, თუმცა მიაჩნია, რომ ის ეკონომიკური ქაოსი, რომელშიც მისი ქვეყანა იმყოფება, აუტანელია საქართველოს მოქალაქისთვის. "მსოფლიო ბანკი დაეხმარა ადგილობრივ ვალუტას, მაგრამ ღრმა ცვლილები არ განუხორციელებია ეკონომიკაში," - თქვა იოსელიანმა, და დაამატა, რომ მის ქვეყანაში პენსიონერის პენსია თვეში 7 დოლარზე მეტს არ შეადგენს.

ბოლოს რეჟისორმა, რომლის ნამუშევარიც თესალონიკის კინოფესტივალზე სპეციალურ რესტროსპექტივაზეა წარდგენილი, განაცხადა, რომ **"უსისხლო, "ხავერდოვანი", როგორც მას უწოდებენ, რევოლუცია საქართველოში იყო ძალიან კარგად ორგანიზებული ქმედება. რეგიონებიდან ავტობუსებით თბილისში ჩამოვიდნენ დაქირავებული "რევოლუციონერები". მათ გადაუხადეს 25-25 დოლარი, რომ დემონსტრაციაზე გამოსულიყვნენ. ეს ჰგავს ბოლშევიკურ ტაქტიკას. შეუძლებელია, ხელისუფლებაში ამგვარი მეთოდებით მოსვლა მე არ მაღელვებდეს".**

ეს მასალა 25 ნოემბერს ბერძნულ გაზეთში – Tovima-ში გამოქვეყნდა. სტატიის ბოლოს მოყვანილი ციტატის ავტორი რომ ისეთი ცნობილი და პატივსაცემი რეჟისორი არ იყოს, როგორიც ოთარ იოსელიანია, ალბათ, ნაკლებ ყურადღებას დაიმსახურებდა. მაგრამ, რამდენადაც უცნაური უნდა იყოს, "ვარდების რევოლუციის" შესახებ გამოთქმული მოსაზრება სწორედ მას ეკუთვნის.

ოთარ იოსელიანი ის ერთადერთი მოქმედი ქართველი რეჟისორია, რომლის შემოქმედებაც, თუნდაც, მცირედ საბაბს გვაძლევს, რომ დიდ ქართულ კინოზე მხოლოდ წარსულში არ ვისაუბროთ. იმის მიუხედავად, რომ იოსელიანის უკანასკნელი ნამუშევრები აღარაა ისეთი ეფექტური და შთამბეჭდავი, როგორც ეს ახლო წარსულში იყო, მასთან დაკავშირებული ყოველგვარი შემოქმედებითი სიახლე მსოფლიო (და მათ შორის, ქართველ) კინომოყვარულთა საზოგადოების ინტერესის საგანია. ის კომენტარი, რაც ოთარ იოსელიანმა თბილისში განვითარებული მოვლენების დასრულებიდან ორ დღეში გააკეთა, რბილად რომ ითქვას, მეტად უცნაურია.

რეჟისორი, კარგა ხანია, აღარ ცხოვრობს საქართველოში, მაგრამ სამშობლოს პერიოდულად სტუმრობს და, ასე თუ ისე, კარგად იცის მისი მშობლიური ქვეყნის ეკონომიკური სიდუხჭირე და ზოგადი მდგომარეობა; მაგრამ, როდესაც შუაგულ ევროპაში პრესტიჟული კინოფესტივალის ჟიურის თავმჯდომარის რანგში პრესის წინაშე აცხადებს, რომ 24 ნოემბერს საქართველოს რეგიონებიდან დედაქალაქში "ჩამოყვანილ" თითოეულ მოქალაქეს 25 აშშ დოლარი გადაუხადეს, ამ შემთხვევაში ამას ორი ახსნა შეიძლება მოუძებნო – იგი ან ცრუობს (შეგნებულად ავრცელებს დაუზუსტებელ ცნობებს), ან მას ასეთი ინფორმაცია ისეთი სტრუქტურებიდან მიაწოდეს, ვისთვისაც დამახასიათებელია ამ სტილით მუშაობა... სხვა მიზეზის მოძებნა, ალბათ, რთულია - ასეთი ავტორიტეტული ადამიანები პრესის წინაშე ვარაუდების დონეზე და, მით უმეტეს, მეტად მნიშვნელოვან თემებზე არ საუბრობენ ხოლმე.

და კიდევ: გასაგებია, რომ ამა თუ იმ რეჟიმის შეცვლას ადამიანები ძნელად ეგუებიან. მაგრამ, ძნელი წარმოსადგენია, რომ დიდი ხელოვანები, რომელთა შემოქმედებაც ყოველთვის გაბატონებული რეჟიმის წინააღმდეგ იყო მიმართული, ოდესმე ამ რეჟიმების მხარდამჭერებად მოგვევლინებოდნენ. საერთოდ კი, რეჟიმისგან გაქცევა ცალკეული ადამიანებისთვის იოლია, მაგრამ წარმოუდგენელია ეს მთელმა ერმა, მოსახლეობის უმრავლესობამ გააკეთოს. ამას გაცილებით სჯობს რეჟიმი შეეწიროს ქვეყანას, ვიდრე პირიქით. საქართველოში 23 ნოემბერს ეს მოხდა, სხვა - არაფერი.

იმპრესიონისტული ფერები და კიბერნეტიკა

თეონა ჯაფარიძე

ნათქვამია: - **физики лирики** ეს მართლაც ასეა; საგამოფენო დარბაზში მართლაც ლირიული ფერწერა გამოეფინათ და დამთვალიერებლები ძირითადათ ზუსტი მეცნიერების წარმომადგენლები - ფიზიკოსები, მათემატიკოსები ბრძანდებოდნენ: ირაკლი ავალიშვილის ფერწერას რუსთაველის საზოგადოების საგამოფენო დარბაზი მასპინძლობდა. როგორც აღმოჩნდა, ერთ-ერთი საუკეთესო ბიოფიზიკოსი საუკეთესო ფერმწერიც ბრძანდება. ფიზიკასა და მათემატიკაში დაცული საკანდიტატო შრომების ავტორი, პროფესიონალ პეიზაჟისტად და პორტრეტისტად გვევლინება. მის ფერწერაში ლირიკის არსებობის საიდუმლო შესაძლოა მისი ექვსი შვილია, ან კიდევ ის, რომ, აფხაზეთში ომის სისასტიკეგამოვლილმა, უფრო ძლიერად შეიგრძნო ტილოს, ზეთის, ფუნჯისა და ბუნების ძალა.

"როგორც კი ჩარჩოში ჩავსვათ, თუნდაც ლუვრში დაკიდეთ, დამერწმუნეთ, არავინ იფიქრებს, რომ იქ მისი ადგილი არ არის" – მიგვითითა მის ერთ-ერთ პეიზაჟზე რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტმა, ბატონმა მიხეილ ქურდიანმა.

"ის კიბერნეტიკაში მუშაობს და აქამდე მასთან მხოლოდ მეცნიერება მაკავშირებდა. სამწუხაროდ გვიან გავიგე, რომ ის მხატვარია. მე ასტრო-ფიზიკის ლაბორატორიაში ვმუშაობ. მოგეხსენებათ ფერებთან, განათებასა და კოსმოსთან უფრო მეტი სიახლოვე მაქვს. თანაც ცოტას ვხატავ კიდეც. ამიტომაც თამამად ვაცხადებ, რომ მას ფერის შეგრძნების არაჩვეულებრივი უნარი გააჩნია." – ასე აფასებს მის მხატვრობას ცნობილი მეცნიერი და ინტელექტუალი ბატონი ჯუმბერ ლომინაძე და არ გვაქვს უფლება, რომ არ დავეთანხმოთ მას.

ირაკლი ავალიშვილს, პროფესიონალურ მხატვრობასთან ფერწერის გარდა ისიც აკავშირებს, რომ 1997 წლიდან ის მხატვართა კავშირის წევრია. მის პერსონალურ გამოფენებს კი "ქარვასლა", "ეროვნული ბიბლიოთეკა", აშშ-ს საელჩო, გალერეა "ჰობი", "თანამედროვე ხელოვნების გალერეა" მასპინძლობდა. მისი ნამუშევრებით დაინტერესებულა დიუმას ცენტრის დირექტორი, ბატონი ალენ პორი და საფრანგეთის საელჩოს ყოფილი კულტურის ატაშე, ქალბატონი პასკალ ჟიუსტი და მისი ნამუშევრები შეუფასებიათ, როგორც"მაღალი კლასის მხატვრობა". ირაკლი ავალიშვილის ტილოები შვეიცარიის, ინგლისის,აშშ-ს კერძო კოლექციებშიც ინახება.

ცნობილია, რომ "მაღალი კლასის მხატვრობა"პროფესიონალიზმის გარდა კომერციულობასაც გულისხმობს. ამ მხრივ ვფიქრობ, რომ ირაკლი ავალიშვილის ფერწერით ქართველი არტ-დილერები და კოლექციონერები უნდა ინტერესდებოდნენ. აქვე გაცნობებთ, რომ, გარდა რუსთაველის საზოგადოების საგამოფენო დარბაზისა, ირაკლი ავალიშვილის ამ გამოფენის ვირტუალური ვერსია შეგიძლიათ იხილოთ სახელოვნებო არტ-ჟურნალებში: "არტ-შერპა"-ში, "Кавказская культура"-სა და "Art and culture of caucasus"-ში მისამართზე: http;//gm.iatf.org.ge.

ცნობის ფურცელი

სურათებიანი დამატება

დამატების № 199. კვირა 7 მარტი 1904 წ. გაზეთის № 2431

ანა კორძაია-სამადაშვილი

გასული საუკუნის დასაწყისში სოფელ საგვაზაოში – ეს სოფელი აბაშის რაიონში დღესაც არსებობს – ცხოვრობდა ცოლ-ქმარი: ანნა ფაცულია და დათა გვაზავა. დათა ვაჭარი იყო, საკმაოდ შეძლებული, კარ-მიდამოც ჩინებული ჰქონდათ. მათი სახლი ლაზებს აუშენებიათ, და ისინი, ვისაც ის დღესაც ახსოვთ – შვილთაშვილები – იხსენებენ, რომ ყოველ ოთახში თითო ბუხარი იყო, რომ სახლს ხის, მოჩუქურთმებული აივანიც ჰქონდა, და რომ, სიდიდის მიუხედავად, ძალიან მყუდრო სახლი იყო კოხტა კარ-ფანჯრით. ხის სახლი, როგორც ხის სახლების წესია, ცხელ დღეებში ტკაცუნებდა ხოლმე და ძალიან სასიამოვნო სუნი ასდიოდა.

სახლი აბაშის ნაპირას მდგარა, და ერთხელაც, როცა მდინარე ძალიან ადიდდა, მისი მფლობელები შეშინდნენ, რომ წყალი წაიღებდა. ვიღაცას ურჩევია, - ჩქარა, კარ-ფანჯარა გააღეთო, და მართლაც, სახლი გადარჩა – მდინარემ გზა იპოვნა და ჩაიარა. ერთი ისაა, რომ ყველაფერი წაიღო - ავეჯიც და წიგნებიც, ჩვენი ამბის მთავარი გმირის 1904 წლის "ცნობის ფურცლის" სურათებიანი დამატების ტომის გარდა: ქალბატონი ანა ფურცლებს მთელი წლის განმავლობაში აგროვებდა და შემდეგ, როგორც ჩანს, ქალაქში ჩაუტანია ასაკინძად. ამჯერად ტყავის გარეკანში ჩასმული ტომი, წარწერით "ცნობის ფურცელი. 1904 წელი. ანნა ფაჩულია, მისი შვილთაშვილის, **ისტორიკოს თორნიკე ირემაძის** სახლში ინახება.

მაგრამ, კვლავ დათას და ანნას დავუბრუნდეთ. 1937 წელს ბატონ დათას, როგორც ჩანს, იმ დროისთვის დამახასიათებელი უსაიმოვნება შეემთხვა; ეს ამბავი ძალიან მძიმედ გადაიტანა და ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა კიდეც. მისი მეუღლე ანნა მარტო დარჩა. ქმრის გარდაცვალების შემდეგ ის 30 წლის განმავლობაში მარტო ცხოვრობდა საგვაზაოში, მეურნეობას უძღვებოდა, 1969 წელს კი 89 წლის ასაკში გარდაიცვალა.

"ცნობის ფურცელი" კი დარჩა. სწორედ მისი წყალობით, აღმოვჩნდით თორნიკე ირემაძესთან – განა ბევრგან გინახავთ 100 წლის გაზეთების კრებული, ჩინებული, ცოტა პრიმიტიული და გულისამაჩუყებელი ილუსტრაციებით და შიგ მოთხრობილი ჯადოსნური ამბებით! თურმე, ლონდონში თავბრუდამხვევი სიჩქარით შექანებული ავტომობილი; მისი სიჩქარე კი 15 კმ/სთ ყოფილა!

უნდა მოგახსენოთ, რომ იმ წლის ძირითად სიახლეებს – რუსეთ-იაპონიის ომის ამბებს – საქართველოში მცხოვრებნი "ცნობის ფურცლის" საკუთარი კორესპონდენტებისგან იტყობდნენ; და ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ეს კორესპონდენტები სულაც არ იყვნენ რუსოფილები. ფოტომასალაც ისეთია, ბევრ დღევანდელ რეპორტიორს რომ შეშურდება. გარდა ამისა, პატიოსან ქართველს, "ცნობის ფურცლის" გარდა, სულ არაფერი რომ არ წაეკითხა, მსოფლიო ლიტერატურის შესახებ წარმოდგენა მაინც ექნებოდა. გაზეთი კი ჩინებულად ვრცელდებოდა – მართალია, საგვაზაო რკინიგზის სიახლოვეს მდებარეობს, მაგრამ მაინც საგვაზაო იყო და არა გოლოვინის პროსპექტი!

1904 წლის სრული კომპლექტი

გაზეთის იმ ფურცლებს, რომლებიდანაც ამონაწერს გთავაზობთ, 99 წელი შეუსრულდა, 1904 წლის 5 დეკემბერსაა გამოქვეყნებული. ხუმრობა საქმეა – 99 წელია, გაზეთი კი არა, ადამიანი აღარ ვარგა ხოლმე არაფრად. აქ კი უამრავი რამ გავიგე, მაგალითად, იცით, რა ჯდება ომები?

"სახელმწიფოები უმეტესად სამხედრო ხარჯს ეტანებიან. ომები მილიარდებად ჯდება. ნაპოლეონის ომებს მოუნდა შვიდი მილიარდი ფრანკი. ამ ომებში დაღუპულა 1,750,000 ფრანგი, უჯანმრთელესი და ახალგაზრდა. სხვა სახელმწიფოებიც ამ მხრივ საფრანგეთს არ ჩამოუვარდებიან. 1870 წლის ომი საფრანგეთს დაუჯდა 30 მილიარდად და 1870 წლიდან მოკიდებული ჯარის შენახვა დაუჯდათ საფრანგეთს და გერმანიას 40 მილიარდად. ადვილი წარმოსადგენია, რა ქონება იხარჯება, თუ გაითვალისწინებთ, რომ მთელ ევროპას მშვიდობიანობის დროსაც კი ჯარის შესანახად მილიარდები უნდება."

ცხადია, თუ მოგინდებათ, "ცნობის ფურცელს" საჯარო ბიბლიოთეკაშიც წაიკითხავთ. ნამდვილად ღირს, გარწმუნებთ, ისიამოვნებთ, მით უმეტეს, რომ ქართველოლოგიის განყოფილებაში მომუშავე გოგონები ძალიან კეთილმოსურნე და დაუზარელი ხალხია. მაგრამ, სულ სხვაა, როცა სავარძელში თბილად მოკალათებული გახედავთ ფანჯრიდან 21-ე საუკუნის თბილისის არც ისე ლამაზ ხედს და დაფიქრდებით, რა გამოიწეროთ მომავალი, 1905 წლისთვის. არჩევანი კი დიდია:

"ყოველდღიური გაზეთი "ცნობის ფურცელი" სურათებიანი დამატებით. ფასი გაზეთისა გაგზავნით: კავკასიაში და რუსეთში ერთის წლით 6 მან. საზღვარგარედ ერთის წლით 9 მან. წლიური ფასის გადანაწილება: ხელის მოწერისთანავე 4 მან. და დანარჩენიც პირველ მარტამდე." თუ ყოველთვიური ჟურნალი "მოამბე"? ვამჯობინოთ? ორივეს, "როგორც "ცნობის ფურცლის", ისე "მოამბის" მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაგზავნებათ თხზულება გამოჩენილ ესპანელ მწერლის სერვანტესის - დონ კიხოტი – დორეს სურათებით. ეს თხზულება ნათარგმნია ნიკოლოზ ავალიშვილის მიერ და შედარებულია ვიარდოს ფრანგულ თარგმანთან ალექსანდრე სარაჯიშვილის დახმარებით. ორი ტომი შეიცავს 1700 გვერდს (300 სურათით) პრემიად დარიგებულ ყაზბეგის ნაწერების ფორმატისას". ნეტა, რა არის ეს "პრემიად დარიგებულ ყაზბეგის ნაწერების ფორმატი"? მართალია, "მოამბე" უფრო ძვირად ღირებული სიამოვნებაა – 10 მანეთი დამიჯდება, მაგრამ, სამაგიეროდ, მის "წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ მასალები საქართველოს ისტორიისთვის, ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა. ეს წიგნი ახლად ნაპოვნ ხელთ ნაწერიდან იბეჭდება და შეიცავს 300 გვერდს "მოამბის" ფორმატისას".

გამოწერა პრობლემას არ წარმოადგენს – რედაქციის კანტორის ადრესია: ვანქის დიდი ქუჩა, ქართ. ამხ. სადგომში. ავლაბარში მისვლას რაღა უნდა...

უკულტურობა, რომელიც დანაშაულის ტოლფასია

ტარანტინოს Kill Bill და ბავშვები

უკულტურობაა, როდესაც კინოსეანსის, ან რაიმე თეატრალური წარმოდგენის დასრულების შემდეგ ხალხი ერთმანეთს კარში გასვლას არ აცდის. თუმცა, ამგვარი უკულტურობით დიდად არავინ ზარალდება. ჰა-ჰა, ვინმემ ვინმეს მტკივან ცერზე დააბიჯოს ფეხი, ან თირკმელებში უთავაზოს ისე, რომ კაცმა ვეღარ ამოისუნთქოს...

უკულტურობაა ისიც, როდესაც საჯარო მოხსენებისას კინოსა და თეატრში, კონცერტებსა და ოპერაშიც კი ადამიანები თავიანთ მობილურ ტელეფონებს არ გამორთავენ ხოლმე. თუმცა, არც ამგვარი უკულტურობით ზარალდება დიდად ვინმე: ჰა-ჰა, მომხსენებლს შეელახოს თავმოყვარეობა, - ჩემი აზრი არავის აინტერესებსო; ან მსახიობს გაუქრეს შთაგონება, ანდა საკონცერტო დარბაზში დაირღვეს ერთიანი მუხტი, როდესაც მუსიკოსი დებიუსის ასრულებს, და უეცრად სადღაც ბეთჰოვენის "აპასიონატა" დაიწკრიალებს. ეს ყველაფერი სამწუხაროა, მაგრამ, ალბათ - განკურნებადი. იმედია, ჩვენი თანამოქალაქეები მობილურების გამორთვასაც ისწავლიან და ერმანეთისათვის მუჯლუგუნის კვრასაც გადაეჩვევიან. მაგრამ, რა ქნას პატარა, სამი-ოთხი წლის ხუჭუჭა გოგომ, რომელიც სხვაგვარი უკულტურობის მსხვერპლი გახდა? განიკურნება კი როდესმე ის შიშები, რაც მას ტარანტინოს ფილმის იძულებით ყურების შემდეგ დარჩებოდა? რა ქნას პატარა გოგომ, რომელსაც ძალიან ეშინოდა და ტიროდა, -აღარ მინდა, გარეთ გამიყვანეთო? რა ქნას ბავშვმა, რომელსაც, მიუხედავად იმისა, რომ დარბაზში სეანსის დასრულებამდე დოლბის სისტემით გაორმაგებული ცემა-ტყეპის, აფეთქებებისა და წივილ-კივილის ზრიალი იდგა, თავისი ძმის კალთაში შოკისგან ჩაეძინა?

კადრი ფილმიდან "მოკალი ბილი"

ნინო ცინცაძე

ცოტა რამ ფილმის შესახებ. ტარანტინო აშკარად "უდარში" იყო. ნამდვილად არ დაბერებულა და უმა თურმანზეც ისევ ძველებურად გიჟდება. ქალბატონი თურმანიც მშვენიერ ფორმაშია - ისე დადის და ხოცავს ნახევარ დუნიას, რომ თვალსაც არ ახამხამებს. ფილმი ჯერ წესიერად დაწყებული არც არის, ჯერ ისევ ტიტრები მიდის, როდესაც კადრს მიღმა ქალის ქოშინი ისმის. თავიდან ვერც მიხვდები, ორგაზმი აქვს, თუ რამე უჭირს. შემდეგ შავ-თეთრი კადრიც იხსნება: გასისხლიანებული, თვალჩალურჯებული და კბილებჩამტვრეული უმა იატაკზე გდია. ვიღაც კაცი მოდის და გაზეთისმაგვარი ცხირსახოცით, რომელსაც ბილი ანერია, სახიდან სისხლს სწმენდს. შემდეგ ეუბნება, - სადისტი არ გეგონო, მაზოხისტი ვარო. "ეს შენი შვილია, ბილ!"- ყვირის თურმანი; ისმის გასროლის ხმა და მთელი კადრი სისხლით ირწყვება.

ამ დროს კი დარბაზში პატარა გოგონა იწყებს ტირილს, - "აღალ მომწონს, წავიდეთ!" აქეთ-იქიდან ორი ბიჭი უზის. ერთი ათი წლის იქნება, მეორე - ცამეტის. პატარას სასწრაფოდ კოკა-კოლას და ბატიბუტს აწვდიან და ცდილობენ, გააჩუმონ.

თურმანი, თურმე, გადარჩენილა და შურისძიებისთვის ემზადება. სულ ოთხი ადამიანი ჰყავს მოსაკლავი: ერთი შავკანიანი, ერთი ყვითელკანიანი, ერთი თეთრკანიანი ქალი და ერთიც კაცი - ბილი. მოკლედ, უმა ყველა რასას დედებს უკლავს და მერე ბილიც უნდა მიაყოლოს; ბილის არც რასა აქვს და არც სახე, ან რად უნდა, ისედაც კაცია, მაგის დედაც... ამ სერიაში თურმანი ორის მოკვლას ასწრებს. შავკანიან და ყვითელკანიან ქალბატონებს უსწორდება. მართალია, ამ უკანასკნელზე გამარჯვებას ნახევარ იაპონიას გადააყოლებს, მაგრამ არა უშავს. ბილისა და ქერათმიან ლამაზმანზე შურისძიებისათვის ტარანტინო, ალბათ, მეორე სერიას გადაიღებს, მით უმეტეს, რომ ფილმის ბოლოს ირკვევა, თურმე უმას შვილი, რომლის სისხლმაც ფილმის დასაწყისში მთელი კადრი მორწყა, ცოცხალი ყოფილა.

პირველად თურმანი მოსაკლავად სახლში შავ ქალს აკითხავს. ერთმანეთს მაგრად დაასისხლიანებენ. მუშტით რომ ვერაფერს გახდებიან, სამზარეულოს დანებს აიღებენ. ამასობაში სახლში ოთხი წლის გოგო ბრუნდება. დედა და სტუმარი დანებს ზურგსუკან დამალავენ და ბავშვს სთხოვენ, - ჩვენ ყავა უნდა დავლიოთ, შენ კი შენს ოთახში გაცუნცულდიო. ყავის სმა მშვიდობიანად ვერ დასრულდება. როდესაც თურმანი უზარმაზარ გასისხლიანებულ დანას მსხვერპლის სხეულიდან იღებს, სამზარეულოში 4 წლის გოგონა ბრუნდება...

ამ დროს კი "ამირანის" დარბაზში მეორე გოგონა კითხულობს შენიშნებული: "ამ ქალმა ამ ბავშვის დედიკო რატომ მოკლა?".

სანამ ჯერი ყვითელკანიანზე მიდგება, ფილმში პატარა მულტიპლიკაციური ნოველაა ჩართული, - იაპონურ ტრაგიკულ მულტფილმებზე ღადაობენ. ამბავი მოგვითხრობს, რატომ გახდა ამერიკული წარმოშობის ნახავრად ჩინელი და ნახევრად იაპონელი ქალი ასეთი ბოროტი - თურმე, ბავშვობაში თვალწინ მშობლები დაუხოცეს. ბოროტი ბიძია მამას ხმალს გაურჭობს. მამას ჭრილობიდან სისხლი მოსდის და მოსდის, ბოროტი ბიძია იცინის და იცინის. მერე დედას დააგდებს ლოგინზე... ცოტა რომ წამოიზრდება გოგონა, შურს იძიებს. მშობლების მკვლელი პედოფილი აღმოჩნდება და პატარაც გარემოებებით ისარგებლებს...

ამასობაში კი დარბაზში ცამეტი წლის ბიჭი ოთხი წლის გოგოს აწყნარებს: "ნუ გეშინია, რა მოხდა, მულტფილმია." აქ კი ვეღარ მოვითმინე, ბავშვებთან მივედი და ვკითხე, მარტოები იყვნენ, თუ უფროსიც ახლდათ. ბიჭმა ხელი გაიშვირა: "აი, იქით ზის". რიგს თვალი გავაყოლე. სიბნელეში კიდევ ორი პატარა ბიჭი შევამჩნიე, ალბათ, ხუთი და ექვსი წლის, მერე კი დედიკო. რა მექნა? ადგილს დავუბრუნდი.

ფილმში ეს ნამდვილი ხალისობა მულტფილმის შემდეგ დიწყო. თურმანი იაპონიაში ჩადის. იქ სამურაის ხმალს შოულობს და ერთი ას კაცს მაინც აცლის კიდურებს - ზოგს ხელს და ზოგს ფეხს. საბედნიეროდ, ამასობაში პატარა გოგოს ძმის კალთებში ჩაეძინა. პატარა ბიჭებს კი ძილი არ მორევიათ, პირიქით, აღგზნება სულ უფრო ემატებოდათ, ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდნენ და აქით-იქით დახტოდნენ.

ფილმში ერთი ასეთი კადრია: პროზექტურის მაგვარ ოთახში წლობით კომაში მყოფი ავადმყოფები წვანან. ღამის ექთანს ოთახში ერთი აყლაყუდა შემოჰყავს და უხსნის, 75 დოლარის გადახდის შემთხვევაში, რომელი ქალი შეუძლია "იხმაროს" და რა წესების დაცვით. კიდევ კარგი, კინოთეატრ "ამირანის" ადმინისტრაცია ჩვენი ენისა და საქართველოს მოქალაქეების უფლებებს ნაკლებ პატივს სცემს და ფილმებს ქართულად არ თარგმნის!

ყველაზე სისხლიანი ტოკიოს ერთ-ერთ რესტორანში გამართული სცენაა. არაჩვეულებრივი ვირტუოზულობით გადაღებული ჩხუბის კადრები ერთმანეთს ენაცვლება. ხმალი დაიწუილებს - ბაც, ვიღაცის ხელი მოჭრილია... სისხლის შხეფები ყველგან. ხმალი დაიწუილებს - ბაც, ვიღაცის ფეხი მოჭრილია... სისხლის შხეფები ყველგან. ხმალი დაიწუილებს - ბაც, ვიღაცის მუცელი იფატრება... სისხლის წვეთები ყველგან. როდესაც უმა ერთ-ერთ გოგოს დარბაზის ბოძს მიაჭედებს, მსხვერპლის თვალებიდან სისხლი წვეთავს. როდესაც პირველი მსხვერპლი აუზში ვარდება, წყალი ვარდისფრდება, ბოლო მსხვერპლის ჩავარდნისას კი აუზი უკვე მუქი-მუქი წითელია. ბოლოს თურმანი თავის ნახელავს აივნიდან გადმოჰყურებს. მთელი დარბაზი მკვდარი, დაჭრილი და ხელ-ფეხ მოჭრილი ადამიანებითაა მოფენილი. "ვისაც ფეხების წაღება შეგიძლიათ, წადით, ოღონდ მოჭრილი ფეხები აქ დამიტოვეთ", - ყვირის ზემოდან თურმანი.

აქ ისევ ვეღარ მოვითმინე და ახლა თავად დედიკოს მივადექი. "სოციოლოგი ვარ, ბავშვთა უფლებების შესახებ კვლევას ვატარებთ და, ხომ ვერ მეტყვით, რატომ მოიყვანეთ ამ ფილმზე ამდენი პატარა ერთად?" – დავახეთქე პირველივე სისულელე, რომელიც თავში მომივიდა. ბავშვებს უნდოდათ ძალიან და იმიტომ წამოვედით; ახლა კი ამათ აქედან ვეღარ გავიყვანო, – მიპასუხა მან. იმ პატარა გოგოსაც ვერ გაიყვანთ, წეღან რომ ტიროდა – მეთქი? ის ჩემი მულიშვილია, თავის ძმა აქ არის, თუ უნდა, გაიყვანოს, მე ვერ ვუბრძანებო, - მივიღე პასუხი. რა დაუშავა ნეტავ, მულმა ასეთი? თუმცა, ალბათ - არც არაფერი. საკუთარი 4-5 წლის შვილები იქვე ესხდნენ, მერე რა, რომ ისინი არ ტიროდნენ? ფილმი მათზე არ იმოქმედებდა, თუ რა?

P.S. სეანსის დასრულების შემდეგ საკანონმდებლო დეტალების გარკვევა "ამირანის" ადმინისტრაციასთან ვცადე. გაირკვა: სეანსზე მოზარდებს მხოლოდ იმ შემთხვევაში არ უშვებენ, თუ ასეთი რეკომენდაცია ჩამოსულ ფილმს თან ახლავს. ასეთი რეკომენდაციები, ძირითადად, ეროტიკულ ფილმებს ჩამოჰყვება ხოლმე. Kill Bill-ს კი, თურმე, აწერია, - ვისაც სუსტი ნერვები აქვს, არ უყუროსო. ბავშვებს კი, ალბათ, ნერვებიც მშვიდი აქვთ და ფსიქიკაც მყარი, სანამ მას უფროსები არ დაუზიანებენ. ვინ აგებს პასუხს ამაზე – რძალი, მული, კინოს ადმინისტრაცია, ჩვენი სახელმწიფო თუ ყველანი ერთად?!!

მელანქოლიური სექსუალური ძალადობა ტერნერის ჯილდოს იღებს

ნინო ჟანიშვილი

თუ თბილისში ზიხართ (ჩემსავით) და ტერნერის პრიზით დაჯილდოების ამბებს აქედან ადევნებთ თვალს (რა თქმა უნდა, თუ ეს გაინტერესებთ), მაშინ ჩვენნაირებმა (თბილისელებმა) უნდა ვიფიქროთ, რომ ლონდონში ტერნერის ჯილდოთი გრეისონ პერის გარეგნული იერი და ჩაცმულობა დააჯილდოეს. სინამდვილეში კი ტრანსვესტიტ გრეისონ პერის პრესტიჟული პრემია კერამიკული ქოთნებისთვის და მასზე ასახული სცენებისთვის გადასცეს. უბრალოდ, ჩვენთვის ასეთი ადამიანის საზოგადოებაში გამოჩენა თავად იქნებოდა ექსპონატი.

გრეისონ პერი 43 წლის მამაკაცია. მის ალტერ ეგოს კი კლერი ჰქვია. კლერი ხელოვნების წვეულებების მუდმივი სტუმარია. დაჯილდოების ცერემონიალზე გრეისონ პერი კლერის სახით გამოცხადდა - ქერა თმით და მე-19 საუკუნის ფაიფურის თოჯინების მსგავსი სამოსით – იასამნისფერი ატლასის მოკლე კაბით, ბევრი ბაფთით მორთული და წითელი ლაქის ფეხსაცმელებით.

დაჯილდოების ცერემონიალი, ჩვეულებრივ, ტეიტის გალერეაში გაიმართა. გამარჯვებულს პრიზი, 20 ათას ფუნტ სტერლინგითურთ, ცნობილმა პოპ ხელოვანმა სერ პიტერ ბლეიკმა (მისი გაფორმებულია "ბითლზის" ალბომი Seargent Pepper) გადასცა. თავად გამარჯვებულმა კი განაცხადა: " დადგა დრო, რომ ტრანსვესტიტ კერამიკოსსაც ტერნერის პრიზი მოეპოვებინა... სინამდვილეში კი ერთ ადამიანს, ჩემს მეუღლეს, ფილიპას მინდა გადავუხადო მადლობა. იგია ჩემი სპონსორი, რედაქტორი, მხარდამჭერი და უმეტეს შემთხვევაში - საყვარელი".

ახლა კი იმის შესახებ, თუ როგორია ის კერამიკული ქოთნები, რომლებმაც ასე აღაფრთოვანეს სერ ნიკოლას სეროტა – ჟიურის თავმჯდომარე და ტეიტის გალერეის დირექტორი. გრეისონ პერის კერამიკული ნაწარმი ფორმით ეტრუსკულ ლარნაკებს წააგავს. დილდო კი უფრო მათზე ასახულმა სცენებმა დაიმსახურა. სცენები ასეთია – სექსუალური ძალადობა, კრიმინალი, ნარკომანია. ბევრი სცენა პედოფილიას და ბავშვებზე სხვადასხვაგვარ ძალადობას ასახავს. ტრანსვესტიტი კერამიკოსის მიერ მოჭიქული ლარნაკები ფერადოვანია; განწყობა კი მათ უმეტესობას მელანქოლიური დაჰკრავს, რაც სათაურებიდანაც ჩანს – "ჩვენ შენი ბავშვის სხეული ვიპოვეთ"; "მე ვიყავი გაბრაზებული მუშათა კლასის მამაკაცი"; "მარიხუანა, ეს, უბრალოდ, არასწორ ადგილას ამოსული მცენარეა". პერის თქმით, ამგვარი სცენების ასახვის მიზანია არა შოკის მოგვრა, არამედ კითხვების გაჩენა. თუმცა, მათ დიზაინს მხატვარი დიდ ყურადღებას უთმობს: "მე ისეთი რამის შექმნა მინდა, რაც თვალისთვის სასიამოვნო იქნება... არ მინდა, რომ ესთეტიკური მხარე იდეას ემსხვერპლოს".

გრეისონ პერი თავისი ნამუშევრების ფონზე

REUTERS

გრეისონ პერი 43 წლის მამაკაცია. მის ალტერ ეგოს კი კლერი ჰქვია. კლერი ხელოვნების წვეულებების მუდმივი სტუმარია. დაჯილდოების ცერემონიალზე გრეისონ პერი კლერის სახით გამოცხადდა - ქერა თმით და მე-19 საუკუნის ფაიფურის თოჯინების მსგავსი სამოსით – იასამნისფერი ატლასის მოკლე კაბით, ბევრი ბაფთით მორთული და წითელი ლაქის ფეხსაცმელებით.

გრეისონ პერი ამ სცენებს ავტობიოგრაფიულს არ არქმევს. თუმცა, ის არასდროს მალავს თავის რთულ და უბედურ ბავშვობას, რომელიც დედასთან და მამინაცვალთან ერთად გაატარა. საპირისპირო სქესისთვის განკუთვნილი სამოსის მოხდენა კი მაშინ დაიწყო, როცა თინეიჯერი იყო. ამჟამად კლერს მისი ალტერ ეგოს შენახვა ძალიან ძვირი უჯდება. იმ სამოსისთვის, რომელშიც კლერი დაჯილდოების ცერემონიალზე იყო გამოწყობილი, გრეისონმა 2500 ფუნტი სტერლინგი გაიღო. მან ბრიტანელ რეპორტიორებს განუცხადა, რომ მიღებული თანხის ნაწილს მეუღლეს და ქალიშვილს მოახმარს, ნაწილს კი კლერის ახალი კაბების შეძენას. "მერწმუნეთ, კლერი ძალიან ძვირად შესანახი ქალბატონია".

სექსი, ძალადობა, სიკვდილი, ეროტიკა, აბსურდი ტერნერის ჯილდოზე ნომინირებულთა მთავარი თემა იყო. ეს თემა ყველა მონაწილემ თავისებურად გადმოსცა. ამ ჟანრში "საუკეთესო" იყო ძმების - კეიტ და დინოს ჩეპმენების "სექსი" (ორალური სექსის დროს გაშეშებული წყვილის ბრინჯაოს ქანდაკება). ძმებმა ჩეპმენებმა 90-ან წლებში ბავშვების მანეკენების დამზადებით გაითქვეს სახელი. მათ მიერ გაკეთებულ სამგანზომილებიან ბავშვებს სხეულის სხვადასხვა ნაწილებზე დიდი ადამიანის გენიტალიები ჰქონდათ ამოზრდილი. ბევრი კრიტიკოსი სწორედ ჩეპმენების გამარჯვებას წინასწარმეტყველებდა. მაგრამ, როგორც ჟიურის წევრებმა განაცხადეს, დამთვალიერებლები (გამოფენა 29 ოქტომბრიდან მიმდინარეობდა) სწორედ გრეისონ პერის კერამიკაზე ამოტვიფრულ სექსუალური ძალადობის ამსახველ სცენებს ათვალიერებდნენ საათობით.

"მაკნატუნას" ნახევარსაუკუნოვანი ესტაფეტა

მელორ სტურუა
საქ. კორ. აზმ

ჯორჯ ბალანჩინმა ამერიკას კლასიკური ბალეტი, მის შვილებს კი "მაკნატუნა" აჩუქა. უკვე ნახევარი საუკუნეა, ეს საჩუქარი დიდ-პატარას ახარებს, ყოველ ჯერზე – ახლებურად და თავისებურად.

..."მაკნატუნას" პრემიერა 1954 წლის 2 თებერვალს ნიუ იორკში შედგა, "სიტი ცენტრის" შენობაში, რომელიც მაინც და მაინც ბალეტისთვის არ ყოფილა გაწკუთვნილი. სპექტაკლი, ყველა ნიშნით, უნდა ჩავარდნილიყო. ბიუჯეტმა დადგმისთვის გათვალისწინებულ ორმოც ათას დოლარს გადააჭარბა, მაგრამ, რაც მთავარია, პრემიერის დღესაც კი, ფარდის აწევამდე სამი საათით ადრეც კოსტუმები მზად არ იყო. ბალანჩინი ოსტატ ქალებს შეუერთდა და ნემსითა და ძაფით შეიარაღებულმა კერვა დაიწყო. ასეთი კაცი იყო ჯორჯ ბალანჩინი.

წარმოდგენის მონაწილეები, ძირითადად, ბავშვები, "სიტი ცენტრის" კულისების ყველა კუთხისა და კუნჭულში იდგნენ – სარეპეტიციო დარბაზებში, საგრიმიოროებში, კიბეებზე. მათი მოძრაობის კოორდინირებისთვის ჟესტების სისტემის მოგონება მოუწიათ – მშობლები დარბაზიდან კულისებში გადასცემდნენ. ელიოტ ფელდი, რომელიც მაკნატუნა უფლისწულს თამაშობდა, იხსენებს, რომ ბალანჩინი მასთან ერთად მეხუთე სართულზე, საგარდერობოში გადიოდა მეორე აქტის მიმური სცენის რეპეტიციას.

მიუხედავად ყველაფრისა, მიუხედავად მეორე აქტის "მძიმე" ბალეტისა, "მაკნატუნა" ბავშვებისთვის იყო განკუთვნილი. მაგრამ, ის ორი ათასი ბავშვი, რომლებითაც "სტეიტ თეატრი" შაბათს, 6 დეკემბერს გაივსო, ბავშვებს ნაკლებად ჰგავდა. და მაინც, ეს ბავშვები იყვნენ, რომლებიც "მაკნატუნაში" მისი ორმოცდაათწლიანი სასცენო ცხოვრების განმავლობაში თამაშობდნენ და ცეკვავდნენ. თაობების უნიკალური ესტაფეტა ნიუ იორკის კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა.

ჯორჯ ბალანჩინი

სცენა "მაკნატუნადან"

"მაკნატუნას" დადგმის დროს ბალანჩინი თავის შორეულ წარსულს უბრუნდებოდა, სანკტ-პეტერბურგის მარინის თეატრის ატმოსფეროს, რომლის სცენაზეც ის რამდენიმე საბავშვო როლით გამოდიოდა. ის ერთ-ერთ თაგვს და რგოლებიან მოცეკვავეს თამაშობდა. ამიტომ ის, თითქოსდა, საკუთარ თავს ხედავდა "სიტი ბალეტთან" არსებული ამერიკული ბალეტის სკოლის მოსწავლეებში, რომლებიც "მაკნატუნაში" იყვნენ დაკავებულები. ის მათ პატარა ჰონორარსაც კი უხდიდა და ბევრს აქებდა, თუმცა ძალიან მკაცრი იყო და "სრულყოფილებას" ითხოვდა მათგანაც კი, ვინც არ ცეკვავდა და, უბრალოდ, სცენაზე იდგა.

საბალეტო კრიტიკოსებმა ბალაგანური "მაკნატუნა" თავიდან ვერ გაიგეს და მაყურებელს იმასაც კი სთავაზობდნენ, მეორე, "საცეკვაო" აქტზე მისულიყვნენ და პირველი გამოეტოვებინათ – ის, რომელშიც ბავშვები ჰოფმანის ზღაპარს "ჰყვებოდნენ", ზღაპარს ერთი არაჩვეულებრივი შობის, ექსცენტრული ძია დროსელმაიერის და მისი ხის მაკნატუნას შესახებ. მაგრამ, ბავშვები და მათი მშობლები კრიტიკოსებზე უფრო გამჭრიახები აღმოჩნდნენ. "მაკნატუნა" დიდი წარმატებით სარგებლობდა. სულ მალე ის მთელ ამერიკას მოედო და შობის ისეთივე აუცილებელი შემადგენელი ნაწილი გახდა, როგორებიც სანტა კლაუსი და ბინგ ქროსბი არიან.

გასულ შაბათს სპექტაკლის საპატიო სტუმარი დიდი ამერიკელი ბალერინა მარია ტოლჩიფი იყო, რომელიც სულ პირველ "მაკნატუნაში" ფერიას ცეკვავდა; მთავარ როლებს კი ჯენი სამოი და პიტერ ბოუტი ასრულებდნენ - "სიტი ბალეტის" სოლისტები, რომლებიც მრავალი წლის წინათ "მაკნატუნაში" საბავშვო პარტიებს ცეკვავდნენ (პატარა უფლისწულსა და მარიას, ბოუტი – 70-იან წლებში, სამოი – 80-იანებში). მაგრამ, თაობათა ეს სიმბოლური ესტაფეტა ამით არ შემოსაზღვრულა. ისევე, როგორც ბალანჩინი გადიოდა რეპეტიციას ფელდთან, ბოუტთან მიმური სცენის რეპეტიციას დევიდ რიჩარდსონი გადიოდა, რომელიც "მაკნატუნაში" ჯერ საბავშვო, შემდეგ კი დიდ როლებს ასრულებდა. მისი თქმით, ის ყოველთვის ღელავდა – მოეწონებოდა თუ არა ბალანჩინს მისი ცეკვა და მისი ბავშვებთან მუშაობის მანერა? და ბოლოს, თავად ბოუტი მხოლოდ უფლისწულს როდი თამაშობს - ის ბავშვებთანაც მუშაობს ხოლმე.

სპექტაკლის დაწყებამდე ბოუტი და სამოი რეპორტიორებს თავიანთ მოგონებებს უზიარებდნენ. ბოუტს განსაკუთრებით მეორე აქტი დაამახსოვრდა, რომელშიც მას არაფერი ჰქონდა გასაკეთებელი; ის კეტრინ ჰილისთან – მარიასთან, ერთად ტომარაზე იჯდა, რომელიც დედამისმა საგანგებოდ ამისთვის შეკერა. სამოიმ კი, თურმე, სინჯებზე კინაღამ დაიგვიანა. ის ნიუ ჯერსიში ცხოვრობდა და აუდიციას ძლივს მიუსწრო. მიუხედავად ამისა, მას მარიას როლი ერგო. "რა სამწუხაროა, რომ ვიდეოკამერა არ გვქონდა! დედა და მე ირმებს ვგავდით, რომლებსაც მანქანამ უცებ ფარები მიანათა", - ამბობდა ის სიცილით.

"მაკნატუნა" მრავლისთვის იქცა დიდ ხელოვნებაში გარდამავალ საფეხურად. მათ შორის კინოვარსკვლავ მაკოლეი კალკინის დასახელებაც შეიძლება. ფელდი ცნობილი ქორეოგრაფი გახდა, რობერტ მაიორანო – მწერალი, ბალეტისადმი მიძღვნილი კლასიკური წიგნების, მაგალითად, "ბალანჩინის მოცარტიანას" ავტორი. და რა საკვირველია, მათ შორისაა უამრავი მოცეკვავე და ბალერინა. მაგრამ, გასულ კვირაში "მაკნატუნას" იუბილეს მხოლოდ ხელოვანი ხალხი როდი დაესწრო. "ვეტერანებს" შორის იყვნენ - ექიმები, იურისტები, მზარეულები და ერთი ლუდის მწარმოებელი კომპანიის მფლობელიც კი! ისინი ყველანი ერთხმად იძახდნენ, რომ "მაკნატუნას" უმადლიან ცხოვრებაში თავიანთ წარმატებას, იმ სფეროებშიც კი, რომლებსაც ბალეტთან არაფერი აქვს საერთო. ცხადია, გადააჭარბეს, მაგრამ თავიანთ ენთუზიაზმსა და მოგონებებში სავსებით გულწრფელნი იყვნენ.

მაგალითად, ნიუ იორკის ჰოსპიტალის, "მაუნტ სინაის" ონკოლოგი, დოქტორი ჰერბერტ გრეტცი, ამბობდა: "მე კარგად მახსოვს, როგორ იბრძოდნენ ბალანჩინი და ჯერომ რობინსი – თაგვების მეფე და უფლისწული. მე უკვე ექიმი ვიყავი, მაგრამ ჩემთვის ეს დაუვიწყარი გაკვეთილი იყო. ბალეტი უზარმაზარ სიზუსტეს და თავდადებას მოითხოვს – ისევე, როგორც მედიცინა. მე სტუდენტებს ქირურგიას ვასწავლი. მე მათ ვეუბნები, რომ ქირურგია ბალეტივითაა, განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ქირურგიაში გენერალური რეპეტიციები არ არსებობს. სამაგიეროდ, არსებობს "კორდებალეტი" და "ორკესტრი". თუ მათ რითმისა და სტილის გრძნობა გააჩნიათ, ოპერაცია წარმატებით სრულდება".

ნახევარსაუკუნოვანი "მაკნატუნას" ვეტერანების მოსმენის დროს ვფიქრობდი, რომ ჩვენ ტექნოტრონულ-კომპიუტერულ საუკუნეშიც კი, როცა მანქანები გროსმაისტერებს სჯაბნიან, კინოში მსახიობებს ცვლიან, იმ ქვეყნიდან ელვის პრესლისა და ჯონ ლენონს იძახებენ და წიგნებისა და სასიყვარულო პაემნების ჩანაცვლებასაც კი ახერხებენ, ხელოვნება მაინც იკვალავს გზას ადამიანებისკენ, ასფალტზე ამოსული ბალახის მსგავსად. აი, ამიტომ არ არსებობს შობა ჩაიკოვსკის "მაკნატუნასა" და აღდგომა – ჰენდელის "მესიას" გარეშე.

"დარწმუნებული არ ვარ"

სხვისი პერსონაჟის ზურგს ამოფარებული მწერალი

თამარ ბაბუაძე

7 დეკემბერს სტოკჰოლმში, ტრადიციისამებრ, ნობელის ლიტერატურული პრემიის გადაცემის ცერემონიალი შედგა. შვედეთის აკადემიის დარბაზში დაჯილდოებულმა ავტორმა, სამხრეთ აფრიკელმა ჯ.მ. კუძეემ ასევე ტრადიციული – ე.წ. ნობელის ლექცია წაიკითხა. მას არც ტყავის ქურთუკი ცმია და არც პალმებიანი პერანგი, მაგრამ ავიდა თუ არა მწერალი კათედრაზე, დარბაზმა გუმანით მაინც დაასკვნა, რომ იყო ამ კაცში რაღაც არატრადიციული. ის იყო ერთადერთი "ლექტორი", რომელიც არც დარბაზს უსწორებდა თვალს და არც წინ გაშლილ ფურცლებს უყურებდა. ის მხოლოდ საკუთარ თავში იცქირებოდა და ფიქრობდა, რომ დედამიწაზე ისედაც ძალიან ბევრს საუბრობენ.

7 დეკემბერს, დაჯილდოებული ავტორი, ალბათ, ნობელის ისტორიაში ყველაზე "არაკათედრულ" სიტყვას წარმოთქვამდა. ის სხვა მწერლის მიერ შექმნილი პერსონაჟის პირით საუბრობდა "მწერლობის საქმეზე".



სიტყვაძუნწი კუძეე სტოკჰოლმში

REUTERS

სახელი და გვარი ჯ.მ. კუძეე ბოლო ხანს მკითხველს თბილისის ახლადგახსნილი წიგნის მაღაზიების თაროებზეც ხშირად შეეჩხირებოდა, ახლადდაბეჭდილ რუსულენოვან წიგნებზე. ხოლო ამ წიგნების გარეკანზე მათ ათასგვარი კომერციული სატყუარაც მოსჭრიდათ თვალს. მაგალითად, ასეთი: ორგზის "ბუკერის" პრიზის მფლობელი.

1999-იდან 2003 წლამდე ორი "ბუკერის" ამბავი მართლაც გამომცემლების მიერ დაგებული მთავარი ხაფანგი იყო, რომელშიც კუძეეს მკითხველს იოლად აბამდნენ. წელს მათ ამ სათაგურში ჩასამაგრებლად კიდევ ერთი "ძეხვის ნამცეცი" მოიპოვეს – კუძეეს ნობელის ლაურეატობა.

ცხადია, ახალი ნობელიანტი ავტორის შესახებ ამბავი თბილისშიც მალე გავრცელდა, იმ დამატებითი ინფორმაციითურთ, რომ მწერალი ნობელის ლექციას სტოკჰოლმში 7 დეკემბერს წაიკითხავდა. და ამ ავტორით დაინტერესებულმა მკითხველებმაც, პირველ რიგში, იმის გამოცნობა დაიწყეს, თუ რა ერქვა ყველა წიგნის გარეკანზე ჯ.მ. ინიციალებით მოხსენიებულ მწერალს.

ბევრმა კითხვა ასეც დასვა: რატომ უნდა მოუნდეს მწერალს, რომელიც მკითხველისთვის წერს, თავისი სახელის ისე შენიღბვა, რომ დაინტერესებულმა პირებმაც მხოლოდ ხანგრძლივი ძებნის შემდეგ აღმოაჩინონ – ეს ჯ.მ. სინამდვილეში ჯონ მაქსველი ყოფილა?

თუმცა, კუძეე მსგავს კითხვებს ყოველთვის უპასუხოდ ტოვებს. მას დიდად არც ის ფაქტი აღელვებს, რომ ლათინური ასოებით ასე დაწერილ გვარს – Coetzee ზოგი კუძეედ კითხულობს, ზოგიც – კოეციდ და ზოგს კი ისე ეშლება ნერვები, რომ საერთოდაც ვერ წარმოთქვამს მას. ეს ამბავი ავტორს არ აღელვებს იმიტომ, რომ ამ გზით კიდევ უფრო იზრდება მისი იდუმალებისა და მარტოობის ხარისხი; იზრდება – ლამის რობინ კრუზოს დონემდე.

და აი, როგორც იქნა, მივადექით ახალი ნობელიანტის ლექციას – ჩვენს მთავარ სათქმელს. ტყუილად ნუღარ იკითხავთ, რა შუაშია კუძეესთან დენიელ დეფოს შემოქმედებაო, რადგან, ალბათ, უკვე მიხვდით კიდეც – მწერალი სწორედ რობინზონ კრუზოს მიღმა იმალება (ამ პერსონაჟთან სულიერი ნათესაობის გამო იყო, რომ 1986 წელს დეფოს ნაწარმოები "გადააკეთა", და ის "ფოს" სათაურით გამოსცა); ის თავის მარტოობას კრუზოს მარტოობას ადარებს და როდესაც ხვდება, რომ დეფოს პერსონაჟთან მაინც ვერაფრით მივა, შვედეთის აკადემიას სწორედ კრუზოს პირით ესაუბრება, ლექციას კი ასე არქმევს "ის და მისი ადამიანი".

63 წლის მწერალი, თურმე, ლექციებს თავისი პერსონაჟების პირით სხვა დროსაც ხშირად კითხულობს. მაგრამ შვედეთის აკადემიაში წარდგენილი "ის" დეფოს პერსონაჟია – მდუმარე კუნძულზე გარიყული და შემდეგ უკან, ინგლისის საზოგადოებაში დაბრუნებული რობინზონ კრუზო; ანუ თვითონ კუძეე, რომელიც წუხს, დედამიწაზე უამრავს ლაპარაკობენო; რომელიც გლოვობს გარდაცვლილ მეუღლეს, მაგრამ არ განიცდის უმისობას - ისევ მისი გაუთავებელი და გამაღიზიანებელი ლაპარაკის გამო **("როცა დაწოლილს, ძილის გარდა არაფერი უნდოდა, ცოლი ენის გაუჩერებლად ელაქლაქებოდა. მისი სიტყვები, დაღლილს, წვრილი ხრეშივით ეყრებოდა სახეზე და ჩხვლეტდა")**; რომელიც ქონებას ვაჟიშვილს უტოვებს, თვითონ კი თან მიაქვს კუნძულიდან წამოყოლილი ბრეზენტი, მაგრად ნისკარტმოკუმული, აწგანსვენებული თუთიყუშის სხეული, მარტოსულ ცხოვრებას იწყებს და სულ წერს და წერს, უმეტესწილად დაუფიქრებლადაც. წერა მისი ჩვევაა; წერა მისი საკმაოდ სასიამოვნო გასართობია...

თუ ამ "ლექციიდან" ნაწყვეტს შვედეთის აკადემიის მდივნის ჰორას ენდგალის სიტყვებსაც დავუმატებთ, მწერლის მეტ-ნაკლებად სრულ პორტრეტს მივიღებთ: **"კუძეესთვის ლიტერატურა მესამე, ალტერნატიული საშუალებაა იმისთვის, რომ ილაპარაკოს და თან ჩუმადაც იყოს"**.

ამგვარი შესავლის შემდეგ კი, ალბათ, არც ის გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ მწერალი სტოკჰოლმში ერთადერთი პირობით ჩავიდა – არ უნდა ყოფილიყო არანაირი პრესკონფერენცია (რამდენიმე წლის წინ კი, ის საერთოდ არ გამოცხადდა "ბუკერის" დაჯილდოების ცერემონიალზე). შესაბამისად, "როიტერის" შემთხვევით კითხვას – იგულისხმა თუ არა კუძეემ თავის ლექციაში კრუზო, რომელსაც თავისი გარიყული კუნძული მოენატრა, ავტორმა ასეთი მოკლე პასუხი გასცა: **"დარწმუნებული არ ვარ"**...

არც მე ვარ დარწმუნებული, გადმოგეცით თუ არა ის, რისი თქმაც მინდოდა. თუმცა, ბოლომდე ეს თავადაც ვერ გავიგე. ისევ ჯობია, წავიდე და კრუზოს ზურგს უკან ამოფარებული მწერლის ლექცია კიდევ ერთხელ წავიკითხო. ერთი წაკითხვა ამ მარტოსულ, მძიმე და ერთი შეხედვით მოსაბეზრებელ ტექსტს ნამდვილად არ ყოფნის.

ფეხბურთი

ჟორდანია ახალ მწვრთნელს ნაახალწლევს გვპირდება

მიხეილ აბაიშვილი

5 დეკემბერს გერმანიის ქალაქ ფრანკფურტში გაიმართა 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის წილისყრა, რამაც საქართველოს ნაკრები ევროპის ზონის მე-2 ქვეჯგუფში გაამწესა. შეგახსენებთ, რომ ჩვენი ქვეყნის ეროვნულ გუნდთან ერთად ამავე ჯგუფში იასპარეზებენ დანიის, თურქეთის, უკრაინის, საბერძნეთის, ალბანეთისა და ყაზახეთის ნაკრებები. წილისყრას დაესწრნენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, მერაბ ჟორდანია და გენერალური მდივანი, ვალერი ჩოლარია, რომლებმაც გუშინ ფედერაციის ოფისში პრესკონფერენცია გამართეს.

სანამ წილისყრის თემას შეეხებოდა, ჟორდანიამ ისაუბრა იმ საკითხებზე, რომლებიც გერმანიაში მისი მივლინების დროს საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ფეხბურთთან და, კერძოდ, თბილისის "დინამოსთან" დაკავშირებით წამოჭრა.

გენერალური პროკურატურის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საფეხბურთო კლუბმა "დინამო თბილისმა", რომლის პრეზიდენტის პოსტიც 1998 წლამდე მერაბ ჟორდანიას ეკავა, სახელმწიფო ბიუჯეტს დაუმალა და არ გადაიხადა განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადები.

სფფ-ს პრეზიდენტის თქმით, მოვიდა დრო, როდესაც ამ საკითხს ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღოს.

"საქმე ეხება თბილისის "დინამოს" და არა მერაბ ჟორდანიას ან რომელიმე სხვა კონკრეტულ პირს. თანხის დატაცებაზე საუბარი არ არის და არც შეიძლება იყოს. პროკურატურის მტკიცებით, იმ პერიოდში, როდესაც მე "დინამოში" ვმუშაობდი, ბიუჯეტთან დაკავშირებით ადგილი ჰქონდა გარკვეულ დარღვევებს. ეს, მართლაც, შეესაბამება რეალობას, თუმცა, ასე იმიტომ კეთდებოდა, რომ "დინამო" შეგვენახა და შეგვენარჩუნებინა. შემდეგ, როცა მე "დინამოს" პრეზიდენტის პოსტი დავტოვე, ახალი მეპატრონეები მზად იყვნენ, ბიუჯეტის ყველა ძველი ვალი გაესტუმრებინათ, მაგრამ მათ ამის გაკეთება არ დაასცალდათ. შინაგან საქმეთა სამინისტროს მაშინდელმა ხელმძღვანელობამ მათ, პრაქტიკულად, წაართვა კლუბი", - განაცხადა "დინამოს" ექსპრეზიდენტმა.

მართლაც, 2000 წელს "დინამოს" მაშინდელი პრეზიდენტი, მერაბ რატიანი სულაც დაიჭირეს, ხოლო კლუბი სპორტსაზოგადოება "დინამოს" საბჭოს, ანუ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მაშინდელი მინისტრის, კახა თარგამაძის გამგებლობაში გადავიდა. კომპეტენტური წყაროს მიერ "24 საათისთვის" მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, რატიანი პატიმრობიდან მხოლოდ მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც მან საბოლოოდ უარი განაცხადა, რომ "დინამოს" მფლობელობაზე პრეტენზიას წამოაყენებდა.

მერაბ ჟორდანიას მიაჩნია, რომ ბიუჯეტის ვალი "დინამოს" იმ ახალი მეპატრონეების გადასახდელია, რომლებიც კლუბს რატიანის შემდეგ ჩაუდგნენ სათავეში.

"ნებისმიერი ცივილიზებული ქვეყნის კანონმდებლობით, როდესაც ვალების მქონე საწარმო

ირაკლი ბასარიძე, "ფაქტი"

კენჭისყრა შედგა, მწვრთნელი კიდევ არ გვყავს

ახალი მეპატრონის ხელში გადადის, ეს მეპატრონე ამ სუბიექტის სამართალმემკვიდრე ხდება და ვალებიც მისი გადასახდელია. "დინამოს" ძველ ხელმძღვანელობას არ დაანებეს ვალის გადახდა, ისე დაათმობინეს, უფრო სწორად, წაართვეს კლუბი. შესაბამისად, ამ კლუბის სამართალმემკვიდრეებიც გახდნენ და ვალიც მათი გადასახდელია. როდესაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი გავხდი, დამხვდა ბიუჯეტის ვალი - 600 ათასი დოლარი, რომელიც ფედერაციის წინა ხელმძღვანელობამ დააგროვა. მე ამ ვალის სამართალმემკვიდრე გავხდი და საგადასახადო სამსახური ძველ ხელმძღვანელობას კი არ აწუხებდა, ჩემთან მოდიოდა ვალის გასტუმრების მოთხოვნით, რაც სავსებით სამართლიანია. ფედერაციამ ეს ვალი დაფარა და ბიუჯეტის წინაშე პირნათელია", - აღნიშნა მერაბ ჟორდანიამ.

რაც შეეხება წილისყრას, ჟორდანია საქართველოს ნაკრების მომავალი მეტოქეების შესაძლებლობებს მაღალ შეფასებას აძლევს, თუმცა, მიაჩნია, რომ ჩვენს ეროვნულ გუნდს შესარჩევი ბარიერის დაძლევა შეუძლია.

"თქმა არ უნდა, ძალიან ძლიერი ქვეჯგუფია, თუმცა, ვფიქრობ, გაციცებით უფრო ძლიერ ჯგუფში მოხვედრის ალბათობაც არსებობდა. შეიძლებოდა ისეთ გუნდთან (ან გუნდებთან) მოვხვედრილიყავით, რომლებთანაც ქულების აღებაზე ფიქრი მიუღწეველი ოცნება იქნებოდა. ახლა კი, მართალია, ძლიერი გუნდები დაგვიპირისპირდნენ, მაგრამ ნებისმიერი მათგანის დამარცხება სულაც არ არის გადაუჭრელი პრობლემა. ჩვენს ქვეჯგუფს ფავორიტი არ ჰყავს და, დარწმუნებული ვარ, საქართველოს ნაკრები რეალურად იბრძოლებს ფინალური ეტაპის საგზურისთვის, რაც მომდევნო ორი წლის განმავლობაში ჩვენი მთავარი მიზანია", - ოპტიმისტურადაა განწყობილი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, რომელიც ამჟამად ნაკრებისთვის მთავარ მწვრთნელს არჩევს.

თუმცა, ეს პროცესი, როგორც ჩანს, ისევ ჭიანურდება, რადგან, ჟორდანია ისევ არ არის მზად, გაგვიმხილოს მომავალი მწვრთნელის, ან, თუნდაც, იმ კანდიდატურების ვინაობა, რომლებიც ამ პოსტის დასაკავებლად მოიაზრებიან.

"მინდა, დიდი ბოდიში მოვუხადო მედიას და საზოგადოებას იმისთვის, რომ დღეს საქართველოს ნაკრების მომავალი მწვრთნელის თაობაზე ვერაფერს გეტყვით. ვერც კანდიდატურებს დაგისახელებთ, თუმცა, შემიძლია გითხრათ, რომ მათი რიცხვი 3-მდე შემცირდა. ამ უმნიშვნელოვანეს საკითხზე ინტენსიურად ვმუშაობთ და გარწმუნებთ, ჩვენი გადაწყვეტილებით ყველანი კმაყოფილი დარჩებით, მაგრამ კიდევ ერთი თვე უნდა გვაცალოთ. 10 იანვრამდე ახალ მწვრთნელს აუცილებლად წარმოგიდგენთ", - შეგვპირდა ნაკრების ექსმწვრთნელი.

ინფოთეკა

ფეხბურთი. "ჩელსის" არგენტინელი ფორვარდი ერნან კრესპო თურქული "ბეშიქთაშის" წინააღმდეგ არ ითამაშებს. არგენტინელმა "ლიდს იუნაიტედთან" შეხვედრაში ტრავმა მიიღო. თუმცა, ლონდონელებმა პლეი-ოფის საგზური უკვე გაინაღდეს, ამიტომ კრესპოს არყოფნა მწვრთნელ კლაუდიო რანიერის ძალიან არ შეაშფოთებს.

■ ■ ■

ფეხბურთი. იტალიურმა "უდინეზემ" ტრანსფერზე დააყენა ფორვარდი დავიდ პისარო. პისარომ კლუბის ხელმძღვანელობა იმით გააღიზიანა, რომ ტრავმის გამო თამაშზე უარს აცხადებდა. არადა, იგივე ტრავმა ჩილელს ხელს არ უშლიდა, ნაკრებში ეთამაშა.

■ ■ ■

ფეხბურთი. კრისტიან ვიერის ორი გოლიღა აკლია, "ინტერის" შემადგენლობაში გატანილ 100 გოლს რომ უწეიოს. 84 გოლი "ბობომ" სერია A-ში გაიტანა, 5 - იტალიის თასზე, 5 - ჩემპიონთა ლიგაში, 4 - უეფას თასზე. სუპერფორვარდის მიერ გატანილი გამარჯვების გოლების წყალობით მიმდინარე სეზონში "ინტერმა" 10 ქულა მოიპოვა. თუმცა, მოარული ხმების თანახმად, ვიერის უსიამოვნება ჰქონდა გულშემატკივრებთან. ქომაგები მისგან მეტს მოითხოვდნენ, ამიტომ ტრიბუნიდან ხშირად უსტვენდნენ, რასაც ვიერი ადეკვატურად - ხმამაღალი განცხადებებით პასუხობდა. თუმცა, ფეხბურთელი აცხადებს, რომ გულშემატკივრებთან არავითარი კონფლიქტი არ არსებობს. "მე არ შემიძლია, მუდმივად სახეზე ღიმილით ვიცხოვრო. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ გაბრაზებული ვარ ან ვნერვიულობ. ამ ხმებს საფუძველი არა აქვს. კონფლიქტი ჟურნალისტების გამოგონილია", - დაასკვნა ვიერიმ.

■ ■ ■

ფეხბურთი. ლონდონის "არსენალის" ფორვარდი ტიერი ანრი კიდევ ერთხელ შეეცადა, გაექარწყლებინა ხმები ესპანეთის "ბარსელონას" ან "რეალის" შემადგენლობაში მისი შესაძლო გადასვლის შესახებ. "ასეთ ცნობებს, უბრალოდ, ყურადღებას არ ვაქცევ", - განაცხადა ფრანგმა ფორვარდმა. მინდა, "არსენალთან" ერთად რაიმე ტიტული მოვიგო. განსაკუთრებით კი ჩემპიონთა ლიგა. ამას გარდა, ანრიმ განაცხადა, რომ მისი გადასვლა "მანჩესტერ იუნაიტედში", "ლივერპულსა" და "ჩელსიში" გამორიცხულია.

■ ■ ■

ფეხბურთი. ლეგენდარულმა ფრანგმა ფეხბურთელმა მიშელ პლატინიმ განსაკუთრებით დააფასა იტალიელი ფრანჩესკო ტოტის დამსახურება. "ტოტი ბურთის ნამდვილი ჯადოქარია. მას შეუძლია, ისეთი ტრიუკები მოაწყოს, რომელსაც მისგან არავინ ელის", - განაცხადა ფრანგმა. პლატინის შეფასებით, ტოტი არანაკლებ მაღალი კლასის ფეხბურთელია, ვიდრე მისი საყვარელი საფრანგეთის ნაკრების გამთამაშებელი ზინედინ ზიდანი.

■ ■ ■

ფეხბურთი. ინგლისური "ტოტენჰემ ჰოთსპური" მზად არის, 9 მილიონი ევრო გაიღოს კიევის "დინამოსა" და ხორვატიის ნაკრების ნახევარმცველ იერკო ლეკოს სანაცვლოდ. რაც შეეხება თვითონ ფეხბურთელს, რომელსაც სერგეი რებროვის უიღბლო მაგალითი აქვს წინ (რებროვმა ვერ შეძლო ლონდონურ კლუბში თავის გამოჩენა), მას არ სურს ამ ზამთარში "დინამოს" დატოვება. თუმცა, ლეკოს თქმით, ბევრ რამ იმაზე იქნება დამოკიდებული, შეძლებს თუ არ კიევის "დინამო" ჩემპიონთა ლიგის პლეი-ოფში გასვლას. ხვალ, ჩემპიონთა ლიგის ბოლო ტურის დასრულების შემდეგ, რომელშიც უკრაინის ჩემპიონი "ინტერთან" გაარკვევს ურთიერთობას, ფეხბურთელის აგენტი მამიჩი კიეველთა კლუბის პრეზიდენტ იგორ სურკისს შეხვდება. ექსპერტთა ვარაუდით, ლეკო კიევს ზაფხულში დატოვებს.

■ ■ ■

ფეხბურთი. ლევან კობიაშვილის "შალკე 04" დაინტერესებულია ბერძნული "პანათინაიკოსის" მცველის გიორგის საიტარიდისის შეძენით. ასაურ და კო აგრძელებენ ფეხბურთელთა შეძენის პროცესს. ამჯერად, "პანათინაიკოსის" სპორტული დირექტორის თქმით, გერმანელთა სიაში სწორედ ჩვენი მცველი აღმოჩნდა. 22 წლის ფეხბურთელმა ეროვნულ ნაკრებში 13 მატჩი ჩაატარა და ევროპის წამყვანი კლუბებისგან ("მილანი", "ნიუკასლი", "ლაციო", "ლივერპული") რამდენიმე წინადადება მიიღო. ამასთან, ევალიური პრესის ცნობით, ბერძენს საფრანგეთის "მონაკომაც" მიმართა წინადადებით.

TV-სპორტი

სამშაბათი. 9 დეკემბერი

НТВ+ФУТБОЛ
08:30 NBA TV. NBA შიგნიდან
09:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: სპენსერ ჰაივუდი
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 მსოფლიო ჩემპიონატი არაბეთის გაერთიანებულ სახალიფოში. იუნიორები. 1/16 ფინალი
14:50 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
15:45 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
16:40 თავისუფალი დარტყმა
16:55 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
17:55 მსოფლიო ჩემპიონატი არაბეთის გაერთიანებულ სახალიფოში. იუნიორები. 1/16 ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
19:55 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
20:55 მსოფლიო ჩემპიონატი არაბეთის გაერთიანებულ სახალიფოში. იუნიორები. 1/16 ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (21:45) თავისუფალი დარტყმა
22:55 სახვალიო ტელეპროგრამა
23:00 "ცხრიანი"
23:20 ჩემპიონთა ლიგა. "ბრიუგე" – "აიაქსი"
01:35 ჩემპიონთა ლიგა. "სპარტა" (ჩეხეთი) – "ლაციო" (იტალია). პირდაპირი ტრანსლაცია
03:30 03:30-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV - NBA შიგნიდან
04:30 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
05:00 NBA TV. "NBA-ს დიდი თამაშები". წელი 1992. "BOSTON CELTICS" - "PORTLAND TRAIL BLAZERS"

НТВ+СПОРТ
11:00, 14:00, 17:15, 21:45 პრესცენტრი
11:15, 21:30 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის ჩემპიონატი
14:15 "კვირამდე გავატანთ"
14:45 სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი კანადაში. ქალები. სუპერგიგანტი
15:45 "რკინის ფაქტორი"
16:15 მაგიდის ჩოგბურთი. "Japan Open 2003"
17:30 სნოუბორდი. მსოფლიო თასი ავსტრიაში
18:00 ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის ჩემპიონატი. შესვენებისას (19:45) პრესცენტრი
20:30 "ვარსკვლავური სამშაბათი"
21:35 სახვალიო ტელეპროგრამა
22:00 კალათბურთი. ფიბა ევროლიგა. "ხიმკი" (რუსეთი) – "პსჟ-რესინგი" (საფრანგეთი)
23:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. "ბეშიქთაში" – ჩელსი". პირდაპირი ტრანსლაცია
01:35 ახალი ამბები

EUROSPORT
11:30 კერლინგი. ევროპის ჩემპიონატი იტალიაში
14:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
16:00 ფეხბურთი. ევრო-2004
17:00 ფეხბურთი. ევრო-2004
18:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი ნორვეგიაში
19:00 კერლინგი. ევროპის ჩემპიონატი იტალიაში
22:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგის ბედნიერი საათი
23:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
00:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა

კალაძე ჩემპიონთა ლიგას უბრუნდება...

...არველაძე და ხიზანიშვილი ემშვიდობებიან

აკა ტონია

ჩემპიონთა ლიგის E, F, G და H ჯგუფებში დღეს უკანასკნელი ტური გაიმართება. ექვს გუნდს უკვე გარანტირებული აქვს შემდეგ ეტაპზე თამაში. გასარკვევი დარჩა ორი მერვედფინალისტის ვინაობა. მერვედფინალისტთა შორისაა იტალიური "მილანიც", რომლის შემადგენლობაში დღეს კვლავ ვიხილავთ ტრავმამოშუშებულ კახა კალაძეს. გლაზგოს "რეინჯერსს" კი UEFA-ს თასზე მოუწევს გადანაცვლება - არველაძისა და ხიზანიშვილისთვის დღეს უკანასკნელი მატჩი იქნება წლევანდელ ჩემპიონთა ლიგაში...

E ჯგუფი
მანჩესტერი - შტუტგარტი
რეინჯერსი - პანათინაიკოსი

E ჯგუფში გასარკვევი ისღა დარჩა, თუ რომელი გუნდი დაიკავებს პირველ ადგილს, მერვედფინალისტების ვინაობა წინა ტურში გახდა ცნობილი. "მანჩესტერ იუნაიტედი" დღეს გერმანულ "შტუტგარტს" უმასპინძლებს. სწორედ ეს გუნდები ეცილებიან ერთმანეთს პირველ ადგილს. ბურთების უკეთესი შეფარდების წყალობით პირველ ადგილზე "შტუტგარტია", თუმცა, საეჭვოა, რომ დღევანდელი საღამოს შემდეგ ფელიქს მაგატის გუნდი ლიდერობას შეინარჩუნებს. "მანჩესტერი" შინ თამაშობს და, ალბათ, ფავორიტად უნდა მივიჩნიოთ.

სამწუხაროდ, მერვედფინალში გასვლის ყოველგვარი შანსი დაკარგული აქვს გლაზგოს "რეინჯერსს". შოთა არველაძისა და ზურაბ ხიზანიშვილის გუნდი მესამე ადგილზეა და, დღევანდელი მატჩის შედეგის მიუხედავად, ალბათ, შეინარჩუნებს კიდეც. "რეინჯერსი" საბერძნეთის "პანათინაიკოსს" მასპინძლობს. ძნელი წარმოსადგენია, რომ იცხაკ შუმის გუნდმა გლაზგოში გაიმარჯვოს, თანაც, ისეთი ანგარიშით, რომ "რეინჯერსს" ბურთების უკეთესი შეფარდებით აჯობოს. ამისთვის "პანათინაიკოსმა", სულ ცოტა, სამი ბურთის განსხვავებით უნდა მოუგოს "რეინჯერსს", რაც არარეალურია. გლაზგოელებს UEFA-ს თასზე მოუწევთ ასპარეზობა, ჩვენ კი იმედს ვიტოვებთ, რომ დღევანდელ მატჩში შოთა არველაძე თავის პირველ "საჩემპიონთალიგო" გოლს გაიტანს.

F ჯგუფი
რეალი - პორტო
პარტიზანი - მარსელი

F ჯგუფში "რეალს" და "პარტიზანს" მერვედფინალის საგზურებში ვეღარავინ შეეცილება. აქ დაახლოებით ისეთივე სიტუაციაა, როგორიც E ჯგუფში. პირველ და მეორე ადგილებზე მყოფი "რეალი" და "პორტო" დღეს მადრიდში შეხვდებიან ერთმანეთს. ჯგუფს "რეალი" ლიდერობს და "პორტოს" სამი ქულით უსწრებს. პირველი ადგილის მოსაპოვებლად "პორტოს" გამარჯვება სჭირდება, თანაც, დიდი ანგარიშით. ამისი კი თავად პორტუგალიელთა მწვრთნელს, ჟოზე მაურინიოსაც არ სჯერა. "მეტისმეტად არარეალური იქნება, ვინმემ რომ თქვას, მადრიდში ჩავალთ და "რეალს" 3:0-ს მოვუგებთო", - ამბობს მაურინიო. ის, რომ დღევანდელი მატჩი "რეალის" განადგურებით დასრულდება, მართლაც, საეჭვოა. "პორტო", ალბათ, მაინც მეორე ადგილს დასჯერდება.

F ჯგუფის მეორე მატჩში კი, მართლაც, რომ ბევრი რამ წყდება. ჯერაც გაურკვეველია, რომელი გუნდი შეძლებს UEFA-ს თასზე ასპარეზობის გაგრძელებას - "პარტიზანი" თუ "მარსელი". ეს ორი გუნდი დღეს ბელგრადში შეხვდება ერთმანეთს. თუ მასპინძლები გაიმარჯვებენ, საპატიო მესამე ადგილს დაიკავებენ, ხოლო თუ მატჩი ფრედ დასრულდება, UEFA-ს თასზე "მარსელი" ითამაშებს.

G ჯგუფი
სპარტა - ლაციო
ბეშიქთაში - ჩელსი

ამ ჯგუფში თითქმის არაფერია გარკვეული. დანამდვილებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ლონდონის "ჩელსი" მერვედფინალში ითამაშებს, მეორე მერვედფინალისტის ჯერჯერობით ვაკანტურ ადგილს კი დღეს გამოუჩნდება პატრონი. შემდეგ ეტაპზე გასვლის საუკეთესო შანსს თურქული "ბეშიქთაში" ინარჩუნებს, თუმცა, იმედი არც "სპარტასაა" და არც "ლაციოს" აქვთ გადაწურული. "ბეშიქთაში" დღეს "ჩელსის" უმასპინძლებს. თუ თურქები გაიმარჯვებენ, მერვედფინალისკენ მიმავალ გზაზე მათ ველარავინ გადაეღობება, თუ არა და ყველაფერი "სპარტასა" და "ლაციოზე" იქნება დამოკიდებული. "სპარტა" და "ლაციო" დღეს პრაღაში შეხვდებიან ერთმანეთს. ორივე გუნდს მხოლოდ გამარჯვება აძლევს ხელს. სტუმრად წარმატების მიღწევის იმედი "ლაციოს" ნამდვილად აქვს. იტალიის ჩემპიონატის უკანასკნელ შეხვედრაში რომაელებმა 2:0 მოუგეს "იუვენტუსს" და საკმაოდ ოპტიმისტურად ხვდებიან "სპარტასთან" მატჩს. თუმცა, "ლაციოს" პრობლემებიც აქვს: ჯერაც გაურკვეველია, შეძლებენ თუ არა თამაშს კლაუდიო ლოპესი და ჯულიანო ჯანიკედა.

H ჯგუფი
მილანი - სელტა
ბრიუგე - აიაქსი

H ჯგუფში პირველი ადგილი უკვე გარანტირებული აქვს იტალიურ "მილანს". მეორე ადგილის დაკავება კი სამივე დანარჩენ გუნდს შეუძლია. "მილანი" ვიგოს "სელტას" უმასპინძლებს, "ბრიუგე" კი - ამსტერდამის "აიქსს". "მილანის" გამოკლებით, ყველა ამ გუნდს მხოლოდ გამარჯვებისთვის მოუწევს ბრძოლა. ჩვენ კი თვალი ვადევნოთ კახი კალაძეს. "სელტას" წინააღმდეგ ის აუცილებლად ითამაშებს.

1	მანჩესტერი	5	4	0	1	9-4	12
2	შტუტგარტი	5	4	0	1	11-2	12
3	რეინჯერსი	5	1	1	3	3-7	4
4	პანათინაიკოსი	5	0	1	4	2-12	1

1	რეალი	5	4	1	0	10-4	13
2	პორტო	5	3	1	1	8-7	10
3	ბარსელონა	5	1	0	4	8-10	3
4	პარტიზანი	5	0	2	3	2-7	2

1	ჩელსი	5	3	1	1	7-3	10
2	ბეშიქთაში	5	2	1	2	5-6	7
3	სპარტა	5	1	2	2	4-5	5
4	ლაციო	5	1	2	2	6-8	5

1	მილანი	5	3	1	1	3-1	10
2	აიაქსი	5	2	0	3	5-5	6
3	სელტა	5	1	3	1	5-5	6
4	ბრიუგე	5	1	2	2	3-5	5

გეპატიჟებათ „ლაგუნა ვერაში“

ინფოთეკა

კალათბურთი. ყაზანის "უნიქსის" ცენტრი ეურელიუს ჟუკაუსკასი ფიბას ევროლიგის კვირის საუკეთესო კალათბურთელად აღიარეს. ამის შესახებ ინფორმაცია კლუბის პრესატაშემ გაავრცელა. ლიტველმა, რომლის სიმაღლე 216 სანტიმეტრია, უკანასკნელ სამ შეხვედრაში კალათს მხოლოდ ერთი ტყორცნა აცდინა. ამდენად, ლიტველი გიგანტის სროლების საერთო სტატისტიკა 23-დან 22 ზუსტ ტყორცნას წარმოადგენს. მისი არაზუსტი ტყორცნა ამ კვირაში "ალიტასთან" შეხვედრაში მოხდა, რომელიც "უნიქსმა" მოიგო. ჟუკაუსკასი კი MVP გახდა. მან 10 შესაძლებლიდან 9 ჩააგდო და 6 დაფარება განახორციელა. გუნდმა კი - 86:63 მოიგო. ეს გასაკვირი არც არის. ჟუკაუსკასი წლეულს ფიბას ევროლიგის ყველაზე ზუსტი მოთამაშეა. მისი 48 ცდიდან ბურთი 34-ჯერ ჩაეშვა კალათში. ეს კი ზუსტი ტყორცნების 70 პროცენტია.

■ ■ ■

ფორმულა 1. გერმანელი რალფ შუმახერი "უილიამსის" დატოვებას ფიქრობს. მრბოლსა და გუნდის მეპატრონე ფრენკ უილიამსს შორის მოლაპარაკებები ჩიხში მოექცა. უმცროს შუმახერს "უილიამსთან" კონტრაქტი 2004 წლის ბოლოს უმთავრდება. რალფს ჯერჯერობით კონტრაქტი არ გაუგრძელებია. საინტერესოა, რომ "უილიამსი" ჯერჯერობით არ ჩქარობს. არადა, გუნდმა უკვე დაკარგა კოლუმბიელი ხუანპაბლო მონტოია, რომელიც "მაკლარენში" მიდის. შუმახერი წელიწადში 15 მილიონ დოლარს ითხოვს. "უილიამსი" კი მხოლოდ 9 მილიონს სთავაზობს.

■ ■ ■

მარათონი. ამერიკის ქალაქ საკრამენტოში გაიმართა საერთაშორისო მარათონი (42 კილომეტრი და 195 მეტრი). მონაწილეობა მიიღო ერაყის წარმომადგენელმა, 16 წლის სტუდენტმა ჰამდან ჰაშიმ ალ-ბაჰადლიმ. გარბენის დროს ახალგაზრდა ერაყელი მაყურებელთა დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა. ვაჟთა შორის გაიმარჯვა პოლონელმა მიხალ ბატოშაკმა. მან დისტანცია 2 საათში, 16 წუთსა და 21 წამში დაფარა. ქალთა თანრიგში კი რუსმა ტატიანა ტიტოვამ იზეიმა გამარჯვება. მისი დრო 2 საათი, 33 წუთი და 31 წამია.

■ ■ ■

ჰოკეი. "პიტსბურგ პინგვინზმა" თანხმობა განაცხადა, მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე მიავლინოს გუნდის მეკარე მარკ-ანდრე ფლერი. როგორც კლუბის გენერალურმა მენეჯერმა კრეიგ პატრიკმა განაცხადა, ფლერი ნაკრების საწვრთნელ ბანაკში ხუთშაბათს გამოჩნდება. ტურნირი კი 26 დეკემბრიდან 6 იანვრამდე ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში გაიმართება. ფლერიმ, რომელიც წლევანდელ დრაფტზე პირველ ნომრად აირჩიეს, "პიტსბურგის" შემადგენლობაში 15 მატჩი ჩაატარა და თამაშში საშუალოდ 3,14 შაიბას უშვებდა. ფლერიმ კანადის ნაკრების შემადგენლობაში, ჰალიფაქსში, მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე, შარშანაც ითამაშა. მაშინ "ჭადრის ფოთლებმა" რუსებთან ფინალი წააგეს და ვერცხლის მედლებს დაეუფლნენ.

■ ■ ■

ჰოკეი. "მონრეალის" მცველმა სტეფან კინტალმა "კაროლინას" მოთამაშე ბობ ბუნიეს მუშტი-კრივი გაუმართა, რისთვისაც ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიესაჯა. ის მატჩი "მონრეალმა" კი მოიგო, მაგრამ ამ დისკვალიფიკაციის გამო კინტალი ჯარიმის სახით 10 000 დოლარს დაკარგავს. კინტალის სასჯელი არც ისე უსაშველოა, მაგრამ ჰოკეისტი მაინც უკმაყოფილო დარჩა. "ჩხუბი ჰოკეის ნაციონალურ ლიგაში ჩვეულებრივი მოვლენაა. თითქმის არ არსებობს მატჩი, რომ კინკლაობა არ მოხდეს, ამიტომ ასეთი მკაცრი სასჯელი, ვფიქრობ, მეტისმეტი იყო", - ამბობს ჰოკეისტი.

■ ■ ■

კარტი. ამერიკულ კარტს, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ფორმულა 1-საც კი უწევდა კონკურენციას, გაკოტრება ემუქრება. კარტის ფინანსური პრობლემები 1996 წელს დაიწყო, როცა შტატებში შეიქმნა ალტერნატიული IRL, სადაც ბევრი გუნდი გადაბარგდა. კარტის საბოლოო ბედი 19 დეკემბერს გაირკვევა, როცა აქციონერები შეიკრიბებიან. ისინი გადაწყვეტენ - მიჰყიდონ თუ არა აქციათა საკონტროლო პაკეტი კომპანიას Open Wheel Racing LLC (და კარტი კერძო საწარმოდ აქციონ), თუ განაახლონ გაკოტრების პროცედურა. ნოემბერში კარტმა გამოაქვეყნა 2004 წლის სეზონის კალენდარი, რომელიც 19 რბოლისგან შედგებოდა, მაგრამ გასულ კვირას გამოცხადდა, რომ კალენდრით გათვალისწინებული სასტარტო რბოლა განუსაზღვრელი დროით გადაიდო.

■ ■ ■

სამთო-სათხილამურო სპორტი. კოლორადოში მიმდინარეობს მსოფლიო თასის ეტაპი სუპერგიგანტურ სლალომში. გამარჯვება მოიპოვა ნორვეგიელმა ბიარნე სოლბაკენმა - 1:13,05. მეორე ადგილზე გავიდა ავსტრიელი ჰერმან მაიერი - 1:13,44. მესამე ადგილი კი მაიერის თანამემამულეს, ჰანს ნაუსს ხვდა წილად - 1:13,50. ქალთა შორის სუპერგიგანტის სლალომი ავსტრიელმა რენატე გეტშლმა მოიგო - 1:14,98. ვერცხლის მედალიც ავსტრიელ მიხაელა დორფმაისტერს დარჩა - 1:15,49. ბრინჯაო კი გერმანელმა ჰილდე ჰერგმა მოიპოვა - 1:15,66.

რაგბი

ახალი წელი ახალ ჩემპიონთან ერთად

ჰაატა თოთაძე

გადაწყვეტილი ამბავია: წლეულს საქართველოს რაგბიში ახალი ჩემპიონი ეყოლება. ეს ამბავი გუშინწინ ბათუმში გაირკვა, როცა ქვეყნის ჯერ კიდევ მოქმედმა ჩემპიონმა, ბათუმის "დათვებმა", თბილისის "აკადემია - იმედი-L"-თან დათმეს პაექრობა გასავარდნ ფინალში. ეროვნული ჩემპიონატის სისტემა იმგვარია, რომ პლეი-ოფში მესამე-მეოთხე ადგილზე გასული გუნდები ერთმანეთს გასავარდნ ფინალში ხვდებიან, ანუ მათ შორის დამარცხებული ჩემპიონობისთვის ბრძოლას ეთიშება. ასევე ერთმანეთს ხვდებიან პირველმეორეზე გასულები, ოღონდ - შესარჩევ ფინალში. მათ შორის გამარჯვებული პირდაპირ გადის ფინალში, დამარცხებული კი გასავარდნ ფინალში მოგებულს შეხვდება და ერთხელაც შეეცდება ფინალის საგზურის მოპოვებას.

სიმართლე რომ ითქვას, ცოტას თუ ეგონა, რომ თბილისელები ბათუმელთა ძლევას მოახერხებდნენ. ვერც იტყვი, მოახერხესო ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. საქმე ისაა, რომ მატჩი, თავის დამატებით დროიანად, ფრედ - 12:12 დასრულდა და თბილისის "აკადემია - იმედი-L"-იც შეხვედრაში გამარჯვებულად მხოლოდ იმიტომ გამოცხადდა, ორი ლელო რომ ჰქონდა გატანილი. მასპინძელთა დალელოვება პირველად ქოპილაშვილმა მოახერხა. ეს შესვენებამდე მოხდა, შემდეგ კი იგივე უკვე პაპაშვილმა შეძლო. სხვათა შორის, უჩავას ის ლელო რომ გარდაესახა, დამატებითი დრო არც გახდებოდა საჭირო, მაგრამ მიზანმა უმტყუნა. მოგების საშუალება მასპინძლებსაც ჰქონდათ. დამატებითი დროის ბოლო წუთზე მათ სასარგებლოდ ჯარიმა დაინიშნა, მაგრამ მაჩიტიძის დარტყმული ძელს მოხვდა, უკან გადმოვარდნილი კი ბათუმელებს ხელიდან გაუვარდათ და...

ჩემპიონისთვის წლევანდელი ჩემპიონატი ნაადრევად დასრულდა, სამაგიეროდ დანარჩენები განაგრძობენ ბრძოლას პირველობისთვის. ოთხ დღეში "აკადემია - იმედი-L"-ს უკვე ფინალში გასასვლელი შეხვედრა ელის. მისი მეტოქე "ყოჩები" იქნება, რომელიც შესარჩევ ფინალში "ლოკომოტივთან" დამარცხდა.

პლეი-ოფამდე ყოჩებმა ერთხელ მოახერხეს "ლოკომოტივის" დამარცხება, თუმცა, მიუხედავად ამისა, უმეტესობა ფავორიტად რკინიგზელებს მიიჩნევდა. არც შემცდარან - "ლოკომოტივი" თითქმის მთელი შეხვედრის განმავლობაში ფლობდა უპირატესობას. ამას, ძირითადად, მორკინალების ხარჯზე აკეთებდა და სასურველ შედეგსაც უპირატესად ფორვარდების წყალობით მიაღწია. საერთო ჯამში რკინიგზელებმა სამი ლელოს გატანა მოახერხეს. თანაგუნდელებს ბობა კვინიძემაც აუბა მხარი და მაისურაძის, ჩხატარაშვილის და გუგავას გატანილი ლელოები ზუსტად გარდასახა, ზედ კი ორი საჯარიმოც მოიაყოლა. ამას ჩხატარაშვილის არეკნიც დაერთო, რასაც "ყოჩების" მხირიდან მხოლოდ თემურ სიხაძის გატანილი სამი საჯარიმო მოჰყვა და მატჩის საბოლოო ანგარიშიც დაფიქსირდა – 30:9.

ბილიარდი

წითელი ვარდები საბილიარდოში

უკვე დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მალე საქართველოს ბილიარდის ფედერაცია ევროპის ფედერაციაში გაწევრიანდება. "ჩვენ ამისთვის ყველა პირობა გვაქვს და, რაც მნიშვნელოვანია, არსებობს ჩვენი მიღების ევროპული ნება", - ამბობს საქართველოს ბილიარდის ფედერაციის პრეზიდენტი დავით ალექსიძე. დღეიდან ფედერაცია უნაკლოა - მას ჰყავს მობილიარდე ქალთა ლიგა. ფედერაციის ეგიდით კი გუშინ ქალთა პირველი ტურნირიც ჩაატარა.

ვახო ბესელია/ფოტო

ქალთა პირველი ტურნირის გამარჯვებული თეონა შარეიძე

დალი კუპრავა

გუშინ საბილიარდო "ფიქრის გორაში" ფედერაციის მიერ ჩატარებულ ქალ პროფესიონალთა პირველი ტურნირის ფინალს გივი კომბოსხიძესთან ერთად ვადევნებდი თვალს და, კია-მეთქი, როგორ ვიკადრო და, გაუჩორკნავი ჯოხი კი უნდა ვყოფილიყავი, რომ მისი კომენტარებით თამაშისთვის ალღო ვერ ამეღო. ბილიარდი გენეტიკურად კაცების თამაშიაო, მითხრა ბატონმა გივიმ. თუმცა, როცა მობილიარდე ქალი, "მისი" გაგებით, ლოგიკურ სვლას აკეთებდა, აუცილებლად შეაქებდა და ამით აბალანსებდა სტერეოტიპულ აზროვნებას, რაც ზოგადად ქალზეა გავრცელებული - ბილიარდი ლოგიკური თამაშია, ქალებს კი ლოგიკაში უჭირთო. ამაზე ინგა ხუბულავამ, ქალთა ლიგის თავმჯდომარემ თქვა, რომ ლოგიკა ქალსაც აქვს, მხოლოდ ქალური, რაც მისი თამაშის სტილს კიდევ უფრო საინტერესოს ხდის. ფედერაციის პრეზიდენტმა, დავით ალექსიძემ კი თავისი შთაბეჭდილება გამოიზიარა: "კიევში მე მობილიარდე ქალები ვნახე, მათთან თამაში ბევრ ქართველ პროფესიონალ კაცს გაუჭირდებაო". ერთი სიტყვით, საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება ყველას აქვს და, მათ შორის, მეც: როცა სპორტის გენეტიკურობაზე მიდგება საქმე, კაცურ სახეობებად მხოლოდ ძალოსნობას, ფეხბურთს, ჭიდაობას და რაგბის ვაღიარებ. რაც შეეხება ბილიარდს, ჭადრაკის მსგავსად, ისიც კომბინაციური თამაშია და, ქალს რომ კომბინაციური გათვლა შეუძლია, კაცისა მონაგონია...

და რატომაც არა - ქალი მობილიარდე?!

საბილიარდო "ფიქრის გორაში" სამდღიანი ტურნირი გუშინ დასრულდა. ტურნირში 19 მობილიარდე მონაწილეობდა. მონაწილეთა შერჩევისას, განმსაზღვრელი იყო ის, რომ მონაწილეები რომელიმე საბილიარდო კლუბის წევრები ყოფილიყვნენ. ფინალურ მაგიდებზე ოთხი მობილიარდე ხვდებოდა ერთმანეთს: ნინო მამაცაშვილი, თეა აბალაკი (ორივე კლუბ "ოლიმპიკიდან"), ეკა ცერცვაძე ("იმპერიალი") და თეონა შარეიძე ("კლაბშტოსიდან").

ჩემი შეფასებით, ცერცვაძე-შარეიძის მაგიდა უფრო ემოციური იყო, ვიდრე მამაცაშვილ-აბალაკისა, თუმცა, ამ უკანასკნელის კიკინები თამაშის სტილის სერიოზულობას მომხიბვლელად აბალანსებდა. ოლიმპიკელი ნინო მამაცაშვილის თამაშს გივი კომბოსხიძემ მაღალი შეფასება მისცა, თუმცა, პროგნოზისგან მაინც თავი შეიკავა. მე კი, ჩემი მოუთმენელი ხასიათიდან გამომდინარე, პროგნოზის მოსმენა მინდოდა. ბილიარდს ჭადრაკთან რომ ბევრი საერთო აქვს, ცნობილია, მაგრამ უფრო - "კლასიკურ პირამიდას". "პული" კი ბატონმა გივიმ ნარდს შეადარა, რადგან, ოსტატობის გარდა, კიდევ რაღაც არის საჭიროო, დაახლოებით ასე: "რა ქნას კარგმა მონარდემა, დროზე "შაში" თუ არ მოვაო". მობილიარდის "შაში" კი ხან პატარა მაგიდა და დიდი ლუზებია, ხან - მეტოქის ემოცია, ხან - კარგი კომბინაცია, როცა მოწინააღმდეგეს ბურთულასთან მიმავალ გზას უკეტავ...

ჩემმა კიკინებიანმა ფავორიტმა, თეა აბალაკმა, იმპერიალელ ეკა ცერცვაძესთან ორთაბრძოლაში მესამე ადგილი მოიპოვა. დავით ალექსიძემ ეკას დაბადების დღე წითელი ვარდებით მიულოცა. გუშინ ამ ტრადიციასაც ჩაეყარა საფუძველი: ფედერაცია ტურნირების დროს აუცილებლად წითელი ვარდებით აღნიშნავს მონაწილეთა დაბადების დღეს.

რაც შეეხება პირველ-მეორე ადგილისთვის თამაშს, ძალიან დრამატული გამოდგა. შეხვედრა ხუთქულიანი იყო - რომელიმე მოთამაშის ხუთ გამარჯვებამდე. გამარჯვებას ცხრა პარტია დასჭირდა. თავიდან ფინალისტები მამაცაშვილი და შარეიძე პარტიებს მონაცვლეობით იგებდნენ - მორიგეობით ათავსებდნენ შავ ბურთულას ლუზაში. მეხუთე და მეექვსე პარტიები თეონა შარეიძემ მოიგო და ანგარიში 4:2 გახდა. თითქოს გამარჯვებამდე ერთი პარტიის მოგებაღა აკლდა, მაგრამ აქ თავი იჩინა ნინო მამაცაშვილის ოსტატობამ და გაწონასწორებულმა ხასიათმა - მეშვიდე და მერვე პარტიები მამაცაშვილმა მოიგო და ანგარიში ისევ გაათანაბრა – 4:4. მეცხრე, გადამწყვეტი პარტია ჩემს პრაქტიკაში ყველაზე დრამატული სანახაობა აღმოჩნდა.

გოგონებს დაღლილობა ფიზიკურად არ ეტყობოდათ, არც ემოციები გამოუმჟღავნებიათ. თუმცა, როცა მოწინააღმდეგე კიით მიადგებოდა მაგიდას, მეორე შორდებოდა, დარტყმას თვალს არ ადევნებდა - აი, ეს თუა ქალური ხასიათის ნიშანი (როცა რაღაც მძიმე ხდება, ქალი სახეზე ხელებს იფარებს: მოხდეს, რაც მოსახდენია, ოღონდ მე არ შევხედავ!).

ფინალი კი, ვისაც პულისა რამე გაეგება, ასეთი იყო: შერაიძის ორი ბურთულა და გადამწყვეტი შავი და თეთრი იყო დარჩენილი. ნინო მამაცაშვილმა შავის ნაცვლად თეთრი ჩაადგო. მიუხედავად იმისა, რომ მაუდზე შერაიძის შინდისფერი და იისფერი ბურთულები გაუნძრევლად ეწყო, მაინც მან გაიმარჯვა.

შეცდომისთვის ქალებიც ისევე აგებენ პასუხს, როგორც კაცები და გამარჯვებითაც ისევე იმარჯვებენ, როგორც კაცები.

მაშ, არის რამე განსხვავება მობილიარდე ქალებსა და კაცებს შორის?!

კალათბურთი

ლეგენდარულები

სანდრო ნავერიანი

ცოტაა ისეთი ხალხი, რომლებიც სიცოცხლეშივე ლეგენდები ხდებიან, მაგრამ ასეთები ნამდვილად არიან ამქვეყნად. დღეს სწორედ მათზე მოგითხრობთ.

დომინიკ უილკინსი

სიმაღლე: *203 სმ*
პოზიცია: *ფორვარდი*
დაბადების ადგილი და თარიღი: *12 იანვარი, 1960, პარიზი, საფრანგეთი*
უნივერსიტეტი: *ჯორჯია*
გუნდები: *"ატლანტა ჰოუქსი", "ლოს-ანჯელეს კლიპერსი", "ბოსტონ სელტიქსი", "პანათინაიკოსი", "სან-ანტონიო სფარზი", "ტიმსისტემი", "ორლანდო მეჯიკი".*

დომინიკ უილკინსი ერთ-ერთი ყველაზე შედეგიანი ფორვარდი იყო ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში. სიმაღლისა და სნაიპერული თვისებების მქონე დომინიკს თითქოს არ უნდა გასჭირვებოდა ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონის ტიტულის მოპოვება, მაგრამ ყველაფერი ისე არ იყო, როგორც თავად მას უნდოდა. ფარიდან ბურთის მოხსნისა და ზუსტად ტყორცნის სპეციალისტი უილკინსი თავისი 14-წლიანი კარიერის მანძილზე, რომელიც მან ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში გაატარა, ვერა და ვერ გახდა ჩემპიონის ტიტულის მფლობელი. ჯორჯიის უნივერსიტეტის ყოფილი მოსწავლე ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში 1982 წელს მივიდა და ჩაირიცხა "ატლანტა ჰოუქსის" რიგებში, სადაც თავისი კარიერის საუკეთესო 12 წელი გაატარა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ატლანტელთა თამაში სწორედ უილკინსზე ეწყობოდა და ხშირად მარტოც წყვეტდა მატჩის ბედს. როგორც ახლო, ისე შორი დისტანციიდან ბრწყინვალედ მტყორცნელი უილკინსი ფარქვეშაც კარგად გრძნობდა თავს. როდესაც ბურთზე ხტებოდა, გეგონებოდათ, ჰაერში ჩერდებაო და იქ, ჰაერშიც ახერხებდა ფინტების მთელი კასკადის დემონსტრაციას. 1985-86 წლების სეზონში უილკინსი საუკეთესო სნაიპერი გახდა. თამაშში საშუალოდ 30,3 ქულას აკეთებდა. უილკინსის მაჩვენებელი იმ 12 წლის განმავლობაში, რაც "ატლანტაში" თამაშობდა, 25 ქულის ქვევით არ ჩამოსულა. მაგრამ უილკინსს "ატლანტაში" სათანადო პარტნიორი არ გამოუჩნდა და თუ რეგულარულ ჩემპიონატს წარმატებით დაასრულებდნენ, მაშინ პლეი-ოფიდან აუცილებლად ვარდებოდნენ. 1994 წელს უილკინსი გადავიდა "ლოს-ანჯელეს კლიპერსში", სადაც მისთვის შესაფერისი პარტნიორის მოძებნა ორჯერ უფრო ძნელი საქმე იყო, ვიდრე ატლანტაში. ამის გამო უილკინსი იმავე წელს "ბოსტონ სელტიქსში" გადავიდა. 1994-95 წლების რეგულარული ჩემპიონატი მან ბოსტონელთა რიგებში ჩაატარა, რის შემდეგაც გადაწყვიტა, ძალები საბერძნეთში მოესინჯა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ კვლავ ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციას დაუბრუნდა. ამჯერად "სან-ანტონიო სფარზის" რიგებში ჩაირიცხა. ის სეზონი სანანტონიოელმა კალათბურთელებმა ტრავმების გამო ჩააგდეს. უილკინსმა კვლავ გადაწყვიტა, ოკეანე გადაელახა და იტალიის ჩემპიონატში დაიწყო თამაში. ის ბოლონიის "ტიმსისისტემში" თამაშობდა და გუნდის ლიდერიც იყო.

კლაიდ დრექსლერი

სიმაღლე: *200 სმ*
პოზიცია: *მცველი*
დაბადების ადგილი და თარიღი: *22 ივნისი, 1962, ნიუ-ორლეანი, აშშ*
გუნდები: *"პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსი", "ჰიუსტონ როკეთსი".*

კლაიდ დრექსლერი 1992 წლის ბარსელონის ოლიმპიადის ჩემპიონია. ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში 21 წლის ასაკში მივიდა და "პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსის" შემადგენლობაში ჩაირიცხა, სადაც 12 სეზონი გაატარა. ამ ორმეტრიანი მცველისთვის არ არსებობდა კალათბურთის საიდუმლო, რომელიც მას არ ამოეხსნა. საშუალო და შორი მანძილიდან ზუსტი ტყორცნები მას ძალიან სახიფათოს ხდიდა ნებისმიერი დაცვის ხაზისთვის, ხოლო გადაცემები ელვისებური სისწრაფითა და სიზუსტით გამოირჩეოდა. კლაიდს შეეძლო, თავის ნახევარზე მიღებული ბურთი მეტოქის ფარამდე მიეტანა და იქ ლამაზი და მაღალი ნახტომით დაეგვირგვინებინა შეტევა. 1983 წლიდან 1995 წლამდე "პორტლენდში" თამაშობდა. ამ ხნის მანძილზე ორჯერ გავიდა ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის მთავარ ფინალში, მაგრამ პორტლენდელებმა 1990 წელს "დეტროიტ პისტონზთან", ხოლო 1992 წელს "ჩიკაგო ბულზთან" წააგეს შეხვედრა. იმავე წელს, ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებზე, დრექსლერმა "ოცნების გუნდთან" ერთად ოლიმპიური ოქრო მოიპოვა. 1995 წელს კლაიდ დრექსლერი "ჰიუსტონ როკეთსში" გადავიდა. "ჰიუსტონში" გადასულს იქ დახვდა ჰაკიმ ოლაჯუვონი, რომელთანაც არაჩვეულებრივი ურთიერთობა ჰქონდა, როგორც სათამაშო, ისე მეგობრულიც. ოლაჯუვონ-დრექსლერის ტანდემმა ამ უკანასკნელს დიდი ხნის ოცნება აუხდინა – ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონის ტიტული მოაპოვებინა. ფინალში მათ შაკილ ო`ნილიანი "ორლანდო მეჯიკი" დაამარცხეს, თანაც, ისე, რომ არც ერთი მატჩი არ მოაგებინეს. 1998 წელს დრექსლერი წავიდა აქტიური სპორტიდან. 36 წლის ასაკში ის, ოლიმპიური და ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონი, ერთერთ სტუდენტურ გუნდს ჩაუდგა სათავეში.

აიზია ტომასი

სიმაღლე: *185 სმ*
პოზიცია: *მცველი*
დაბადების ადგილი და თარიღი: *30 აპრილი, 1961, ჩიკაგო, აშშ*
უნივერსიტეტი: *ინდიანა*
გუნდი: *"დეტროიტი"*

აიზია ტომასი მთელი 13-წლიანი კარიერის მანძილზე "დეტროიტ პისტონზის" უდავო ლიდერი იყო. 20 წლის ასაკში მან მიატოვა ინდიანას უნივერსიტეტი და "პისტონზის" რიგებში ჩაირიცხა. გუნდში მისვლისთანავე ერთპიროვნული ლიდერი გახდა. ფიზიკური მონაცემები ყველანაირად ხელს უწყობდა, რომ მცველის ფუნქციები ასი პროცენტით შეესრულებინა. მას ყველა მონაცემი ჰქონდა იმისთვის, რომ ჩემპიონი გამხდარიყო, მაგრამ აკლდა ერთადერთი რამ - ღირსეული პარტნიორი. ყველაფერი შეიცვალა 1983 წელს, როდესაც გუნდს ჩაკ დეილი ჩაუდგა სათავეში. დეილმა გუნდში მიიყვანა როდმანი, დუმარსი და ედვარდსი, რომლებმაც, თავის მხრივ, აიზია ტომასს გაუწიეს პარტნიორობა. ყველაფერმა ამან შედეგი გამოიღო. დეტროიტელები სამჯერ ზედიზედ გავიდნენ ფინალში. პირველი ცდა უიღბლო გამოდგა და "ლოს-ანჯელეს ლეიკერსთან" დამარცხდა. მომდევნო წლის ფინალი იმავე გუნდებით შეივსო, მაგრამ ამჯერად წინა ფინალში დამარცხებულმა "დეტროიტმა" გაიმარჯვა. უკანასკნელი ფინალი აიზია ტომასმა 1990 წელს ითამაშა "პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსის" წინააღმდეგ და მოიგო კიდეც. ხუთ თამაშში ტომასმა 138 ქულა და 35 შედეგიანი გადაცემა გააკეთა. ტომასმა "დეტროიტ პისტონზში" ნაკლებად წარმატებული კიდევ ოთხი სეზონი გაატარა და 33 წლის ასაკში აქტიურ სპორტს ჩამოშორდა. 13-წლიანი კარიერის მანძილზე (რომელიც "დეტროიტ პისტონზს" შესწირა) 18822 ქულა, 9061 შედეგიანი გადაცემა და 1861 ჩაჭრა გააკეთა. აქტიური სპორტიდან წასვლის შემდეგ აიზია ტომასი კალათბურთს არ ჩამოშორებია და, როგორც სპორტსმენთა უმრავლესობამ, მანაც ახალი თაობის გაზრდა დაიწყო.

ჩარლზ ბარკლი

სიმაღლე: *198 სმ*
პოზიცია: *ფორვარდი*
დაბადების ადგილი და თარიღი: *20 თებერვალი, 1963, ლიდსი, შტატი ალაბამა, აშშ.*
უნივერსიტეტი: *ობერნი*
გუნდები: *"ფილადელფია სევენთისიქსერზი", "ფენიქს სანზი", "ჰიუსტონ როკეთსი".*

"სერ ჩარლზი" - ასე შეარქვეს მას გულშემატკივრებმა. ეს სახელი პრინცი ჩარლზიდან წამოვიდა, მაგრამ იმის გამო, რომ ამერიკაში არ ჰყავთ და არც არასოდეს ჰყოლიათ პრინცი, ამიტომ ამერიკელთათვის პრინცის და სერის ტიტული ერთმანეთს არაფრით ჩამოუვარდება. რატომ შეარქვეს "სერ ჩარლზი"? იმიტომ რომ მასავით დინჯი, აუღელვებელი, კომპეტენტური და მექალთანე იყო. ეს ყველაფერი ლოგიკურია. აბა, ფიზიკურად მათი შედარება გამორიცხულია: ერთი შავკანიანია, მეორე –წითური ბრიტანელი. ბარკლი ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში 1984 წელს მივიდა და "ფილადელფია სევენთისიქსერზის" რიგებში ჩაირიცხა. ბარკლი თავისი გუნდის რიგებში საუკეთესო იყო მთელი რვა წლის განმავლობაში, მაგრამ მისმა გუნდმა ხეირიანი ვერაფერი გააკეთა და 1992 წელს ის "ფენიქს სანზში" გადაბარგდა. იმავე წელს, ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებზე, "ოცნების გუნდის" შემადგენლობაში ოლიმპიური ოქრო მოიპოვა. პირველივე სეზონი "ფენიქსში" მისთვის კარიერაში ყველაზე შედეგიანი და იღბლიანი გამოდგა. ის სეზონის საუკეთესო კალათბურთელი გახდა და "სანზი" ფინალში გაიყვანა, მაგრამ ფინალში მრისხანე "ჩიკაგო ბულზს" გადაეყარა და ეს ჯახი სწორედ ჩიკაგოელთა სასარგებლოდ დასრულდა. კიდევ სამ წელიწადს ითამაშა ბარკლიმ "სანზის" შემადგენლობაში. მერე გადავიდა "ჰიუსტონ როკეთსში", სადაც 2000 წლამდე თამაშობდა. ბარკლიმ კალათბურთს თავი დაანება ფეხის მძიმე ტრავმის გამო. რამდენჯერმე სცადა, დაბრუნებულიყო დიდ კალათბურთში, მაგრამ ამაოდ. დღეს ბარკლი საკალათბურთო ოპერაციებს ასრულებს სხვადასხვა კლუბში, ძირითადად, საუნივერსიტეტო ლიგაში.

ჯო დუმარსი

სიმაღლე: *190 სმ*
პოზიცია: *მცველი*
დაბადების ადგილი და თარიღი: *24 მაისი, 1964, შრივპორტი, შტატი ლუიზიანა, აშშ*
გუნდი: *"დეტროიტ პისტონზი"*

ორგზის ჩემპიონის ბეჭდის მფლობელი დუმარსი 22 წლის ასაკში მივიდა "დეტროიტ პისტონზში" და მთელი კარიერაც იქ გაატარა. ჯო დუმარსი და აიზია ტომასი ერთდროულად გახდნენ ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონები. ორივემ "დეტროიტს" შესწირა კალათბურთის ცოდნა. დუმარსი ტომასთან, როდმანთან და ჯეიმს ედუარდთან ერთად ორჯერ გახდა ჩემპიონი. პირველ მოგებულ ფინალში დუმარსმა 4 მატჩში 100 ქულაზე მეტი მოაგროვა და ამით ფინალური სერიის საუკეთესო მოთამაშე გახდა. 1990 წელს "დეტროიტი" ზედიზედ მესამედ გავიდა ფინალში და ზედიზედ მეორედ მოიგო ჩემპიონატი. 1994 წელს, როდესაც აიზია ტომასმა კალათბურთი დატოვა, ჯო დუმარსი დეტროიტული კლუბის ერთპიროვნული ლიდერი გახდა. მან და გრანტ ჰილმა, რომელიც ტომასის წასვლის შემდეგ მივიდა გუნდში, კიდევ დიდხანს ითამაშეს ერთად. 1999 წელს დუმარსმა კარიერა დაასრულა.

ნანონიჟარები კიბოს უჯრედებს ანადგურებენ

მერაბ ლორთქიფანიძე

ამერიკელმა მეცნიერებმა კიბოსთან ბრძოლის კიდევ ერთ რეალურ გზას მიაგნეს – მათ დაადგინეს, რომ ნანონიჟარებს, რომლებიც ოქროთია მოჭიქული, შეუძლიათ ძნელად აღმოსაჩენი, ოპერაციას დაუქვემდებარებელი კიბოს უჯრედების პოვნა და მათ განადგურებაში ხელის შეწყობა. მეთოდი ერთი შეხედვით საკმაოდ მარტივად მოსჩანს, თუმცა ჰიუსტონის რაისის უნივერსიტეტის მკვლევარებს უზარმაზარი მოცულობის სამუშაოს ჩატარება მოუხდათ, სანამ მას მიაგნებდნენ.

ნახსენები ნიჟარები წარმოადგენს კვარცის მცირე ზომის ნაწილაკებს, რომლებიც ოქროთია მოჭიქული. მკურნალობისას ხდება ამ ნაწილაკების შემცველი ნივთიერების სისხლში შეყვანა და სწორედ სისხლთან ერთად აღწევენ ისინი სიმსივნურ უჯრედებს, რომლებიც შესაძლოა, იმდენად მცირე ზომის იყოს, რომ შეუმჩნეველი დარჩეს გამოკვლევისას. ნიჟარები ეკვრის კიბოს უჯრედებს, რის შემდეგაც ხდება მათი ინფრაშუქით დასხივება. ამის შედეგად, ნანონიჟარები ხურდება და კიბოს უჯრედსაც ახურებს, ყოველივე კი ამ უკანასკნელის დაღუპვას იწვევს.

ჰიუსტონელმა მკვლევარებმა აღწერილი ექსპერიმენტები უკვე წარმატებით ჩაატარეს თაგვებსა და სინჯარაში მოთავსებულ ადამიანის მკერდის სიმსივნის უჯრედებზე და იმედოვნებენ, რომ მათ მიერ შემუშავებული მეთოდი არანაკლები წარმატებით იმუშავებს ადამიანებზეც.

“ნანონიჟარები ჩვენ დაგვჭირდა იმისათვის, რომ მათი საშუალებით კიბოს უჯრედების ინფრაწითელი სხივებით გახურების საშუალება გვქონოდა. ეს შესაძლებელია იმდენად, რამდენადაც ადამიანის სხეულის ჩვეულებრივი, დაუვადებელი უჯრედები თავისუფლად ატარებს სინათლის ამ ზომის ტალღებს“, - აცხადებს მკვლევართა ჯგუფის წამყვანი თანამშრომელი ჯენიფერ უესტი.

უესტის აზრით, ამ მეთოდის მთავარი უპირატესობა ისაა, რომ მისი გამოყენების შემთხვევაში საჭირო აღარაა მკურნალობის ისეთი რთული მეთოდების გამოყენება, როგორებიცაა ქირურგიული ჩარევა, რადიო და ქიმიოთერაპია, რომლებიც დაავადებულის გარდა ჯანმრთელ უჯრედებსაც ანადგურებს. ეს მაშინ, როცა ექსპერიმენტების დროს გამოყენებული ინფრაწითელ სხივებზე მცირე ზომის გამოსხივება სრულებით არ აზიანებს ადამიანის ჯანმრთელ ქსოვილს.

“ყველაფერთან ერთად, ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ამ მეთოდით შევძლებთ მეტად მცირე ზომის მეტასტაზებთან ბრძოლასაც, რომლებიც ჯერაც არ არის აღმოჩენილი. ყოველივე კი სისხლის საშუალებით ხდება, რადგან მოოქროვილი ნანონიჟარები სწორედ სისხლძარღვების მეშვეობით ხვდება დაავადებულ უჯრედებთან. ჩვენს მიერ მიგნებული მეთოდები დიდ იმედებს იძლევა, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევებში, როცა კიბოს მკურნალობა არ ექვემდებარება ოპერაციას. თუმცა, შორს მიმავალი დასკვნების გაკეთება ჯერ არ ღირს, რადგან გამოკვლევა ჯერაც ადრეულ სტადიაში იმყოფება“, - აცხადებს ბრიტანელი მკვლევარი ემა ნაიტი.

რაისის უნივერსიტეტის მკვლევართა ჯგუფმა ნანონიჟარების შესაქმნელად გამოიყენა კვარცის გაუმტარი ბირთვი, რომლის დიამეტრიც დაახლოებით 110 ნანომეტრს (ნანომეტრი მეტრის მემილიარდე ნაწილია) შეადგენს. შემდეგ მოხდა ამ ბირთვის 10 ნანომეტრი სისქის ოქროს ფენით მოჭიქვა. მეცნიერებმა არჩევანი ოქროზე იმის გამო შეაჩერეს, რომ ეს მეტალი ბიოლოგიურად ინერტულია.



1. ოქროთი მოჭიქული ყოველი ნანონიჟარა 10000-ჯერ პატერაა სისხლის თეთრ უჯრედებზე. კიბოს დიაგნოზისთვის ექიმებს ათასობით ასეთი ნიჟარა შეჰყავთ სისხლში, იქ მოხვედრისთანავე ისინი ანტისხეულების დახმარებით პოულობენ და ეკვრიან კიბოს უჯრედებს.
2. როცა კიბოს უჯრედს ოცამდე ნანონიჟარა მიეკრობა, ხდება ორგანიზმის ინფრაწითელზე მცირეტალღოვანი შუქით დასხივება, რომელიც შეაღწევს რა ჯანმრთელ ქსოვილში, იწვევს ნიჟარების და მასთან ერთად, კიბოს უჯრედების გახურებას.
3. მოოქროვილი ნიჟარების თავისუფალი ელექტრონები ინფრაწითელ სხივებს თბურ ენერგიად გარდაქმნიან, რითაც ექიმთან პირველივე ვიზიტზე ხდება კიბოს უჯრედების “შებრაწვა”.

შემდეგ ეს ნიჟარები შეიყვანეს სინჯარაში, სადაც ადამიანის მკერდის კიბოს უჯრედები იყო მოთავსებული. ამის შემდეგ მოხდა სინჯარაში მოთავსებული მასის ინფრაწითელზე მცირე ზომის ტალღებით დასხივება. შედეგმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა – სინჯარაში მოთავსებული კიბოს უჯრედები მთლიანად იქნა განადგურებული. ამასთან, უესტის თქმით, ექსპერიმენტის დროს არ შეინიშნებოდა სიცოცხლისუნარიანი უჯრედების ცვლილებები – მნიშვნელობა არ ჰქონდა, ნანონიჟარების სიახლოვეს იქნებოდნენ ისინი, თუ მათგან მოშორებით.

ანალოგიური ცდები ჩატარდა დაავადებულ თაგვებზეც, რომლებიც რამდენიმე დღეში სრულად განიკურნენ და თანაც, მათში დაავადების რეციდივებს ადგილი აღარ ჰქონია მომდევნო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში.

რაც შეეხება კიბოს უჯრედების გახურებას, 55 გრადუსიც კი საკმარისია იმისათვის, რომ ისინი დაიღუპონ. სწორედ ამ ტემპერატურაზე ხდება მათი მემბრანების შეღწევადობის შეცვლა. უესტის თქმით, როცა მემბრანა შეღწევადობის უნარს კარგავს, ამით ირღვევა ფაქიზი ბალანსი უჯრედის შიდა არესა და გარემომცველ სითხეს შორის. “როცა მათ შორის ურთიერთობა წყდება, მემბრანაზე წარმოიქმნება უზარმაზარი ფორები, რომელთა საშუალებითაც გარე სითხე დაუბრკოლებლად აღწევს უჯრედის შიგნით და ძირეულად ცვლის მის შიგთავსს, რაც ტოქსიკურ გარემოდ გარდაიქმნება“, - ჰყვება უესტი.

უნივერსიტეტის მკვლევართა ჯგუფი უკვე ამზადებს ისეთ ნანონიჟარებს, რომლებიც სპეციალიზებული იქნებიან კიბოს უჯრედების აღმოჩენაზე. თაგვებზე ჩატარებული ცდებისას ეს ნიჟარები მიბმულ იქნა ისეთ ანტისხეულებზე, რომლებიც მხოლოდ კიბოს უჯრედებს უკავშირდებიან. ამ გზით, ნიჟარები აუცილებლად აღწევენ მიზანს, რის შემდეგაც უკვე დასხივების ჯერი დგება. თაგვებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ მკურნალობიდან 150 დღის შემდეგაც ისინი ჯანმრთელობას ინარჩუნებდნენ და მათში აღარ ხდებოდა სიმსივნის განვითარება.

გამოკვლევაში უნივერსიტეტის ჯგუფს პარტნიორობას უწევს ჰიუსტონში ბაზირებული კომპანია “ნანოსპექტრა ბიოსაიენსი“, რომელიც უკვე აწარმოებს მოლაპარაკებას აშშ-ის საკვებისა და წამლების ადმინისტრაციასთან, რათა ამან გასცეს შესაბამისი ცდების ადამიანებზე ჩატარების უფლება. მოსალოდნელია, რომ ეს უფლება გაცემულ იქნება და მკვლევარებს მომავალი წლიდანვე მიეცემათ ადამიანებზე დაკვირვების საშუალება. დაგეგმილია, რომ ცდები ჩატარდებათ ფილტვის კიბოს ყველაზე საშიში და სასიკვდილო სახეობით, მეზოთილომათი დაავადებულ პაციენტებს.

უესტი კი იმედოვნებს, რომ უფრო შორეულ მომავალში, ნანონიჟარების მეთოდი ექიმებს საშუალებას მისცემს, უმკურნალონ ისეთ ადამიანებსაც კი, რომლებმაც ჯერაც არ იციან, რომ დაავადებულნი არიან, თუმცა მათ ორგანიზმში საშიში ცვლილებები უკვე ხდება. პროფილაქტიკის მიზნით, ადამიანებს ჩაუტარდებათ ნანონიჟარებით მკურნალობა და თუ პაციენტი დაავადებულია, იგი განიკურნება, თუ არა და, არც დასხივება და არც ნიჟარები მის ჯანმრთელობას არ ავნებს.

მკურნალობის აღნიშნული მეთოდი კიბოსწინა ავადმყოფობის დროსაც იქნება გამოსადეგი. მაგალითად, პაციენტის ორგანიზმში აღმოჩენილია გენი, რომელიც ადრე თუ გვიან, მის ორგანიზმში კიბოს უჯრედების გაჩენას გამოიწვევს. ასეთ ადამიანს პერიოდულად, პროფილაქტიკის მიზნით ჩაუტარდება “ნიჟარათერაპია“, რათა მის ორგანიზმში ფარულად დაწყებული კანცეროგენული პროცესები არ განვითარდეს.

მართალია, ნანონიჟარებით კიბოს მკურნალობა ადრე არ ხდებოდა, მაგრამ კონცეპცია, რომელიც კიბოს უჯრედების აღმოჩენას და შემდგომ მათ სასიკვდილოდ დაზიანებას ითვალისწინებს, არახალია. ეს კონცეპცია სხვადასხვა გზით ვითარდება და ამ გზების უმრავლესობა პერსპექტიულია. მაგალითად, ნოტინგემის უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფი იკვლევს ეგრეთ წოდებულ სიმსივნის მოყვარულ ბაქტერიას. ასეთი ბაქტერია-ნამლის გააქტიურება ხდება ორგანიზმში სპეციალური მოლეკულის შეყვანით და შედეგად, ნადგურდება მხოლოდ კიბოს უჯრედები.

წლის გამორჩეული გამოგონებები ჟურნალ "ტაიმის" ვერსიით

ჟურნალმა “ტაიმმა“ გამოაქვეყნა წლის გამორჩეულ გამოგონებათა სია. ზოგიერთი მათგანი შეიძლება ფანტასტიკის სფეროსაც კი მივაკუთვნოთ, მაგრამ ფაქტია, რომ ისინი ახლო მომავალში დაინერგება წარმოებაში და მათ მწარმოებელს დიდ მოგებას მოუტანს. გთავაზობთ “ტაიმის“ რჩეულ გამოგონებათა არასრულ სიას:

უხილავი ლაბადა

ტოკიოს უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფმა ხორცი შეასხა ერთი შეხედვით, ყველაზე დაუჯერებელ იდეას – მათ შექმნეს უხილავი ლაბადა, რითაც დევიდ კოპერფილდის ზოგიერთ საიდუმლოს ნაწილობრივ ახადეს ფარდა.

გამოგონება შემდეგნაირად “მუშაობს“: ადამიანის წინ და უკან დამაგრებული ვიდეოკამერები რეალურ დროში ჩაიწერენ გარემო სივრცეს, მერე კი ხდება ჩანაწერის პროეცირება ლაბადის სპეციალურ საფარზე. შედეგად, ობიექტი (ის შეიძლება იყოს როგორც ადამიანი, ასევე მანქანა და თვითმფრინავიც კი) “ქრება“. ამის მიზეზი შემდეგია: ლაბადის უკანა მხარეს პროეცირდება გარემოს ის ნაწილი, რომელიც ადამიანის უკან მდებარეობს, წინაზე კი – ის ნაწილი, რომელიც ადამიანის უკან მდებარეობს. ჩანაწერი კი მაშინ კეთდება, როცა ადამიანის გარშემო სიცარიელეა. შედეგად, ლაბადაზე პროეცირებული გამოსახულება სიცარიელეს უჩვენებს მაშინაც კი, როცა ადამიანის წინ ან უკან ვინმე არ რამე დგას.

ნეონის თევზები

მათთვის, ვისაც საკუთარი სახლის აკვარიუმში ფერადი სინათლისა და სიხალისის დამატება სურს, ტაივანის ეროვნული უნივერსიტეტის სწავლულმა ჰ.ჯ. ცაიმ ერთგვარი “ნეონური თევზები“ შექმნა, რომლებიც სიბნელეში ვარდისფრად და მწვანედ ანათებენ. ამ ეფექტს ცაიმ შემდეგნაირად მიაღწია: უფერო თევზის განაყოფიერებული კვერცხები (ხიზილალა) “გაამდიდრა“ მედუზებისგან აღებული პროტეინით. სწორედ ამ პროტეინის საშუალებით ხდება დაბადებული თევზი მანათობელი. თითოეული ასეთი თევზის ღირებულება აზიაში საშუალოდ 7.5 დოლარს შეადგენს.

ასეთია "სკაირეი" საქმეში

ფრთები სახელად "სკაირეი"

მძაფრ შეგრძნებათა მოყვარულებს შორის ბოლო წლებში მზარდი პოპულარობით სარგებლობს სპორტის თავზეხელაღებული სახეობა სახელად სკაიდაივინგი, რომლით გატაცებული ადამიანებისთვისაც გერმანელმა გამომგონებელმა ალბან გაისლერმა შექმნა “სკაირეი“ - ნახშირბადოვანი კომპოზიტისგან დამზადებული ფრთები.

ამ ფრთების მეშვეობით ადამიანი ახერხებს ჰაერში წონასწორობის შენარჩუნებას და 236 კმ/სთ სიჩქარით დაფრინავს. ამასთან, სკაირეის საშუალებით ადამიანი ჰაერში უფრო დიდხანს რჩება, ვიდრე პარაშუტით დაშვებისას. ყველაფერ ამას კი უზრუნველყოფს ფრთების აეროდინამიკა, რომელიც აყალიბებს ჰაერის ნაკადს, რისი საშუალებითაც “მფრინავს“ ჰორიზონტალურ მდგომარეობაში პლანირების საშუალება ექმნება. როცა ხმელეთზე დაბრუნების დრო დგება, მაშინ საქმეში ისევ პარაშუტი ერთვება.

ჭკვიანი მაცივარი-ქურა

მეცნიერებმა ერთ მთლიანობაში მოაქციეს მაცივარი და ქურა. ეს გამოგონება შემდეგნაირად მოქმედებს: გაღვიძებისთანავე ადამიანი ამ მოწყობილობაში ათავსებს წინასწარ გაყინულ ნახევარფაბრიკატს და სამსახურში მიდის. იქიდან დაბრუნებისას კი თავისი მობილურით უკავშირდება ქურა-მაცივარს და ატყობინებს, რომ მალე სახლში იქნება. მოწყობილობა ქურად “გარდაიქმნება“ და ნახევარფაბრიკატისგან ვახშამს ამზადებს.

მოწყობილობას ორი კამერა გააჩნია, რომლებსაც შეუძლიათ როგორც მაცივრის, ისე ქურის დანიშნულების შესრულება. ამასთან, ორივე კამერა ერთდროულად მუშაობს – ერთი თუ ყინავს, მეორეს საკვების გაცხელება ევალება. ერთი ნაკლი აქვს მხოლოდ –რეცხვა არ შეუძლია.

უკარება მოსასხამი

განსაცვიფრებელი ტანისამოსი შექმნეს გამომგონებლებმა, ადამ უინტონმა და იოლიტა ნუგენტმა. მათი ქმნილება გარეგნულად ჩვეულებრივი მოსასხამია, მაგრამ თუ მისი მფლობელი ხიფათს იგრძნობს, იგი დააწვება სპეციალურ ღილაკს და მისი მოსასხამი თავდაცვის იარაღად გარდაიქმნება – ყველა, ვინც მასთან შეხებას მოისურვებს, 80-ათას ვოლტიან დარტყმას მიიღებს. ეს მაშინ, როცა მოსასხამს

"ფლუმისტის" ერთი დოზა 50$ ღირს

ენერგიით კვებავს 9-ვოლტიანი ელემენტი. რაც მთავარია, მოსასხამი შიგნიდან მთლიანად იზოლირებულია. ასე რომ, ვისაც ის აცვია, ხიფათი არ ემუქრება. ამასთან, მოსასხამი ჩართულიც რომ არ იყოს, მასზე მოცისფრო ელექტროგამუხტვები “დარბიან“, როგორც ეს ფილმებშია ხოლმე. მოკლედ, ირგვლივ ყველას აფრთხილებს, რომ მასთან მიკარება სახიფათოა!

მობილური ვიდეოკამერით

ზოგჯერ ამათუიმ გამოგონების წარმატებულობა მისი პოპულარობით კი არ ფასდება, არამედ იმით, თუ რამდენად სწრაფად კრძალავენ მას... ასე მოხდა, როცა ბაზარზე გამოჩნდა ციფრული კამერებით აღჭურვილი მობილური ტელეფონები. მალე მათი აკრძალვები დაიწყო: ჯერ ამგვარი ტელეფონებით სარგებლობა აიკრძალა სპორტულ დარბაზებში, შემდეგ მსხვილი კორპორაციების შტაბ-ბინებში, საუდის არაბეთში კი თვალებიანი ტელეფონები სასტიკად აკრძალულია!

გრიპის საწინააღმდეგო ალტერნატიული ვაქცინა

სპეციალურად მათთვის, ვინც ვერ იტანს ნემსის ჩხვლეტას, ლაბორატორია “მედიმუნ ვაქცინზმა“ შექმნა ახალი, ალტერნატიული წამალი, სახელად “ფლუმისტი“, რომელიც გრიპის სამკურნალოდ გამოიყენება. მისი თავისებურება ისაა, რომ ორგანიზმში ცხვირში შესხურების შედეგად აღწევს.

მოხვდება რა ცხვირსა და სასუნთქ გზებში, “ფლუმისტი“ აქტიურებს გრიპის საწინააღმდეგო ანტისხეულებს, რაც ათჯერ ზრდის ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარს მასში შეჭრილი გრიპის ვირუსის მიმართ. ვირუსი ხომ ადამიანის ორგანიზმში სწორედ სასუნთქი გზების საშუალებით ხვდება.

თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ამ ზამთარში მსოფლიოს გრიპის დიდი ეპიდემია ელის, შეიძლება ითქვას, რომ “ფლუმისტის“ შექმნა დროულია. თუმცა, ჯერჯერობით ამ წამლის ერთი დოზა 50 დოლარი ღირს.

ციფრული ელექტროგიტარა

ჩვენს ყოფიერებაში სულ უფრო მეტად იკიდებს ფეხს ციფრული მუსიკა, რომელიც MP3 ფორმატზეა ჩაწერილი, მაგრამ ხომ შეიძლება, რომ თვითონ მუსიკაც უშუალოდ ციფრული ინსტრუმენტებით იქნას შესრულებული? ერა თქმა უნდა და 2004 წლიდან ამის საშუალებაც იქნება. კერძოდ, დაიწყება ციფრულ ელექტროგიტარა “გიბსონის“ მსოფლიო გაყიდვები. ამ ინსტრუმენტში ჩამონტაჟებულია სპეციალური მიკროპროცესორი და სამონტაჟო დაფა, რომლებიც საშუალებას იძლევა, ციფრულ რეჟიმში იქნას ჩაწერილი მუსიკა.

როცა მუსიკოსი ამ გიტარაზე აკორდს აიღებს, ყოველი სიმის ანალოგური ხმა ციფრულ ფაილად გარდაიქმნება და სპეციალური მოწყობილობის საშუალებით გამაძლიერებელს გადაეცემა. შედეგად, ხმა “სუფთავდება“ და თითქმის არ მახინჯდება, როგორც ეს ხშირად მოსდის ჩვეულებრივი გიტარის ხმას. “გიბსონის“ მსგავსი სასწაული გიტარა დაახლოებით 3000 დოლარი ეღირება.

მეცნიერებმა უშორესი ვარსკვლავის შუქი დააფიქსირეს

ჰავაიზე განლაგებული იაპონურ ტელესკოპ “სუბარუს“ მეშვეობით შესაძლებელი გახდა ჩვენი პლანეტიდან ყველაზე შორს მყოფი გალაქტიკის შუქის დაფიქსირება. ჰავაიზე მომუშავე იაპონელმა ასტრონომებმა გამოაცხადეს, რომ მათ მიერ აღმოჩენილი გალაქტიკა ჩვენგან დაახლოებით 12.9 მილიარდი სინათლის წლითაა დაშორებული.

სინათლის სხივის სიჩქარის გათვალისწინებით, შეიძლება თქმა, რომ ეს გალაქტიკა გამოჩნდა ისეთი სახით, როგორიც ის დაახლოებით 12 მილიარდი წლის წინ იყო. ასტრონომები იმედოვნებენ, რომ ამ ვარსკვლავის შუქის გამოკვლევით, შესაძლებლობა ექნებათ, მიიღონ მიახლოებითი ინფორმაცია კოსმოსის განვითარების ადრეული სტადიის შესახებ. რამდენადაც მიღებულია, რომ სამყარო ეგრეთ წოდებული დიდი აფეთქების შედეგად წარმოიქმნა, რაც უფრო შორსაა აღმოჩენილი გალაქტიკა, ის მით უფრო სრულყოფილ ინფორმაციას იძლევა სამყაროს განვითარების შესახებ.

სააგენტო “კიოდოს“ მონაცემებით, ახალი გალაქტიკა იაპონიის ეროვნული ასტრონომიული ობსერვატორიისა და უნივერსიტეტ “ტოჰოკუს“ მიერ ერთობლივი მუშაობის შედეგად იქნა აღმოჩენილი, სულ კი მათ ერთად უკვე შვიდი ზეშორი გალაქტიკა აღმოაჩინეს. ჯერ კიდევ აპრილში მათ ოპტიკურ ტელესკოპ “სუბარუზე“ დააყენეს ახალი სპეციალური ფილტრები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი გახდა მანამდე უცნობი გალაქტიკებიდან წამოსული ულტრაწითელი გამოსხივების დაფიქსირება.

რაც შეეხება ტელესკოპ “სუბარუს“, ის ერთ-ერთი უდიდესია მსოფლიოში და 2000 წელს იქნა დამონტაჟებული ჰავაის ერთ-ერთი კუნძულის მთა მაუნა კეაზე, რომლის უმაღლესი წერტილიც ზღვის დონიდან 4000 მეტრზე მდებარეობს.

მსოფლიოში უდიდესი აისბერგი შუაზე გაიხლიჩა

სააგენტო ფრანს პრესის ცნობით, ძლიერ ქარიშხალს ვერ გაუძლო და ორად გაიხლიჩა დღემდე ცნობილი მსოფლიოში უდიდესი აისბერგი, რომელსაც სპეციალისტები B15-ს უწოდებდნენ. გახლეჩამდე მისი ფართობი 11000 კვადრატული კილომეტრი იყო, რაც დაახლოებით კუნძულ იამაიკის ტოლია. ეს იყო დაკვირვებათა ისტორიაში ყინულის ყველაზე დიდი წყალსზედა გროვა, დღეს კი მისგან ორი აისბერგი – უფრო დიდი ზომის B15A და შედარებით მომცრო B15C წარმოიქმნა.

ამ გიგანტის დაშლის შემდეგ ყველაზე დიდი აისბერგი გახდა C19A, რომელიც ანტარქტიდის ფრანგული ბაზის სიახლოვეს იმყოფება. მისი ფართობია 5659 კვ. კილომეტრი, რაც დაახლოებით ბრუნეის სასულთნოს ფართობის ტოლია.

რაც შეეხება აისბერგ B15-ს, იგი ანტარქტიდას 2000 წლის მარტში მოსწყდა და ამ პროცესში მილიონობით პინგვინი იმსხვერპლა, რომლებსაც ზღვისკენ მიმავალი გზა გადაეჭრათ. ოკეანოგრაფიის ინსტიტუტ სკრიპსის მკვლევარ ჯერარდ კუიმანის განცხადებით, B15-ის წარმოქმნისას პრაქტიკულად განადგურდა ეგრეთ წოდებული იმპერატორის პინგვინების პოპულაციის სამი მეოთხედი, რომლებიც კუნძულ როსზე ცხოვრობდნენ.

ფრანს პრესის ცნობით, უახლოეს მომავალში ამერიკელი მკვლევარები B15A-ზე დაამონტაჟებენ თანამგზავრული თვალთვალის სადგურს, რათა ყოველთვის იცოდნენ აისბერგის ზუსტი ადგილმდებარეობა.

ცნობისათვის, ბოლო 26 წლის განმავლობაში ანტარქტიდას 17 აისბერგი მოსწყდა.

ახალი ბლოკბასტერის ძველი ავტორები

არტ გარფანკელი და პოლ საიმონი

ბევრს ეპარებოდა ეჭვი, რომ საიმონის და გარფანკელის ტურნე მრავალრიცხოვან მსმენელს ვერ შეკრებდა. თუმცა, 42-დღიან ტურნეში აბსოლუტურად ყველა ბილეთი გაიყიდა. მათი ძველი ჰიტების ხათრით პირველ 14 კონცერტს 209.679 ადამიანი დაეწრო, 12 შოუმ სრული ანშლაგით ჩაიარა, სალაროში კი 22.4 მილიონი დოლარი დაგროვდა.

არტ გარფანკელის მენეჯერი აცხადებს: "ეს წარმატება კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ საიმონისა და გარფანკელის ჰიტები დროს უძლებს. როგორც ჩანს, სიმღერებმა, რომელთაც პოლი წერდა და შემდეგ არტისთან ერთად ასრულებდა, საზოგადოებაზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა".

არის კიდევ ერთი საგულისხმო მომენტი. კონცერტებზე 40 წელს გადაცილებულ მსმენელთან ერთად 20-30 წლის ახალგაზრდებიც უხვად დადიან, ეს კი იმას ნიშნავს, რომ საიმონის და გარფანკელის დუეტმა მათი გულების მონადირებაც შეძლო.

ფინანსურ ენაზე კი სპეციალისტები ამ წარმატებებს ასე გადმოსცემენ: თითოეულ საღამოს სალაროში საშუალოდ 1.6 მილიონი დოლარი გროვდებოდა (მეტიც, ჩიკაგოში მოგება 3.7 მილიონი დოლარი იყო, სენტ პოლში კი – 3.2 მილიონი). რაც იმაზე მეტყველებს, რომ სახელდახელოდ აღდგენილი დუეტის მუსიკალური მოგზაურობა 2003 წლის ტურნეებს შორის ერთ-ერთი ყველაზე შემოსავლიანი იქნება. და ეს მიუხედავად იმისა, რომ მათი კონცერტები ოქტომბრამდე არ დაწყებულა.

გარფანკელსა და საიმონს ამერიკაში 21 დეკემბრამდე მოუსმენენ. თუმცა, ტურნეს ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ კონცერტები 2004 წელსაც გაგრძელდება და არა მარტო შტატებში – ინტერესს ხომ სხვა ქვეყნებიდანაც გამოთქვამენ.

ასე რომ, ფაქტია, სახელი, "საიმონ ენდ გარფანკელი" მელომანთა ყოველდღიურ ლექსიკაში კვლავაც დაბრუნდა. მათი მუსიკის ფანებს იმედი აქვთ, რომ პოლი და არტი ახლა მაინც მოიპოვებენ იმ დონის აღიარებას, რაც მათ ყოველთვის ეკუთვნოდათ.

ყველა დროის საუკეთესო

ამერიკულმა მუსიკალურმა ჟურნალმა "როლინგ სტოუნმა" გამოაქვეყნა ტრადიციული გამოკითხვის შედეგები. ყველა დროის საუკეთესო ალბომის გამოსავლენად ჟურნალის რედაქციამ 300-მდე მუსიკოსი, კრიტიკოსი და შოუ-ბიზნესის სხვა გავლენიანი ადამიანები გამოკითხა. გამოკითხულებმა, რომელთა შორის იყვნენ ცნობილი მუსიკოსებიც (ჯეიმს ჰეთფილდი და ლარს ულრიხი "მეტალიკიდან", გიზერ ბატლერი და ბილ უარდი "ბლექ საბათიდან" და ა.შ) შეადგინეს მათთვის საუკეთესო ალბომების ორმოცდაათეულები. საბოლო ჯამში, ჟურნალის თანამშრომლებს 2400 ალბომიდან მოუხდათ საუკეთესო ხუთასეულის გამორჩევა.

საინტერესოა, რომ პირველი ათეულის ფავორიტი ოთხი ალბომით ("სერჟანტ პეპერსი", "რევოლვერი", "რაბერ სოული", "უაით ალბომი") "ბითლზია"; პირველ ათეულში მოხვედრილი ყველა ალბომის ავტორი კი, როგორც მოსალოდნელი იყო, 60-70-იანი წლების ლეგენდარული მუსიკოსები და ჯგუფები არიან.

ჭილდო განსაკუთრებული ღვაწლისთვის

"დიურან დიურანს" შრომა დაუფასდა

ახლახანს ცნობილი გახდა, რომ ბრიტანულ ჯგილდოს მუსიკის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის ჯგუფი "დიურან დიურანიც" მიიღებს.

2003 წელი 80-იანი წლების პოპ-კერპებისთვის გაწეული ღვაწლის აღიარებით აღინიშნა. ამ ზაფხულს მუსიკოსებმა შემოქმედებითი ღვაწლისთვის "ემ-ტივისგან", სექტემბერში კი ჟურნალ Q-გან მიიღეს ჯილდოები; ახლა კი "დიურან დიურანის" 25 წლიან კარიერასა და მილიონობით გაყიდულ ჩანაწერებს "ბრიტ ევარდსიც" დააფასებს.

თავად მუსიკოსებმა უკვე აღნიშნეს იუბილე და ლონდონში ექსკლუზიური კონცერტი გამართეს. ჯგუფის ახალი ალბომი კი გაყიდვაში 2004 წლის დასაწყისში გამოვა.

ჰამბურგში სისხლის მსმელები ცეკვავენ

"ვამპირების ცეკვის" პრემიერას ჰამბურგში, "ნოიე ფლორას" თეატრში შეკრებილი 1800 ადამიანი ოვაციებით შეხვდა. დადგმის რეჟისორი რომან პოლანსკი იყო – სწორედ ის, ვინც 1967 წელს ამავე სახელწოდების, კლასიკად ქცეული ფილმი გადაიღო.

პიესა გასულ წელს შტუტგარტშიც დიდი წარმატებით სარგებლობდა. ჰამბურგული წარმოდგენისთვის რეჟისორმა ის ხელახლა გადაამუშავა. სცენაზე 33 მსახიობი მოძრაობს, კომპოზიტორ ჯიმ შტაინმანის მუსიკას 26-კაციანი ანსამბლი ასრულებს.

პრემიერას უამრავი ცნობილი ადამიანი დაესწრო, მათ შორის 81 წლის "დრაკულა", კრისტოფერ ლი, ჰოლივუდის მსახიობი კეიტ ბლანში და "აბბას" ყოფილი წევრი, ბიორნ ულვეუსი.

ამ უკანასკნელმა თავადაც დადგა ჰამბურგის მუსიკალურ სცენაზე "მამა მია". "რომან პოლანსკის ფილმი, სულ მცირე, სამჯერ მაქვს ნანახი და მისი სასცენო ვერსიითაც აღტაცებული ვარ," თქვა მუსიკოსმა.

სკანვორდი



TV პროგრამა

9 დეკემბერი

9 რუსთავი - 2

07.00 დილა მშვიდობისა **07.10** სერიალი "ჯადოქარი" **09.40** სერიალი "ასულ ტეკილა" **10.20** დოკ. ფილმი "გურმანთა მეგზური" **11.00** სერიალი "ჯამუში" **12.00, 15.00** კურიერი **12.15** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.30** სერიალი "ასულ ტეკილა" **18.00, 21.00, 01.50** კურიერი **18.20** სერიალი "ჯადოქარი" **18.45** ბუნება **19.10** პერეკრესტოკი **19.50** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **22.00** ღამის შოუ დ.გოგიჩაიშვილთან ერთად **22.50** ღამის კურიერი **23.45** ჩემპიონთა ლიგა. "ბეშიქთაში"-"ჩელსი" **02.00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.

პირველი არხი

07.30 ალიონი **09.45** მულტსერიალი "ახალი თოვლის ბაბუა" **10.05** მხ. ფილმი "მარტინ გერის დაბრუნება" **11.50** კრიმინალური ქრონიკა **12.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ლერერის შოუ **15.00** კალათბურთი. სტუ - ბათუმის "ბასკო". შესვენებისას "მოამბე". **16.35** დოკ. ფილმი "სახალხო არტისტი" **17.30** საქართველო და გარე სამყარო **18.00** ვესტნიკი **18.20** ტელესერიალი "სოლედადი" **19.15** და არს მუსიკა **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** ტელეთამაში "იმლერე რამე" **21.35** კრიმინალური ქრონიკა **21.45** ჩვენი ფეხბურთი **22.30** რა ხდება **00.00** მხ. ფილმი "მკვდარი სეზონი" მე-2 ს.

ПЯТЫЙ პირველი სტერეო

08.00 მუსიკა **09.00** ტოროლა **12.00** ფილმი **14.00** მუსიკა **16.00** ფილმი "ჩვენი ბიჭი" მთ.რ-ში სიგურნი უოვერი, ჯონ ტურტურო. **18.00, 19.15** ქართული მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **20.50** ათი ლექსი **21.15** უცხ. მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** პოპ. ად. ათეული **00.00** "ბრავო" "ტრიუკების ოსტატი" მთ.რ-ში პიტერ ოტული, ბარბარა ჰერში. **01.40** "ღამურა" მხ. ფილმი "9 მილიმეტრი" მთ.რ-ში პაოლო რობერტო, რებეკა ფეისი. **03.00** პაუზის გარეშე

მზე

09.00 "ღამის მზერა" (გან) **10.00** სერიალი "მარია ემილია" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "ჯადოსნური ტყე" **19.00** სერიალი "მარია ემილია" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **20.45** მხ. ფილმი "ეროვნული უშიშროება" **22.45** საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" **23.45** მხ. ფილმი "თავზეხელაღებულთა კუნძული"

2x2 მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტფილმი **19.30** მხ. ფილმი "გიჟები სტადიონზე" **21.00** ისტორიანი **21.30** ასპარეზი **22.10** მხ. ფილმი "მკვდარი სეზონი"

კავკასია

12.00 მხ. ფილმი "სახის გარეშე" **15.00** მხ. ფილმი "სახელმწიფოს მტერი" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ.ფილმი "დათვი" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "დამოუკიდებლობის დღე"

იბერია

08.00 ანონსი **08.05** დიალოგი **10.00** ბურთი და მოედანი **10.45, 14.50, 19.30, 20.30, 23.30** მუსიკა **11.00** სერიალი "ბაგა-ბაღი" **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10, 17.30** მულტსერიალი "კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები" **13.30** დოკ. ფილმი **15.15** მხ. ფილმი "ამომავალი ვარსკვლავი" **18.00, 20.00** დოკ. ფილმი **21.00** სერიალი "ბაგა-ბაღი" **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი "პეპელა მხარზე" **00.55** მუსიკა

მეცხრე არხი

08.00 პროგრამა "დილა" **10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00** დღის ამბები **10.15, 13.35, 17.50, 22.10** მუსიკა **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30** მხ. ფილმი "ბრწყინვალე წლები" **14.00** მულტფილმი "სიმბა მეფე ლომი" **14.50** დოკ. სერიალი "მსოფლიო კულტურის საგანძური" მე-46. **15.10** სერიალი "პატარა აინშტაინები" **15.35** მხ. სერიალი "სირინოზები" **16.35** დოკ. სერიალი "ამოუცნობი ცოცხალი ორგანიზმები" **17.00** მხ. სერიალი "სამოდელო სკოლა" **18.00** მულტსერიალი "სიმბა მეფე ლომი" **18.30** სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** სერიალი "სირინოზები" **20.00** "ევროპის სტადიონებზე" **21.15** სერიალი "მოჯადოება" **22.20** "ტელემეტრი" **22.45** მოკლ. მხ. ფილმი **23.20** "ცხელი ცხრიანი" **00.30** მხ. ფილმი "ტურების ბუნაგი"

იმედი

07.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00 ქრონიკა **07.15, 09.10, 13.15, 17.20, 00.45** იმედის მელოდიები **07.45** "იმედის" დილა **09.30** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **10.30** სპორტ. პროგრამა "გოლი" **11.05** სპ. პროგრამა "გოლი სერია ა" **12.10** სერიალი "ქლონი" **13.30** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **14.05** "არჩევანი თქვენ" **15.15** მხ. ფილმი "სამს პლიუს ორი" **17.00, 18.00, 19.00, 21.00, 22.00, 00.30** ქრონიკა **17.25** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **18.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **19.30** სერიალი "ქლონი" **20.30** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **21.30** ლარის მახე **22.50** მძაფრსიუჟეტიანი კინო "24 საათი ტყვეობაში"

არხი

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი **08.40** მუსიკა **09.00, 12.00, 16.00** საინფ. გამოშვება "დღეს" **09.20, 12.10, 16.10** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **09.30** სათავგადასავლო ფილმი "ჯუმანჯი" **11.10** დოკუმენტური ფილმი **12.20** მხატვრული ფილმი "მკვდარი" **14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** მხატვრული ფილმი "მკვდარი" (გაგრძ.) **14.25** კომედია "მამაჩემი, დედაჩემი, ჩემი ძმები და დები" **16.20** მულტფილმი "ჯუნგლების წიგნი" **17.40** მხატვრული ფილმი "ქალბატონის ვიზიტი" 2 ს. **19.00, 22.00, 00.00** საინფორმაციო გამოშვება "დღეს" **19.15, 22.30, 00.20** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **19.30** "დღეს მსოფლიოში" **20.00** დრამა "თოჯინები" **21.55** "გალერეა" **23.00** "Пресс-папье" **23.10** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **23.30** დოკუმენტური ფილმი **00.40** საინფ. გამოშვება ინგლისურ და გერმანულ ენებზე **01.00** მხატვრული ფილმი "იმპერატორის კლუბი" **02.50, 05.45** მუსიკა **03.40** ფილმი-კატასტროფა "მე-6 დღე"

VII არხი

09.10 მელოდია **09.15** "აჩიკუდა" **09.35** "ბედნიერი ერი" **09.30** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **10.00** მელოდია **10.10** მობილურები **10.40** სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - საფრანგეთის ჩემპიონატის მიმოხილვა (განმეორებით) **11.15** აუდიო-ვიდეო-ტელე **12.00** ტელესერიალი - "აღმოსავლეთ -დასავლეთი" **12.45** დისნეი და მისი მეგობრები **13.05** მელოდია. **18.20** აუდიო -ვიდეო- ტელე **19.00** "აჩიკუდა" **19.25** მელოდია - მოკლე შეტყობინებები **20.10** საყოფაცხოვრებო ტექნიკა **20.35** სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი" - ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა **21.15** "ავტოტრეკინგი" **22.00** მობილურები **22.30** "კინოკლუბი" - "ცვილის ფიგურების მუზეუმი ".საშინელებათა . რეჟ. ენტონი ჯეკოკსი. როლებში: ზაკ გალიგანი, ალექსანდრ გოდუნოვი. **00.10** მელოდია **00.20** ტელესერიალი -"აღმოსავლეთ -დასავლეთი" **01.00** კომპიუტერული ტექნიკა

ОРТ

06.00 "Доброе утро" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.20 Сергей Безруков в детективе "Участок" 11.10, 20.00 "Земля любви, земля надежды". Сериал 12.20** "Ералаш" **12.40** Дисней-клуб: "Ким Пять-с-плюсом" **13.20** Анатолий Кузнецов, Лев Дуров в комедии "Гость с Кубани" **14.40** "Шутка за шуткой". **15.10** Город женщин **16.20** "Ералаш" **16.30** "Угадай мелодию" **17.00 Сериал "Берег мечты" 18.00** "Большая стирка" **19.30** "Кумиры". Владимир Зельдин **21.00** "Магия. Разоблачения" **22.00, 00.30** Время **22.35** Премьера. Сергей Безруков в народном детективе **"Участок" 23.40** Тайны века. "Зашифрованная война. 2 с. **01.00** "На футболе" **01.30** "Сканер" **02.00** "Мистика Каталонии" **02.30 Исторический боевик "Брат воина" 04.30 Фильм "Уважаемые господа" 06.30** "Шутка за шуткой"

РТР

06.00 Доброе утро, Россия! **09.45 Сериал "ЛИНИИ СУДЬБЫ" 10.45** "Не скуЧАЙ!" с Михаилом Евдокимовым. **11.45, 14.50, 17.30, 00.30** Вести. Дежурная часть. **12.00, 15.00, 18.00, 21.00** Вести. **12.30, 15.10, 17.40, 21.30** Местное время. Вести-Москва. **12.50** "Короткое замыкание". Ток-шоу. **13.50 Сериал "СПАСТИ И ВЫЖИТЬ" 15.30** "Что хочет женщина". Ток-шоу **16.30 Сериал "ПРАВО НА ЗАЩИТУ" 18.10** "Частная жизнь". Ток-шоу **19.05 Сериал "УНДИНА" 20.00 Сериал "РУССКИЕ АМАЗОНКИ" 21.50** Спокойной ночи, малыши! **21.55 Сериал "ЛИНИИ СУДЬБЫ" 23.00 Сериал "СПАСТИ И ВЫЖИТЬ" 00.00** Вести+. **00.20** Народный артист **00.45 Сериал "НАПОЛЕОН" 02.45** Дорожный патруль. **03.00** Горячая десятка. **04.00** Агентство одиноких сердец. **04.25 Сериал "АНГЕЛЫ ЧАРЛИ"**

НТВ

07.00 Утро на НТВ **09.45 Сериал "ЧЕРНЫЙ ВОРОН-2" 11.00** Сегодня утром. **11.25** "Их нравы" **12.20** Ток-шоу "Страна советов". **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.45** "Сегодня" **13.30** "Возвращение самураев". "Профессия - репортер". **13.50 Комедия "ГДЕ НАХОДИТСЯ НОФЕЛЕТ?" 15.35** По праву. **16.35** Ток-шоу "Принцип домино". **18.25 Сериал "ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО" 19.35** Территория выживания. **20.35 Сериал "МОСКВА. ЦЕНТРАЛЬНЫЙ ОКРУГ". 2 с. 21.45 Сериал "ЧЕРНЫЙ ВОРОН-2". 28с. 23.00** "Страна и мир" **23.35 Футбол. Лига чемпионов. "Милан" (Италия) - "Сельта" (Испания)**. Прямая трансляция. **02.10** Гордон. **03.05** Дневник Лиги чемпионов. **04.05** Кома: это правда

საჩუქრები 1,5 მილიონად

ჯასტინ ტიმბერლეიკი

როგორც ვარსკვლავს ეკადრება, საშობაო საჩუქრების შესაძენად ჯასტინ ტიმბერლეიკი ლონდონის "ჰეროდსს" დაკეტვის შემდეგ ეწვია. თანამშრომლებმა სამუშაო დღე სიამოვნებით გაიგრძელეს, რადგან მომღერალმა, არც მეტი, არც ნაკლები, 1,5 მილიონი ევრო დახარჯა.

ბრიტანული გაზეთი "დეილი ექსპრესი" იუწყება, რომ ამ "ღონისძიების" ჩასატარებლად ტიმბერლეიკი წინასწარ დაუკავშირდა "ჰეროდსის" უფროსს, მოჰამედ ალ ფაიედს. ამ უკანასკნელის განკარგულებით, 80 ადამიანი ტიმბერლეიკს ოთხსაათნახევრის განმავლობაში ემსახურებოდა. მან ათასობით საჩუქარი იყიდა, ძირითადად, სათამაშოების განყოფილებაში. საბოლოოდ მისი შენაძენის წასაღებად ორი ავტობუსი გახდა საჭირო.

პიტერ პენი გაიზარდა

ჰოლივუდში კვლავ გადაიღეს პიტერ პენის ამბავი. ერთადერთი პრობლემა ისაა, რომ პიტერ პენი, როგორც გახსოვთ, არ იზრდება, მისი როლის შემსრულებელი მსახიობი კი პირიქით, ამას საშინელი სისწრაფით აკეთებს.

14 წლის ჯერემი სამპტერი გადაღებების დროსაც განაგრძობდა ზრდას, ამიტომ გადამღებ ჯგუფს დეკორაციების შეცვლა მრავალგზის მოუწია. "ბავშვების ოთახის ფანჯარა, რომლიდანაც უნდა გავფრენილიყავი, ოთხჯერ გამოცვალეს, რომ მოკუნტვა არ დამჭირვებოდა," ჰყვება მსახიობი Channel 4-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.

ჯერემი სამპტერი

სამურაი თოვლმა დაჩაგრა

ტომ კრუზი "უკანასკნელ სამურაიში"

აშშ-ს ჩრდილო-აღმოსავლეთში თოვს, რაც ცხადია, ახარებს თოვლის ყველა მოყვარულს. თუმცა, მწუხარებას ვერ მალავენ ჰოლივუდური სტუდიების წარმომადგენლები. მძლავრი ქარბუქის გამო ხომ მათი რამდენიმე პრემიერა ფინანსური კრახით დასრულდა. დაჩაგრულ ფილმებს შორის აღმოჩნდა "უკანასკნელი სამურაიც" – იაპონიაში გადაღებული ფილმი, რომელშიც ტომ კრუზი თამაშობს. ფილმმა ჩვენების პირველ სამ დღეს მხოლოდ 24.4 მილიონი დოლარი მოიპოვა (კარგად რომ გაუგოთ სტუდიის წარმომადგენლებს, გეტყვით: "სამურაის" პარალელურად დიდ ეკრანზე გამოსულმა ფილმმა "დოქტორი სეუსი კატა ქუდში" უკვე 85.500 მილიონი დააგროვა).

ასეთი დაბალი მაჩვენებლი, თურმე, ტომ კრუზის მონაწილეობით გადაღებულ ფილმს 1999 წლის შემდეგ არ ჰქონია. მაშინ კი ამერიკელებმა სტენლი კუბრიკის ეროტიკული თრილერი "ფართოდ დახუჭული თვალები" "ჩააგდეს" – პრემიერის პირველ სამ დღეს სურათმა 21.7 მილიონი დოლარი მოაგროვა, საბოლოოდ ჯამში კი, კინო-თეატრებში "რბოლა" 56 მილიონი დოლარით დაასრულა. სამაგიეროდ, დიდი წარმატებით გაიარა კინო-თეატრების პერიოდი ტომ კრუზის შარშანდელმა ფილმმა Minority Report – მხოლოდ პრემიერა 35.7 მილიონი დოლარით აღნიშნა.

ახლა კი, "უკანასკნელი სამურაის" შემქმნელები ვარაუდობენ, რომ თოვლს რომ ეცლია, კინოში მეტი ამერიკელი წავიდოდა და ფილმიც 29 მილიონ დოლარს მაინც მოიპოვებდა. იმ პერიოდში ხომ ქარბუქის გამო აეროპორტებიც დაიკეტა და ათასობით ადამიანს გაეთიშა შუქი.

არმანი მოდის ინდუსტრიის წინააღმდეგ

ჯორჯო არმანი შიშობს, რომ მოდის სამყაროში ფასეულობები იკარგება. მის კოლეგებს ადამიანის და საქმის ერთგულება აღარაფრად მიაჩნიათ.

არადა, არმანი თვლის, რომ ერთგულება წარმატების საწინდარია. "ჩვენი ინდუსტრია შეპყრობილია იმ აზრით, რომ წარმატებისთვის მაღალანაზღაურებადი გენიოსებია საჭირო. დავივიწყოთ მაღალანაზღაურებადი გენიოსები! ერთგულება ბევრად უფრო მნიშვნელოვანია. მე ხალხი მყავს, რომელიც ჩემთან ერთად უკვე 25 წელი მუშაობს. ისინი არ არიან მაღალანაზღაურებადი გენიოსები, რომლებიც ერთიდან მეორე მეწარმესთან გარბიან და არანაირ კვალს არ ტოვებენ. ისინი ხელოვანები და ერთგული ადამიანები არიან".

არმანი კლასიკის მომხრეა

წამალი "სალხინო"

ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.